

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი



Ivane Javakhsishvili Tbilisi State University
Arnold Chikobava Institute of Linguistics

Тбилисский государственный университет имени
Иванэ Джавахишвили
Институт языкознания имени Арнольда Чикобава

K. V. LOMTATIDZE

Works
IV

К. В. ЛОМТАТИДЗЕ

Труды
IV

Tbilisi 2022 Тбилиси

ქეთევან ჯამთათიძე

შრამები

IV

თბილისი 2022

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო ს ა ზ ჭ ო

ა. აბრეგოვი (მაიკოპი), ლ. ავიძბა (თბილისი), ა. არაბული (თბილისი),
ბ. ბერსიროვი (მაიკოპი), გ. გოგოლაშვილი (თბილისი), კ. ვამლინგი
(შვედეთი), ს. პაზოვი (კარაჩაევსკი), ბ. უტიე (საფრანგეთი), ლ. ჭკადუა
(სოხუმი), ა. ხალილოვი (გროზნო), ა. ჰარისი (აშშ)

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

მ. ბუკია, თ. გვანცელაძე, ნ. ფონიავა, ვ. შენგელია, მ. ჩუხუა
ნ. მაჭავარიანი (მთავარი რედაქტორი)

ტომის რედაქტორი მ. ჩუხუა

E d i t o r i a l C o u n c i l

A. Abregov (Maykop), L. Avidzba (Tbilisi), A. Arabuli (Tbilisi), B. Bersirov
(Maykop), G. Gogolashvili (Tbilisi), K. Vamling (Sweden), S. Pazov (Karachaevesk),
B. Outtier (France), L. Chkadua (Sokhumi), A. Khalilov (Grozny), A. Harris (the USA)

E d i t o r i a l B o a r d

M. Bukia, T. Gvantseladze, N. Poniava, V. Shengelia, M. Chukhua
N. Machavariani (Editor-in-chief)

Editor of the Volume M. Chukhua

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ISBN (მრავალტომეული)
ISBN (ტომი IV)

შინაარსი

კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში 9

| | |
|---|----|
| შესავალი | 11 |
| ბილაბიალური ბ მომდინარე „ გვ “ ლაბიალური კომპლექსიდან | 13 |
| ბილაბიალური ფ მომდინარე „ ქვ “ ლაბიალური კომპლექსიდან | 39 |
| ბილაბიალური ფ მომდინარე „ წვ “ ლაბიალური კომპლექსიდან | 47 |
| ბილაბიალური პ მომდინარე „ კვ “ ლაბიალური კომპლექსიდან | 48 |
| ბილაბიალური პ მომდინარე „ ყვ “ ლაბიალური კომპლექსიდან | 51 |
| დასკვნა | 62 |
| Резюме | 64 |
| საძიებელი | 65 |

სონანტთა მეზობლად ხშულთა გამკვეთრება (დაყრუება) ქართველურ ენებში 73

ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში 95

ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში 163

| | |
|---|-----|
| შესავალი | 165 |
| პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ი. ლოკალურ პრევერბთა ძირითადი ტიპები და მათთან ირიბი ობიექტის შეწყობა | 167 |
| 1. ლოკალურ პრევერბთა საყრდენი ფუძეები | 167 |
| 2. ლოკალურ პრევერბთა საყრდენი ფუძეების ძირითადი სემანტიკური ჯგუფები | 169 |
| 3. ლოკალურ პრევერბთა ორი ჯგუფი ირიბი ობიექტის თანხლების მიხედვით | 169 |
| 4. კონკრეტული ბუნების მქონე („ ვ ნა“ ტიპის) ლოკალური პრევერბები | 170 |
| 5. აბსტრაქტული, განზოგადებული ბუნების მქონე („ კ ა-“ ტიპის) ლოკალური პრევერბები | 178 |
| 6. ირიბ ობიექტ-დართული ლოკალური პრევერბები | 184 |
| 7. ლოკალური პრევერბები ირიბი ობიექტის გარეშე | 212 |
| 8. ლოკალური პრევერბების ორგვარი – ირიბ-ობიექტიანი და უირიბ-ობიექტო – სახეობის არსებობის საფუძველი | 214 |

| | |
|---|-----|
| 9. ლოკალურ პრევერებთან ირიბი ობიექტის შეწყობა I, II (მხ. და მრ.) და III (მრ.) პირში | 214 |
| 10. ლოკალური პრევერები ირიბი ობიექტის: პრეფიქსის გარეშე III პ. მხ. რიცხვში | 215 |
| 11. ერთი და იმავე რიგის ლოკალურ პრევერბთა განსხვავებული (აბსტრაქტული//კონკრეტული) შინაარსით გამოყენება და მასთან დაკავშირებული მორფოლოგიური დაპირისპირება (ირიბი ობიექტის ნიშნის დართვა//დაურთველობა) | 216 |
| 12. ირიბი ობიექტის ნიშნის დაურთველად გამოყენება ლოკალური წინდებულებისა ერთი რიგის სუბსტანტივებთან შეწყობისას | 224 |
| 13. ირიბი ობიექტის დართვის შემთხვევები ე. წ. „კა“- ტიპის მქონე პრევერბიან ზმნებში III პ. მხ. რიცხვში | 225 |
| 14. მიმართებითი პირის ფორმები ლოკალურ პრევერბიან ზმნებში | 226 |
| 15. ერთი და იმავე პრევერბის სემანტიკური დიფერენციაცია ირიბი ობიექტის პირის დართვა-დაურთველობასთან დაკავშირებით | 228 |
| მეორე ნაწილი. ლოკალურ პრევერბთა გაფორმება | 232 |
| 1. გ- პრეფიქსი ირიბი ობიექტის მქონე ლოკალურ პრევერბიან ზმნურ ფორმებში | 232 |
| 2. გ- პრეფიქსის გაუჩინარება ირიბი ობიექტის მქონე ლოკალურ პრევერბიან ზმნაში | 234 |
| 3. გ- პრეფიქსი ირიბი ობიექტის არმქონე აბსტრაქტული ხასიათის ლოკალურ პრევერბიან ზმნაში | 235 |
| 4. გ- პრეფიქსის გაუჩინარება ირიბი ობიექტის არმქონე აბსტრაქტული ხასიათის ლოკალურ პრევერბიან ზმნაში | 238 |
| 5. გ- პრეფიქსის ფუნქციისათვის | 239 |
| Основные виды локальных превербов в их оформлении в абхазском и абазинском языках (резюме) | 240 |
| სამიებელი | 246 |
| გამოყენებული წყაროები | 248 |
| აბაზური ენა (მოკლე მიმოხილვა) | 249 |
| წინასიტყვაობა | 251 |
| ფონოლოგია | 253 |
| 1.1. ფონემური სისტემა | 253 |
| თანხმოვნები | 253 |
| ხმოვანთა სისტემა | 258 |
| 1.2. ფონოტაქტიკა | 259 |

| | |
|--------------------------------------|-----|
| 1.3. სუპრასეგმენტული ერთეულები | 261 |
| 1.4. მორფოფონემიკა..... | 262 |
| მორფოლოგია | 263 |
| (ა) არსებითი სახელი | 263 |
| (ბ) ზედსართავი სახელი | 271 |
| (გ) ნაცვალსახელი..... | 275 |
| ზმნა, ზოგადი დახასიათება..... | 282 |
| სუპლექტიზმი | 283 |
| გარდამავლობა-გარდაუვალობა | 283 |
| სტატიკური და დინამიკური ზმნები | 286 |
| გვარები | 288 |
| ასპექტი | 289 |
| მოდალობა..... | 290 |
| დროები..... | 292 |
| სტატიკური ზმნა..... | 293 |
| დინამიკური ზმნა | 294 |
| ულვლილება..... | 298 |
| კილოები | 300 |
| ნაზმნარი სახელები | 305 |
| აბსოლუტივი | 307 |
| კოპულა | 311 |
| პერიფრასტული კონსტრუქციები | 311 |
| კაუზატივი | 311 |
| ზმნის ვალენტობა | 313 |
| კთხვითი ფორმები..... | 315 |
| სიტყვაწარმოება, ზმნისართები | 318 |
| ორიენტაცია | 322 |
| ლოკალური პრევერბები | 322 |
| შესაძლებლობა-შეუძლებლობა | 323 |
| უნებურობა..... | 323 |
| რეფლექსურობა..... | 324 |
| რიცხვითი სახელები | 324 |
| შენიშვნები..... | 327 |
| მითითებული ლიტერატურა | 329 |

Содержание

| | |
|---|-----|
| Предисловие..... | 332 |
| Фонология..... | 334 |
| 1.1. Система фонем..... | 334 |
| Согласные..... | 334 |
| Система гласных..... | 339 |
| 1.2. Фонотактика..... | 340 |
| 1.3. Сукпრასეგმენტные единицы..... | 342 |
| 1.4. Морфофонемика..... | 343 |
| Морфология..... | 344 |
| (ა) Имя существительное..... | 344 |
| (ბ) Имя прилагательное..... | 351 |
| (ვ) Местоимение..... | 355 |
| Глагол..... | 361 |
| Залог..... | 367 |
| Аспект..... | 367 |
| Времена..... | 370 |
| Статический глагол..... | 370 |
| Динамический глагол..... | 371 |
| Спряжение..... | 375 |
| Система наклонений..... | 377 |
| Повелительное наклонение..... | 377 |
| Конъюнктив..... | 378 |
| Условное наклонение..... | 378 |
| Условно-целевое наклонение..... | 379 |
| Обусловленное наклонение..... | 379 |
| Желательное наклонение..... | 380 |
| Наклонение со значением "хотя", "однако"..... | 380 |
| Наклонение вероятности..... | 380 |
| Отглагольные имена..... | 382 |
| Абсолютив (დეეპრიჩატი)..... | 383 |
| Копула..... | 386 |
| Каузатив..... | 387 |
| Валентность глагола..... | 388 |
| Вопросительные формы..... | 390 |
| Словообразование. Наречия..... | 393 |
| Имя числительное..... | 399 |
| Примечания..... | 401 |
| Использованная литература..... | 403 |
| ტომის რედაქტორისაგან..... | 405 |

კომპლექსიდან მომდინარე
ბილაბიალური სშულები
ქართველურ ენებში

ნაშრომში დადგენილია ქართველურ ენებში მოქმედი ერთი სპორადული ხასიათის ფონეტიკური პროცესი – უკანაენისმიერ და ფარინგალურ ხშულთა ლაბიალური კომპლექსების შერწყმის ნიადაგზე ბილაბიალური ბ ფ კ ხშულების მიღება.

მასზე დაყრდნობით გაანალიზებულია რიგი სახელისა და ზმნის ფუძე და მოცემულია ცდა მათი ამოსავალი სახის აღდგენისა.

რედაქტორი პროფ. ზ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე

შესავალი

ნაშრომის მიზანია ქართველურ ენათა რიგ ფუძეში არსებული ბაგისმიერი ხშულების წარმოშობის ძიება (მათი უკანარიგის თანხმონებთან ურთიერთობის თვალსაზრისით).

იბერიულ-კავკასიურ ენებში ცნობილია ლარინგალურთა, ფარინგალურთა და უკანაენისმიერთა წინარიგის ხშულებსა და სპირანტებში გადასვლის ფაქტები. მონათესავე ენათა ბგერათშესატყვისობების, საერთო ამოსავალი მასალის დადგენა სრულყოფილი ვერ იქნება, სანამ ბგერთა ეს წინ გადმოწევის პროცესები, – ხშირად დაკავშირებული გარკვეულ პოზიციასთან, – არაა მთლიანად და გამოწვლილვით შესწავლილი.

ჩვენ აქ შემოვიფარგლებით იმ კანონზომიერების გარკვევით, რაც ზოგჯერ უკანარიგის ხშულთა ცვლილებას მოჰყოლია კომპლექსებში.

კომპლექსების სახით აქ მხედველობაშია ლაბიალური კომპლექსები, ე. ი. კომპლექსები, რომელთა მეორე წევრად გამოდის ვ(უ).

ირკვევა, რომ საკმაოდ ხშირად ქართველურ ენებში ბაგისმიერ ხშულთა სამეული **ბ ფ პ** იქა გვაქვს, სადაც ამოსავალში სავარაუდებელია შესაბამისი გვარობის უკანაენისმიერი ან ფარინგალური ხშული, რომელსაც მოსდევს ლაბიალური ვ/უ (ე. ი. იქმნება ლაბიალური კომპლექსი).

ამ რიგის კომპლექსის შერწყმის ნიადაგზე მიიღება მარტივი ბაგისმიერი ხშულები შესაბამისი გვარობისა – **ბ ფ პ**.

ეს თვალსაჩინოა, როცა კომპლექსის მომდევნოდ არალაბიალური **ა ე ი** ხმოვნებია. ლაბიალურ უ-სა და თ-ს შემთხვევაში, ბუნებრივია, ხმოვნურ ელემენტად გარკვეულს პირობებში რჩება უ და თ.

აღნიშნული კომპლექსები საფუძველი გამოდის მარტივი თანხმონებისა. ქართველურ ენათა გარკვეულ ფუძეებში ამ რიგისად გვესახება:

ბ < გვ (||*ფვ?), ფ < ქვ (||წვ), პ < კვ (||ყვ)

მსგავსი ბგერათცვლილებები ცნობილია სხვადასხვა ოჯახის ენებში. კერძოდ, დასტურდება ინდოევროპულ ენებში; ფართოდაა გავრცელებული მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ამგვარ ცვლილებას ხშირად მითითებულ ენებში სისტემური ხასიათი აქვს და გარკვეულ კანონზომიერებად წარმოგვიდგება, რაც, როგორც ცნობილია, სათანადო შესატყვისობასაც ქმნის ენობრივ ერთეულთა შორის.

ამავე დროს ბგერათშერწყმის ეს პროცესი შეიძლება არასისტემური ხასიათისაგ იყოს და ხორციელდებოდეს მხოლოდ ცალკეულ ფუძეებშიც (შესაბამის პირობებში) და ეს შეიძლება გვხვდებოდეს იმ ენებშიც კი, რომლებისთვისაც ცნობილია მისი ასეთი სისტემურობა სხვა შემთხვევებში.

ქართველურ ენებში არაა დამახასიათებელი ბგერათა შერწყმის აღნიშნული პროცესის სისტემური გატარება, თუმცა იგი საკმაოდ ხშირად უნდა გვხვდებოდეს.

ბილაბიალური ბ მომდინარე „გვ“ ლაბიალური კომპლექსიდან

ბიზინი

ბ ი ბ ი ნ ი ქართული ენისა ს ა ბ ა ს განმარტებით არის „ყვავილთ ფერადობა“. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, იგი გაორკეცებული **ბინ** ფუძეა, რომელიც ამოსავალში უკავშირდება ყ ვ ა ვ ი - ლ ი ს გაგებას. აღნიშნული ფუძე **ნ-ს ლ-**დ ცვლილი სახეობით გვაქვს. იმერ. ბ ი მ ბ ი ლ („თხმელისა და თხილის ყვავილი“) და მეგრ. ბ ი ბ ი ლ („თხილის ყვავილი“) სიტყვებში¹ (აქვე შემოდის ქვ. სვ. ბ ი მ ბ ი ლ („ყურმნის ან ბლის მარცვალი“)).

ბინ- || **ბილ-** ფუძეში **ბ** მიღებული ჩანს **გვ** ლაბიალური კომპლექსისაგან. ხსენებული ამოსავალი სახეობა (ამავე მნიშვნელობით და ასევე გაორკეცებული სახით) შემორჩენილია მეგრულში: **გვიგვილი**².

ქართ. **ბიზინ**-ის ამოსავლად შესაბამისად სავარაუდებელია ***გვი[ნ]-გვინი**.

ბორბალი

ნ. მარს თავის „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკაში“ ჰქონდა მითითებული ბ ო რ ბ ა ლ, გ ო რ გ ა ლ, გ ო რ გ ო რ ა ფუძეთა იგივეობაზე და მას მიიჩნევდა ანტიპოდ ბგერათა გადანაცვლების ფაქტად³.

მსგავს ცვლილებათა კანონზომიერების ნიადაგზე აშკარა ჩანს აღნიშნულ ბგერათა მონაცვლეობის მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ც: **ბორბალ** < გ ო რ - გ ო ლ (< *გ ო რ - გ ო რ) < *გ ვ ო რ - გ ვ ა ლ < *გ ვ ო რ - გ ვ ა რ < *გ ვ ა რ - გ ვ ა რ (შდრ. გ ო რ გ ო ლ ა).

რაც შეეხება გ ო რ გ ა ლ ფუძეს, აქ მეორე მარცვალში მომხდარა **გვ** ლაბიალური კომპლექსის დელაბიალიზაცია: გ ო რ გ ა ლ < *გ ო რ - გ ვ ა ლ < *გ ვ ა რ - გ ვ ა ლ / რ.

¹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერთი ძველი საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძის შესახებ მევენახეობის ტერმინში, იკვ. VI, თბ., 1954, გვ. 44-48.

² ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-П. 1914, с. 216.

³ Н. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, с. 020.

ბურკა

ქართული ენის გურულსა და იმერულ დიალექტებში კ უ რ კ ი ს აღსანიშნავად გვხვდება ბ უ რ კ ა¹. ეს იგივეა ფუძის მიხედვით, რაც თვით კ უ რ კ ა, ოღონდ მას საფუძლად უდევს ამ სიტყვის მჟღერი სახეობა გ უ რ - კ ა. იგი კიდევ დასტურდება ქართულში. საბას განმარტებით გ უ რ კ ა არის „ხილის კაკალი“. B რედაქცია უმატებს: „რომელ არს კ უ რ კ ა“².

ბიგვა

გვარი ბ ი გ ვ ა ვ ა უნდა მომდინარეობდეს *გვიგვა-საგან და, როგორც მთელი რიგი გვართა სახელები, ნაწარმოები უნდა იყოს ადამიანის (ჩვეულებრივ მამაკაცის) საკუთარი სახელისაგან.

საყურადღებოა, რომ ასეთი სავარაუდებელი მამაკაცის საკუთარი სახელი გვიგვა დასტურდება XVI საუკუნის ძეგლში – „გვიგვა სიჭინავა“³.

ბაბუცა

გ ო გ ო სახელიდან ნაწარმოებმა კნინობითმა ქალის საკუთარმა სახელმა „გ ო გ უ ც ა“-მ გ-საგან ლაბიალურ გარემოცვაში (შესაძლოა *გუაგუცა სახეობის ნიადაგზე) მოგვცა ბაბუცა – ქალის ასევე კნინობით-მოფერე-ბითი საკუთარი სახელი.

ბაბუციძე

არსებობს გვარები ბ ა ბ უ ც ი ძ ე და გ უ გ უ ც ი ძ ე. საფიქრებელია *გუგუცა ამოსავალი ფუძე გვარის – გუგუციძისა – იყოს იგივე ქალის სახელი გ ო გ უ ც ა, რომელმაც მოგვცა ბ ა ბ უ ც ა, იმავე ნიადაგზე უნდა იყოს წარმომდგარი გვარის სახელებიც > გუგუციძე > ბაბუციძე.

ბობოხია

-ხია რთული სუფიქსით ნაწარმოები გვარის სახელი გოგოხია თავისი ლაბიალური გარემოცვით (გოგო...) უნდა დასდებოდა საფუძვლად „ბობოხია“-ს, რომელიც მეგრული სახეობაა გვარის სახელის ბობოხიძისა.

¹ ვუკ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, პეტერბურგი, 1912; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, I, თბ., 1955.

² ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1928.

³ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი დავთარი, თბ., 1914, გვ. 19.

უბილავა

გვარი უ გ უ ლ ა ვ ა ჩვეულებრივ მწიგნობრულად და ოფიციალურადაც ამ სახით იყო წარმოდგენილი. ამავე დროს იგივე გვარი მეგრული გამოთქმით არის უბილა¹ვა¹ || უბულა¹ვა¹ (ქალი – უბილახე || უბულახე). მისი უ ბ ი ლ ა ვ ა სახეობა დადასტურებული აქვს ი. ყიფშიძეს¹. ერთი და იგივე პირი გამოთქმისას ამბობს როგორც უბილა¹ვა¹-ს, ისე უგულავას, მაგრამ ჩვეულებრივ წერს უ გ უ ლ ა ვ ა ს (უ ბ ი ლ ა ვ ა ს თ ვ ი ს ამოსავალი *უ გ ვ ი ლ ა ვ ა სახეობის საფუძველზე).

უ ბ ი ლ ა ვ ა ვარიანტი დღეს ისე გავრცელდა ამ გვარისთვის (უ გ უ ლ ა ვ ა ს თ ვ ი ს), რომ იგი უკვე პარალელური, სხვა გვარის სახით გვევლინება.

მის შედარებით იშვიათ ვარიანტში უ ბ უ ლ ა ვ ა-შიც **ბ** მომდინარეობს **გვ** კომპლექსისგან, ოღონდ მომდევნო ხმოვანი წარმოდგენილია უ-ს სახით (< უგულავა < *უგულავა, შდრ. გ ვ ი ლ ა ვ ა). ლა-გვილავა-ს მსგავსად უგულავა (> უბილავა)-ში უნდა გამოიყოს **ლ**-პრეფიქსისგან ასიმილაციით მომდინარე უ-. სავარაუდოა ამ გვარის ქართ. სა-პრეფიქსიანი ვარიანტიც.)

ბეგავს

„ლეკებმა მ ბ ე გ ვ ე ს, ჯერ იმათ ვერ დ ა მ ბ ე გ ვ ე ს... დათვმა როგორ უნდა დ ა მ ბ ე გ ვ ო ს?“ (ვაჟა-ფშაველა).

ბეგავს ზმნა უნდა მომდინარეობდეს „**გვეგავს**“ – სახეობიდან. ამას ადასტურებს მისი მეგრული შესატყვისი „**გვაგუნს**“ < *გვაგვ-უნ-ს (შდრ. დო-**გვაგვი!** „დაბეგვე“!). ი. ყიფშიძეს მოჰყავს გ ვ ა გ ვ ა ფ ი „ბეგვა“ და გ ვ ა გ ვ ი ლ ი² „ნაბეგვი“, „დაბეგვილი“.

ამ ფუძესთან დაკავშირებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თვით მოქმედების სიძლიერ-განმეორებული ხასიათის გამო აქ ჩვენ იგი გაორკეცებული სახით წარმოგვიდგა, რომელშიაც დისიმილაციით პირველი ***გვ-ბ**-დ შეიცვალა.

ამ თვალსაზრისით გაჩნდება შესაძლებლობაც ამ ძირეული **გვ** მონაკვეთის ძველი ქართულის გუჟმა ფუძის პირველ ნაწილთან იგივეობისაც.

¹ იხ. მისი დასახელებული ნაშრომი, გვ. 423.

² იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 215.

ბელტი

ბ ე ლ ტ ს ასე განმარტავს საბა: „კორდის მონაკუეთი“.

ბელტის ამოსავალი სახეობის ძიებისას საყურადღებოა მეგრულის მონაცემები. მეგრულში ამავე მნიშვნელობით გვხვდება **ბერტი** და **ბერთი**¹. სავარაუდებელია თავიანთი **ე** გახმოვანებით ეს სიტყვები შესული იყოს მეგრულში ქართულიდან, რამდენადაც იმავე მეგრულში გვხვდება ამ ფუძის ზანური სახეობაც ხმოვნის მიხედვით და, საფიქრებელია, **ბ**-ს ამოსავალი **გგ**- სახეობის შემცველიც – გვართა, რაც მიწის მსხვილ ნაჭერს, მონახეთქს ნიშნავს (შდრ. გამოთქმა „...**გუართა-გუართა** მუკმობს ორცქუ...“ – ბ ე ლ ტ-ბ ე ლ ტ ა დ მოეხეთქება”, „მოსკდება“).

მეგრულ **გუართა**-სა და მეგრულშივე დადასტურებულ, ოღონდ ქართულიდან შესულ, **ბერთ**- სახეობაში **რ** მომდინარე ჩანს **ლ**-საგან **გუართა** < *გუალთა (შდრ. ქართ. ჩელტი – მეგრ. ჩერთი², ქართ. ხალთა – მეგრ. ხართა...).

ამრიგად, მეგრულში ქართ. **ბელტ**-ის ამოსავალი ჩანს ***გუართ**-ი.

მეგრულში ბოლოკიდური თანხმოვანი გაფშვინვიერებულა **ტ** > **თ**.

აქ განხილული სიტყვა შესულა აფხაზურში³. იქ გვაქვს **ანგშ-გალ** – „მიწის-ბელტი“. **ლ** თანხმოვნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ აფხაზურში იგი ქართულის ამოსავალი სახეობიდან არის შესული (ქართ. **ე** – აფხ. **ა**), ოღონდ აფხაზურისთვის დამახასიათებელი ფუძის გაცვეთის გამო მას ჩამოშორებული აქვს **-ტ** ბოლოკიდური თანხმოვანი: ***გუელტ**- > ***გუალ**[ტ] > **გუალ**.

ზუბდიდი

ზ უ გ დ ი დ ი ს, როგორც მნიშვნელოვანი ისტორიული პუნქტის, სახელწოდების წარმომავლობა დიდი ხანია იქცევა ისტორიკოსთა ყურადღებას. მრავალი მოსაზრებაა გაკვრით გამოთქმული ამ სახელწოდების ასახსნელად სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა მიერ, ხოლო ბოლო ხანებში მის გენეზის ისტორიკოსთა საგანგებო ნარკვევებიც მიეძღვნა.

განხილვის საგანი თავიდანვე ყოფილა ისტორიულ წყაროებში დაცული მისი **ზუბდიდ** სახეობა.

ჯერ კიდევ დ ი უ ბ უ ა დ ე მ ო ნ პ ე რ ე ს მოცემული აქვს ამ სახელის ახსნის ცდა თავის „მოგზაურობა“-ში. იგი მის პირველ ნაწილს უკავშირებს **ლიხნისთვის** სამეგრელოში გავრცელებულ „ზუფუ“-ს

¹ იბ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-П. 1914, с. 203.

² არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 137.

³ აბაზურში იგი თითქოს არა ჩანს.

და „ზუბდიდი“ (ანუ ზუგდიდი) განმარტებული აქვს როგორც „**დიდი ზუბუ (ზუფ-ი)**“¹.

მას ეხება მ. ბროსე და მიუხედავად იმისა, რომ იგი იცნობს დიუბუა დე მონპერეს მიერ მოყვანილ ზუბდიდ სახეობასაც, განსხვავებულ ეტიმოლოგიას გვაწვდის. მისი აზრით, ეს სახელწოდება მომდინარეობს ქართ. ზურგ სიტყვიდან და მაღალი, დიდი ბორცვის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ასეთ ამაღლებულ ადგილად ივარაუდება სამეგრელოს მთავრის რეზიდენცია².

მ. ბროსეს მოსაზრებას აღნიშნული სახელის ახსნის თაობაზე გარკვეული ტრადიცია უნდა ჰქონოდა სწორედ ქართველ ინტელიგენციაში, რაც თვით მ. ბროსეს მიერ ამ შემთხვევაში გრიგოლ და კონსტანტინე დიანების დამოწმებებიდან ჩანს.

პლ. იოსელიანის აზრითაც: „სახელწოდება ზუგდიდი წმინდა ქართულია. ის შედგება სიტყვებისაგან „ზურგი“ და „დიდი“, რაც ნიშნავს დიდ მაღლობს, ანდა აბსოლუტურად მაღალ ზურგს. ასეთივეა ფაქტიურად ადგილმდებარეობა „ზუგდიდი“. ზუგდიდის ადგილმდებარეობა არის ყველაზე მაღალი და აღმოსავლეთით მისი ერთი უძველესი კვარტალი ეკვრის მაცხოვრის კარს... როგორც კედელს, რომელიც სწრაფად მაღდება ქალაქის ერთი ნაწილიდან“³.

რ. ერისთავის აზრითაც, ზუგდიდის ნაწილი, რომელზედაც ძველი ქვის ეკლესიაა, მართლაც მდებარეობს გორაკზე, მაგრამ მისი ეტიმოლოგია „ზურგ“ და „დიდ“ სიტყვებთან დაკავშირებით ნაძალადევად მიაჩნია⁴.

¹ „Les Mingréliens lui donnent (იგულისხმება ლიხნის). ავტორის გადმოცემით აფხაზურად Louk'hin, რუსულად Lekhné – ქ. ლ.) le nom particulier de Zouphou (I) qui est sans dout en relation avec celui de Zoubdidi et Zougdid (le grand Zoubouzou), residence des Dadians de Mingrelie“.

Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Georgie, en Aamenie et en Crimée.

Par Frédéric Dubois de Montpéroux. T. I, Paris, 1937. p. 248.

უნდა შევნიშნოთ, რომ დღეს სამეგრელოში „ზუფუ“-ს, უკეთ „ზიფუ“-ს, ეძახიან არა საკუთრივ ლიხნის, არამედ შორეულ მხარეს აფხაზეთისაკენ, მდინარე ბზიფის გაღმა (და იგი ბზფის ერთ-ერთი მეგრული გამოთქმის ანარეკლი უნდა იყოს).

ამავე მდინარის სახელთან ჩანს დაკავშირებული ზემოთ მოყვანილი გეოგრაფიული პუნქტის (ლიხნის) სახელი და მას არავითარი საერთო არ უნდა ჰქონდეს ზუბდიდი || ზუგდიდი წარმომავლობასთან.

² M. Brosset. Rapport sur un Voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Armenie. St.-P. 1849. I. Septième Rapport, p. 20.

³ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, პლ. იოსელიანის ფ. №11.

⁴ „Некоторые этимологисты объясняют название Зугдиди, производят его от грузинских слов «Зург», «дида» (Большая или великая спина, великий хребет), но мне кажется, что эта этимология слишком натянута, хотя действительно часть селения и расположена господствующей над остальной частью горке, на которой находится древняя сельская церковь». Р. Эрстави, Путевые записи по Мингрелии, «Кавказская старина». 1873, № 3-6.

დ. ბ ა ქ რ ა ძ ე იზიარებს უკვე გამოთქმულ მოსაზრებას ზუგდიდის სახელწოდების **ზურგ-დიდი**-საგან წარმომავლობის შესახებ და თავის მხრივაც ცდილობს დაასაბუთოს ასეთი გაგების შესაძლებლობა ზუგდიდის გეოგრაფიული მდებარეობით¹.

ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი არ ეხება საგანგებოდ ზუგდიდის ეტიმოლოგიას, მაგრამ ძველად ზუგდიდის მომადლო ადგილზე, გორაკზე არსებობას ისიც მხარს უჭერს².

„დიხა-გუმუბას“ გათხრა-შესწავლასთან დაკავშირებით არქეოლოგი ნინო ხოშტარია შემდეგს აღნიშნავს: „კოლხეთის დაბლობის თანამედროვე მოსახლეობა „დიხა გუმუბას“ ან „დიხა გუმუბას“ („ამობურცულ მიწას“) უწოდებს ბ ო რ ც ვ ი ს ნ ა ი რ ა დ ა მ ა ლ ე ბ უ ლ ა დ გ ი ლ ე ბ ს... და მის სახელწოდებად ხშირად ხმარობს დ ი ხ ა ზ უ რ გ ა ს, ზ უ რ გ ა ნ ს, დ ი დ დ ი ხ ა ს ო და დასკვნის „სავსებით შესაძლებელია აგრეთვე, რომ თვით ზ უ გ დ ი დ ი ს სახელიც დაკავშირებული იყოს მსგავსი არქეოლოგიური ძეგლის არსებობასთან იქ, სადაც ძველ ზუგდიდს ვარაუდობენ, მანცხვარკარში: „**ზურგ დიდი**“ – „**ზუგდიდი**“³.

ამრიგად ისიც, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ცნობილ გაგებას უჭერს მხარს.

ლ. ც ხ ა კ ა ი ა ეხება რა საგანგებო სტატიაში ზუგდიდის სახელწოდების წარმოშობის საკითხს, წარმოგვიდგენს რამდენსამე თვალსაზრისს; იგი ზუგდიდის სახელს უკავშირებს:

¹ Зугдиди местечко в Мингрелии, с древних времен служившее резиденцией мингрельских владетелей. Оно расположено на обширной плоскости, которая в отличие от горного округа Мингрелии изстари носит вообще в устах грузин название Одиши. Зугдиди образовался от грузинского ზუგ-დიდი «Большой скат» или иначе – большой холм. И действительно, по близости нового Зугдиди, среди равнины возвышается большая гора, где был раскинут старый Зугдиди и вот причина образования слова Зург-диди или Зугдиди... В Зугдиди имеются две церкви: старая и новая. Первая стоит в старом Зугдиди, в укрепленной когда-то ограде, которой следы заметны здесь и там среди густой растительности. Дм. Бакрадзе «Кавказ в древних памятниках христианства». Записки Общества любителей Кавказской археологии, кн. 1, Тифлис, 1875, с. 72.

² „ძველი ზუგდიდი მომადლო ადგილზე, გორაკზედ იყო გაშენებული, ახლა კი დაბლობზეა. ძველ ნაწილში ვერს ნახევარზე ახალი ზუგდიდიდან ეხლა დარჩენილი მარტო ლამაზი ძველი პატარა მაცხოვრის ეკლესია... ჩვენის აზრით, ეკლესიის სტილი, ჩუქურთმები, მომრგვალებული საკურთხეველი უფრო XIII-XIV საუკუნეებს მოგვაგონებს...“

ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წიგნი მეორე, ტფილისი, 1914, გვ. 193-194.

³ ნინო ხოშტარია, დიხა გუმუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, №2, 1944, გვ. 207-208.

ერთი მხრივ, „ზუგია“-ს, რაც საბას განმარტებით „საკუმეველს“ ნიშნავს¹;

მეორე მხრივ, უკავშირებს მეგრ. „სუკს“, რაც „ზეგანს“ აღნიშნავს².

მესამე მხრივ, იგივე ავტორი ამ სახელწოდებას უკავშირებს მეგრ. „ზუგ“ სიტყვას, რაც ს ი მ ა გ რ ე ს ნიშნავდა³.

მეოთხე მხრივ, იგი უყურადღებოდ არ ტოვებს მის კავშირს არც სოფ. „ზუბ“-ის სახელწოდებასთან⁴.

¹ იგი წერს: „სახელწოდება „ზუგდიდის“ წარმოშობის ძიებისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ქართულ სიტყვას „ზუგია“, რაც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „საკუმეველს“ ნიშნავს და შეიძლება სახელწოდება „ზუგდიდის“ ძირსაც იგი წარმოადგენდეს. მით უფრო, ვიდრე ზუგდიდის ხსენება დაიწყებოდა, მანამდე დიდი ხნით ადრე [? – ქ. ლ.] (ე. თაყაიშვილის აზრით, მე-13-14 საუკუნეში) აუშენებიათ მაცხოვრის კარის ეკლესია, რომელიც დიდ სამლოცველო და „საკუმეველ“ წმინდა ადგილად იყო აღიარებული: გამორიცხული არ არის, რომ მისთვის ეწოდებინათ „დიდი ზუგია“, დიდი „სასაკუმეველო“ ადგილი. რადგანაც მაცხოვრის კარის ეკლესია იმ დროს ერთადერთი ეკლესია არ უნდა ყოფილიყო და შესაძლებელია სხვა პატარა ეკლესიებისაგან (სადაც პატარა „სასაკუმეველო“ იქნებოდა) განსხვავებულად დიდი ზუგია, ზუგია დიდი შეერქვათ მაცხოვრის ეკლესიისათვის მეტსახელად და აქედან მის გარშემო მდებარე ტერიტორიას დროთა ვითარებაში მიეღოს სახელწოდება „ზუგდიდი“ და „ზუგდიდი“ ისე დამკვიდრებულ იყოს, როგორც მაგალითად „ჭყონდიდი“-ო.

იხ. მისი, ზუგდიდის ისტორიული წარსულიდან. გაზ. „მებრძოლი“, საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომისა და ზუგდიდის შრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო, 1958 წ. 3 ოქტ., №117 (5153), გვ. 4.

² „არ არის საფუძველს მოკლებული ვიფიქროთ, რომ, რაკი მაცხოვრის კარის ეკლესია მისი დამხმარე ნაგებობებით ზეგანზე ან მეგრულად „სუკზე“ გაუშენებიათ და ასეთი „სუკები“ სამეგრელოში ბევრია, სხვებისაგან განსხვავებულად ამ წმინდა ადგილისათვის ეწოდებინათ „დიდი სუკი“, „სუკი დიდი“ და აქედან კი დროთა ვითარებაში „ს“ ბგერის „ზ“-თი შეცვლით მიგვეღო „ზუგდიდი“, „ზუგდიდი“. მით უფრო ს უ კ - დ ი დ ი ეტიმოლოგიურად დიდად არ განსხვავდება ზ უ გ დ ი დ ი ს ა გ ა ნ ო“, იქვე.

³ ავტორი წერს: „ამასთან არ უნდა დავივიწყოთ მეგრულში შემონახული სიტყვა „ზუგი“, რაც ნიჭიერი გლეხი ფოლკლორისტის ბეგი გამსახურდიას გადმოცემით ს ი მ ა გ რ ე ს ნიშნავდა, ხოლო რადგანაც ძველი ქალაქების არსებობა უშუალოდ ციხესიმაგრეებთან იყო დაკავშირებული, შესაძლებელია თავდასაცავად აშენებული სიმაგრე „ზუგიდან“ მომდინარეობდეს სახელწოდება „ზუგდიდის“, „ზუგდიდის“ წარმოშობა (ზუგია – დიდი ზუგია – ზუგია დიდი, ზუგდიდი – ზუგდიდი)“-ო. იქვე.

⁴ იგი წერს: „ცნობილია, რომ სამეგრელოს უკანასკნელმა მთავარმა დავით დადიანმა მისი მმართველობის დროს ოდიშ-ლეჩხუმში დაჰყო ზუგდიდის, ჯვრის, ზ უ ბ ი ს, სუჯუნის, საჭილაოს, მარტვილის, ლაილაშის და მურის (სულ 8) მაზრად.

ზუბი სამთავროს ერთ-ერთ მაზრასთან ერთად მრავალ სოფელს ერქვა სამეგრელოში. ხოლო მე-17 საუკუნიდან ისტორიულ წყაროებში ზუგდიდი იხსენიებოდა „ზუბდიდად“...

არ არის გამორიცხული, რომ „ზუბის“ სახელწოდება, რომელიც მაშინ საკმაოდ იყო გავრცელებული სამეგრელოში და დღესაც გვხვდება, თვით ზ უ გ დ ი დ ს ა ც ჰქონოდა და თანდათანობით ტერიტორიული გაფართოების შედეგად მისთვის ეწოდებოდა „დიდი ზუბი“, ან „ზუბდიდი“, ხოლო დროთა ვითარებაში „ზუგდიდი“-ო. იქვე.

საბოლოოდ ავტორი იხრება უფრო ამ უკანასკნელი ახსნისაკენ. იგი დაასკვნის: „ამგვარად, ვინემ სხვა უფრო სარწმუნო წყარო მოინახებოდეს, სიტყვა ზუგდიდის წარმოშობა **ზ უ ბ ი დ ა ნ** უნდა ვივარაუდოთ“-ო.

ზემოთ წარმოდგენილი სხვადასხვა ავტორის მოსაზრებათაგან ზოგი შესაძლოა გარკვეული თვალსაზრისით ჭეშმარიტებასაც შეიცავდეს, მაგრამ დასკვნები უფრო სიტყვათა გარეგნული მსგავსების მიხედვით გამოყვანილი ჩანს და ხალხური ეტიმოლოგიის იერს ატარებს. ამ სახელწოდების ფონეტიკურ ვარიანტთა მეცნიერული ახსნის საკითხი არც დგას ავტორთა წინაშე.

პირველი გამოკვლევა, რომელშიაც მეცნიერული ეტიმოლოგიზაციის ეს აუცილებელი პირობა არის წინ წამოწეული, არის შ. მესხიას გამოკვლევა „ზუგდიდის“ ეტიმოლოგიისათვის¹.

იგი ავტორთა უმეტესობის მოსაზრებას „ზუგდიდის“, „ზურგ-დიდი“-საგან წარმომავლობის შესახებ² არ მიიჩნევს დამაჯერებლად. ამაში მას აეჭვებს XVII საუკუნის საისტორიო წყაროებში დადასტურებული მისი „**ზუბ-დიდი**“ სახეობა, რომელიც ავტორის აზრით, „ზუგდიდის“ ადრინდელი ვარიანტია. **ზ უ გ დ ი დ** სახეობის მეორეულობას „ზუბდიდთან“ შედარებით ავტორი, ერთი მხრივ, ასაბუთებს ისტორიულ წყაროთა ქრონოლოგიით – „XVII ს. და მით უფრო XVIII საუკუნის წყაროებში „ზუბ-დიდის“ პარალელურად გვხვდება „ზუგდიდიც“ (ლამბერტი, კასტელის ალბომი³, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვ.). ეს უკანასკნელი სახელწოდ-

¹ იხ. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეორე სამეცნიერო სესია 1958 წლის 27, 28 და 29 ნოემბერს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. ზუგდიდი, 1968, გვ. 9-10. შემდგომში იგი ცალკე სტატიად გამოქვეყნდა აკაკი შ ა ნ ი ძ ი ს დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში „ორიონში“, 1967 წ. გვ. 244-250.

² მკვლევრებს მხედველობიდან გამორჩათ ვარლამ თოფურიას მოსაზრება, რომ **ზ უ გ ი დ ი** (< ზუგ-დიდი) არის ბ ო რ ც ვ ი დ ი დ ი. იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, VI, კომპოზიტი. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბილისი, 1959, გვ. 299. გადაბეჭდილია ავტორის შრომათა III ტომში, თბილისი, 1979, გვ. 121.

³ რაც შეეხება კასტელის ალბომს, მართლაც მიუთითებენ დადიანის სასახლის ჩანახატის მიხედვით „მთავრის სასახლე სოფელ ზუგდიდში“-ო (იხ. დონ კრისტოფორო დე კასტელი. „ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 172), მაგრამ ჩანახატის წარწერებში ასეთი რამ არ უნდა იკითხებოდეს. სამაგიეროდ, გარკვევით ვკითხულობთ: „ეს ნაგებობა ანუ სახლი სამეგრელოს მეფის სოფელშია, რომელსაც აგერ ლუდიტ ეწოდება“ (იხ. იქვე, შდრ. იტალიურად: „Hoc profens edificium, feu domus est situm in uilla mengrelli Regis que dicitur Ager Ludit...“ (იქვე, №445). ძნელია იმის თქმა, რა მნიშვნელობისაა ამ რთულ სახელწოდებაში პირველი სიტყვა Ager („ეგრი[სი]“, თუ სხვა რამ), მაგრამ ცხადია, მეორე სიტყვა საკმაოდ დამახინჯებულად გადმოგვეცემს ზუგდიდის (თუ: ზუბდიდის) სახელწოდებას.

დება (ზუგდიდი) XIX საუკუნეში უკვე საბოლოოდ ძლევს პირველს (ზუბ-დიდს)“-ო – და, მეორე მხრივ, კომპლექსთა თავისებურებით. ავტორის აზრით, ქართულ ენაში **გდ** კომპლექსი უფრო ასატანი, შესაწყნარებელი იყო, ვიდრე **ზდ** კომპლექსი.

ამდენადვე, მას **ზუგდიდი** მიაჩნია „ზუბ“ გეოგრაფიული სახელისა და ზედსართავ „დიდი“-საგან ნაწარმოებად ჭალა-დიდ, ჭყონ-დიდ და მსგავს გეოგრაფიულ სახელთა ანალოგიურად და ბუნებრივად მიიჩნევს დასავლეთ საქართველოში არსებულ სხვა „ზუბებთან“ შედარებით მთავრის რეზიდენციისათვის „დიდი ზუბი“ (ზუბ-დიდი) ეწოდებინათ.

მოყვანილს მტკიცებაში უდავოა, რომ:

ა. **ზუგდიდი** და **ზუბდიდი** ერთი და იგივეა;

ბ. რომ **ზუგდიდ** || **ზუბდიდი** გეოგრაფიულ სახელში მეორე კომპონენტი მსაზღვრელია და ერთვის პირველს, რომელიც ცალკეც იყო და არის გამოყენებული გეოგრაფიულ სახელად.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ რთულ სახელწოდებაში ატრიბუტიული მსაზღვრელის პოსტპოზიციურად დასმა მის ერთგვარ სიძველესაც მიუთითებს.

გარკვევასა და ახსნას მოითხოვს აღნიშნულ სახეობათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის საკითხი, ფონეტიკური ცვლილების საფუძველი და ამასთან დაკავშირებული ეტიმოლოგია პირველი ნაწილისა.

რაც შეეხება აღნიშნულ სახეობათა ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას:

ისტორიულად მოყვანილ სახეობათაგან რომელიმე მათგანის უფრო ადრე დადასტურება უთუოდ მის სიძველეს არ მოასწავებს. უძველესი წყაროები მათი ხმარებისა ჩვენ ჯერ ალბათ მიგნებული არა გვაქვს, მაგრამ იმ პერიოდიდან, რომელზედაც ხელი მიგვიწვდება, **ზუგდიდიცა** და **ზუბდიდიც** თითქოს პარალელურად გვხვდება. ამავე დროს შეინიშნება გარკვეულ ეპოქაში ამა თუ იმ სახეობისათვის შეგნებულად უპირატესობის მინიჭება. კერძოდ, XVII და XVIII სს. წყაროებში უფრო გავრცელებულია **ზუბდიდი**, ხოლო შემდგომ – **ზუგდიდი**.

მეტად საყურადღებოა ამ მხრივ ი. გიულდენშტედტის „მოგზაურობაში“ მითითება ამ სახეობათა არჩევანთან დაკავშირებით. ოდიშის დასახლებული პუნქტების ჩამოთვლისას იგი აღნიშნავს: „...Subdidi, nicht Zugdydi“-ო¹.

¹ იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 325.

მთარგმნელს ეს ქართულად გადმოცემული აქვს ასეთი ტრანსლიტერაციით: „ზუბდიდი, არა ცუგდიდი“. ჩვენთვის ამ შემთხვევაში არსებითია არა თავკიდური თანხმობის სახეობები, არამედ მომდევნო მარცვალში შემავალი **ზდ** || **გდ** კომპლექსებიანი ვარიანტების თანარსებობა და **ზდ** კომპლექსიანი სახეობის უპირატესად მიჩნევა გიულდენშტედტისა თუ მის მრჩეველთა მიერ.

ზუბდიდად ზემოთ განხილული პუნქტი მოიხსენება ასევე ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებში:

XVII საუკუნის პირველი ნახევრის ცნობაში, რაც სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის ელჩმა გაბრიელმა (1636-1639 წწ. მოსკოვს გაგზავნილმა) წარუდგინა რუსეთის ხელმწიფეს, ვკითხულობთ:

«И посол Гаврило говорил: ...А городов-де у государя ево серед земли пят городов каменных, а по украинам и многое города поставлены; а начальной-де у них город, где царь Леон живет, словет Зубдиди»¹.

«И поп Гаврило сказал: ... А государь-де наш где живет, то место словет Зубдиди, а до моря день ходу отстоит...»².

ასევე სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის ელჩის გაბრიელის საპასუხოდ გამოგზავნილი (1639 წ.) მოსკოვის ელჩის ფედოტ ელჩინის (და პავლე ზახარიევის) მიერ დასახელებულსა და აღწერილ პუნქტებს შორის გვხვდება „Зубдиди“ ან „Звукдит“³.

ზუბ დიდი გვხვდება იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის მიერ იმპერატორ ანა იოანეს ასულისათვის გაგზავნილ 1737 წლის იმერეთის რუკაზე⁴, რომლის შემდგენლადაც ვარაუდობენ ტიმოთე გაბაშვილს⁵.

¹ იხ. Материалы по истории грузинско-русских взаимоотношений 1615-1640 гг. Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов, Тбилиси, 1937, с. 148-149.

² იქვე, გვ. 156-157.

³ იხ. М. А. Полиевктов, Европейские путешественники XVII-XVIII вв. по Кавказу. тб., 1935, გვ. 37. ამ ცნობის მიხედვით ორივე სახეობა ერთდროულად უკვე ამ დროს არის დადასტურებული.

ამ „მიმოწერაში“ აღნიშნული გეოგრაფიული სახელის ზემოთ დასახელებულ ვარიანტთა გარდა, მის აშკარად დამახინჯებულ გადმოცემასაც წავაწყდებით. აქ, მაგალითად, ვკითხულობთ: „Майя в 16 де пошли ис Цынажицкого монастыря от Андрея епископа. Того же числа пришли в Зубдиди, где живет царь Леонтей... Майя в 18 де царь Леонтей отпустил нас из Вукди (ხაზგასმა ჩვენია – ქ. ლ.) Майя в 22 пришли в Худони“ (С. Белокуров. Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Дадианскую землю (1639-1640). – Чтения в Общ. Ист.-и. Древн. Росс. 1887, кн. II, გვ. 374). აქ დამახინჯებულად ჩანს იგივე სახელწოდება. „Вукди“ უნდა იყოს ცოტა ზემოთ დასახელებული „Звукдит“, ოღონდ 3 მიუკეძღვლიათ წინდებულისათვის (ივ) და მისგან გამოყოფილად დაუწერიათ „Вукди“. ბოლოკიდური т (д), როგორც ჩანს, ყოველთვის მკაფიოდ არ ესმოდათ უცხო ენის წარმომადგენლებს.

⁴ იხ. შ. ზურჯანაძე, ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა, როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველი წყარო. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959, გვ. 193.

რუკა დაეკლავა მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო საისტორიო არქივში (ფ. ВУА). მისი ფოტოპირი არის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში და აგრეთვე თსუ-ის საქართველოს ისტორიის კაბინეტში.

⁵ ელ. მეტრეველი, ტიმოთე გაბაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. წიგნში: ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სოლომონ I-ის მიერ XVIII ს-ის ოთხმოციან წლებში გაცემულ საბუთებში ასევე ზ უ ბ - დ ი დ ი სახეობაა გამოყენებული განხილული პუნქტისათვის¹.

ზ უ ბ დ ი დ ი (მიცემითის ფორმით: ზ უ ბ დ ი თ ს) მოხსენებული აქვს თავის „რუხის ბრძოლა“-ში ბესიკს:

ჯილაგ-დამართვით მიმართეს, ცხენი არვისი ბმუროდა და **ზუბ-დიოს** გამოსცდის საქმენი, ვინ ცუდად შეიჭუროდა².

მაგრამ იმავე პერიოდის, და რამდენადმე უფრო ადრინდელ წყაროშიც, ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში „ზუგ-დიდი“ სახეობა არის მისი მოცემული:

„...ამავ მდინარის ჩრდილოეთ კერძოდ [იგულისხმება „ჭანის წყალი“ – ქ. ლ.] დიდ ველსა ზედა არს ზ უ გ დ ი დ ი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი“³.

კიდევ უფრო ძველ წყაროში, არ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი ს აღწერილობაში, ასევე ზ უ გ დ ი დ ი ა: „მთავარს ორმოცდაათზე მეტი სასახლე აქვს, რომელთა შორის უმშვენიერესია ზ უ გ დ ი დ ი ს (ხაზი ჩვენია – ქ. ლ.) სასახლე“⁴.

ზ უ გ დ ი დ ი ს სახით არის მოხსენებული იგი არქ. ლამბერტის რუკაზეც.

და ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს ისტორიულ წყაროში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში კი ისევ „ზუბდიდი“ [„ზუბდიითი“] იჩენს თავს: „Угрос, дабы положить твердые начала своего владения, подражал своим братьям, и построил город Егрис, называемый ныне Зубдит“⁵.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის „შემოქმედის ქრონიკაში“-აც (რომელიც გაბრიელ მახარაძეს მიეწერება) ვკითხულობთ: „**ჩელზ** მობრძანდა ზღვით ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოს ყულებას ზ უ ბ - დ ი დ ს – დადიანთან გაიარა და ქუთა[ის]ს წაბძანდა“⁶.

¹ შ ო თ ა მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 248.

² იხ. ბესარიონ გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, შენიშვნები, ლექსიკონი. აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურის რედაქციით, მესამე გამოცემა, თბ., 1932, გვ. 31.

³ ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 778, 15-17 და სხვ.

⁴ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი. მეორე გამოცემა, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი, 1938, გვ. 32.

⁵ Д а в и д Б а г р а т и о н и, История Грузии. Текст издал и снабдил вступительной статьей и указателями А. А. Погава. Тб., 1971, с. 31, 9. ტექსტში გამომცემელს აღუდგენია ზუგდიდი-ი ავტორისეული ზუბდით-ის ნაცვლად.

⁶ თ ე დ ო ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, III, გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანია და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 645. დათარიღებისათვის იხ. აგრეთვე, იქვე, გვ. 075-076 (ხაზგასმა ჩვენია – ქ. ლ.)

კიდევ უფრო გვიანდელი (უკვე ჩვენი დროისა) საყურადღებო ცნობა მოგვაწოდა ამ გეოგრაფიულ სახელთან დაკავშირებით ცნობილმა ისტორიკოსმა იასე ცინცაძემ. მისი თქმით: გურიაში (ბუკისციხე – იანეული) მოხუცებმა (ფრიდონ და რაფიელ შარაშიძეებმა) ზუგდიდი ზუბდი და დად მოიხსენიეს. ჩემს ცდაზე შემესწორებინა, მითხრეს: „მას ყოველთვის ზუბდი დი ერქვა, ჩვენი წინაპრები ასე ეძახდნენო“. ეს ცნობა შემდეგ მღვდელ სოფრომ კეკელიძესთან შევამოწმე და იმანაც იგივე დამიდასტურა „სამეგრელოს მთავარ ქალაქს ზუბდი დი ერქვაო“.

ამრიგად, უეჭველია, რომ ორივე აქ განხილული ვარიანტი აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტისა ჩვენთვის ხელმისაწვდომი ისტორიული წყაროების მიხედვით თანაარსებობენ და ქრონოლოგიურად „ზუგდიდს“ „ზუბდიდიდან“ მომდინარე გვიანდელ სახეობად ვერ ჩავთვლით. ისინი ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტებს წარმოადგენენ.

არსებობს მისივე მესამე ვარიანტიც **რ** თანხმოვნიათი, რომელიც დაუცავს აფხაზურს – ჟ^რგ^რგ^რგ^რ – და აფხაზური ფონეტიკური სისტემის ნიადაგზე გაუმართავს¹. ამ აფხაზური სახეობის **ამოსავალია** მეგრულში უთუოდ გარკვეულ ვარიანტად არსებული *ზურგითი („ზურგ-დი დ“-საგან მომდინარე)².

რაც შეეხება ფონეტიკურ მხარეს, რომლის მიხედვითაც ზუბდი დი დმა მოგვცა ზუგდიდი იმის გამო, რომ **გდ** კომპლექსი უფრო ასატანი და შესაწყნარებელი იყო ვიდრე **ხდ** კომპლექსიო, არ მართლდება ქართველურ ენათა კომპლექსების ბუნებას თუ გავითვალისწინებთ. პირიქით, როგორც ეს გ. ახვლედიანმა გაარკვია, ქართველურ ენებში (და საერთოდაც) ე. წ. დეცესიური კომპლექსები (რომელთა ჯგუფშიც შედის სწორედ **ხდ**) ბუნებრივია, მაშინ როცა არაბუნებრივი და ძნელად ასატანია ე. წ. აქცესიური კომპლექსები (რომელთა ჯგუფში ექცევა **გდ**). გ. ახვლედიანმავე დაადგინა ამ ძნელად ასატანი აქცესიური კომპლექსების სუპერაციის მთელი რიგი გზები. ერთ-ერთი საშუალება ხსენებულ კომპლექსთა „დაძლევისა“ არის მისი გამარტივება: ერთ-ერთი კომპონენტის დაკარგვა. სწორედ **გდ** კომპლექსის ძნელად ასატანობა უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ „ზუგდიდი“ სახეობიდან მეგრულ მეტყველებაში წარმოიქმნა „ზუ -

¹ ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბ., 1976, გვ. 224.

² მის სხვაგვარ წარმომავლობას ვარაუდობს ნ. მარი. მეგრულში დღეს გავრცელებული ფორმა ამ სახელისა „ზუგდი“ მას გამოჰყავს *ზუგუ-დ^ა¹-ი-დან და განაგრძობს: „...какое название у абхазов сохранилось в виде jʰərgid (jugid), с мегрельским же фонетическим наростом г перед заднеязычным г, а грузины полуосмыслили в Zug-did-i «Зугдиди», точно «Великий Зуг», восприняв суффиксы d-i на часть (грузинского) слова did-i «большой». Н. Марр. Термин «скиф». сб. Яфетический сборник. I, II.-6., 1922, гв. 115, შენ. 2 (იგივე, მის რჩეულ შრომებში, ტ. II, 1935, გვ. 31, შენ. 2).

გ ი დ ი“ სახეობა და პარალელურად *ზურგდიდიდან *„ზურგიდი“-ც, რაც დაედო საფუძვლად აფხაზურში გავრცელებულ **ჭგრგვტ**“-ს.

რომ **გდ** „ზუგდიდში“ „ზუბდიდის“ **ბდ**-დან არ მოდის, ე. ი. **გ**-ს წყარო ხსენებული ფონეტიკური პროცესი არაა და ამდენად **ბ**-სთან შედარებით იგი მეორეული არაა, იმითაც მტკიცდება, რომ ამ სახელის პირველი, **გ**-თანხმოვნია, კომპონენტი მაშინაც გვაქვს, როცა **დ**-თი დაწყებული მსაზღვრელი არ მოსდევს მას.

აქ თავი რომ დავანებოთ „დიხა **ზურგა**“-სა, „ზურგან“-სა და მსგავს ფუძეებთან მის კავშირს, ცალკეც გვხვდება მაგალითად **ჭგრგვტ** გეოგრაფიულ სახელად (კერძოდ, მთის სახელად) მოსაზღვრე აფხაზეთის ტერიტორიაზე – გულრიფშის რაიონში¹. **ჭგრგვტ** – აფხაზური გამოთქმაა ქართული (მეგრული) **ზურგ**-ისა.

განხილული მასალის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტის რთული სახელწოდების პირველი კომპონენტი სამი ფონეტიკური ვარიანტით დასტურდება. ესენია: **ზურგ**-, **ზუგ**-, **ზუბ**-. უდავოა აქ ერთი და იგივე ლექსიკური მონაცემი გვაქვს და ეს არის, როგორც მთელ რიგ ავტორებს უკვე ჰქონდათ მითითებული, „ზურგ“ სიტყვა, რომელიც ფართოდ გამოიყენება ბორცვის, ამალღებული და მთიანი ადგილების გადმოსაცემად გეოგრაფიულ სახელებში (სხვადასხვა ფონეტიკური სახეობით).

მაგალითად:

„ზურგიშია“ ჰქვია ქედს გუმათსა და ჯიმასტაროს შუა².

ზურგიეთი (სათესი) მაღლაკონში (აჭარისწყლის სასოფლო საბჭოში)³.

ზურგენა (სათესი) ს. სკურდიდში (აჭარის აღმართის სასოფლო საბჭო)⁴.

ზურგალა (ამობურცული ადგილი) ს. აჭყვისთავში⁵.

¹ იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის ფონდი. მასალა შეკრებილია ვ. ზუხბას მიერ.

² მიხეილ ალავიძე, ქართული დიალექტური ლექსიკიდან. გურული-იმერული და რაჭულ-ლეჩხუმური მასალები. აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXIV, ქუთაისი, 1962, გვ. 280.

ეგების ამ ფუძესთანვე იყოს დაკავშირებული გიულდენშტედტის მიერ დასახელებული ციხე ლეჩხუმში **ზოგიში** – იხ. მისი ზემოთ მითითებული „მოგზაურობა“, ტ. I, გვ. 326-327.

³ იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი I, ბათუმი, 1958, გვ. 49.

⁴ იური სიხარულიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 129.

⁵ იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი II, ბათუმი, 1959, გვ. 64.

ზ უ რ გ ა ადგ. მიწაზვინული¹.

ზ უ გ ა (ზ უ რ გ ა) მაღალი ადგილი [ხალხური განმარტებით] „ნაფხეკარია. ძველი ნაეკლესიარი. თათრობის დროს ჯარისკაცთა ფეხსაცმლის დანაფხეკიდანაა შექმნილი“².

ზ უ გ (მიწაზურგა)³ და იქვე რამდენიმე დ ი ხ ა ზ უ რ გ ა⁴.

ს ა უ ზ უ რ გ ი მთა. აღნიშნულია ხუთვერსიან რუკაზე (ჭუმანას-თის აღმოსავლეთით)⁵ [„საოზურგი“? – ქ. ლ.].

თვით ო ზ უ რ გ ე თ ი ს (|| დიალ. ოზრუგეთის) უცხოური წარმომავლობისად მიჩნევა⁶ საეჭვო ჩანს ამ ფუძის ქართულ ტოპონიმებთან ურთიერთობის გათვალისწინების საფუძველზედაც.

ამ მხრივ საინტერესოა აჭარაში დადასტურებული იგივე ტოპონიმი: ო ზ რ უ გ ე თ ი ს. საღორეთში (პირველი მაისის სასოფლო საბჭოში). ახლავს განმარტება: „ორზურგიანი მთა საძოვ.“⁷.

ო ზ უ რ გ ე თ ი ღ ე ლ ე (ხმელი ღელე) ს. ახოში (ცხმორისის სასოფლო საბჭოში)⁸ და სხვ.

ზ უ რ გ ა ნ ი: „აღსანიშნავია, რომ „პატარა კონზა“ საგვიჩიოს ნამოსახლარ ბორცვებს შორის უძველესი სამოსახლო ჩანს, საიდანაც შემდგომ მოხდა მახლობელი მიდამოების (რიონ-ფიჩორის ორმდინარეთი) ფართო განსახლება. ამ ჯგუფში შემავალი ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით დათარიღებული ძეგლებიდან აღსანიშნავია **ბორცი „ზურგანი“**⁹.

სემანტიკისათვის საყურადღებოა, რომ იგივე ფორმა ამ ფუძისა – ზ უ რ გ ა ნ ი – „ხევსურულში აღნიშნავს ხის (საშენ) მასალას ერთ მხარეზე ა მ ო ზ ნ ე ქ ი ლ ს“¹⁰ (ხაზგასმა ჩვენია – ქ. ლ.).

¹ გ ი ვ ი ე ლ ი ა ვ ა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმისკა, თბ., 1977, გვ. 55.

² იქვე, გვ. 19. ასევე გვ. 33, 50, 52, 53, 70, 77, 80, 88.

³ იქვე, გვ. 28.

⁴ იქვე, გვ. 32, 38, 42, 44, 57, 70.

⁵ ი უ რ ი ს ი ხ ა რ უ ლ ი მ ე, ჭანეთი (ლაზეთი), საიტორიო გეოგრაფიის მასალები, I, ბათუმი, 1977, გვ. 65.

⁶ იუსტ. ა ბ უ ლ ა მ ე, სამი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიისათვის, თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, თბ., გვ. 279-281.

⁷ ი უ რ ი ს ი ხ ა რ უ ლ ი მ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმისკა, წიგნი I, ბათუმი, 1958, გვ. 54.

⁸ იქვე, გვ. 68.

⁹ გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, მ. ბ ა რ ა მ ი მ ე, გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი მ ე, გ. ფ ხ ა კ ა მ ე, ვ. ჯ ა ფ ა რ ი მ ე, ნ. კ ი ლ უ რ ა მ ე, ჯ. ჯ ღ ა მ ა ი ა, „დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წლის მუშაობის მოკლე შედეგები“, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, XVIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1968 წელს წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, თბ., 1969, გვ. 12 (ხაზგასმა ჩვენია – ქ. ლ.).

¹⁰ ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 278.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის ფონდში დასტურდება:

ზორგეთი – სერი (სოფ. ლეღვანი) ორჯონიკიძის რ.

ზურგული – სერი (სოფ. შომახეთი) საჩხერის რ.

სხმარტა **ზურგი**, სხმარტლის **ზურგი** – ფერდობი (კარბოულის სოფლის საბჭო საჩხერის რაიონში).

კვინცხალის **ზურგი** – ტყე (სოფ. ქვაციხე, ჭიათურის რ.).

ნასელი **ზურგი** – ბორცვი (სოფ. მღვიმევი, ჭიათურის რ.) და სხვ.

ზემოთ განხილულ **ზურგ**-, **ზუგ**-, **ზუბ**- სახეობათა (და ამავე ფუძის ზოგი სხვა ვარიანტის, – იხ. ქვემოთ) შედარების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, როგორც ამას ნ. მარიც ვარაუდობდა (იხ. ზემოთ), რომ **რ**- მასში განვითარებულია, მაგრამ არა მეგრულში და არა იმ ამოსავლის დაშვებით, რასაც ნ. მარი მიუთითებდა. **რ**-იანი ფორმა ამ სიტყვისა ძველი ქართულიდანვეა ცნობილი (მაგ., „მოუჭდა იგი ზ უ რ გ ი თ კერძო“ მ. 920...). იგი თუა განვითარებული, უკვე ძველ ქართულშია (და საერთოდ ქართველურ ენებშია) განვითარებული.

უფრო რთული ჩანს ზ უ ბ- სახეობის **ზუ[რ]გ**-თან მიმართების საკითხი. მათ შორის უბრალო **ბ ~ გ** (ან **გ ~ ბ**) მონაცვლეობას ვერ დავინახავთ. **ბ** მასში („ზუბ“-ში) ხშულ + ლაბიალური კომპლექსის [გგ] შერწყმით უნდა იყოს მიღებული, როგორც ამას მთელ რიგ სხვა შემთხვევაშიც ვადასტურებთ. ამდენადვე მისი ამოსავალი უნდა ყოფილიყო ***ზუგგ**- სახეობა.

და საყურადღებოა, რომ სწორედ ეს სახეობა დღემდე დაუცავს სვანურს „ბ ო რ ც ვ ი ს“, „ბ ე ქ ო ბ ი ს“ აღსანიშნავად.

ასე, მაგალითად, ივ. ნიჟარაძეს რუსული холм (холмик)-ისთვის მოჰყავს სვანურში ზუგგ (ზდრ. იქვე холмик ზუგვარ)¹. მასვე იგივე ზუგგ სიტყვა გამოყენებული აქვს ერთ-ერთ შესატყვისად რუსული гора-სა² და гугор-ისთვის³.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს ხელმძღვანელობით შეკრებილი სვანური ლექსიკონის მასალაში „ბ ო რ ც ვ ი ს“, „ბ ე ქ ო ბ ი ს“ მნიშვნელობით დადასტურებულია იგივე **ზუგგ**, ბქ. **ზვიგვ** (კნინობითი: **ზუგულდ**, **ზვიგვილდ**): როსტომდ ქ'ანშვემ აშხვ ზ უ გ ვ ჟ ო ნ [ბზ.] „როსტომმა ერთ ბ ო რ ც ვ ზ ე შეისვენა“. ალემაგ მარემი ნადეს ბეხს ძღდდ კგლოთხი **ზუგვ** აფხასენა [ლაშხ.] „ამდენი კაცის ნადებ ქვას ძალზე ძალადი ბ ო რ ც ვ ი წარმოუქმნია“.

ამ სახეობის ეს ფუძე გვხვდება სვანური პოეზიის გამოქვეყნებულ ნიმუშებში:

¹ И. Н. Ни ж а р а д з е, Русско-сванский словарь, Тб., 1910, с. 498.

² იქვე, გვ. 44.

³ იქვე, გვ. 19.

დედე ღვარან, ზ უ გ ვ - თ ე ადერ
 ზ უ გ ვ - ლ ა დ ჟ ი ლ ა ზ შ დ ი რ ა ლ ა ნ !
 დედილამ, წადი ბ ო რ ც ვ ი ს კ ე ნ
 ბ ო რ ც ვ ა კ ზ ე ი თ ა მ ა შ ე !

მარვ ზ უ გ ვ ა რ ჟ ი ბ ე ნ ო ნ ლ უ რ ი ? ...
 ო რ ბ ო რ ც ვ ს ზ ე მ ო თ მ ო ვ დ ი ვ ა რ ...

თქმულის საფუძველზე უდავო უნდა იყოს, რომ ხსენებული ფუძე არსებობს ბოლოკიდური **გ** თანხმოვნისანი სახეობითაც გარკვეულ ენობრივ არეალში ამჟამადაც. ჩვენ მიერ ამოსავლად ნავარაუდები ვარიანტი ზ უ გ უ -სა და დ ი ხ ა ზ უ რ გ უ -ს სახით მითითებულაც არის ტოპონიმებად სენაკის რაიონში³. ამ სახეობის **გვ** კომპლექსი უნდა დასდებოდა საფუძვლად, როგორც ზემოთ აღინიშნა, მთიანი მხარის **ზუზ** ტოპონიმის **ბ** ბოლოკიდურ თანხმოვანს (**გვ > ბ**).

საყურადღებოა, რომ სოფლის სახელწოდება **ზუზ**-ი გვხვდება ძირითადად სამეგრელოსა და ლეჩხუმის ტერიტორიაზე⁴.

ზ უ რ გ ი ს აღმნიშვნელ ფუძეს რომ ბოლოკიდურ თანხმოვნად სვანური „ზუგვ“-ის მსგავსად **ვ** მოუდიოდა, რომელიც წინამავალი თანხმოვნის ლაბიალიზაციის წყაროდ ქცეულა, უნდა დასტურდებოდეს „ზ უ რ - გ ი ს“ აფხაზურ-აბაზური სახელწოდებითაც – **ა-ზქა**⁵.

ამავე დროს ცნობილია ქართული ენის დიალექტებშიაც (კერძოდ, რაჭულში) იმავე ფუძისეული თანხმოვნის ფშვინვიერი ვარიანტი: ზ უ - ქ ა ლ ი ა „ზურგზე მოკიდება“ (ბავშვისა)⁶.

საერთოდ აღნიშნული სიტყვის ფუძე (თავის ძირითადასა და, განსაკუთრებით, გადატანითს მნიშვნელობაში) დიდ ფონეტიკურ ცვლილებებს ექვემდებარება ქართველურ ენებში. ცვლილება შეინიშნება არა მარტო **-რ-**სონანტის დართვა-დაურთველობის მხრივ (ე. ი. ზუგ || ზურგ...), არამედ ძირეულ თანხმოვანთა „ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ა ც ი ა - ა რ ა ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ა ც ი - ი ს“ (ე. ი. ზუგ || ზუგვ || ზუზ) და გ ვ ა რ ო ბ ი ს (ე. ი. მყლერობა-ფშვინვიერობა-მკვეთრობის) მიხედვითაც.

¹ სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯაჯიანმა. თბილისი, 1939, გვ. 170, № 47 (13-14) (ტექსტში აქაც და ქვემოთაც ხამგასმა ჩვენია! – ქ. ლ.).

² იქვე, გვ. 176, 12.

³ ალ. დ ლ ო ნ ტ ი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 62, 59.

⁴ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1949.

⁵ თუ აქ გამორიცხულია ლაბიალური ელემენტის გადასმა, იქვე გვხვდება სინონიმებიც: აბლა, აყაყა.

⁶ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, თბ., 1955.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა **სუკ** სიტყვასთან დაკავშირებით: „...ხეს აქვს სუკი-ც. თუ საბას განმარტებით [ს უ კ ი] „ზურგის ჯორცია“ (ლექსიკ.), ქვემო იმერეთში ის ხის ნაწილის სახელადაც იხმარება... და იქაური განმარტებით ს უ კ ი ხის სიგრძეზე შესამჩნევი კუთხის მაგვარი მოყვანილობაა..., რომელიც, როგორც ეტყობა ხელოვნურად, გათლით გაკეთებული უნდა იგულისხმებოდეს, რადგან ს უ კ ი ა ნ ი ხ ე, იქაურივე ცნობით, ისეთი ხეა, რომელიც, სახლის ნაგებობაში ფიცრულად არის გათლილი, გარეთ კი სამკუთხედიან... ს უ კ ი რომ ხეს ხელოვნურად უკეთდებოდა, ამას ცხადჰყოფს გამონათქვამი გ ა ს უ კ უ ლ ი ხ ე... მეგრულად ს უ კ ი პატარა მალღობს და ბორცვს ნიშნავს (მ. გ. 320). საფიქრებელია, რომ ქართული ს უ კ ი ს ზემომოყვანილი და ჩვეულებრივი მნიშვნელობაც თავდაპირველად ზურგის (სუკის ჯორცისაგან) ასეთი სახელისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. სვანურადაც ზ უ რ გ ს ეწოდება შ ი ყ (რ. ს. ლ.: спина), რომელიც ამავე სიტყვის შიშინა-თანხმოვანა სახესხვაობა უნდა იყოს“¹....

საფიქრებელია აქ ივ. ჯავახიშვილი ზ უ რ გ და ს უ კ სიტყვათა ფუძეების იგივეობასაც გულისხმობდეს. ერთი კი ცხადია, რომ ამ სიტყვებს როგორც ძირითადი, ისე გადატანითი მნიშვნელობა ივ. ჯავახიშვილის აზრით სავსებით ერთიანი აქვთ.

და ეს მათი სემანტიკური ერთიანობა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

სუკ-ი ზუგ-ის ყრუ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს (მათი ზოგი სახეობის შესახებ, რომლებიც უშუალოდ იყო დაკავშირებული განხილულ საკითხთან, ზემოთ გვქონდა მსჯელობა). გამორიცხული არ არის ისინი სხვა ფონეტიკური ცვლილებითაც გვხვდებოდნენ – მაგალითად, აფრიკატიზებული, გადასმული, მაგრამ ეს ამჟამად ჩვენი თემის საგანი არ არის).

ამრიგად, ტოპონიმების **ზუზ-ის**, **ზუზ-დიდ-ის** **ზ** მარტივი თანხმოვნის წყარო ლაბიალური **გვ** კომპლექსი გამოდის, რომელიც დღემდე შემორჩენილი პარალელურ სახეობებში როგორც ცალკეული სახეობის ფუძის, ისე ტოპონიმის სახით (შდრ. სვ. ზ უ გ ვ...).

ციბა²

შინაური ცხოველის სახელწოდება კ ა ტ ა ძველ ქართულში თითქოს ჯერ კიდევ არ ჩანს. ვხვდებით „ვეფხისტყაოსანში“ („ვით კ ა ტ ა ს ა ვხოცდი ლომსა“ 328). ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი შენიშნავს, რომ კ ა ტ ა „ფრანგულიაო“ და (ქართულად) ც ი ც ა ჰქვიანო³.

¹ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 162.

² წაკითხული იყო მოხსენებად – „ერთი იბერიულ-კავკასიური ფუძე“ – თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის VI სამეცნიერო სესიაზე 1965 წ., იხ. მუშაობის გეგმა და თეზისები.

³ ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და აკ. შანიძის რედაქციით, თბ., 1928.

ქართველურ ენებში მისი განხილვისას არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ ეს ფუძე გვხვდება მთელ რიგ ენებშიო, მოჰყავს ამის საილუსტრაციოდ სომხ. კ ა ტ უ (ჭანურთან საერთო ფორმით), რუს. кот, ფრ. chat, გერმ. die Katze, ინგლ. cat, ხუნძ. ქ ე თ ო და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ კატ ფუძე შეთვისებულია სხვა ენათაგან და ჩვენი ენებისთვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ც ი ც ფუძეო. ამავე კონტექსტში მოიხსენიებს სწორედ ს ა ბ ა ს ზემოთ მოყვანილ აზრსაც¹.

ამავე სიტყვის ოსური სახეობის განდგ (goedy) განხილვასთან დაკავშირებით ვ. აბაევი აღნიშნავს, რომ მას ფართო გავრცელება აქვს. მისი არეალი მოიცავს ევროპულ, სემიტურ, კავკასიურ, უნგრულ-ფინურ, თურქულ ენებსო (და მოჰყავს ყველა აღნიშნული ოჯახის ენათა მასალა).

ამავე დროს ვ. აბაევი დაასკვნის, რომ მისი წარმოშობა ჯერჯერობით არ შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულადო, თვით ოსური სახეობა კი მას თურქულთან ახლო მდგომად მიაჩნია (თურქ. kedi)². ჩვენ ვიტყვით ოსური სახელწოდება ერთიანდება ყაზარდოული და ზოგი დაღესტნის ენის სახეობასთან (შდრ. ყაზ. გ ა დ გ უ > ჯ ა დ გ უ, ანდ. გ ე დ უ, კაპუჭ. გ ე დ ო, ჭამ. გ ი დ უ...).

რუსულსა და საერთოდ სლავურ ენებში ამ ფუძის წარმომავლობის გაურკვევლობაზე მიუთითებენ სათანადო ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში³.

ფრანგული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში chat დაკავშირებულია ლათ. cattu-სთან და მიჩნეულია აფრიკული წარმომავლობისად⁴.

საერთოდ კი ითვლება, რომ კ ა ტ ა პირველად მოუშინაურებიათ ეგვიპტეში.

მიუხედავად იმისა, რომ კ ა ტ ა ფუძე მცირეოდენი ცვლილებებით მეორდებოდა მეტწილ იბერიულ-კავკასიურ ენაში (მაგ.: ქართ. კატა, ზან. კატუ, უზბ. გატე, ადიღ. ქანთუ || ჩნთუ, ყაზ. განდუ || ჯანდუ, ხუნ.-ანდ. ქეთო, გედუ, ბოთლ. გედუ, ლოდ. გედუ, ახვ. ქეთუ, კვანად. ქითუ, ჭამ. გიდუ, ხვარშ. ქით, კაპუჭ. გედო, დიდ. კეტო, ლეზგ. კაც (გაწ), დარგ. გატა, თაბას. გატუ, ბაც. კატ...), ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში აღნიშნული ცხოველისათვის თავს იჩენს განსხვავებული ფუძეებიც, მაგ. სვან. – ც ი ც უ, წახურ. – ბ ი ს ო, ჩაჩნურ-ინგუშური – ც ი ც ი გ, აფხაზ.-აბაზ. ა ც გ ე... ამ რიგის ფუძეები გვხვდება ზოგ იმ ენაშიაც, რომელშიაც ზემოთ მოყვანილი კ ა ტ ა სიტყვა ითვლება გაბატონებულად.

¹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 83.

² В. И. А б а е в, Историко-этимологический словарь осетинского языка, М.-Л. 1958, с. 510.

³ А. Г. П р е о б р а ж е н с к и й, Этимологический словарь русского языка, т. первый, А – О., 1959; М. Ф а с м е р, Этимологический словарь русского языка, т. II, М. 1967.

⁴ A l b e r t D a u r a t, E'tymologique de la langue française. Librairie Larousse. Paris, VI, p. 165, 767.

რამდენადაც ქართველურ ენებში სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებსა და საერთოდ კავკასიის ენებშიაც კ ა ტ ა ფუძე ნასესხებია, მის სახეობათა და ისტორიის განხილვას აქ არ შევუდგებით. ჩვენ აქ გამოვყოფთ ერთ განსხვავებულ ფუძეს, რომელიც კატის სახელად უნდა გვქონოდა ქართულში, აფხაზურში...

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს კატის მოხმობის შორისდებული ქართულში „ც ი ფ-ც ი ფ“.

ცნობილია, რომ ცხოველთა მოხმობა-გარეკვის, მოწოდება-შემახილის შორისდებულებში შესაძლოა შემორჩენილი იყოს თვით ცხოველის სახელწოდება. ამის დამადასტურებელი არაერთი მაგალითი გვხვდება. შდრ. თუნდაც თ ხ ი ს მოხმობის შემთხვევა ხევსურეთში თხა-თხა!¹

ფუძეგაორკეცებული ც ი ფ-ც ი ფ მომდინარეა ც ი ბ-ც ი ბ სახეობისაგან ბ-ს დაყრუებით და გვაქვს კიდევ ეს ამოსავალი ც ი ბ ა სახეობაც დაცული, ოღონდ ჩვეულებრივ ძაღლთან დაკავშირებით².

ს ა ბ ა ს ჩვენებით ც ი ბ ა (ჩ ი ბ ა) არის „ასაკმცირე ძაღლი“³. ნ. ჩუბინაშვილის მიხედვითაც: ც ი ბ ა, ც ი ბ ა კ ი – „ასაკმცირე ძაღლი, გოშია“⁴.

ქართული ენის რვატომიან განმარტებით ლექსიკონში ც ი ბ ა ორი მნიშვნელობით არის წარმოდგენილი: 1. „ძ ვ. ტანმორჩილი ძაღლი, – ფინია, გოშია“ და მოყვანილი აქვს საბას ფრაზა „მას კაცს ერთი ც ი ბ ა ჰყავდა“. 2. „კუთხ. (ქიზ.) კ ნ ი ნ. ძაღლი“, რაც სათანადო ანდაზით არის ილუსტრირებული „ც ი ბ ა გარეთ არ გავიდა, კურდღელი შინ არ შევიდაო“. აქვე მითითებულია ც ი ბ ა, როგორც შორისდებული „ძაღლის დამახება (ქალთა მეტყველებაში)“-ო. თან რედაქცია, ვფიქრობთ, მართებულად უდარებს მას „ც ი ფ - ც ი ფ“-ს⁵.

მასასადამე, ც ი ბ ა ფუძე ქართულში მიემართება როგორც კ ა - ტ ა ს, ისე ფ ი ნ ი ა, ასაკმცირე, პატარა ძაღლს. კ ა ტ ი ს ამ მოხმობის სახელის ძაღლის, კერძოდ, ფ ი ნ ი ა ძაღლის მიმართ გამოყენება თვით ამ ფუძის ს ა ა ლ ე რ ს ო შინაარსით (პ ა ტ ა რ ი ს მ ო ს ა ფ ე რ ე - ბ ე ლ ი შინაარსით) უნდა განისაზღვრებოდეს.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოდ გვეჩვენება, რომ იმერულ დიალექტში დადასტურებულ „ც ი ფ-ც ი ფ, ც ი ფ ო-ც ი ფ ო“-ს განმარტებისას ივ. ქავთარაძე წერს „კატის დამახება ა ლ ე რ ს ი თ“-ო⁶ (ხაზგასმა ჩვენია! – ქ. ლ.).

¹ ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 236.

² მეგრულ მეტყველებაში კატის მოხმობისას „ციფ-ციფ“-თან ერთად ციბა-ციბა-ცისმის.

³ ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1928.

⁴ ნ ი კ ო ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VIII, რედაქტორები: ივ. გიგინეიშვილი, ბ. ფოჩხუა, თბ., 1964.

⁶ ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, კრბ. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1963, გვ. 156.

ძალთან დაკავშირებით კატის ეს (მოხმობისას ხმარებული) სახელი **ციბა** (|| ჩიბა – ს ა ბ ა) ქართულიდან უნდა იყოს შესული დიდოურში. დ. იმნაიშვილის მიერ მოწოდებული ცნობით **ჩიბა** დიდოურში ჰქვია ბუ ძალს¹.

ასაკმცირე, ფინია ძალის ქართულ სახელწოდებასთან კავშირში თავის მხრივ ყურადღებას მიიპყრობს **ცუგა**, რომლის შესახებაც იმავე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: „**ცუგა** პატარა ტანის ძალლი (ხშირად იხმარება ასეთი ძალლის საკუთარ სახელადაც), – ფინია“. ამ განმარტებას ახლავს ი. გოგებაშვილის ილუსტრაცია „ყვიროდა ცუგა, რომელიც ბატონს ვერ შეემჩნია და რომელსაც წინა ფეხი კარებში მოჰყოლოდა“².

ამრიგად, **ციბა**-ს მსგავსად **ცუგა** ქართულში გამოიყენება პ ა ტ ა რ ა, ფ ი ნ ი ა ძალლისათვის. ამ გაგებით ისინი სავსებით ემთხვევიან ერთმანეთს. თითქოს სადავო არ უნდა იყოს არც თვით ფუძეთა იგივეობა, თუმცა თანხმოვნებში ამ ფუძეთა სხვაობას ქმნის **გ||ზ** მიმართება. ასეთი მიმართების არსებობა ამ ფუძეთა შორის მარტივ **გ||ზ** მონაცვლეობამდე არ უნდა დაიყვანებოდეს. ამის საბაზს იძლევა აღნიშნულ ფუძეთა მთლიანი შეპირისპირება. ირკვევა, რომ ლაბიალური **ცუ** კომპლექსი მაშინ არის, როდესაც ფუძის მეორე თანხმოვანი მარტივი უკანაენისმიერი არალაბიალური **გ** ხშულია და, პირიქით, როცა მეორე თანხმოვანი ფუძისა ლაბიალური **ზ** ხშულია, პირველი თანხმოვანი არალაბიალური მარტივი **ც** აფრიკატით არის წარმოდგენილი. ეს ფაქტები ერთმანეთთან დაკავშირებული ჩანს.

სავარაუდებელია, რომ თავდაპირველად ეს ფუძე შეიცავდა ამოსავალ ლაბიალურ **გუ** (**გუ**) კომპლექსს (ე. ი. იყო *ც ი გ უ ა), რომლის ორგვარმა განსხვავებულმა ცვლილებამ საფუძველი შეუქმნა ორი განსხვავებული ვარიანტის წარმოქმნას.

ერთი მხრივ, დაიშალა ლაბიალური კომპლექსი ფუძის მეორე ნაწილისა და მისი ლაბიალური ელემენტი მიეკედლა ფუძის წინმავალ თანხმოვანს, რამაც გამოიწვია ბოლო კომპონენტის „დელაბიალიზაცია“ და წინა კომპონენტის „ლაბიალიზაცია“. ამ ნიადაგზე წარმოიქმნა **ცუგა**.

ანალოგიური ფონეტიკური ცვლილების ფაქტები არცთუ იშვიათია ქართველურ ენებში, შდრ. ძვ. ქართ **კიგვ** > ახ. ქართ. **კვიცი**, მეგრ. **ლუდი** < ***ლადვი** „ლეღვი“ და მისთ.³

¹ ქართულიდან კავკასიის მთიანეთის ენებში ამ ცხოველის სახელწოდებათა შესაძლო გავრცელების თვალსაზრისით ბუნებრივია მოვიგონოთ ნახურ ენებში (კერძოდ ჩეჩნურში) გაბატონებული **ჩხალ**- („ძალლი“), აფხაზურ-აბაზურში ა-**მაწუ-არ** || **ლა-მწაწურ** („მაწევარი“).

² ქეგლ. ტ. VIII.

³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 122; გ. როგავა, ნააფიქსარი დ-ს ფონეტიკური სახელცვლილებანი და ზ ე ც ა ფუძის აგებულების საკითხი. აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952-1953, გვ. 53.

ცუგა-ს გვერდით არსებობს იმავე მსნიშვნელობით „**ცუგო**“-ც. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, მაგალითად, ვკითხულობთ: „**ცუგო** იგივეა, რაც **ცუგა**“-ო და მოყვანილია შ. მღვიმელის სანათაღო ფრაზა „შემდეგ მიუალერსეს ისევ ც უ გ ო ს და ციცას“. შეიძლება გვეფიქრა, რომ **ცუგო** სახეობამ შემოგვინახა მეორე თანხმოვნის ლაბიალობაც **ო**-ს სახით (...გო) და ასიმილაციით გალაბიალურებული ც უ- ელემენტიცო, მაგრამ ამ შემთხვევაში ფუძედ იგივე ც უ გ ა უნდა ივარაუდებოდეს, ხოლო **-ო** (ცუგო-სი) მიმართვის ფორმის მორფემა უნდა იყოს მასზე დართული.

მეორე მხრივ, ხშული ლაბიალური **გუ** (**გუ**) კომპლექსის ბილაბიალურ ხშულში შერწყმის ნიადაგზე იმავე ამოსავალი **ციგუა** (ც ი გ ვ ა)-სგან წარმომდგარი უნდა იყოს **ციბა**. **ცუგა** || **ციბა** მიმართებას იმეორებს ც უ გ რ ი ა და ც ი ბ რ ი ა¹. საალერსო-კინოზობითის შინაარსის მქონე ეს ფუძე არა თუ მარტო კ ა ტ ი ს ა და ძ ა ლ ლ ი ს მიმართ იხმარება, არამედ საერთოდაც გამოიყენება პ ა ტ ა რ ი ს გაგებით. ამის დასტურს იძლევა იმერული დიალექტის მასალა: „... თუ შევკონამ კაის, თვარა არ მინდა **ცუგრიელა** კონები“². ასევე იმავე **ციბაკ** (|| ***ჩიბაკ**)-იდან წარმომდგარ ჩ ი ბ ა კ ო ნ ა-ს მიუღია „ტანად დაბალი კაცის“ მნიშვნელობა (ქეგლ. VIII).

სათანადო ფუძე გავრცელებულია ძაღლის სახელებად. მაგ. თუშურ დიალექტში ამ ფუძის ძაღლის სახელებად გვხვდება ჩ ი ბ ი ა, ჩ ი ბ ა ნ ა დ, ც ი ბ ე დ, ც ი ბ რ ო დ“...³

რომ **ციბა** მართლაც ***ციგვა** (ციგუა)-საგან უნდა ამ გზით მომდინარეობდეს და ამოსავალში ლაბიალური **გვ** (გუ) კომპლექსია სავარაუდებელი, ამას თავის მხრივ უდავოდ ხდის აფხაზურ-აბაზურ ენათა ქართულთან საერთო ფუძე ა-**ცგ** (ბზ. დიალ. ა-**ც'გ**), რომელიც კატას აღნიშნავს და რომელსაც ამ შემთხვევაში ამოსავალი ლაბიალური **გ** (**გუ**) კარგად დაუცავს. აფხაზურ ა-**ცგ**-ში **ც**- (ბზ. **ც'**)-ს მომდევნოდ მოსალოდნელი იყო ხმოვანიც (გ, ა), მაგრამ იგი რედუცირებულია მომდევნო მახვილიანი მარცვლის გავლენით.

ამრიგად, ქართულსა და აფხაზურში კ ა ტ ი ს სახელად საერთო **ცგუა** ფუძე ჩანს (ბზიფურ დიალექტში დადასტურებული სისინა-შიშინა სახეობა აფრიკატისა სხვა შემთხვევებშიაც ქართულთან საერთო ფუძეში სისინა აფრიკატს უტოლდება).

აფხაზურში ეს ფუძე მარტო კატისთვის გამოიყენება (შდრ. აგრეთვე **აცგ**-ა: **აცგაბალ** „ხვადი კატა“ **აცგაფს** „ძუ კატა“) და ერთადერთი სიტყვა-ცაა მისთვის. ამ სიტყვის მიხედვით აფხაზური და აბაზური გამოიყოფა სხვა აფხაზურ-ადილურ ენებს და მიჰყვება ქართულს.

¹ **ციბრია** აღნიშნული გაგებით დ. ჩხუბიანიშვილის ცნობით იხმარება თიანურში.

² ქეთევან ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 465.

³ იხ. პ. ხ უ ბ უ ტ ი ა, თუშური კილო, თბ., 1969, გვ. 207.

ბუნებრივია დაისვას კითხვა, იშლება თუ არა აფხაზურში ხსენებული ფუძე და ხდება თუ არა შემადგენელი კომპონენტების გააზრება. ვფიქრობთ, რომ არა. მართალია აფხაზურში არსებობს სიტყვა ა-ც'ხ (ბზიფ. ა-ც'ხ), რაც ნიშნავს „კატის სენს“¹ (კატის წყევლაა ა-ც'ხ უაგააჲტ! – „კატის ჭირმა წაგიღოს“), რომელშიც -ხ გამოიყოფა „სატკივრის“, „ავადმყოფობის“, „ჭირის“, „სენის“ მნიშვნელობით და თითქოს ამის საფუძველზე კ ა - ტ ი ს გაგებით მხოლოდ პირველი ც (ც') ელემენტი გამოდის, მაგრამ სარწმუნო უნდა იყოს ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ახალი ხ ძირის დართვისას ა - ც გ გ ფუძეში წარმოიქმნა რთული კომპლექსი ცგ'ხ (*ცგ'ხ) და გამარტივებისას ამოვარდა გ (ნ. მარი). რთულ კომპლექსთა ასეთი გამარტივება ჩვეულებრივი მოვლენაა აფხაზურში. ამავე თვალსაზრისით ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ აფხაზურ ნიადაგზე გ(ა)-ს შესაბამისი მნიშვნელობის განსაზღვრა არ ხერხდება და არც ც (ც') მის გარეშე სხვა შემთხვევაში თითქოს ამ მნიშვნელობით არ დასტურდება. მართალია, აფხაზურშივე არსებობს თ ხ ი ს წყევლა – ა-ც'ახან, რომელშიაც თითქოს ც'(ა) კვლავ დამოუკიდებელ მორფემად მოგვევლინა, მაგრამ იგი ისევ ზემოთ განხილულ კატის (ა-ცგ'გ) ფუძეს უკავშირდება. ერთი ცხოველიდან საწყევარის („ჭირის შეყრის“) მეორე ცხოველზე გადატანა ჩვეულებრივი მოვლენაა. ამის საუკეთესო მაგალითს გვაძლევს ქართული ენის კილოები. იგივე ციცანა, რაც ქიზიყურში კატისა და ძაღლის ცხვირის ცემინების სენს ეწოდება და უდავოა კატის სახელწოდებიდან მომდინარეობს ლეჩხუმურ დიალექტში „ღორის ერთგვარი სენია“².

ხოლო რაც შეეხება, ერთი მხრივ, ა-ც'ხ და, მეორე მხრივ, ა-ც'ახან ფუძეთა სხვაობას, შესაძლოა, იმავე ფონეტიკური კანონის – რთული ლაზიალიზებულ ბგერათა მარტივი ლაზიალური ბგერებით შერწყმა-შენაცვლების (რაც აფხაზურ-ადიღურ ენებში სწორედ ჩვეულებრივი მოვლენაცაა)³ საფუძველზე ა-ც'ახან ვარიანტმა შემოგვინახა სრული, შეუკუმშავი ფუძე მომდინარე სავარაუდო *ა-ც'აგან სახეობიდან.

ა-ც'აგან სიტყვის აქ წარმოდგენილისაგან განსხვავებული ახსნაც შეიძლება მოგვეცა, თუმცა არც ის არსებით სხვაობას საერთო დასკვნაში არ შეიტანდა.

კერძოდ, იმავე ხ-ს ახსნისათვის შეიძლება გვევარაუდნა, რომ ამ სიტყვის წარმოებისას ენამ გამოიყენა არა კ ა ტ ი ს ზოგადი სახელი აფხაზურში ა-ც'გ'გ (*ა-ცაგა), არამედ ხ ვ ა დ ი კატის სახელწოდება ა-ც'გაბა

¹ შდრ. ქიზიყ. ციცანა „კატისა და ძაღლის ცხვირის ცემინების სენი“. სტეფანე მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

² ქეგლ, ტ. VIII.

³ ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აზერული ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბ., 1976, გვ. 226-227.

(იხ. ზემოთ) და ფუძის გართულებისას, მასზე ახალი მნიშვნელობის ძირის -წ-ს დართვის შემდეგ **ც'გ'** – კომპლექსის ფონეტიკურად გამარტივებით (ე. ი. გ-ს ჩავარდნით) შემოგვრჩა **ა-ც'აზან'** (* < ა-ც'გაზან'). მაგრამ ასეთი ახსნისას ჩნდება გარკვეული სემანტიკური ხასიათის დაბრკოლება, რატომ უნდა აერჩია ენას ამ მნიშვნელობისთვის მაინცდამაინც ხ ვ ა დ ი კ ა ტ ი ს ფუძე და არა ზოგადად კატისა?

ქართ. ც ი ბ ა ფუძესთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ კატის კნუტის სახელწოდება ც ინ და ლ ი || ც ი ნ ტ ა ლ ი (სვ. ც ი ნ - და ჟ), რომელიც ქართველურ ენებში ძირითადად ერთიანი სახით მეორდება (მკვეთრის შემცველი სახეობა მეორეულად მიიჩნევა)¹.

ც ი ნ და ლ სიტყვაში გამოვლენილი **ალ** სუფიქსი გამორიცხული არ არის გვექონოდა ზემოხსენებული ც ი ბ ა- ფუძეშიაც (შდრ. ქვემოთ). ამავე დროს ც ი ბ ა || ც ი ფ ა ფუძეში განვითარებული ჩანს ნაზალური სონორი **მ||წ** ხშული **ბ**-ს (|| ფშვინვიერი **ფ**-ს) წინ. ამ ნიადაგზე უნდა წარმოქმნილიყო *ცი მ ბ ა || ც ი მ ფ ა სახეობა; და მართლაც, ქართულურსა და კახურში **-მ**- შეზრდილი ც ი მ ფ ა || ც ი მ ფ ი ა კატის მიმსგავსებით აღნიშნავს „წუწკს, მსუნავს“².

ასევე სარწმუნო ჩანს ნ განვითარებულად მოვიჩნიოთ **ცინდალ**-ში³. ამოსავალ სახეობაში უნდა გვექონოდა *ც ი მ ბ ა ლ ი⁴. ამ სავარაუდო ამოსავალმა **ციმბალ**-მა (< *ციგალ) ალბათ ამ ბ ა ვ ი > ა ნ ბ ა ვ ი ს მსგავსად, მოგვცა *ც ი ნ ბ ა ლ ი. **დ კ ი** „ც ი ნ და ლ ი ს ა“ მომდინარე უნდა იყოს **ბ**-საგან **წბ** კომპლექსში. თანაც თავკიდურ ენაკბილისმიერ **ც**-სთან ნაწილობრივი ასიმილაციით⁵.

ანალოგიური პროცესები შეინიშნება ქართველურ ენებში. როგორც ვარაუდობენ, Сибирь-ის სახელწოდებას ქართულში **ბ**-ს წინ **მ** დართვია⁶. ც ი მ ბ ი რ ფუძემ მეგრულ მეტყველებაში ც ი ნ დ ი რ-ის სახე მიიღო.

¹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი.

² ქეგლ, ტ. VIII.

³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, იქვე.

⁴ ლ. გელენიძის ცნობით „კ ა ტ ი ს კ ნ უ ტ ს, ც ი ნ და ლ ს ბებია (იმერელი) სწორედ **ციმბალს** ემახდაო“.

⁵ ც ი ნ და ლ ი ს სხვაგვარი ახსნა მოცემული აქვს ფ. ერთელიშვილს, იხ. მისი სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1980, გვ. 129, 222-223.

⁶ Gerhard Deeters. Die kaukasischen Sprachen. Handbuch der Orientalistik. Siebenter Band. Leiden Köln, 1963, ს. 25.

ტოპონიმ ც ი მ ბ ი რ ი ს სარწმუნო ეტიმოლოგია, როგორც ცნობილია, არ არსებობს (იხ. В. А. Кононов, Краткий топонимический словарь, М. 1966, с. 379-381), მაგრამ რუსულშივე გეოგრაფიული პუნქტის Симбирск-ის და ამის შესაბამისი გვარების არსებობის პირობებში უნდა დავუშვათ, რომ სხვა ენობრივ სინამდვილეშიაც უცხო არ უნდა ყოფილიყო მსგავსი სახეობა ამ ფუძისა.

მსგავსი ცვლილებების ნიადაგზე „ც ი ბ ა“-ს *ც ი მ ბ ა ლ || ც ი ნ ბ ა ლ სახეობისაგანაც შეუძლებელი არაა მოეცა ც ი ნ დ ა ლ ი.

კ ა ტ ი ს სახელწოდება, განსაკუთრებით აქ მოყვანილი ფუძე და მისი სახესხვაობები, როგორც ცნობილია, ფართოდ გამოიყენება გოგონას საალერსო სახელად, გვარის სახელთა საწარმოებლად და სხვ. კერძოდ, **ცი-ბა**-საგან მომდინარეობს გვარი ც ი ბ ა ძ ე. საყურადღებოა, რომ აფხაზურშიაც **ა-ც'გვ** (ზუ. ა-ც'გვ) კატის სახელისაგან წარმოსდგება გვარი ც გ გ-ბა (ზუ. ც'გ გ-ბა)¹. შესაძლოა ასეთივე ეტიმოლოგიისა იყოს მეგრული გვარი ც ი ნ დ ა ლ ა ა (< ც ი ნ დ ა ლ ა ვ ა) და სვანური გვარი ც ი ნ დ ე ლ ი ა - ნ ი ც. ც უ გ რ ი ა *ც ი გ უ რ ი ა || *ც ი ბ რ ი ა, *ჩ ი ბ რ ი ა უდევს, ალბათ, საფუძვლად ქართულ გვარებს – ც ი გ რ ი ა შ ვ ი ლ ს², ც ი გ რ ო შ ვ ი ლ ს³, რომლის ვარიანტიც შეიძლება იყოს გვარი ჩ ი ბ ი რ ა შ ვ ი ლ ი⁴.

სამეგრელოს ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმი **ო-ცინდალ**-ე დაკავშირებული ჩანს განხილულ (ცინდალ < ციმბალ < *ციგვალ) ფუძესთან, ოღონდ იგი უნდა გამოხატავდეს არა ცხოველის (ე. ი. კატის) სამყოფელ ადგილს⁵, არამედ გარკვეული მცენარის (რომლის სახელწოდებაც, საფიქრებელია, კატის **ცინდალ**-სახეობას ეყრდნობოდა) გავრცელების არეალს.

ამის ნათელსაყოფად საჭიროა გავეცნოთ ქართულში მ დ გ ნ ა ლ ი ს სახელით ცნობილ მცენარეს. მის შესახებ ქეგლ-ში ვკითხულობთ: „Salix caprea. დაბალი ტანის ხე ან ბუჩქი (ტირიფების გვარისა); აქვს ქვემოდან თეთრი ბეწვით შემოსილი კვერცხისებრი ან ელიფსური ფოთლები და პატარა ზომის ბუსუსოვან მჭადებად შეკრებილი ყვავილები; ყვავის ფოთლების განვითარებამდე; გავრცელებულია ტყის პირებსა და გამეჩხერებულ ტყეებში“⁶.

როგორც ცნობილია, ქეგლ-ში მემცენარეობის ტერმინთა განმარტება ეკუთვნის ცნობილ ბოტანიკოსს ალ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ს. მ დ ნ ა ლ ი ს ეს დახასიათებაც მისია. ალ. მაყაშვილისავე ფუნდამენტურ ნაშრომში – „ბოტანიკურ ლექსიკონში“ – მოყვანილია მ დ გ ნ ა ლ ი ს ლექსიკური ვარიანტები საქართველოს სხვადასხვა კუთხის მეტყველების მიხედვით: „კხ. ბ ა ტ ი კ უ ჭ ა, მთ., ფშ. ხევს. დ გ ნ ა რ ი, დ გ ნ ა ლ ი, ფშ. ფ ო ხ ვ ი, ოკრ. ჭ ი ჭ უ ნ ჭ ი, ლჩხ. ბ ა გ უ ნ დ ი, ჩ ი ჭ ვ ი ნ ი; აჭ. ც ი ც ე ლ ა, ც ი ც ა; ინგ. კ ა ტ ა წ ნ ო რ ა; სბ. კ ა ტ ა ტ ი რ ი ფ ა, ბ ე დ მ უ შ ვ ი, მგრ. კ ა ტ უ ჯ ვ ა - რ ი, კ ა ტ უ ჯ ვ ა რ ი შ ი ჯ ა; სვნ. ბ ა გ ვ რ ა, ბ ა ი ა“⁷.

¹ X. C. Б г а ж б а, Бзынский диалект абхазского языка, Тбилиси, 1964, с. 245.

² გაზ. „თბილისი“, 1981, 27 მაისი, გვ. 1.

³ „ლიტერატურული გაზეთი“, 1981, № 35.

⁴ გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 29 ივლისის №175 (9223), გვ. 3.

⁵ შდრ. ალ. დ ლ ო ნ ტ ი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., გვ. 52. ამოსავლად (მართალია კითხვითი ნიშნით) ავტორის ვარაუდობს ან **სინჯა**-ს (**სიმეს**) ან **ცინდალ**-ს (კნუტს).

⁶ ქეგლ, ტ. V.

⁷ ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.

აქ წარმოდგენილ ვარიანტებში ჩვენთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის სახეობები, რომლებიც მდგნალის დახასიათება-გადმოსაცემად კატას იყენებენ: სბ. კატა-ტირიფა, ინგ. კატა-წნორა, მგრ. კატუ-ჯვარი და განსაკუთრებით აჭ. **ციცელა, ციცა**. ასევე საინტერესოა, რომ ფშაურში კატის მოფერებითი სახელი ციცუნია მდგნალის ყვავილს ეწოდება: „მდგნალს კატის კნუტებივით ფაფუკი ციცუნა ეკიდა“ (თ. რაზიკ.)¹.

ცხადია, მეგრულში კატუჯვარმა გამოდევნა ამ მცენარის უფრო ძველი სახელწოდება **ცინდალ**-ი და იგი შემოგვინახა ტოპონიმმა – **ოცინდალემ** (**ოცინდალე** – ე. ი. მდგნალიანი).

მცენარეთა სახელწოდებებში კატის სახელთან დაკავშირებული ფუძეები საკმაოდ ხშირად გვხვდება. შდრ. იმერ. ციცინო, ციცუნია (კესანე), ციცასკუდა (ფარსმანდუკი), ციცაბარდა (კატაბარდა), სვანური კნინ. ციცულდ (ბურტყლა სამყურა) და სხვ.².

არნ. ჩიქობავას ზემოთ მოყვანილ დებულებასთან დაკავშირებით კატის სახელად ძველად ქართველურ ენებში ციცა სიტყვის არსებობის თაობაზე სპეციალურ ლიტერატურაში მითითებული იქნა საერთო ფუძეები ჩეჩნ. **ციციგ**-ისა და ხუნძ. **იციქო**-ს სახით³. ამას შეიძლება დაერთოს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში არსებული აღნიშნულთან საერთო ფუძეები: კარატაული ციცო⁴, დარგულლის ზიცვი-ზიცვი (კატის მოხმობა) და სხვ.

თვით ქართულსა და ქართველურ ენებში ეს სიტყვა მეტად მრავალფეროვნად წარმოგვიდგება. ზემოთ განხილული წმინდა ფონეტიკური ცვლილებების გარდა ფუძეებში შენიშნული სხვაობები სხვადასხვა ფაქტორებითაც უნდა აიხსნებოდეს.

პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ცხოველებს მოხმობა-გარეკვის მომენტებთან დაკავშირებით შეიძლება განსხვავებული ფუძეები შეეწყობოდეს; ერთია კატის გაწყრომისას გამოყენებული: აცხა (დასავლ. ცაცხა), ციც, ციც! და სხვ. და მეორეა მოხმობა-მოალერსებისას გამოყენებული ციცუნია, ციბა, ციბრია! და მისთანები. აქ არც ის არის გამორიცხული, რომ მიფერება-მოალერსებისას (ენის ერთგვარად „მოჩლექის“ სახით) საალერსო ფუძის ბგერის გვარობის მიხედვით განსხვავებულ ვარიანტს მიმართონ. კერძოდ, ასე გვეჩვენება ჩვენ ქართულში **ციბა** „ჩიბა“ სახეობის წარმოქმნა (და ამდენადვე იგი არა გვგონია სისინა||შიშინა შესატყვისობის ფაქტს განეკუთვნებოდეს).

¹ ქეგლ, ტ. VIII.

² ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, იქვე.

³ თ. გო ნ ი ა შ ვ ი ლ ი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან, ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, თბ., 1940.

⁴ ილ. ცერცვაძის ცნობით.

ახლა, რაც შეეხება ქართულში აღდგენილ *ც ი გ უ ა (– > ციბა) ფუძეს (რომელიც აფხაზურ-აბაზურშიც დასტურდება – ა-ც'გუ) და რომელიც მოფერება-ალერსის შინაარსის შემცველი უნდა ყოფილიყო, იგი უნდა იშლებოდეს **ცი-გუა** ორი ნაწილისაგან. **ცი** ც ი ც ა-ს მარტივი (გაუორკეცებელი) სახეობაა, ხოლო **-გუა** იმ ნიუანსის შემტანი უნდა ყოფილიყო, რაც კატის ც ი ბ ა სახელს შეესაბამება.

ამ თვალსაზრისით ანგარიშგასაწევი ხდება ხუნძური სახელწოდება კატისა ი ც ი ქ ო. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ იგი შესაძლოა კნინობითის **აქო** მორფემას შეიცავდეს (ილ. ცერცვაძე).

მართლაც, ხუნძურში გამოყოფენ **აქო** და **-იკო||-კო** ელემენტებს სიტყვათა კნინობითობის საწარმოებლად¹. მაგრამ ავტორები იქვე აღნიშნავენ, რომ ხუნძურში კნინობითის წარმოება აღწერითი ხასიათისაა და მითითებული ელემენტები მხოლოდ თითო-ორი ფუძეში დასტურდება.

თუ აღნიშნული კნინობითობის ელემენტები ხუნძურში საკუთარია და ნასესხები არაა, ბუნებრივი იქნებოდა სათანადო ქართული ფუძის მეორე კომპონენტი ასეთი წარმომავლობისად მიგვეჩნია. მაგრამ ამ შემთხვევაში გასარკვევი იქნებოდა არაერთი საკითხი. კერძოდ, ხუნძურისათვის მაშინ ამოსავლად თითქოს (ა)**გო** უნდა გვევარაუდნა. ფშინვიერი **ც**-ს შემცველ ხუნძ. ი ც ი ქ ო ფუძეში ასიმილაციური ცვლილებების გათვალისწინებით ეს სირთულეს არ შექმნიდა, მაგრამ აქ საკითხი შეეხებოდა სხვა პირობების მქონე ფუძეებსაც და საერთოდ ამოსავალში კნინობითობის – ***გო**-ს აღდგენის რეალურობას.

მეორე მხრივ, ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ქართულში არსებულ ფუძეთა ანალიზი გვავალებს მეორე ელემენტად **-გუალ** (ციმბალ < ციგუალ...) გამოცხად.

¹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, აღ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, თბ., 1962, გვ. 173.

ბილაბიალური ფ მომდინარე „ქვ“ ლაბიალური კომპლექსიდან

-ფულა

საერთო ფუძის სიტყვები ჩანს ს ა ბ ა ს მიერ დასახელებული **ქულა** ერთი მხრივ, და ფუმ-**ფულა** მეორე მხრივ, მართვეთა სახეობის აღმნიშვნელი.

ს ა ბ ა წერს: „ბაზთა მართვეთა ეწოდების **ქულა**“, ხოლო – „მწერთა და ბუზთასა – **ფუმ-ფულა**“ (ლექსიკონში ეს სიტყვა შეტანილია ფ უ მ - ფ ლ ა-ს სახითაც).

როგორც ცნობილია, სხვადასხვა ცხოველთა ნაშიერისათვის ერთი და იმავე სახელწოდების გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა. **ფულა**-ს ამოსავალი სახეობა უნდა ყოფილიყო **ქულა**.

რაც შეეხება **ფუმფულა**-ს, რომელიც მწერთა და ბუზთა მრავალრიცხოვან მართვეს მარჯვედ გამოხატავს ფუძის გაორკეცებით, მისი ამოსავალი სახეობაც უნდა ყოფილიყო იგივე **ქულა** გაორკეცებულად: ფ უ მ-ფ უ - ლ ა < *ფ უ ნ-ფ უ ლ ა < *ფ უ ლ-ფ უ ლ ა (< *ქულა-ქულა).

ფული

სტ. მენთემაშვილის ქიზიყურში მითითებული აქვს სიტყვა გ უ - ლ ი (||დული) და მას ასე განმარტავს: „ნალბანდის იარაღი: ნალის და-ხვრეტის დროს ნალის ქვეშ ამოსადები მრგვალი, გულამოდებული რკინა, რომ ზუმბის წვერი ზინდას არ მოჰხვდეს“-ო¹.

სტ. მენთემაშვილსავე აღნიშნული აქვს, რომ ამ იარაღს, ე. ი. გ უ ლ ს, ზოგან ჰქვია: დ უ ლ ი, ქ უ ლ ი, ხ უ ლ ი ან **ფული** და ლექსიკონშიაც ცალ-ცალკე შეტანილი ყველა ეს სახეობა გაგზავნილი აქვს განსამარტავად გ უ ლ ზ ე.

აქ აღწერილი იარაღის ერთ-ერთი სახეობა – **ფული** მომდინარე ჩანს პარალელურად არსებული მისი **ქული** სახეობიდან.

ფურჩა

საერთო ფუძეს შეიცავს მეგრ., იმერ., ფ უ რ ჩ ა² (მასთან არის დაკავშირებული საერთოდ ქართული ფ უ რ ჩ- ფუძე ფ უ რ ჩ ქ ნ ი ს ზმნაში და მისთ.) და იმერ. ქ უ რ ჩ ა: „ტარო სიმინდის ნაყოფია. გარს აკრავს ფუჩქჩი ანუ ფ უ რ ჩ ა || ქ უ რ ჩ ა“³. აქ ისინი პარალელურად არის ნახმარი და

¹ სტ. მენთემაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943. იხ. სიტყვა გ უ ლ ი.

² ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 339.

³ ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, მასალები პურეულის ლექსიკონისათვის ქვ. იმერულში, თსუ სტუდენტთა კრებული, 1950, გვ. 281.

უდავო სინონიმებია. ამასთანავე პირველი მომდინარე ჩანს მეორისაგან (ფურჩა < ქურჩა).

ამ დავკავშირებას ხელს ვერ შეუშლის ის გარემოება, რომ ფურჩა საერთო შეიძლება იყოს ფურც-ელ-თან. პირიქით, ეს უნდა გვირკვევდეს თვით **ფურცელ**- ფუძის მომდინარეობას ***ქურცელ**-იდან (შდრ. ნა-ქურცენი).

ლექსუმურში დასტურდება საყურადღებო ფორმა – **გაქურქვნა**¹ გურული დიალექტის „**გაქურჩვნა**“-ის მნიშვნელობით, შდრ. თ. რაზიკაშვილის ჩვენებით ქართლური **შეფურჩვნა** „ვაზისთვის უვარგის ტოტების და რქების შერთმევა“².

ამ ფუძეს ფართო გამოყენება აქვს ქართული ენის დიალექტებში.

ფურჩუმელა

ანალოგიური ამოსავალი ივარაუდება შალამანდილის აჭარულსა და ზანურ სახელწოდებებში: შდრ. ერთი მხრივ, – აჭ. ფურჩუმელა, მეგრ. ფურჩუმალე, ჭან. ფორჩუმანა და გურ. ქურჩუმელა, მეგრ. ქურჩმანი³, – მეორე მხრივ.

თავფართე

პ. ხუბუტიას თუმურ ლექსიკონში შეტანილი აქვს სიტყვა **თავფართე**⁴, რომელსაც განმარტებად უწერს „დაღმართ“-ს. საყურადღებოა, რომ მასვე ლექსიკონში ამავე მნიშვნელობით მოეპოვება სიტყვები **თავქვართი** და **თავქვია**⁵, რომლებიც გაგზავნილია განსამარტავად „**თავფართე**“-ზე. სრულიად ცხადია ამ ფუძეთა იგივეობა.

აქ აშკარაა **ფ**-ს **ქვ**-საგან მომდინარეობა: თვით **ქვ**- „ქვე“ ზმნისართისაგან ჩანს წარმომდგარი. მას წინ დართული აქვს „თავი“, შდრ. ქართული **თავქვე**⁶ (მეგრ. დუდგიმე). აქედან არის, ერთი მხრივ, თუმურში მიღებული **თავქვია** (< *თავქვე-აი, შდრ. იქვე „თავითა“ „თავიდან“),

¹ მ. ალავიძე, ლექსუმური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1938.

² ი. ჭყონია, სიტყვის-კონა, პეტერბურგი, 1910, გვ. 61.

³ ალ. მაცაშვილი, დასახ. ნაშრომი.

⁴ იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 102. თუმური დიალექტის სხვა სპეციალისტებმა ამ ფორმის არსებობა უარყვეს.

⁵ იქვე.

⁶ და მისგან ნაწარმოები ზმნა „დაითავქვევებს“ – თავქვეზე დაეშვება – ქართული დიალექტის ლექსიკონი (მასალები). შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხი-შვილი, ლ. ნოზაძე, თბ., 1981.

ხოლო მეორე მხრივ, მას უნდა დართვოდა „აღმართ“ – „დაღმართ“-ის ანალოგიით მიმართულების გამომხატველი „-მართ“ და უნდა მიგველო „თავ-ქვე-მართ-ად“, რომელშიაც ფუძის გართულების ნიადაგზე ჯერ „-ქვე“-ს უნდა ჩამოშორებოდა ე ხმოვანი და მიგველო „თავ-ქვე-მართად“, ხოლო შემდეგ ქვემ- რთულ კომპლექსში მ-ც ჩავარდნილა და შემოგვრჩენია თავქვეართად. აქედან კი წარმომდგარა თავფართად.

ჩამფა

მ ა ლ მ თ ი ს ბ ო კ ვ ი ს მეგრულ შესაბამის სახელწოდებად აღ. მაცაშვილს მოჰყავს ჩ ა მ ფ ა. იქვე პარალელურ სახეობად ნაჩვენები აქვს ჩ ა მ ქ ვ ა¹, რაც ამოსავალი ფუძე ჩანს ჩ ა მ ფ ა ს თ ვ ი ს². „კართხას ძველად ღვინის სასმელად ხმარობდნენ. ვაკეთებდით ცაცხვისას, თხმელისას და ჩ ა მ ქ ვ ი ს ა ს“ (შინამრეწ. ს. წალენჯიხა)³.

ჩამქვა-ს ამოსავლად ჩათვლას თითქოს ხელს უნდა უწყობდეს სათა-ნადო ფუძის წარმომავლობა. კერძოდ, ჩნდება ვარაუდი, იგი ძელქვ-ის მე-გრული შესატყვისიდან მომდინარეობდეს.

აღ. მაცაშვილი „მალალმთის ბ ო კ ვ ს“ (რომლის მეგრულ შესაბამი-სად მოჰყავს ჩ ა მ ფ ა) ნეკერჩხლისებრთა ოჯახს მიაკუთვნებს⁴. ძელქვა-ც (განსაკუთრებით მისი მეორე, დიალექტური მნიშვნელობით) განმარტე-ბული აქვს ლეკის-ხე-დ, რომელიც აგრეთვე ნ ე კ ე რ ჩ ხ ლ ი ს ე ბ რ თ ა ოჯახში შედის⁵.

ასე რომ, ხის გვარობის მიხედვით, მათ (ჩ ა მ ფ ა-სა და ძ ე ლ ქ ვ ა-ს) შორის ერთიანობაა.

აქ ის გარემოებაც არის ანგარიშგასაწევი, რომ ძ ე ლ ქ ვ ი ს მეგრულ შესატყვისად აღ. მაცაშვილს მოყვანილი აქვს ძ ე ლ ქ ვ ა, რაც რა თქმა უნ-და, ქართულიდანაა შესული (როგორც გახმოვნების მიხედვით, ისე ძირე-ული ძ თანხმოვნის მიხედვით).

ამდენადვე, ირკვევა, რომ ქართ. ძ ე ლ ქ ვ ი ს ნამდვილი მეგრული შესატყვისი არ ჩანს. ამ ვითარებაში, ბუნებრივია, დაისვას კითხვა, სწო-რედ ჩ ა მ ფ ა < ჩ ა მ ქ ვ ა ხომ არ წარმოადგენს ძ ე ლ ქ ვ ი ს მეგრული შესატყვისის ფონეტიკურად ცვლილ (რეგრესულ ასიმილაციით გაფშვიენ-ვიერებულ) ვარიანტს (*ჯა[c]⁶-ქუა > ჩა[c]ქუა > ჩამქუა > ჩამფა).

¹ აღ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 47.

² ავტორს იქვე მესამე სახეობაც – ჩ ა მ ჰ ვ ა-ც – აქვს დასახელებული. ეს ვარიანტი ნაკლებადაა გავრცელებული.

³ მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილხელოსნობის ისტო-რიისათვის, აკად. ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. II, ნაწ. I, მეჭურჭლეობა, თბ., 1979, გვ. 235.

⁴ ქეგლ, ტ. I.

⁵ ქეგლ, ტ. IV.

⁶ [c]-ში ვგულისხმობთ სონანტს.

ფიტკირი

სვანურს ქართული ქვიტკირი || ქვიტკირი ფიტკირ-ად გადაულია:

ფიტკირს ეშდფორი ზწ ესერ ხაკუ ლწფკვას
ქვიტკირი თორმეტი წელიწადი შრებოდაო¹.

ფიტკირს ნარდვ ესერ ხოჩა ხარი ნწხვირ – ხოლა.
ქვიტკირის სახლი საცხოვრებლად კარგიაო, ნანგრევები – ცუდი².

აფუ²

თანამედროვე ქართულში სტატიკური აქვს ზმნა გამოხატავს უსულო საგნის ქონას: აქვს ხელი, ჭკუა, ჯოხი, წიგნი...

ცნობილია, რომ ძველ ქართულში იგი გამოიყენებოდა როგორც უსულო საგნის, ისე სულიერი არსების ქონა-ყოლის აღსანიშნავად:

რამეთუ ჳელმწიფებამ აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტეგებად ცოდვათა – ლ. 5, 24³.

აქუნ და თევზიცა მცირედ – მრკ 8, 7.

ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემს – მ. 9, 36.

კაცი არა მ აქუს, რადთა... შთა-მცა-მაგდო საბანელსა – ი, 5, 7.

ქართულს სხვა ზმნებიც მოეპოვება ქონა-ყოლის გამოსახატავად. სულიერი არსებისათვის ამჟამად გაბატონებულია **ჳ-ყავ-ს** ზმნა. ამ მხრივ განსაკუთრებული მრავალფეროვნებაა (დრო-კილოებისა და კონტექსტების მიხედვით) ძველ ქართულში⁴.

ზანურშიაც სულიერი არსებისათვის ზოგადად გამოიყენება იგივე **ჳ-ყავ-ს** ზმნის ფუძე (მეგრ. **ყ-უნ** || **ყ-ვენ**, ჳან. **ყ-ო(ვ)** || **ყ-ო(ნ)** || **ა-ონ**), ხოლო უსულოსათვის – **ღ⁵** (< **ღვ?**).

-**ჳვ**- ფუძე არც ზანურში და არც სვანურში არა ჩანს.

¹ ალექსი და ვითიანი, სვანური ანდაზები, თბ., 1973, გვ. 143, №№28, 29

² ამის შესახებ დაიბეჭდა კრებულში „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. III, თბ., 1963, გვ. 29-32.

³ აქვც და ქვემოთაც: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., 1945.

⁴ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 230; ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954, გვ. 158.

⁵ არნ. ჩიქობავა, ჳანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 345, 356.

აღნიშნულ **-ჟგ-** ფუძესთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს მეგრულის თითქოს განმხოლოებით მდგომი აფუ („აქვს“) ზმნა, რომელიც ისევე არა ჩანს სხვა ქართველურ ენებში (იგი **ჭანური** სთვისაც კი უცნობია), როგორც **-ჟგ-** ქართულის გარდა არ ჩანს სხვა ქართველურ ენებში.

მეგრულში **აფუ** გარკვეულ შემთხვევებში გამოიყენება როგორც უსულო საგნის, ისე სულიერი არსების გამომხატველ სახელებთან.

აფუ გვხვდება შედგენილ შემასმენელში. იგი ამდენადვე გამოიყენება მიმღეობასთან, ზედსართავთან.

მაგ.:

ხე აფუნა მოჭარილი – მ. ტ.¹ 133¹⁸ – ხელი აქვთ მოწერილი.

ათეს დგნაჩინა აფუნია ჩქინდა – იქვე, 72²⁶ – ამას ჩვენთვის დაბარებული აქვსო.

დაზეპირებული მაფუ ბოშიმ სიტყვა – იქვე, დაზეპირებული მაქვს ვაჟის სიტყვა.

ვაჭარენს აფუნა ართ მაჟიშა ნარაგადგ – იქვე, 38¹⁹ – ვაჭრებს აქვთ ერთმანეთისთვის ნათქვამი.

პირობა აფუდუ მეჩამილი – იქვე, 213¹⁷ – პირობა ჰქონდა მიცემული.

ოჭიში ეტყაბარელი აფუნა – იქვე, 163¹¹ – წელი გადატყავებული აქვთ.

ირფელი დონწყილი რე, მუთ საჭირო აფუ... – იქვე, 132¹² – ყველაფერი მოწყობილია, რაც საჭირო აქვს...

ჩინჩიმ ეფშა აფუდგ დუდი – იქვე, 140¹⁸ – ჩენჩოთი ჰქონდა თავი სავსე.

თე ძღაბის სამხიარულო აფუ თენა – იქვე, 148¹² – ამ ქალიშვილს სასიხარულო აქვს ეს.

ქვარა ჰვირი აფუ შქირენით² – მუცელი დამწვარი აქვს შიმშილით.

არძოს თოლი წყარამი აფუ – იქვე, 156²⁹ – ყველას თვალი წყლიანი აქვს.

გური ალაჭვირი მაფუ – იქვე, 118¹⁴ – გული დაწყვეტილი (დამწვარი) მაქვს.

გუულერი აფუ ვადა – იქვე, 119¹⁴ – ვადა აქვს გასული.

¹ მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937.

² И. Кишидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-П. 1914, с. 175.

ოგურაფუმა მ ა ფ (-მ ა ფ უ) ო უ ლ ა რ ი – მ. ტ. 201¹⁶ – სასწავლად ვარ წასასვლელი („...მ ა ქ ვ ს წასასვლელი“).

ჩქიმი რაში დ ი ნ ა ფ ი ლ ი მ ა ფ უ ნ დო... – იქვე, 98¹² – ჩემი რაში დაკარგული მყავს („მ ა ქ ვ ს“) და...

(ჯოლორი)... ხაზენს თეში ა ფ უ ნ ი ა რ დ ი ლ ი ა – იქვე, 40¹⁸ – (ძალღი)... პატრონს ისე ჰყავს („ა ქ ვ ს“) გაზრდილიო...

ჩხოულეფი მ ა ფ უ ო თ ხ ი ლ ა რ ი ა – იქვე, 170³ – ძროხები მყავს („მ ა ქ ვ ს“) მოსამწყემსიო.

დედამიწაშ გილმალუ და პ ა ტ ი ქ ე ბ უ ლ ი ა ფ უ ჭ უ კ ის არძა – იქვე, 48¹⁶ – ქვეყანაზე მოსიარულე (რაც დადის) ყველა დაპატიჟებული ჰყავს („ა ქ ვ ს“) თავგს.

დიდა დო მუმა და გ ი რ ე ბ უ ლ ი ა ფ უ დ უ – იქვე, 131²⁸ – დედა და მამა დაგირავებული ჰყავდა („ჰქონდა“, „აქვნდა“).

ასე მა და გ ი რ ე ბ უ ლ ი გა ფ უ ქ – იქვე, 30²⁵ – ახლა მე დაგირავებული გყავარ („გ ა ქ ვ ვ ა რ“).

ჩქი ჟირი კოჩი ვ ა ფ უ თ ო გ ი შ ა გ ო რ ი ლ ი ო ყვილარო? – იქვე 162³⁵ – ჩვენ ორი კაცი ვყავართ („ვ ა ქ ვ ვ ა რ თ“) ამორჩეული მოსაკლავად?

გიორგი ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი ვ ა ა ფ უ მ უ შ დ ი და დო მუმას – იქვე, 153¹⁰ – გიორგი „ცნობილი“ არ ჰყავს („ა ქ ვ ს“) თავის დედას და მამას (=ვერ იცნეს).

ოსურეფიშ განიშე მ ა ფ უ ქ ი ა მ ი შ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ე ლ ი ა – იქვე, 138¹⁴ – ქალებში მყავხარ („მ ა ქ ვ ხ ა რ“) ჩათვლილიო.

ხენწიფეს მუმა ა ფ უ ლ უ რ ე ლ ი – იქვე, 109²⁷ – ხელმწიფეს მამა ჰყავს („ა ქ ვ ს“) მკვდარი და სხვ.

იგივე აფუ მეგრულში გვხვდება არსებით სახელთანაც, როცა ლაპარაკია არა განუსაზღვრელად, ზოგად ყოლაზე (ან ქონაზე), არამედ როცა დაკონკრეტებული მიკუთვნებაა ერთი ადამიანისა (ან ნივთისა) მეორისადმი, როცა ვ ი ნ მ ე (ან რამე) ვ ი ნ მ ე ს რ ა მ ე დ მ ო უ დ ი ს, ე რ გ ე ბ ა.

შეადარე, ერთი მხრივ, „პეტრეს ჯიმა ც უ ნ ს“ – „პეტრეს ძმა ჰყავს“, და, მეორე მხრივ, „პეტრეს პავლე ჯიმა ა ფ უ“ – „პეტრეს პავლე ძმა ჰყავს (აქვს)“ = „პეტრეს პავლე ძ მ ა დ მ ო უ დ ი ს, ე რ გ ე ბ ა“, პავლე პეტრეს ძმაა“.

მაგ.:

ა თ ე ბ ე გ ო მ უ ა ფ უ მ უ ს გ ნ – მ. ტ. 99¹⁶ – ეს ბეგო თუ რა არის მისი (ეს ბეგო თუ რად „ჰყავს“ [„აქვს“], მ ო უ დ ი ს მ ა ს“).

ც ა ქ უ დ ი ა ფ უ ნ დ ო დ ი ხ ა – ჩ ა ფ უ ლ ა – იქვე, 136¹⁶ – ცა ქუდად ა ქ ვ ს და დედამიწა – ქალამნად და მისთ.

მსგავს კონტექსტთა სემანტიკურ-სტილისტიკური ბუნების გამო აფუ ჩვეულებრივ ადამიანის კატეგორიის სიტყვებთან გვხვდება: მო-ჯგირე აფუ, ნტერი აფუ, მეძობელი აფუ, ჯიმადი აფუ და მისთ¹.

აფუ აქ, როგორც ვხედავთ, ერთვის სახელობითი ბრუნვის ფორმის მქონე სახელს და მასთან ქმნის ერთგვარს, ისევ შემადგენელ შემასმენელს, რომელსაც ქართულში ვითარებითი ბრუნვა უდგება².

აფუ-ს ამ ფუნქციისათვის საყურადღებო პარალელები დასტურდება აქუ-ს ზმნისა ძველ ქართულში ისეთი ტიპის ფრაზებში, როგორცაა:

ყოველსა წინასწარმეტყველად აქუნდა იოვანე – მარკ. II, 32.

ვითარცა მამად გვაქუნდა სიმტიცჳ შენი – ი. მოც. 56, 8.

მიუხედავად იმისა, რომ განხილულ მასალაში აფუ მეშველი ზმნათანამედროვე ქართულის სამ ზმნას შეენაცვლება („აქვს“, „ჰყავს“, „არის“), კონსტრუქციულად იგი „აქვს“, „ჰყავს“, ზმნების შესაბამისია, ხოლო ამოსავალი სემანტიკის მიხედვით – „აქვს“ ზმნისა.

უსულო-სულიერის გაურჩევლობის თვალსაზრისით მეგრ. აფუ ძველი ქართულის აქუ-ს დონეზეა.

აფუ-ს ფუნქციის გარკვევის შემდეგ დგება კითხვა თვით ფუძის რაობისა. ა-ფ-უ || ა-ფ-უ-ნ-ში -უ არის ზანური გარდაუვალი ზმნების დამახასიათებელი სუფიქსი (შდრ. უღ-უ¹ნ¹ < უღ¹გ¹-უ-ნ¹ „აქვს“, უჩქ-უ-ნ¹ „იცის“ და მსგავსნი).

აფ- ფუძე იგივე უნდა იყოს, რაც ქართ. აქვ- ფუძეა.

ამ ვარაუდს მხარს უჭერს რიგი გარემოება, კერძოდ ის, რომ ზანურში არ დასტურდება (ა)-ქვ- ფუძე³.

ასევე უცნობია ა-ფ- ფუძე ქართულში⁴.

ქართ. ა-ქვ-, მეგრ. ა-ფ ფუძეთა იდენტურობას, როგორც ვნახეთ, ხელს უწყობს ფუნქციური მხარე, მათი გამოყენების არეალი. ფონეტიკუ-

¹ მეორე მხრივ აქვე შემოდის ის შემთხვევები, როცა ინვერსიულ ზმნაში გრამატიკული ქვემდებარე არა ჩანს, როგორცაა: მშია, მწყურია, მცოვა, მცხელა და მისთ. შდრ.: შქგრენი მაფუ დო ცუმენი – მ. ტ. 212³⁴ – „მშია და მწყურია“ (= „შიშილი მაქვს და წყურვილი“).

² სახელობითისათვის ქართულში შდრ.: „მამა ცოცხალი ჰყავს“.

³ -ქვ- ძირი გამორიცხული არაა ზანურშიაც იყოს განსხვავებული მნიშვნელობით, მაგრამ ჩვენ აქ გვიანტერესებს მისი მნიშვნელობა „ქონა-ყოლის“ გაგებით.

⁴ იგი არ შეიძლება უკავშირდებოდეს ძველი ქართულის „უ-ვ-ი-ს“ ზმნას. ამას ხელს უშლის სხვა გარემოებათა გარდა (კერძოდ, ფუნქცია) ხმოვნითი ელემენტის საკითხიც.

რი თვალსაზრისით ამ ფუძეთა ერთიანობის საფუძველი ჩანს ლაბიალური **ქვ** კომპლექსის ბილაბიალურ **ფ** ხშულში გადასვლის პროცესი.

მეგრ. **აფ**- (< **აქვ**-) შეთვისებული ჩანს ქართულიდან. ამას უკვე თქმულის გარდა ნათელს ხდის **ა**- პრეფიქსული ხმოვანი, რამდენადაც იგი არ წარმოადგენს ამ აგებულების ზმნების დამახასიათებელ ზანურ შესატყვისს, არამედ ემთხვევა სათანადო ქართული ფუძის გახმოვანებას.

ბუნებრივია დაისვას კითხვა, როდის უნდა შესულიყო **აქვს**- ზმნა ქართულიდან მეგრულში?

აფ-**(უ)**-ს ფუნქციური სიახლოვე ძველი ქართულის **აქვ**-**(ს)** (**აქუ**-**ს**)-თან გვაფიქრებინებს, რომ **აქვ**- მეგრულში შესულა ჯერ კიდევ ძველი ქართულიდან. შესაძლოა ჭანურში არარსებობა ამ ფუძისა (**აფ**- < **აქვ**-) იმის მაუწყებელი იყოს, რომ ამ ზმნის შეთვისება მეგრულში მოხდა იმ ეპოქაში, როცა, როგორც ვარაუდობენ, ქართულ კილოებზე მოლაპარაკე ტომებმა დაიკავეს ტერიტორია მეგრულ და ჭან ტომებს შორის¹.

¹ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1913, გვ. 56-57; ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. XV; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბ., 1936, გვ. 5, 8-9.

ბილაბიალური ფ მომდინარე „ჯვ“ ლაბიალური კომპლექსიდან

ფურაფა

ფ უ რ ა ფ ა მეგრულში მასდარია „გახურების“ გაგებით.

არის შემთხვევები, როცა სიტყვის ფუძეში გამოვლენილი ფ(უ) მიემართება ხუ კომპლექსს, მაგრამ ირკვევა, რომ ამოსავალში აქ ხუ სპირანტ-ლაბიალური კომპლექსი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ჯუ ხშულ-ლაბიალური კომპლექსი და სწორედ მას მოუცია ფ(უ), ე. ი. ეს პროცესი სავარაუდებელია ჩატარებულიყოს ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ენას ჯ ფარინგალური ხშული ჰქონდა დაცული.

ამ რიგისად მიგვაჩნია კერძოდ, ქართ. ხურ-ება (< ძვ. ქართ. ჯურ-) და მეგრ. ფ უ რ ა ფ ა (ქართ. გახურებული, მეგრ. გოფურაფილი). ამდენადვე, ფ(უ) მეგრ. ფ უ რ- ფუძისა სათავეს იღებს ჯურ- ფუძის ჯუ ლაბიალური კომპლექსიდან.

ბუნებრივია, ანალოგიური საკითხი დაისვას ზოგი ბ < გვ-ს შესახებაც, რამდენადაც დასაშვებია ფარინგალური მჟღერის (ღ) არსებობა.

ფეშუნეა

თუშურში პ. ხუბუტიას ფეშუნეა მოყვანილი აქვს „მ ც ო ნ ა რ ი ს“ მნიშვნელობით: „სვიოდი ფეშუნეა ხარი, ბრ¹ („სავსებით მცონარე ხარ, ბიჭო“). ამ სიტყვის ამოსავალი სახეობა უნდა იყოს თუშურში ავტორისავე დადასტურებული იმავე შინაარსის ჯვენეშო² (ბგერათა გადასმით).

¹ პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბ., 1969, გვ. 155.

² იქვე, გვ. 186.

ბილაზიალური პ მომდინარე „კვ“ ლაზიალური კომპლექსიდან

კაპელა

იმერეთის სოფ. ჭალვანში დადასტურებულია სიტყვა კ ა პ ე ლ ა. მას ლექსიკური მასალის შემკრები (ლ. ბიწაძე) ასე განმარტავს: „კაუჭი, მოკაუჭებული ჯოხი“-ო და დასძენს: „ზემო-იმერეთის სხვა სოფლებში მას შეესაბამება კ ა კ უ ჭ ა, კ ა კ უ ტ ი, კ ა კ უ ჭ ე ლ ა“-ო¹.

აშკარაა იმერ. **კაპელა**-ს ამოსავალი სახეობა იყო **კაკვი** მისი კნინობითის **-ელა** სუფიქსიანი ვარიანტით – ***კაკველა** (შდრ. იქვე კ ა კ უ ჭ ე ლ ა).

პიკვალი

მეგრულში პ ი კ ვ ა ლ ი ი. ყ ი ფ შ ი ძ ე ს ასე აქვს განმარტებული: „выпученный, вздутый (почки на деревьях, женские груди)“².

იმავე ავტორს მეგრულში მითითებული აქვს **კვიკვილი** მსგავსივე მნიშვნელობით („почки на дереве, специально на ольхе“: – თასი კვიკვილო ეშაგოთამა „уничтожить совсем букв. с семенем и почками“). იგი უდარებს ამ ფუძეს ერთი მხრივ, ქართ. კ უ კ უ რ ს ა და კ ვ ი კ ვ ი რ ს და მეორე მხრივ, მეგრ. გ ვ ი გ ვ ი ლ ს³.

პ ი კ ვ ა ლ ი მომდინარე უნდა იყოს **კ ვ ი კ ვ ი ლ ი**-საგან (შდრ. აქვე, ბ ი ბ ი ლ ი < გ ვ ი გ ვ ი ლ ი!) -ალ სუფიქსიანი დაბოლოებით (შდრ. კ ვ ი კ ვ ა ლ ი – იგივე ფუძე კნინობითის გახაზვით).

პონუა

პონ- ფუძეს შეიცავს მეგრულში ზმნა **პონუა**, მიკო-**პონუა**, რომელსაც ი. ყიფშიძე თარგმნის ასე: „приставить, прислонить“⁴. იგი თავისი სემანტიკით ჩანს ქართ. **კონ**-ებ ა (ე-**კონ**-ებ-ა)-სთან, რომლის მნიშვნელობა განიმარტება როგორც: „ეკვრის, ეხუტება“⁵ და მომდინარეც შესაძლოა იყოს სწორედ ქართულში შემონახული **კონ**- სახეობიდან (< || კუნ).

¹ ლ. ბიწაძე, ქართლური დიალექტის გავლენისათვის ზემო-იმერულზე სოფ. ჭალვანის მეტყველების მიხედვით, თსუ სტუდენტთა კრებული, 1958 წ. გვ. 223.

² მისი დასახ. ნაშრ. გვ. 298.

³ იქვე.

⁴ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 299.

⁵ ქეგლ, ტ. III.

პაიჭაძე

გურიაში საკმაოდ გავრცელებული გვარია **პაიჭაძე**. როგორც სხვა შემთხვევაში არაერთი გვარი, ესეც გამორიცხული არაა დაფუძნებული ყოფილიყო სათანადო საკუთარ სახელზე. გვხვდება მისგან ნაწარმოები სოფლის სახელწოდებაც – **პ ა ი ჭ ე ს ე უ ლ ი** (სოფ. ხიდისთავის თემში, ჩოხატ. რ.).

ამ გვარის სახელის ამოსავალი სახეობა უნდა იყოს ქართულშივე არსებული გვარი **კვაიჭაძე**¹. **კვაიჭაძის** შემდგომი გამარტივებული სახე (**ი-** ხმოვნის ჩავარდნით) უნდა იყოს **კვაჭაძე** (გურიაშივე გავრცელებული გვარი)².

ანალოგიური ფონეტიკური ცვლილებისათვის შდრ. **შაინიძე** > **შანიძე**³ და მისთ.

პოვნა

საფიქრებელია **პოვნა** ზმნის ძირეული **პ** თანხმოვანი მეორეული წარმოშობისა იყოს.

თვით ზმნის მნიშვნელობისათვის დასაშვებია სხვადასხვა გაგება ყოფილიყო ამოსავალი. ამის ნიმუშს გვაწვდის ქართული ენისავე დიალექტები. ცნობილია, მაგალითად, რომ ხევსურულ დიალექტში **პოვნა** არ გვხვდება. შესაბამისი მნიშვნელობით იქ გამოდის **მაქელვა**, რაც **კელ** სიტყვასთან არის დაკავშირებული⁴. მაგრამ ეს ერთი გზაა მისი გამოხატვისა.

პოვ-ნ ა ზმნის ფარდი სიტყვა მეგრულში **პალ-** ფუძეს იყენებს. ჩვეულებრივია უარყოფის გამოთქმებში: **ვე-პალ-უ** – „არ იპოვება“ და მისთ.

საგულისხმოა, რომ ი. ყიფშიძე ერთმანეთს უკავშირებდა სათანადო მეგრულსა და ქართულ ფუძეებს: „მაპალ¹უ“ (რ. მეპოვება – родственно, надо думать, и по ко рн ю⁵. ხაზგასმა ჩვენია! – ქ. ლ.), თუმცა დადებითში მათი ხმარება ნაკლებ ბუნებრივია. ისინი ძირეული მასალით მოსალოდნელია უკავშირდებოდნენ **კვალ-** სიტყვას (ფუძისეულ **-ალ**, **-ევ**, **-ოვ** დაბოლოებათა საკითხი საგანგებო ძიებას მოითხოვს).

ეს მნიშვნელობავე კარგად მქდავენდება ფშაურში, სადაც ძებნა-პოვნისთვის სწორედ ეს ამოსავალი „**კვლევა**“ იხმარება:

ქალს ნუ **ჰკვლევ** ჯვარობაშია
ტანთ ნათხოვარი აცვია,
ქალი თუ გინდა ლამაზი
დაჰკვლიე ქერის მკაშია⁶.

¹ იხ. გაზეთი „თბილისი“ 1962 წ. 29 ნოემბრისა, გვ. 4, 1966, 4 და 5 მაისის ნომრები.

² თვით „კ ვ ა ი ჭ ა ძ ე“-ც საფიქრებელია, გარკვეული ცვლილების შედეგი იყოს. არაა გამორიცხული ხმოვანთა შორის (კერძოდ **ი-**ს წინ) ჩავარდნილი იყოს თანხმოვანი.

³ იხ. აკ. შ ა ნ ი ძ ე, ეტიმოლოგიური შენიშვნები. თეთრი ქორი. „ლიტერატურული საქართველო“, 1970, 11 დეკ., გვ. 2.

⁴ ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 163.

⁵ ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 296.

⁶ ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V. თბ., 1961, გვ. 306.

ან კიდევ: „ნათქვამს რაღა **კვალის კვლევა** (ხაზგასმა ჩვენია! – ქ. ლ.) უნდა, თითონვე იმახის, სოსეს ვენახზე შემოვიარო!“¹.

ანალოგიისთვის საყურადღებო პარალელს გვაწვდის აფხაზური ენა. აქ ძეგნა-პოვნა დაკავშირებულია სწორედ კვალთან, შდრ. აშთა – „კვალი“ და დ-ა-შთო-ჟპ „ის (ად.) მას (ნ.) ეძებს“ (= „მის-კვალს-არის“).

მეგრულში უარყოფითი „ვე-პალ-უ“-ს გვერდით დადებითი ფორმით იგივე შინაარსი ვფიქრობთ გადმოცემულია სავარაუდოდ „კვ“-ს შემცველი სახეობით გამოთქმაში „ქ ი მ კ ი კ ვ ა ლ უ“, რაც ნიშნავს „დაიკარგა“, – „არ იპოვება“ = „კვალი არ ჩანს მისი“.

პანტა

პანტა წვრილი, პატარა ნაყოფის სახელად გამოიყენება. ქართულში საერთოდ იგი „ტყის მსხალია“². გურულ კილოში კი „ტყის ვაშლს“ ჰქვია. არც ერთსა და არც მეორე შემთხვევაში იგი ვაშლის ან მსხლის ამსახველი არ უნდა იყოს. თავისი ძირითადი ფუნქციით იგი უნდა წარმოადგენდეს მსაზღვრელს და საზღვრულთან ერთად სრული სახით უნდა ყოფილიყო მხოლოდ ასე: **პანტა მსხალი**, **პანტა ვაშლი**, რაც მიუთითებდა იმას, რომ მხედველობაშია წვრილი მსხალი თუ ვაშლი.

ეს გაგება კარგადაა გადმოცემული იმ ილუსტრაციაში, რომელიც ქ. მოწინიძეს მოჰყავს იმერულისათვის: „პანტა მსხალსაც ერქმევა და ვაშლსაც, როცა უნამყენოა“; ნამყენი რო არ არი და წვრილია ვაშლი და სხალი, პანტას ვუძახით ჩვენე“³.

ამოსავალი ფუძით (პანტაში **ტ**-ს წინ განვითარებული **ნ**-ს გარეშე) იგი უნდა უკავშირდებოდეს მეგრ. **კვებე** რ ე/ლ ე¹-ს, რომელიც ასევე ვაშლისა და მსხლის სიპატარავის განმსაზღვრელად გამოიყენება: „**კვებერი** (|| **კვებელი**) უშქური“, „**კვებერი** (|| **კვებელი**) სხული“⁴. შდრ. მეგრულშივე მეტსახელი ბავშვისა **კვებე** – „პაწია“.

საყურადღებოა, რომ იმავე იმერულში **პანტა**-ს გვერდით ამოსავალ მეგრულ ვარიანტში დაცულ **კვებელი** ფუძესთან ახლო მდგომი „**პანტელა**“ სახეობა გვხვდება⁵.

რაც შეეხება პანტის ახმოვნიან ვარიანტს, იგი უჩვეულო არ არის სათანადო ფუძისათვის ქართულ დიალექტებში, შდრ. **კვაჭაჭა** „პატარა (ადამიანი)“, **კვატა მუჭა** „ტანით პატარა“⁷ და სხვ.

¹ ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა .

² ქეგლ, ტ. VI.

³ ქ ე თ ე ვ ა ნ მ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული ლექსიკონი.

⁴ შდრ. სვანურში: პატარის აღმნიშვნელი „გოწო“ გამოთქმებში: „გოწო ვის გვ“ „პანტა ვაშლი“, „გოწო ვიცხ“ „პანტა მსხალი“ (ალ. მაყაშვილი, დასახ. ნაშრ.).

⁵ ქეთ. მ ო წ ე ნ ი ძ ე , დასახ. ნაშრომი.

⁶ ქართლური დიალექტის ლექსიკონი, 1981.

⁷ ზ . გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე , იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.


ბილაბიალური პ მომდინარე „ყვ“ ლაბიალური კომპლექსიდან

პირი

მეორეული წარმოშობის **პ** უნდა გვექონდეს მეგრულ **პირ**- სიტყვაში, რომელსაც ვარიანტებად აქვს **პეირ**-ი, **პეულ**-ი. ი. ყიფშიძე მათს შემდეგს განმარტებასა და თარგმანს აძლევს: „цветок, цветы на деревьях“¹.

როგორც წარმოდგენილი ვარიანტებიდან ჩანს, მეგრულში სუფიქსი-სეულ თანხმოვნად **-ლ**-ცა გვაქვს და **-რ**-ც (პეული || პეირი || პირი).

ამოსავალი ამ ფუძეთათვის უნდა ყოფილიყო იგივე **ყვავილი** შემდეგი ცვლილებებით:



ჯამბი

მეგრული **ჯამბი** „თუთის ხე“-ს აღნიშნავს. იგი რთული შედგენილობისაა. მისი პირველი ნაწილი **ჯა**, როგორც ცნობილია, ზანური შესატყვისია ქართული ძ ე ლ ი ს ა და აქვს ხ ი ს მნიშვნელობა. მეორე ნაწილი **მბ**-ი კი გარკვეული რთული ცვლილებების შედეგად უნდა იყოს მიღებული **მაყვალ**- სიტყვისაგან, რაც დღეს მეგრულში მ უ ჟ -, მ უ ჟ ი ა -ს სახით არის წარმოდგენილი (ნაყოფის სახელად)² და რაც მეგრულისათვის ***მოყვ**- სახეობას გვაგვარაუდებინებს³.

ამრიგად, **ჯამბი** გამოდის „მ ა ყ ვ ლ ი ს ხ ე“, „ხ ე-მ ა ყ ვ ა ლ ი“. მ ა ყ ვ ა ლ ს ამ შემთხვევაში უფრო ფართო კენკროვანი ნაყოფის შინაარსი აქვს.

მ ა ყ ვ ლ ი ს მეგრ. ამოსავალ ***მოყვ**- ფუძეში **ყვ** ცვლილა **სვ**-დ (*მ ო ყ ვ - || *მ უ ყ ვ - > *მ უ ჟ ვ -) მეგრულისთვის საერთოდ დამახასიათებელი ყ > ჰ პროცესის საფუძველზე, ხოლო განხილული **ყვ** (> **სვ**) კომპლექსიდან **პ** ზაგისმიერ ხშულად შერწყმის ნიადაგზე მიგვიღია **მპ** (< **მყვ** > **მსვ**). საფიქრებელია, ეს მოხდა **ყვ**-ს **სვ**-დ ქცევამდე.

¹ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 298.

² ალ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

³ Karl Horst Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes süd-kaukasischen Grundsprache. Wiesbaden, 1962, s. 123.

ეს ლაბიალური სახეობა აღდგენილი ფუძისა დღესაც დასტურდება მეგრულივე **ციმცვა** („მარწყვი“) სიტყვაში. ამდენადვე სავსებით სარწმუნოდ გვეჩვენება ი. ყიფშიძის მიერ **მუც**-ისა და **ციმცვა** სიტყვათა ურთიერთ დაკავშირება¹.

მეორე მხრივ იმავე ამოსავალ წინასაფხურის ლაბიალურ (***მუცვ**-) ფუძეში **ცვ**-ს მოსვლია დელაბიალიზაცია (ალბათ, წინმავალ **უ**-სთან დისიმილაციით. მსგავსი მოვლენა უნდა გვექონდეს მეგრ. **ოცე**-ში, – რაც ი. ყიფშიძეს მართებულად აქვს დაკავშირებული ქართ. „საყვირთან“², და – რომელიც მომდინარე ჩანს ***ოცვე**“-საგან და წარმომდგარა მ უ ც ი, მ უ ც ი ა.

ჯაპი³ სახეობა მოყვანილი სიტყვისა **ჯ ა მ პ ი ს** შემდგომი გამარტივებაა.

ეს გამარტივებული ვარიანტი დასდებია საფუძვლად ტოპონიმებს, როგორცაა **ჯაპანა**⁷ (ლანჩხუთის რ.) < ***ჯამპონა** (ე. ი. „თუთოვანი“) და **ჯაპაქარი**⁴ (ხობის რ.), ე. ი. ადგილი, სადაც შაქარით ტკბილი თუთაა.

გამარტივებულია **ჯ ა მ პ** სიტყვის ფუძე სხვა მიმართულებითაც. მეგრულში თუთის ნაყოფისათვის გამოყენებულ **ჯ ა მ კ ა კ ა ლ**-ში მარცვლის გაგებით **კ ა კ ა ლ** სიტყვის დართვისას სამი თანხმოვნის თავმოყრის გამო წინმავალი ფუძისეული **პ** ჩამოშორებია და ***ჯ ა მ პ**-ისაგან შემოგვრჩენია **ჯ ა მ**-.

წიამპოლა

მ ა რ წ ყ ვ ი ს თ ვ ი ს ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა სახელი გვხვდება. იმერულ დიალექტში მას **წ ი ა მ პ ო ლ ა ს** ეძახიან⁵. იგი ორი სიტყვისაგან უნდა შედგებოდეს. პირველ კომპონენტად გამოიყოფა **წია**-, რომელიც მსაზღვრელად უნდა გვევლინებოდეს (იხ. ქვემოთ), ხოლო მეორე ნაწილი იგივე **მ ა ყ ვ ა ლ ი** (-**ა** სუფიქსდართული) სიტყვაა, რომელიც ზოგადად კენკროვანი ნაყოფის შინაარსით არის გამოყენებული. ამიტომაც ბუნებრივია იგი მსაზღვრელსაც მოითხოვს (შდრ. აქვე, **ჯ ა მ პ ი**).

¹ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 285, 370; აგრეთვე ივ. **ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი**, ეკონომ. ისტ., ტ. II, გვ. 280.

² ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრომი.

³ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრომი.

⁴ იქვე.

⁵ ალ. **მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი**, ბოტანიკური ლექსიკონი..., გვ. 47. იმერული დიალექტის ლექსიკონები (ზ. წერეთლისა, ქ. ძოწენიძისა, პ. გაჩეჩილაძისა) მას არ მიუთითებენ. პირადად ჩვენ იგი ქვემო იმერულში გავგიგონია. როგორც იმერული დიალექტის კუთვნილება შესულია ქველ-ში (ტ. VIII).

რ. ერისთავს თავის ბოტანიკურ ლექსიკონში (იმერულისათვის) იგი შეტანილი აქვს **წ ი ა მ პ ო ლ ი ს** სახით. იხ. მისი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, თბ., 1884, გვ. 35 (§ 528).

სწორედ ამ მეორე -**მპოლ**-ა ფუძეში მომხდარა მკვეთრი ლაბიალური კომპლექსის ბაგისმიერ ხშულად შერწყმის ფაქტი და **მაყვალ**- სიტყვის **ყვ**-საგან მიგვიღია **პ**, ხოლო ამ ნიადაგზე *მაპალ- > ***მპალ**- > **მპოლ**- (ბაგისმიერთა -**მპ**-ს გარემოცვაში **ა > ო**).

რომ ამ სიტყვას სწორედ ასეთი ცვლილება მოსვლია და **პ** ამ გზით მოდის მ ა ყ ვ ა ლ სიტყვისაგან, ამას ნათელს ფენს მეგრულში არსებული იგივე სიტყვა **ციმცვა, ცემცვა, ცემცუა** (> ცემუა)¹.

მეგრულის **ციმცვა** იგივე **წიამპოლა** < ***წიამაყვალა** არის პირველი თანხმოვნის ფშვინვიერი სახეობით.

ამ სიტყვის გავრცელების თვალსაზრისით საყურადღებოა ადიღურ ენათა ვითარება. ქართველური ენებიდან იგი შესული ჩანს აღნიშნულ ენებში.

ადიღურში საერთოდ მ ა რ წ ყ ვ ი ს, მ ა ყ ვ ლ ი ს ა და თ უ თ ი - ს ა თ ვ ი ს ა ც გამოიყენება მ შ რ ა კ უ ლ. ასე მაგალითად, შაფსულურ დიალექტში მ შ რ ა კ უ ლ „მ ა რ წ ყ ვ ს“ აღნიშნავს. ამ მხრივ ყურადღება მისაქცევია ის გარემოება, რომ ყაბარდოულში მ ა ყ ვ ლ ი ს ა თ ვ ი ს გამოიყენება მ შ რ ა კ უ ლ ჰ წ ზ, ე. ი. „შ ა ვ ი მ ა რ ა კ ვ ა“ = „**შავი** მ ა რ წ ყ ვ ი“².

კენკროვანთა სახელების ერთიდან მეორეზე გადანაცვლებისა და განსხვავებულად ფ ე რ ი ს აღმნიშვნელი მსაზღვრელის დართვის ფაქტი ფრიად ანგარიშგასაწევია სწორედ განსახილველი ფუძეების ეტიმოლოგიის დროს.

ადიღულ ენაში (შაფსულური დიალექტის გამოკლებით) გარდა ამისა მ ა რ წ ყ ვ ი ს ა თ ვ ი ს გვხვდება იგივე ქართველური ენების ფუძის ნაწილობრივ განსხვავებული სახეობა – **ცემფჷ** (შდრ. წ ი ა მ პ ო ლ ა || ც ი მ ც ვ ა < *ც ი მ ყ ვ ა < *წ ი მ ყ ვ ა...)³.

სპეციალურ ლიტერატურაში ყაბარდოულისათვის არ უთითებენ ამ სიტყვას⁴.

სათანადო ლექსიკონებში მ ა რ წ ყ ვ ი ს აღსანიშნავად რუსული სიტყვა земляника არის შეტანილი⁵.

მაგრამ ყაბარდოულშიაც რომ უნდა გვექონოდა ეგევე ფუძე (და გამოირიცხული არაა დიალექტთა ლექსიკაში დღესაც იჩენდეს თავს), აშკარა ხდება აბაზური ენის მონაცემებით. აბაზურში შემონახულია ყაბარდოუ-

¹ ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი; ალ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი.

² А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, А.-Н. Москва, 1977, с. 266.

³ სვანურში გვხვდება აღნიშნული ფუძე დელაბიალიზებული სახით, რის გამოც დაცულია ყ ამოსავალი თანხმოვანი: ცინყვა „მოცვი“ (იხ. ალ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 47), და შ დ ვ ე ც ი ნ ყ ა – ხეჭრელი (იქვე, გვ. 98) „დათვის მოცვი“? დამდვამ ც ი ნ ყ ა „დათვის მოცვი“.

⁴ იხ. А. К. Шагиров, დასახ. ნაშრომი.

⁵ Русско-кабардинский словарь, москოვი, 1955.

ლიდან ნასესხები მარწყვის სახელწოდებად **ჭუმფ**. მისი ვარიანტი **ჭუმფ** წარმოდგენილია სალიტერატურო ენაში¹. აბაზური ენის აზნარულ დიალექტში ჩვენ ჩაწერილი გვაქვს მისი **ზუმზ** სახეობა, ე. ი. – გაუფშვინვიერებელი. **ჭუმფ** || **ზუმზ** აბაზურში აღნიშნავს როგორც მარწყვს, ასევე თუთას და საერთოდ კენკრას.

აბაზურში შემონახული ზემოთ მოყვანილი **ჭუმფ** || **ზუმზ** ფუძე ადიღური ენის **ცუმფ** (< *ცუმპა) ყაბარდოულ შესატყვისს წარმოადგენს თავისი მჟღერი ლაბიალიზებული **წ** სპირანტით (რომელიც, თავის მხრივ, აფრიკატის სპირანტიზაციითაა წარმოდგენილი) და იმ დროს უნდა იყოს შესული აბაზურში, სანამ ყაბარდოულში ადიღური პრერუპტივი ც-ს შესატყვისად მჟღერი ლაბიალიზებული **წ** – სპირანტიდან მომდინარე კბილბაგისმიერ **ვ**-ს მივიღებდით.

ახლა რაც შეეხება წიამპოლას პირველ კომპონენტს, **წია**- მასში წითლის აღმნიშვნელი ფუძე უნდა იყოს და რაკი **მპოლ**-ა **მაყვალ**-სიტყვის ფუძეს ეყრდნობა, ბუნებრივი იყო, „მარწყვის“ სახელი რთულ, კომპოზიტურ შენაერთში წარმოდგენილიყო „წითელი-მაცვალ“-საგან, ე. ი. იმავე მაცვალს მსაზღვრელად მარწყვის დამახასიათებელი ფერის აღმნიშვნელი ფუძე დართვოდა (შდრ. ზემოთ. ადიღურში, პირიქით, მაცვლისათვის „შავი მარწყვის“ დარქმევა).

ამ თვალსაზრისით ფრიად საგულისხმოა ივ. ჯავახიშვილის მიერ მითითებულ ერთი დეტალი. იგი წერს: „მარწყვის ჭანურ სახელად ნ. მარს „კანდლუ“ აქვს აღნიშნული (ჭ. გ. 152), მაგრამ იოს. ყიფშიძეს ჭანეთში ყოფნის დროს მარის ნაშრომის თავის წიგნში ამ ადგილას კიდევ ფრჩხილებ შუა ფანქრით მიუწერია „**მაყვალაო**“. ხოლო ზემო კიდევ მარჯვნივ ფანქრითვე მარწყვის (земляника) ჭანურ სახელად ჩაწერილი აქვს „**მკითა კანდლუ**“. მამასადამე, მარწყვს „წითელი მაცვალი სწოდებიაო“ დაასკვნის².

ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს არქ. ლამბერტის აღწერილობაზე: „სამეგრელოში მარწყვი ისე ბლომად არის, რომ თითქოს წითელი ხალი დაუგიათო“³. ამ აღწერილობაში განსაკუთრებით დამახასიათებელია არქ. ლამბერტის გამოთქმა „თითქოს **წითელი** ხალი დაუგიათო. ივ. ჯავახიშვილი ასევე მიმართავს გარსევან ჩოლოყაშვილის „ხილთა ქებას“, სადაც იგი მარწყვის მთავარ თვისებათაგან მის წითელ ფერს უსვამს ხაზს: „მარწყვმა სთქვა: „მოვალ პირველად, მე ვერა მისწრობს ხილიცა, **ფერად** მსგავსი ვარ **ლალისა**, მერე საჭმელად ტკბილიცა“⁴. „წიამპო-

¹ Русско-абазинский словарь, მოსკოვი, 1956.

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1934, გვ. 277.

³ იქვე, გვ. 275.

⁴ იქვე, გვ. 276; 281.

ლ ა ს თ ა ნ“ დაკავშირების გარეშე ივ. ჯავახიშვილს ზემოთ გაანალიზებული „ც ი მ ე ც ა“-ს ცი „წითლის“ მნიშვნელობის მქონედ მიაჩნია და აღნიშნავს „წი“-ს ფონეტიკური სახელცვლილება უნდა იყოსო¹.

წია- ფუძის, რომელშიაც ინტერვოკალური პოზიციის წყალობით თანხმოვანი ჩანს გაუჩინარებული, – წითლის მნიშვნელობით გამოყენება როგორც ცნობილია (იხ. ქვემოთ) არც თუ იშვიათი მოვლენაა ქართული ენის რთულ სიტყვებში.

წი-ა წი თ-ე ლ ს უკავშირდება ძირეული მასალით. ია-ს შორის **თ** თანხმოვანი (ან რომელიმე ბგერინაცვალი) ჩანს ჩავარდნილი. ცნობილია, რომ **წია-ს ჭია** შიშინა სახეობაც მოეპოვება (იხ. ქვემოთ), რაც გვადლევს გარკვეულ შესატყვისობას ქართულ-ზანურის ტიპისა, შდრ. ქართ. წ ი თ ე ლ ი და ზან. ჭ ი თ ა², მაგრამ შიშინა ვარიანტი, როგორც ირკვევა, ქართულშიაც არაიშვიათად გამოჩნდება (ქართულ დიალექტებში შიშინა ვარიანტის გავრცელების საკითხი საგანგებო ძიებას მოითხოვს როგორც ამ შემთხვევაში, ისე არაერთ სხვა შემთხვევაში).

სიტყვა **წი თ-ე ლ ი** და მისი ზანური შესატყვისი საერთო იბერიულ-კავკასიურ მონაცემად ითვლება. ეტიმოლოგიურად მას ცეცხლის აღმნიშვნელ ფუძეს უკავშირებენ³.

ქართ. წ ი თ ლ ი ს წარმომავლობაზე სხვა მოსაზრებაც არსებობს. მ. ანდრონიკაშვილი ვარაუდობს, რომ ეს სიტყვა კავშირშია ოსურ-დიგორულ ფორმებთან c’etun: c’itt „ნათება, განათება“ და c’ita „სხივი“ (მცირე სინათლისა = ირონ. „ruksy c’yr“⁴-სო) და იგი ერთ-ერთ მაგალითად შეაქვს ქართულში სკვითურ-ალანურ-ოსური ენებიდან შეთვისებულ სიტყვათა რიგში⁴. მაგრამ ამ ვარაუდს ანგარიშგასაწევი დაბრკოლებები ეღობება წინ.

¹ იქვე, გვ. 280.

² არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 234-235.

³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, „ცეცხლი“ და „წითელი“ – საერთო ფუძის სიტყვები იბერიულ-კავკასიურ ენებში“. მოხსენება წაკითხული ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-6 (12) სამეცნიერო სესიაზე 1955 წ. იხ. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 19-20.

ზოგ შემთხვევაში ეს წითლის აღმნიშვნელი წ ი ა- ს ი ს ხ ლ-საც მიემართება. ქ. მოწინიძეს, მაგალითად, იმერეთში დამოწმებული აქვს გამოთქმა მ ა მ ა წ ი ა თ („მამასისხლად“): „მ ა მ ა წ ი ა თ იყიდებოდა ჩემი თავმობმული ქვევრა და ისარნა“ (იხ. მისი ზემო-იმერული ლექსიკონი, თბ., 1974).

ამგვარი მიმართებისათვის ინტერესს აღძრავს ჭან. დ ი ც ხ ი რ ი („სისხლი“) და გურულ დიალექტში დადასტურებული დ უ რ ც ხ ი „მეტად წითური“ (იხ. გ. შარა-შიძე, გურული ლექსიკონი, კრბ.: ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1938).

⁴ მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 127.

ჯერ ერთი, ავტორს არა აქვს მოცემული ზემოხსენებულ სიტყვათა არც ეტიმოლოგია და არც ფუძის ისტორია ირანულ ენათა ამოსავლის თვალსაზრისით. მეორე მხრივ, ოსურის ცნობილი სპეციალისტები *c'yr/c'irt*-ისა და *ruxsy c'yr*-ის, – რომელთანაც ზემოხსენებულ მსჯელობაში გაიგივებულია დიგორული ვარიანტი, – სულ სხვა გაგებასა და ეტიმოლოგიას იძლევიან. ვ. აბაევის მიხედვით: „*c'yr/c'irt* брызга, маленькая короткая струйка лучик света...“ ბოლოს კი ავტორის დასკვნით იგი არის „звукотражающее слово“¹.

შეიძლება სადავო იყოს ვ. აბაევის მიერ მოცემული ეს კლასიფიკაცია ფუძისა, მაგრამ სხვა დამაჯერებელი ახსნა ოსურის სათანადო სიტყვებისა თითქოს არა ჩანს.

ეგებ, თუ მართლა აქ ქართულთან საერთო ფუძე გვაქვს – პირიქით დასმულიყო საკითხი – ქართულიდან ხომ არ შესულა იგი ოსურში. ამ მხრივ კერძოდ დამაფიქრებელია მკვეთრი აფრიკატის არსებობა ოსურ ფუძეში (მით უმეტეს ამოსავალში).

წ ი ა-ს თავისი ძირითადი მნიშვნელობით, – ც ე ე ც ლ ი ს გაგებით გამოჰყოფენ „წ ი ა-კ ო კ ო ნ ი ა“ || „წ ი ა-კ ო კ ო ლ ა“-ში, რომელიც საყოველთაოდ გავრცელებული „ჭ ი ა-კ ო კ ო ნ ა“-ს ტოლფარდია და რომელსაც განმარტავენ, როგორც „აკოკოლავებულ ც ე ე ც ლ ს“². ამის კვალობაზე მისი მეორე კომპონენტი გაგებულია გაორკეცებულ ფუძედ³.

¹ В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, М.-Л. 1958, с. 340.

² ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ეტიმოლოგიური ეტიუდები (I, ჭიაკოკონა), ქართველურ ენათა სტრუქტურა, V, თბ., 1981.

³ ვ. ა ბ ა ე ვ ი, ქართ. (რაჭულ) „წია კოკონია“-ს ოსურ. *kakon / konojnæ, koko* (ქაქონ || ქონოჲნ, ქოქო)-სთან, – რაც „კვრინჩხს“ ნიშნავს, – კავშირში იგონებს, თუმცა ოდენ კითხვას სვამს, ხომ არ ნიშნავს იგი „კვრინჩხისგან დანთებულ კოკონსო“ იხ. მისი *Историко-этимологический словарь осетинского языка, М.-Л. 1958, с. 568.*)

ასეთი ერთიანობის შესაძლებლობას გამორიცხავს გ. ახვლედიანი და თავის მხრივ ერთმანეთს უახლოებს ქართ. ჭ ი ა კ ო კ ო ნ ა ს ა და ოსურ *къона*-ს (კონას), რომელსაც თარგმნის ასე: „очаг, костер; жилище, дом“ (იხ. მისი, *сборник избранных работ по осетинскому языку, Тб., 1960, с. 207.*)

ამ სიტყვათა კავშირი სარწმუნოდ მიაჩნია მ. ანდრონიკაშვილს (იხ. მისი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 56, 69).

მაგრამ ასეთი ვარაუდის დროს საჭიროა პასუხი გაეცეს რიგ საკითხს. კერძოდ, გასარკვევია, რა მიმართებაშია ოსური *k'ona* (კონა) მთლიანად რთულ „ჭიაკოკონა“ გამონათქვამთან; რით აიხსნება ამ ვითარებაში „გაორკეცებული“ სახე „კ ო კ ო ნ ა“-სი; რა მიმართება იგულისხმება *k'ona* -სა და „კოკოლა“-ს შორის და სხვ.

გასარკვევია თვით ოსური *k'ona* -ს ამოსავალიც. მას ვ. აბაევი თარგმნის მხოლოდ „очаг“-ად და, ეტიმოლოგიურად დაჰყავს რა სათანადო ირანულ ფუძემდე, სვამს საკითხს მისი შესაძლო კავშირის შესახებ „სახლის“, „ბინის“ თურქ.-ირანულ სახელებთან (იხ. აბაევი, იქვე, გვ. 636), ე. ი. გასარკვევია თვით ოს. *k'ona*-ს ამოსავალი მნიშვნელობა.

წ ი ა-კ ო კ ო ლ ა || ჭ ი ა-კ ო კ ო ლ ა, წ ი ა-კ ო კ ო ნ ა || ჭ ი ა-კ ო -
კ ო ნ ა-ს სემანტიკური გადანაცვლების თვალსაზრისით ძალზე საინტერე-
სო გამოდის იმერულ დიალექტში დადასტურებული მნიშვნელობა **წია-
კოკონია**-სი, რომელსაც ასე განმარტავენ: „ალიაქოთი, ჩხუბი, დავიდარა-
ბა“; „წივილ-კივილი, ალიაქოთი, არევ-დარევა“ („ქორწილი იყო, მოხთა
ჩხუბი და შეიქმნა წ ი ა კ ო კ ო ნ ი ა“)¹.

ამ სიტყვის ასეთი მნიშვნელობით გამოყენება ნათელს უნდა ჰფენ-
დეს ქართულ ენაში არსებულ „ა წ ი ო კ ე ბ ს“, „წ ი ო კ ო ბ ს“ ზმნათა ამოსა-
ვალ სემანტიკას.

თავდაპირველად იგი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ჭ ი ა კ ო -
კ ო ნ ო ბ ის ა თ ვ ის დამახასიათებელ ჟ ი ვ ი ლ-ხ ი ვ ი ლ თ ა ნ, ალია-
ქოთთან, წ ი ვ ი ლ-კ ი ვ ი ლ თ ა ნ, თითქოს წ ი ვ ი ლ ის ხმის გამოცემა
ედოს მას საფუძვლად, ეს მოჩვენებითია. თვით ეს წივილ-კივილის ხმა
ჭიაკოკონობის – წიაკოკონობის თანამგზავრია.

სიტყვის ასეთი სემანტიკის გახსნისათვის საყურადღებო კონტექსტს
ვხვდებით ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში: „ჯერაც თვალწინ მიდგას...
ხალხის წ ი ო კ ი ც ე ც ხ ლ შ ი“.

წ ი ო კ ო ბ ა სიტყვის ფუძე საკმაოდ გაცვეთილი ჩანს. აშკარაა ხმო-
ვანთ შორის გვაკლია თანხმოვანი. და ეს თანხმოვანი უნდა ყოფილიყო
წ ი ა-კ ო კ ო ნ ო ბ ის მეორე გაორკეცებული ფუძის **კ** თანხმოვანი, ე. ი.
„წ ი ო კ ო ბ ა“ საფიქრებელია მომდინარეობდეს „წი-კოკობა-საგან. ეს კი
თავის მხრივ „წ ი ა-კ ო კ ო-ბა“-საგან“.

მეტად საყურადღებო ამასთან დაკავშირებით ამავე მნიშვნელობის
მქონე „წიკო“ სიტყვა ფშაურისა, რომელიც წიკ-ს უდრის და რომელშიც
სწორედ ეს ჩვენ მიერ ნავარაუდები გაორკეცებული ფუძის პირველი **კ**
არის შე რ ჩ ე ნ ი ლ ი, მაგრამ „მოცვეთილია“ ბოლოკიდური მეორე **კ**
(< *წიკო...): ატირდებიან ერთადა, გამაადენენ წიკოსა².

წ ი თ ლ ის გამომხატველი წია- არამარტო წია-მ პ ო ლ ა შ ი გამოი-
ყოფა, იგი შედის მეორე კომპონენტ-მსაზღვრელად „ყელწია“-ში. ეს სი-
ტყვა გურულში ნაჩვენებია აქვს პ. ჯაჯანიძეს და ასე განმარტავს: „ყელწია –
ყელწითელა, გულწითელა ჩიტა“³. **ყელწია**, ყელწითელა ჩიტად ფიქსირე-
ბულია აჭარულშიც: „ვითომ სკიბოჩს დუმიზნე, მარა, ერთიც ვნახოთ, ჩემ
წინ ყელწია არ დავარდა!“⁴.

ჭია- || წია-ს „წითლის“ გაგებით გამოყენების სხვა ფაქტებიც იქცევს
ყურადღებას. ასეთად გვესახება **ჭია-მაია**⁵.

¹ ე. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი.

² იხ. ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალექსი ჭინჭარაულმა, თბ.,
1969.

³ პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, გურული კილო, I, თბ., 1977.

⁴ შ. ნ ი ქ ა რ ა ძ ე, აჭარული ლექსიკონი, გვ. 370.

⁵ შდრ. ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ზემოთ დასახ. სტატია.

ამ სიტყვის ანალიზისას პირველ რიგში, რა თქმა უნდა, **ჭია** „ხოჭოს“ გაგებით მოგვაგონდება¹ და ამიტომაც, რომ იოანე ბაგრატიონს თავის ლექსიკონში იგი შეაქვს „**მარიამ ჭია**“-ს სახით და იძლევა შემდეგ განმარტებას: „ბუზის ტოლია, ტანით **წითელი** (ხაზგასმა ჩვენია! – ქ. ლ.) და ზურგზედ ორი შავი ხალი აქვს, გაფრინდება კიდევ...“². საბასაც **ჭია**-ზე აქვს სწორედ იგი შეტანილი³.

ხალხში მისი დახასიათებისას მუდამ ხაზი ესმის მის ს ი წ ი თ - ლ ე ს. ინგილოურში იგი „მარიამა“-ს სახით გვხვდება. მისი აღწერისას ვკითხულობთ: „...დაისვამენ ხელზე და ეტყვიან: „უჩ მარიამ, უჩ, **წითელ კაზას** (ხაზგასმა ჩვენია! – ქ. ლ.) შეგიკერავ, უჩ, უჩ!“ ისიც გაშლის ფრთებს და გაფრინდება“⁴.

ჭ ი ა - მ ა ი ა ს სახელდებისათვის, ფუძის ამოსავალი შინაარსის გაგებისათვის ფრიად მანიშნებელია იმერულ დიალექტში დადასტურებული მისი სახელწოდება „წითელი მ ა რ ი ა“ („წ ი თ ე ლ ი მ ა რ ი ა გა - ფ რ ი ნ დ ა“)⁵.

ამავე სიტყვათა რიგს განეკუთვნება: ჭიაფერო, ჭიაფერა.

ჭიაფერი, რომელშიაც **ჭია**- „წ ი თ ლ ი ს“ აღმნიშვნელი და „ფერი“ გამოიყოფა შემადგენელ ელემენტებად, საკმაოდ სრულად და ადეკვატურად არის დახასიათებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. აქ ვკითხულობთ: „**ჭიაფერი**... წითელი ფერის საღებავი. მოყვანილია ბ. ჯორჯაძის ილუსტრაცია „წვენში ჩაყარეთ ჭიაფერი, წმინდად დანაყილი, დადგით და ორი პირი წამოადუღეთ“ || წითელი. მოყვანილია შ. არაგვისპირელის ილუსტრაცია „[ასულს] მარჯვენა ხელის სალოკი თითი... ჭიაფერ ფუნჩულა ტუჩზედ მიედო“. **ჭიაფრად** ზმნს. წითლად, მოყვანილია ვაჟა-ფშაველას ლექსიდან „სისხლი ჩამოსდის დემურსა ტანზე ჭ ი ა ფ რ ა დ, ჩქეფითა“⁶.

მსგავს შედარებებში იგი ფართოდ გამოიყენება. შდრ. მაგალითად: თავს დაკრა დედაბერასა, გაართხა მიწა-მტვერასა, აგლეჯდის თმისა წვერასა, სისხლს სდენდის ჭ ი ი ს ფ ე რ ა ს ა⁷.

ჭიაფერს – „წითელი ფერის საღებავს“ – მეგრულად სწორედ „**ჭითა** ფერს“ („წითელ ფერს“) ეძახიან.

¹ ფ. ე რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1980, გვ. 135.

² იოანე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, სალექსიკონო მასალები, წიგნ. დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოლოგიური ნაშრომები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სამიხედელი დაურთო ლილი ქუთათელაძემ, თბ., 1967, გვ. 199.

³ იხ. ლექსიკონი, გვ. 496, ჭ ი ა ს ი ტყვაზე.

⁴ ნ. რ ო ს ტ ი ა შ ვ ი ლ ი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978.

⁵ ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი.

⁶ ქეგლ, ტ. VIII.

⁷ ბ ე ს ი კ ი, თხზულებანი, 1962, გვ. 151.

ჭიაფერა-ც, მცენარის სახელწოდება, **ჭია**- პირველი ნაწილით წითელი მიუთითებს. იგი ასე ხასიათდება: „მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე: აქვს მოწითალო (ხაზგასმა ჩვენია! – ქ. ლ.) დატოტვილი ღერო, თეთრი წვრილი ყვავილები და ყურძნის მტევნის მსგავსად შეკრებილი ნაყოფი (საღებავად და მეღვინის გასაკეთებლად იხმარება)“¹.

ამ მცენარის აღნიშნული სახელი ქართულში საერთოდაა გავრცელებული, მაგრამ ალ. მაცაშვილს ქართულის დიალექტებსა და სხვა ქართველურ ენებში განსხვავებული ფუძეებიც აქვს მოყვანილი. ესენია: კხ., იმერული საფერავი, გურ.-იმ. ფერა-ფერა, ლჩხ. – მეფერვიე, რაჭ. – ფერუა, აჭ. – წყურტა, მეგრ. ჯამფეზია, ჯაფეზია, ჯაფაზია, სვ. – ჯამფეზ².

ფერ სიტყვის მნიშვნელობა ამ ხის მოყვანილ ფუძეებში ერთგვარად დავიწროებულია წითელი ფერის (საღებავის) გაგებით, რის გამოც შესაძლებელი გახდა „ჭიაფერა“-სთვის მათი გამოყენება თვით წითელი ალმნიშნელი **ჭია**- კომპონენტის გარეშე, როგორც ეს უკვე ივ. ჯავახიშვილს აქვს გარკვეული³.

ფერის ამდაგვარ გაგებას იძლევა „ფერ-უმარილიც“ და საყურადღებოა, რომ ნ. მარს ჭანურში ფერი ამ მნიშვნელობით აქვს ფიქსირებული („ფერი... красная краска для лица“)“⁴.

ამისდა კვალობაზე მეგრ. „ჯამფეზია“ უნდა იშლებოდეს ასე: „ჯა“ („ხე“) და „მფეზია“ < *მფეზია („მალეზავი“ [წითლად]), შდრ. ლეჩხუმური „მეფერვიე“. **ზ** („მფეზია“-სი) მომდინარე უნდა იყოს **რ**-საგან **ო** ხმოვნის წინ.

ჯამფეზია ვარიანტში ბაგისმიერი **ფ**-ს წინ **მ** გაუჩინარებულია.

წითლის ალმნიშნელი იგივე ძირი, რაც ზემოთ განხილულ ფუძეებში გამოვლინდა, საფიქრებელია, გვექონდეს ზოგ სხვა სიტყვაშიაც, ვფიქრობთ, მართებულად უკავშირებს ამ ფუძეს ალ. ჭინჭარაული „წითელი ხარის სახელს“ **წიქარა**-ს⁵. ჩვენი მხრივ დავუმატებდით რაჭული დიალექტის ლექსიკურ მასალაში (რომელიც შეკრებილია გ. რეხვიამვილის მიერ) მოცემულ დახასიათებას: „წუთულას წითელ ძროხას ვეტყვით. ხარს არ ეტყვიან წუთულას. წითელ ხარს წიქარას (ვ)უძახით“.

ეგების ამ ფუძისა და მისი შინაარსის გამოვლენა იყოს ხევსურულში გავრცელებული მამაკაცის – „წიქა“-ს – სახელში.

წითლის განხილულ ფუძესთან დაკავშირებით შეიძლება განხილდეს საკითხი ზოგი სხვა საკუთარი სახელის ფუძის ანალიზისა. ხომ არ შეიცავს **ჭია** ფუძეს წითლის გაგებით მამაკაცის სახელი **ჭიაბერი**?

¹ ქეგლ, ტ. VIII.

² ალ. მაცაშვილი, დასახ. ნაშრომი.

³ ივ. ჯავახიშვილი, ევ. ისტ. II, 489.

⁴ Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. С.-П., 1910, с. 193.

⁵ იხ. მისი დასახ. სტატია.

მისი მეორე ნაწილი ცნობილი ფუძეა (შდრ. კ ა ხ ა ბ ე რ ი და მრავალრიცხოვანი გვარის სახელები). შდრ. მზე-ჭაბუკი. გვარის სახელებში, რომლებიც ჩვეულებრივ მამაკაცის სახელებიდან არის ნაწარმოები, საკმაოდ ხშირია წ ი თ ლ ი ს შემცველი ფუძე; მაგალითად: წ ი თ ლ ი ძ ე, წ ი თ ლ ა - ნ ა ძ ე, ჭ ი თ ა ვ ა, ჭ ი თ ა ნ ა ვ ა... ჩვეულებრივია მამაკაცის ეპითეტად მ წ ი თ უ რ ი და სხვ.¹.

აღნიშნული წ ი თ ლ ი ს შინაარსის მქონე ძ ი რ ე უ ლ ი ნაწილი გაორკეცებული სახითაც გვხვდება ზოგ სიტყვაში.

ასეთია, მაგალითად, **ციცინათელა**-ს, ჩვენი აზრით, ამოსავალი სახეობა, – რაჭულ დიალექტში დადასტურებული – **წიწინათელა**².

საგულისხმოა, რომ იგივე ძირითადი ვარიანტი ამ სიტყვისა **წიწინათენა**-სა და **წიწინათერ**-ის სახით (აღბათ ქართულიდან შესული) მითითებული აქვს ნ. მარს ჭანურში³.

ამოსავალი ჭანურისთვის რაჭულში დაცული სახეობა გვეგონია, რაც უნდა ნიშნავდეს „წითელ-წითლად მანათობელს“⁴.

ამავე თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას იქცევს ზმ. რაჭულში არსებული სახელწოდება მარწყვისა **წიწინდერა** (შდრ. ზემოთ: წია-მპოლა) და მეგრულში ც ი მ ც უ ა-ს გვერდით ხმარებული **წიწიმდერა, წიწინდარა**⁵.

¹ საგულისხმოა, რომ ტოპონომიკურ სახელდებებში ასევე გავრცელებულია ეს ფუძე: „წ ი თ ე ლ ი“ – „ადგილია ჩარგალში“ (ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი. გვ. 364). ხშირად გვხვდება „წ ი თ ე ლ - გ ო რ ა“, „წ ი თ ე ლ - მ თ ა“, „წ ი თ ე ლ - ხ ე ვ ი“, „წ ი თ ე ლ - წყარო“, „წ ი თ ე ლ - კ ლ დე“, „წყალ-წ ი თ ე ლ ა“, „ჭ ი თ ა - წყარი“ და მისთ. ამავე საფუძველზე ხომ ასეთივე გაგების **ჭია**- არ მონაწილეობს გეოგრაფიული სახელების „ჭ ი ა უ რ ი“-ს, „ჭ ი ა თ უ რ“-ის შემადგენლობაში. კერძოდ, „ჭიათურა“ ხომ არ არის გამომდინარე ***ჭიათურა**“-საგან ბგერათ გადასმით (მის ასეთ სემანტიკას ერთგვარ გამართლებას მიანიჭებდა მის მიდამოებში წითელი მარმარილოს საბადოების არსებობა).

ოღონდ ამ რიგის ფუძეებში ზოგი საკითხი მაინც დასაზუსტებელია. გასარკვევია მაგალითად „წ ი ქ ა რ ა“-ში ქ წ ი თ - ე ლ ფუძეში არსებული **თ**-ს ბგერინაცვალა (რომლის ცალკეული ფაქტები ქართულში დასტურდება) თუ ცალკე ფუძის კუთვნილება? კერძოდ, მოსალოდნელია წ ი ქ ა რ ა მომდინარეობდეს **წი-ჭარა**-საგან (**წი'ო¹-ჭარ-ა**) – წარმოების ტიპის მიხედვით ამ ვარაუდს უდაოს უნდა ხდიდეს „**შავ-ფურ-ა**“-ს არსებობა; – „ჭ ი ა თ უ რ ა“-ში **თ** მართლა გადაისვა, თუ – ისიც სხვა ფუძის ნაშთია და სხვ.

² იხ. ზემოთ მოხსენებული გ. რეხვიაშვილის მიერ შეკრებილი რაჭულის ლექსიკური მასალა (ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფონდი).

³ Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. С.-П., 1910, с. 146.

⁴ არსებობს მისი ეტიმოლოგიის სხვაგვარი ახსნაც: პ. გაჩეჩილაძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები (ცივი, ციცივი, ციცინათელა...) კრბ. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974.

⁵ ალ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი.

წიწინდარა || **წიწინდერა**-ში შემავალი პირველი ნაწილი იგივე **წიწი**-გაორკეცებული ძირია, რაც გვაქვს „ც ი ც ი ნ ა თ ე ლ ა ს“ ამოსავალ „წიწი-ნათელა“-ში.

ამ სიტყვათა ანალიზისათვის საგულისხმოა მეორე ნაწილის მნიშვნელობის გარკვევა. „ციცინათელას“ მსგავსად მეორე ნაწილიც დამოუკიდებელ ერთეულს უნდა წარმოადგენდეს, თუმცა -**დარა** || -**დერა** თითქოს ცალკე არ გვხვდება. მაგრამ მისი წარმომავლობის გასარკვევად გასაღებს იძლევა რ. ერისთავისა და ალ მაყაშვილის მიერ იმერულში ივე და-მოწმებული მ ა რ წ ყ ვ ი ს სახელწოდება და რ და ლ ა¹.

აი ამ ფუძის მარტივი სახეობა -**დარა** || -**დერა** შედის **წიწინდარა** || **წიწინდერა**-ში².

მ ა რ წ ყ ვ ი ს ეს სახელი შესულა აფხაზურ ენაში მეგრულიდან ან რაჭული დიალექტიდან და აფხაზურში მოუცია „ა-წწწინდარა“. ბზიფურ დიალექტში ფუძისეული აფრიკატი სისინ-შიშინა ვარიანტით არის გადაღებული³ (შდრ. ზემოთ, აცგგ – სიტყვის სისინ-შიშინა ც და სხვა მსგავსი ფაქტები!). საყურადღებოა, რომ აფხაზურში ეს სიტყვა არ გვხვდება.

¹ რ. ერისთავი, დასახ. ნაშრ., გვ. 35 (№528); ალ. მაყაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

² აქ აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. იმერეთში ცალკე არსებული მ ა რ წ ყ ვ ი ს სახელი და რ და ლ ა გაორკეცებული ფუძის შთაბეჭდილებას ახდენს. თუ მართლაც იგი გაორკეცებული ფუძეა, რაიმე კავშირში ხომ არ არის ქართულ დიალექტებში დადასტურებულ „გიზგიზის“, „ვარვარის“ აღმნიშვნელ გაორკეცებულ ზმნის ფუძესთან – „დადანდარება || დადანდალება“-სთან? გურული დიალექტისათვის გ. შარაშიძეს (იხ. მისი, დასახ. ნაშრ.) მოცემული აქვს: „**დადანდალება, დადანდარება** ცეცხლისა – და გ უ გ უ ნ ე ბ ა , ა გ ი ზ გ ი ზ ე ბ ა“.

მ. ალავიძე ლექსიმურისათვის იძლევა შემდეგ განმარტებას: **გადარდარება** – გახურება, გავარვარება: „ნამეტანი გაგიდარდარებია ე თონე“ (იხ. მისი, ლექსიმური ლექსიკონი. კრბ. ქართველურ ენათა ლექსიკა, თბ., 1938).

ამის კვლობაზე „წიწინდარა“ – ე. ი. მარწყვი – ხომ არ გაეგებოდა როგორც „წი თ ლ-წი თ ლ ა დ მ ო გ ი ზ გ ი ზ ე , მ ო ვ ა რ ვ ა რ ე“?

³ Русско-абхазский словарь (по «Абхазско-русскому словарю» Н. Марра, с указанием к нему составили В. Кукба и А. Хашба), под редакции К. Дондуа. Труды яфетической семинарии, III, Л., 1928, с. 22.

დასკვნა

წარმოდგენილი მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ უკანაენისმიერ და ფარინგალურ ხშულთა ლაბიალური კომპლექსების ბილაბიალურ **ბ ფ ჰ** ხშულებად შერწყმის პროცესი საკმაოდ გავრცელებულია ქართველურ ენებში, თუმცა მას სისტემური ხასიათი არა აქვს. ეს მისი არასისტემური ხასიათი (ე. ი. პროცესი შეიძლება განხორციელდეს ან არ განხორციელდეს) გარკვეულ სიმნელეებს ქმნის ცვლილებათა მიმართულების დადგენის დროს, ისევე როგორც ეს ხდება ყოველგვარი ასეთი ხასიათის ფონეტიკური პროცესის შემთხვევაში.

ამ ფონეტიკური ცვლილების წარმოქმნას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ფიზიოლოგიური საფუძველი ბგერათწარმოებისა (ერთდროულად ხშულობა და ლაბიალურობა როგორც კომპლექსში) და, მეორე მხრივ, აკუსტიკური მომენტი.

როგორც ყოველი სპორადული ხასიათის ფონეტიკური პროცესი, იგი ფებს იკიდებს მნიშვნელობა-დაბნელებულ ფუძეებში (თავფართედ, ზუბი, პოვნა...), ადვილად ხორციელდება ნასესხებ ფუძეებში (პიროსიკა¹, აფუ, ფიტკირი...)², რთული შედგენილობის ფუძეებში და ა. შ.

იგივე ლაბიალური ხშულები შეიძლება მივიღოთ ქართველურ ენებში (მსგავსად სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისა, კერძოდ, აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენებისა) წინარიგის ხშულებისა და აფრიკატებისაგანაც ლაბიალურ გარემოცვაში, მაგრამ ასეთი შემთხვევები არც თუ ისე გავრცელებულია და ხშირად მათ საფუძვლად ისევ უკანასკნელი ხშულები აქვთ³.

ხშულთა შერწყმის ეს შესაძლო პროცესი ქართველურ ენებში მოქმედი ჩანს განვითარების სხვადასხვა პერიოდში (და თითქოს უფრო გავრცელებულია ზანურში). ზოგი აქ წარმოდგენილი მასალა შედარებით უფრო ძველ პერიოდზე მოდის, მაგალითად, ფ უ რ ა ფ ა, ა ფ უ... ზოგი კი შედა-

¹ ალ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, კნინობითობის წარმოება რაჭულში, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1952, გვ. 160.

² იშვიათად სასაუბრო ენაში შეინიშნება თითქოს საწინააღმდეგო მოვლენა: ნასესხებ სიტყვაში **უ**-ს წინამავალი უკანაენისმიერი ხშული აღქმულია ბაგისმიერ ხშულად, მაგ.: გულავკა – булавка, გულვარდი – гульвар, გუფეტი – сурет (იხ. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, V, **გ** სონანტის გადასვლა **ფ. ფ. ჰ**-დ. ენიმკის მოამბე, ტ. X, 1941, გვ. 234). აქ აკუსტიკურ მომენტთან ერთად გარკვეულ როლს უნდა ასრულებდეს სხვა ენის სუსტად მცოდნის მიერ თავისებური გააზრება სათანადო ფუძეებისა და მას კანონზომიერების ხასიათი არა აქვს.

³ იხ. ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ხშულ-ლაბიალურ კომპლექსთა შერწყმით მიღებული **ბ ფ ჰ** ქართველურ ენებში, იკე, ტ. XIV, 1964, გვ. 106-107.

რებით ახალია, როგორცაა ბ უ რ კ ა, უ ბ ი ლ ა ვ ა და მისთანანი, რომელთაც ჯერ კიდევ პარალელური სახეობები შემორჩენიათ ერთსა და იმავე დიალექტში.

აქ წარმოდგენილ ლექსიკურ ერთეულთა გარდა სხვა ბევრი ფუძეც იქცევს ყურადღებას განხილული კანონზომიერების თვალსაზრისით, მაგრამ გადაწყვეტით პასუხის გაცემა ჯერჯერობით მათ შესახებ ჭირს.

ვაზის ერთ-ერთი ადრეული ჯიში, მაგალითად, ცნობილია ბ უ დ ე შ უ რ ი ს სახელწოდებით, ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ ჩერდება მასზე და აღნიშნავს: „კახეთში, ქართლსა და სამცხეში გავრცელებული ყურძნის ჯიში ბ უ დ ე შ უ რ ი ამ ჯიშის სადაურობის მაუწყებელი სახელია და საფიქრებელია ბ უ დ ე შ ი-თგან მომდინარეობდეს“-ო¹, მაგრამ ასეთი გეოგრაფიული სახელი მან ვერ დაადასტურა.

ირკვევა, რომ ქიზიყში იმავე ვაზის ჯიშის სახელწოდებად ბ უ დ ე შ უ რ ი ს გვერდით გვხვდება გ უ დ ე შ უ რ ი². აღნიშნული ფონეტიკური პროცესის საფუძველზე სავსებით ბუნებრივია ბ უ დ ე შ ი ს გვერდით ვეძიოთ გეოგრაფიული სახელი გ უ დ ე შ ი.

არაერთი მოსაზრება არსებობს მთის – „უ შ ბ ა“-ს ეტიმოლოგიის თაობაზე. ზოგი ვარაუდობს, რომ იგი თურქული სიტყვაა და „ს ა მ თ ა ვ ი ა ნ“ („სამწვეროვან“) მთას ნიშნავს. ზოგი ამტკიცებს, რომ უ შ ბ ა ორთავიანია და, მაშასადამე, ეს ახსნა არ უდგება და სხვ.³ ვფიქრობთ, „უ შ ბ ა“-ს განმარტება სვანებისვე სოფლის **უშგულ**-ის სახელწოდებისაგან მოწყვეტით არ იქნება მიზანშეწონილი.

განხილულმა მასალამ გვიჩვენა, რომ სათანადო შედგენილობის ფუძეთა ანალიზისას საჭირო იქნება გათვალისწინებულ იქნეს ბგერათა შერწყმის ზემოთ განხილული შ ე ს ა მ ლ ო პროცესი.

¹ იხ. მისი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1934, ტ. II. გვ. 411. 497-513, 525...

² სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

³ В. А. Н и к о н о в, Краткий топонимический словарь, М., 1966.

Резюме

В работе устанавливается закономерность одного из спорадически действующих фонетических процессов в картвельских языках – слияния в билабиальные смычные **b p p** бифонемного комплекса (в состав которого входят заднеязычные или фарингальные смычные и лабиальный сонант), т. е. устанавливаются случаи происхождения смычных **b p p** в ряде основ картвельских языков от комплексов: **gw / > b/; kw, qw / > p/; kw, qw / > p/**.

Подобный процесс слияния бифонемного комплекса (или же сложного лабиализованного смычного) в билабиальные смычные известен и в других языках, напр., в индоевропейских, горских иберийско-кавказских.

Наряду с системным характером этот процесс в горских иберийско-кавказских языках может носить и спорадический характер.

Как всякий спорадический фонетический процесс и этот процесс почву для реализации находит часто в сложных основах, заимствованных словах (в данном случае имеются ввиду, в первую очередь, заимствования из грузинского языка в занский и сванский языки¹) и т. д.

На основе указанного процесса в работе дается попытка восстановить исходный вид ряда глагольных и именных основ, каковы:

название города Зугдиди – Zugdidi // Zubdidi < *zugwdidi

груз./ begwaws – мегр. gwaguns „колотит, бьет“

груз. ciba // suga < *sigwa „кошка“; „собачка“

фамилия ubilawa // ugulawa < *ugwilawa

мегр. čamra // < čamkwa – „клен высокогорный“

мегр. Ару¹ < груз. akw-s „имеется у него“

груз. pešune // < qwnešoj – „лентя“

сванск. pičkiri < груз. kwičkiri „каменный...“

груз. paṇṭa („дикая груша“ – „мелкая груша“)... < kṽaṭa (диалект.) „мелкий“, „маленький“

мегр. žamri < *žamqwi – „тутовое дерево“ и т. д.

¹ Что особо важно при выявлении общего языкового материала и закономерных звуковых соответствий.

საძიებელი

ქართველური

ა

აქვს (აქუს) 42, 45, 46
აფუ 42, 43, 44, 45, 46, 59, 62
აწიოკებს 57
აცხა 37

ბ

ბაბუცა 14
ბაბუციძე 14
ბაგვრა 36
ბაგუნდი 36
ბაია 36
ბატიჭუკა 36
ბეგვა (ბეგვავს) 15
ბედმუშკი 36
ბელტი 16
ბერთი 16
ბერტი 16
ბზიფი 17
ბიბილ 13, 48
ბიბინი 13
ბიგვავა 14
ბიმბილ 13
ბობოხია 14
ბობოხიძე 14
ბორბალი 13
ბუდეშური 63
ბურკა 14, 63
ბურტყლა სამყურა 37

გ

გადარდარება 61
გასუკული ხე 29
გაქურქვნა 40
გაქურჩვნა 40
გვაგვაფი 15
გვაგვილი 15
გვაგუნს 15
გვართა 16
გვიგვა 14
გვიგვილი 13, 48
გვილავა 15
გოგო 14
გოგოხია 14
გოგუცა 14
გორგალი 13
გორგოლა 13
გორგორა 13
გოწო (გოწო ვისგ, გოწო ვიცხ) 50
გუართა 16
გუგუციძე 14
გუდეშური 63
გუემა 15
გული 39
გულავკა 63
გულვარდი 63
გურკა 14
გუფეტი 63

დ

დადანდალება 61
დადანდარება 61
დარდალა 61

დაშდვე ცინყა 53
 დგნალი 36
 დგნარი 36
 დიდი დიხა 18
 დიხაგუმუბა 18
 დიდი ზუბუ 17
 დიხაზურგა 18
 დიხა ზურგა 25
 დიხაზურგუ 27
 დიცხირი 55
 დურცხი 55

ზ

ზვიგვ 27
 ზვიგვილდ 27
 (ზვეუკ/ქდით) 22
 ზიფუ 17
 ზოგიში 25
 ზორგვეთი 27
 ზრუგალა 25
 ზრუგენა 25
 ზრუგიეთი 25
 ზრუგიშა 25
 ზუბი 19, 20, 21, 22, 25, 27, 28, 29, 62
 ზუბუ 17
 ზუბდიდი (ზუბ დიდი) 16, 17,
 20, 21, 22, 23
 ზუბდიტი (Зубдит) 23
 ზუგი 19
 ზუგა 19
 ზუგდიდი 16, 17, 21
 ზუგვ-ი 27, 28
 ზუგვარ 27
 ზუგია 19
 ზუგიდი 19, 24
 ზუგუ 27

ზუგულდ 27
 ზურგი 17, 25, 27, 28
 ზურგა 25
 ზურგანი 18, 25, 26
 ზურგდიდი (ზურგ დიდი) 18,
 24, 25
 ზურგული 27
 ზუფი 17
 ზუფუ 16
 ზუქალია 28

თ

თავფართეფ, თავფართაფ 40, 62
 თავქვართი, თავქვართაფ 40, 41
 თავქვიაფ 40, 41
 თუთა 52
 თხა-თხა 31

კ

კაკალი 14
 კაკუტი 48
 კაკუჭა 48
 კაკუჭელა 48
 კანდლუ 54
 კაპელა 48
 კატა 31, 34, 36
 კატაბარდა 37
 კატატირიფა 36, 37
 კატაწნორა 36, 37
 კატუ 30
 კატუჯვარი 36, 37
 კატუჯვარიში ჯა 36
 კახაბერი 60
 კესანე 37
 კვაიჭამე 49

კვალი (ქიმკიკვალუ) 50
 კვატამუჭა 50
 კვაჭაძე 49
 კვაჭაჭა 50
 კვეტე 50
 კვეტელე 50
 კვეტერე 50
 კვიკვალი 48
 კვიკვილი 48
 კვიკვირი 48
 კვიპალი 48
 კვიცი 32
 კვინცხალის ზურგი 27
 კვლევა 49
 კიცვ 32
 კოკონა 56, 57
 კონება (ეკონება) 48
 კურკა 14
 კუკური 48

ლ

ლაგვილავა 15
 ლეკის ხე 41
 ლული 32
 ლიხნი 17

მ

მამაწიათ 55
 მარიამ ჭია 58
 მარწყვი 48, 49, 50, 51, 58
 მალაღმთის ბოკვი 36
 მაყვალი 50, 52, 53, 54
 მაწელვა 49
 მდგნალი 37
 მეფერვოე 59
 მზე-ჭაბუკი 60
 მიკოპონუა 48

მუცი, მუცია 51
 მწითური 60
 მჭითა კანდლუ 54

ნ

ნასელი ზურგი 27
 ნაქურცენი 40

ო

ოზრუგეთი 26
 ოზურგეთი დელე 26
 ოზურგეთი 26
 ოცე, ოცვე 52
 ოცინდალე 37

პ

პაიჭაძე 44
 პაიჭესეული 44
 პალ (ვე-პალ-უ) 44, 45
 პანტა 45, 46
 პანტელა 46
 პეირი 47
 პეული 47
 პიკვალი 43
 პირი 47
 პიროსიკა 59
 პოვნა 44, 59
 პონუა 43

ს

საუზურგი 26
 საფერავი 59
 სისხლი 55, 58
 სუკი 19, 29
 სუკიანი ხე 29

უ

უბილავა 15, 63
 უბულავა 15
 უგულავა 15
 უშბა 63
 უშგული 63

ფ

ფარსმანდუკი 37
 ფერი 58
 ფერა-ფერა 59
 ფერუა 59
 ფეშტუნე 47
 ფინია 32
 ფიტკირი 42, 62
 ფორჩუმანა 40
 ფოხვი 36
 -ფულა 39
 ფულა 39
 ფუმფლა 39
 ფუმ-ფულა 39
 ფურაფა 47, 62
 ფურცელი 40
 ფურჩა 40
 ფურჩუმალე 40
 ფურჩუმელა 40
 ფურჩქნის 40

ქ

ქვითკირი, ქვიტკირი 42
 ქული 39
 ქულა 39
 ქურჩა 40
 ქურჩუმელა 40
 ქუჩმანია 40

ღ

ღული 39

ყ

ყელწითელა 57
 ყელწია 57
 ყვავილი 51

შ

შავფურა 60
 შაინიძე (შანიძე) 49
 შეფურჩვანა 40
 შიყ 29

ჩ

ჩამფა 41
 ჩამქვა 41
 ჩელტი 16
 ჩერტი 16
 ჩიბა 31, 37
 ჩიბაკონა 33
 ჩიბანად 33
 ჩიბია 33
 ჩიბირაშვილი 36
 ჩიჭვინი 36

ც

ცაცხა 37
 ცეცხლი 55
 ციბა 31, 32, 33, 37, 38
 ციბაძე 36
 ციბაკი 31, 33
 ციბე 37
 ციბრია 33, 37

ციბროფ 33
 ციბ-ციბ 31
 ციგრიაშვილი 36
 ციგროშვილი 36
 ციმბალი 35, 36
 ციმბირი 35
 ციმფა 35
 ციმფია 35
 ციმცვა, ციმცტა, ცემცვა 53, 55
 ცინდალი (ცინტალი) 35, 36
 ცინდალაა (ცინდალავა) 36
 ცინდაუ 35
 ცინდელიანი 36
 ცინდირი 35
 ცინყა 53
 ციფა 35
 ციფ-ციფ, ციფო-ციფო 31
 ციც 32
 ციცა 36, 37
 ციცაბარდა 37
 ციცანა 34
 ციცასკუდა 37
 ციცელა 37
 ციცინათელა 60
 ციცინო 37
 ციცუ 30
 ციცულდ 37
 ციცუნა 37
 ციცუნია 37
 ცუგა 33
 ცუგრია 33
 ცუგრიელა 33
 ცუგო 33

ძ

ძებნა, ძებნა-პოვნა 49
 ძელქვა 41
 ძერქვა 41

წ

წია 53, 54
 წიაკოკოლა 57
 წიაკოკონა 57
 წიაკოკონია 57
 წიამბოლა 53
 წიამპოლა 52, 53
 წითელი 55, 59
 წითელ-კლდე 60
 წითელი მარია 58
 წითელმთა 60
 წითელ-წყარო 60
 წითელ-ხევი 60
 წითლანაძე 60
 წითლიძე 60
 წითური 55
 წიკო 57
 წიოკობა (წიოკობს) 57
 წიქა 59
 წიქარა 59
 წიჯარა < *წი[თ]ჯარა 60
 წიწილათენა 60
 წიწიმდერა 60
 წიწინათელა 60
 წიწინათერა 60
 წიწინდარა, წიწინდერა 60, 61
 წუთულა 59
 წყალ-წითელა 60

ჭ

ჭია 55, 59
 ჭიაბერი 59
 ჭიათურა 60
 ჭიაკოკონა 56
 ჭია-მაია 57, 60
 ჭიაურა 60
 ჭიაფერი, ჭიაფერა 59

ჭითა 55

ჭითავა 60

ჭითანავა 60

ჭითა-წყარი 60

ჭიჭუნჭი 36

ჭყურტა 59

ხ

ხალთა 16

ხართა 16

ხული 39

ხურება 47

ჯ

ჯამკაკალი 52

ჯამპი 51, 52, 49

ჯამფეზია, ჯაფეზია, ჯაფაზია 59

ჯაპი 52

ჯაპანა 52

ჯაპშაქარი 52

კ

კვენეშოდ 47

კურ- 47

აბაზურ-აფხაზური

ა-ზქა 28

ლაძწაურ 32

ა-მაწუარ 32

ა-ნემ-გალ 16

ჟემგ / ზემგ 54

ჟერგ 25

ჟერგეთ 25

ა-შთა 50

აცაბან (აცაბან) 34, 35

ა-ცგაბა, ა-ცგაბალ- (ა-ცგაბალ-) 33,
34

ა-ცგაფს 33

ა-ცგვ (ა-ცგვ) 30, 33, 36, 38, 61

ა-ცხ (ა-ცხ) 34

ცგვა 35

ა-წგწნდრა (ა-წგწნდრა) 61

ადიღურ-უბიხური

გაღღუ > ჯაღღუ 30

გატე 30

მარაკაჟ 53

მარაკაჟ 53

ქათგუ > ჩათგუ 30

ცემგვ 53

ოსური

| | |
|-----------|-----------------------|
| c'etun 55 | kakon (ქაკონ) 56 |
| c'it 55 | koko (ქოქო) 56 |
| c'ita 55 | konoiḡæ (ქონოდნ) 56 |
| c'yr̄t 55 | k'opa kḡopa (კონა) 56 |
| gædy 30 | ruxsy c'yr̄t 55 |

რუსული

| | |
|------------|-------------|
| Звукдит 22 | Сибирь 35 |
| Кот 30 | Симбирск 35 |

ანდიური

გედუ 30

ახვახური

ქეთუ 30

ბაცხური

კატ 30

ბოთლიხური

გედუ 30

გერმანული

katze 23

დარგული

გატა 30
ზიცივ-ზიცივ 37

დიდოური

გედო, კეტო 30
ჩიბა 32

თახასარანული

გატუ 30

თურქული

kedi 30

ინგლისური

cat 30

კარატაული

იგო 37

კაპუჭური

გედო 30

კვანადური

ქითუ 30

ლათინური

cattu 30

ლეზგიური

გაწ, კაც 30

სომხური

კატუ 30

ფრანგული

chat 30

ლოდობერიული

გედუ 30

ჩაჩნური

ქშალ 32

ციციგ 30, 37

წახურული

ბისო 30

კამალური

გიდუ 30

ხვარშიული

ქით 30

ხუნძური

იციქო 37, 38

ქეთო 30

სონანტთა მეზობლად ხშულთა
გამკვეთრება (დაყრუება)
ქართველურ ენებში

**On the Transformation of Occlusives into
Glottocclusives (devoicing) in the Vicinity
of Sonants in Kartvelian Languages**

როგორც ცნობილია, ენებში ბგერათა სპონტანურ ცვლილებათა გვერდით ფართოდ არის გავრცელებული ე. წ. პოზიციურად შეპირობებული ფონეტიკური პროცესები. თუ ასეთი პროცესები ენაში სისტემებრ არის გატარებული, გარკვეულ ბგერათმესატყვისობად შეიძლება წარმოგვიდგეს, მაგრამ დასტურდება პოზიციურად შეპირობებულ პროცესთა ისეთი სახეობები, რომლებიც არ არის საყოველთაოდ გატარებული.

ეს გვაქვს უმთავრესად იმ შემთხვევაში, როცა სიტყვის მნიშვნელობა დაჩრდილულია, მეტყველისათვის ფუძისეული ეტიმონი დაბნელებულია, ან ჩვენ წინ სხვა ენობრივი წარმომავლობის მასალაა. სწორედ ასეთ ვითარებაში მეტი შესაძლებლობა ეძლევა პოზიციურ ფონეტიკურ ცვლილებებს.

ამდენადვე ასეთ შეზღუდულ კანონზომიერებათა გამოვლენა აუცილებელი წინაპირობა ხდება ენის ისტორიული ცვლილებების დადგენისა, ლექსიკურ ერთეულთა ფუძეების თავდაპირველი შედგენილობის გამოვლენისა და ეტიმოლოგიის ძიებისას.

ერთ ასეთ „შეზღუდულ“ ფონეტიკურ კანონზომიერებას მიეძღვნა ჩვენი ნარკვევი „კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში“ (1984 წ.), რომელშიაც ნაჩვენებია გარკვეულ ფუძეებში **ბ, ფ, პ** ხშულთა წარმომავლობა შესაბამისი რთული **გვ, ქვ, (პვ) კვ, (ფვ)**... ლაბიალური კომპონენტის შემცველი კომპლექსებისაგან (შერწყმის გზით).

აღნიშნული კანონზომიერების მოქმედების გაუთვალისწინებლად ვერ ავხსნით, მაგალითად, სვ. **ხალ** ფუძის (ბ ა ლ ს ქვემო, ბ ა ლ ს ზემო) წარმომავლობას. იგი იმავე ფუძეს უნდა შეიცავდეს, რასაც „მთის“ აღმნიშვნელი **გვალ(ა)** მეგრულში. ასევე მის საფუძველზე ამკარა ხდება, რომ ქართ. **წურბელა** უნდა მომდინარეობდეს ***წურ-გველა**-საგან და სხვ. ამგვარი ძიება აუცილებელი ხდება.

ამჯერად ჩვენი განხილვის საგანია ქართველურ ენებში არასაკოვლეთაოდ („შეზღუდულად“) ჩატარებული „**სონანტთა მეზობლად ხშულთა (დაყრუება) გამკვეთრების პროცესი**“, რაც საკმაოდ ფართოდაც ჩანს გავრცელებული.

ვინაიდან სონანტი თავისი ბუნებით მჟღერია და გარკვეულს შემთხვევაში მას შესწევს უნარი გა ა ა მ ჟ დ ე რ ო ს (ფონოლოგიური კორელაციის უქონელადაც) მეზობლად მდგომი ყრუ თანხმოვანი ასიმილაციის ნიადაგზე¹, ასევე დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ს ტენდენციის შემთხვევაში მას აქვს უნარი გამოიწვიოს მჟღერ ხშულთა დაყრუება-გამკვეთრება ე. ი. ენაში ფონოლოგიური კორელაციის უქონელ სონანტსაც, როცა იგი მოხვდება თანხმოვანთან მჭიდრო კონტაქტში (რ ი ს შე დ ე გ ა და ც კ ა რ გ ა ვ ს

¹ ამის თაობაზე იხ. ჩვენი „К вопросу о природе сонантов и об их коррелятивных парах (по данным абхазско-адыгских и картвельских языков). ВЯ, №3, М. 1975.

სონორობის გარკვეულ ხარისხს), შეუძლია მეზობელ თანხმობაში გამოიწვიოს ისეთი ცვლილებები, რაც - ჩვეულებრივ მყდერებს.

სონანტებთან მეზობლად ხშულთა დისიმილაციური დაყრუების პროცესი შესაძლოა ფშვინვიერ ვარიანტზე შეჩერდეს, მაგრამ ქართველურ ენებში და ასევე სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში განსაკუთრებით ნიშანდობლივი ჩანს მათი გამკვეთრება, რაც ეფუძნება ამ ენათა სპეციფიკურ ფონოლოგიურ სტრუქტურას – **ხშულთა სამეულელებრივ სისტემას**. ამდენადვე **სონანტთა მეზობლად ხშულთა დისიმილაციური გამკვეთრება სპეციფიკური იბერიულ-კავკასიური ფონეტიკური პროცესია**.

ჩვენ ქვემოთ ვეხებით ქართველურ ენებში (ძირითადად ქართულში) არსებულ აღნიშნული კანონზომიერების გამოვლინების ფაქტებს. ცალკეულ შემთხვევაში ვითვალისწინებთ სხვა იბერიულ-კავკასიური ენების მონაცემსაც, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფებში (ქართველურის ჩათვლითაც) ეს საკითხი საგანგებო შესწავლას მოითხოვს¹.

ქართველურ ენათა უკვე ჩვენს ხელთ არსებული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ დისიმილაციური დაყრუება-გამკვეთრების დასახელებული პროცესი საკმაოდ რთული სახისაა: დისიმილაციური დაყრუება-გამკვეთრება არის როგორც პროგრესული, ისე რეგრესული მიმართულებისა; სონანტთა მეზობლად მყდერ ხშულთა დისიმილაციური „გამკვეთრების“ გზაზე პროცესი შეიძლება შეჩერდეს ფშვინვიერი ხშული ვარიანტის წარმოქმნის დონეზე, ან ჩამოყალიბდეს როგორც ფშვინვიერი, ისე მკვეთრი სახეობები (გამორიცხული არაა სხვადასხვა სემანტიკური დიფერენციაციითაც) და **მაინც ყველაზე არსებითი არის ის, რომ სონანტთა მეზობლად მყდერ ხშულთა დისიმილაციური გამკვეთრებისას, პროცესის ჩატარების შემდეგ, ზოგჯერ, თვით მისი გამომწვევი ეს სონანტი უჩინარდება**, რის გაუთვალისწინებლობა შეუძლებელს გახდიდა თავდაპირველი ფუძის აღდგენას.

თქმულის შესაბამისად ხერხდება ზოგადად შესაძლო ცვლილებათა ფორმულების ჩამოყალიბება:

¹ ალ. მაჰომეტოვს დასახელებული აქვს შემთხვევა ნაცვალსახელის ფუძეში **თ-ს ტ-დ** ჩანაცვლებისა დარგული ენის ყადარულ მეტყველებაში ბოლო პოზიციაში და თანხმობის წინ: **იტ** < ით, **იტრა** < ითრა (იხ. ალექსანდრე მაჰომეტოვი „დარგული ენის ყადარული მეტყველების ზოგი თავისებურებანი“ – ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების II სამეცნიერო კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1995, გვ. 20).

ჩვენი აზრით, თუ აქ პირველ შემთხვევაში **თ-ს** გამკვეთრება მის აბსოლუტურ ბოლოში მოქცევას უკავშირდება, (ითრა >) **იტრა**-ში **ტ**, უნდა ვიფიქროთ, **რ** სონანტთან კონტაქტმა შეაპირობა.

პროგრესული დისიმილაცია: **ს+ხშ (მე, ფშ) → ს+ხშ (მკ) → ს+ხშ (მკ)**
 რეგრესული დისიმილაცია: **ხშ (მე, ფშ) + ს → ხშ(მკ) + ს → ხშ (მკ) + ს**
 რა თქმა უნდა, ფორმულაში მოცემული ცვლილებები ასეთი სრული სახით იშვიათად შეიძლება დადასტურდეს. ჩვეულებრივ გვხვდება რომელიმე ორი საფეხური.

ნ სონანტის მეზობლად

ზემოთ განხილული კანონზომიერების ნიადაგზე შეგვიძლია ავხსნათ **ხნ**-ევა და **ჰნ**-ევა ზმნათა და მსგავს ფუძეებში მომხდარი ცვლილებები, რაც შემდეგ მათ ერთგვარ სემანტიკურ სხვაობასაც ქმნის. ამ სემანტიკურ სხვაობასთან დაკავშირებით მაგ., აღუნიშნავთ:

ი-**ხნ**-ევა – ირევა, აზრები ეფანტება, თავგზა ებნევა

ი-**ჰნ**-ევა – ფანტვით იყრება, იფანტება, ცვივა.

ამ ფორმათა ურთიერთშერევა ამჟამადაც შეინიშნება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მნიშვნელობა, რომელიც ახლა ძირითადია ი-**ხნ**-ევა ფორმისათვის, წარმოშობით მეორეულია, გადატანითია. ამიტომაც ამ ფორმათა ხმარება ერთმანეთის ნაცვლად სავსებით გასაგებია. იმავდროულად აშკარაა მათ შორის სემანტიკური სხვაობის დამყარების ტენდენცია¹.

მიუხედავად ასეთი ტენდენციის არსებობისა, დღესაც კი დიალექტურ მეტყველებაში მნიშვნელობის მხრივ მათ შორის სრულ იდენტურობას ვაწყდებით. იმავე „აზრების დაბნევა-გაფანტვის“ გაგებით დიალექტში დადასტურებულია გამოთქმა „დ ე ი პ ნ ა ა ი კაცი ბრინჯივით“².

შეიძლება გვეფიქრა, აქ ერთგვარად ბ რ ი ნ ჯ თ ა ნ შედარებამ შეუწყო ხელი პ ნ ე ვ ა სახეობის გამოყენებასო, მაგრამ ამით მაინც არ უნდა აიხსნებოდეს ეს შემთხვევა. როგორც მიუთითებენ, დიალექტებში ეს ვარიანტები საერთოდ მონაცვლეობენ³.

ჩვეულებრივ კი, მართლაც, ფონეტიკური ვარიანტი განსხვავებული ნიუანსით გამოიყენება.

აღნიშნულ ფონეტიკურ პროცესთან დაკავშირებით საყურადღებო ჩანს **-გან** თანდებულის **გ** თანხმოვნის ცვლილების საკითხი ქართული ენის დიალექტში. ასე, მაგალითად, თიანური „სხვაჯნური“ სავსებით მარ-

¹ ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985, გვ. 27-28.

² ს. ჟ ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1936, გვ. 48.

³ ო. კ ა ხ ა ძ ე, ატენისა და წედისის ხეობების ქართლური. იკვ. ტ. IV, 1953, გვ. 283.

თებულად მითითებულია, რომ მომდინარეობს „სხვა-გან-ური“-დანო¹. ასევე ხევსურული (გაბ.) „მზე ცხრაკნით ამოუცდებისა“² და მისთ.³

განხილული ფონეტიკური კანონზომიერებით უნდა იხსნებოდეს ზოგ საკუთარ სახელში (პიროვნებისა თუ გვარსახელთა ფუძეებში) მკვეთრი ხშულის არსებობა მოსალოდნელი მჟღერის ან ფშვინვიერის ადგილას.

თორ-ჯავახეთის ისტორიულ გეოგრაფიას და ამ მხარის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხებს საყურადღებო გამოკვლევა მიუძღვნა დ. ბერძენიშვილმა. იგი ვრცლად მიმოიხილავს ჯავახეთში მიწისმფლობელობისა და მიწათმფლობელთა ისტორიას და ერთგან ასკვნის: „სწორედ ეს ადგილობრივი მფლობელები უნდა იყვნენ აღნიშნულნი იმ მცირერიცხოვან წარწერებში, რომლებიც ადრეფეოდალური ხანიდან შემორჩა ჯავახეთში; ესენია: ვინმე სამხარაჲ ხანდოს საყდრის კედელზე და ბასილი ა კ ნ ე ლ ი სოფ. აგანაში. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერები VI-VII სს. განეკუთვნება, ხოლო სიტყვა „აკნელი“ შესაძლოა ბასილის სადაურობაზე მიუთითებს და გულისხმობს სოფ. აგანას“-ო.⁴

ავტორის მიგნება **აკნელის აგანა**-სთან კავშირის შესახებ სავსებით სარწმუნო ჩანს, ოღონდ ავტორი ასეთი ცვლილებების ასახსნელად უშვებს *ა კ ა ნ ა-ს არსებობას და ანალოგიისათვის მოიშველიებს სოფ. გოგოას იდენტიფიკაციის შესაძლებლობას სოფ. გოკიასთან.

„გოგია (გოკია)“-ს საკითხი თავისებურია, რამდენადაც ამ შემთხვევაში ჩვენ წინ არის ორი სრულიად იდენტური თანხმონის შემცველი ფუძე, და თან არ არის გამორიცხული მოგვიანებით სხვა ენობრივი ჩარევაც. რაც შეეხება „აკანა“-ს დაშვებას, ეს შეუძლებელი არ არის (თუმცა სხვა კანონზომიერების საფუძველზე, რაზედაც ცალკე ვაპირებთ მსჯელობას), მაგრამ ამ რეგიონში, ავტორის მიერვე მოპოვებული მასალის მიხედვით ამ სახეობის გეოგრაფიული პუნქტი არ ჩანს. არის მხოლოდ ა გ ა ნ ა. ზემოთ ჩვენ მიერ ნაჩვენები ფონეტიკური კანონზომიერების მიხედვით კი სწორედ „ა გ ა ნ ა“-საგან (ფუძის წარმოებისას, ხმოვნის რედუქციის შედეგად) უნდა წარმოქმნილიყო „ა კ ნ ე ლ ი“ (< *აგნელი).

ავტორის მიერ ფიქსირებული ეს ფაქტი კი ძალზე საყურადღებოა აღნიშნული ფო ნ ე ტ ი კ უ რ ი პ რ ო ც ე ს ი ს თვალსაზრისით, რამდენადაც იგი ა დ რ ე ფ ე ო დ ა ლ უ რ ხანაში დასტურდება.

¹ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 600

² ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 54-55.

³ ადგილის ზმნისართ-თანდებულთა კ ხშულის შემცველი სხვა სახეობების შესახებ ქართულ დიალექტებში იხ. ჩვენი, „სონანტთა კომპლექსში მჟღერი ხშულის გამკვეთრება და ზოგიერთი საკუთარი სახელის წარმომავლობის საკითხი ქართულში“, – ეტიმოლოგიური ძიებანი, 1988, თბ., გვ. 6-7.

⁴ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985, გვ. 129.

ამავე კონტექსტში ჩვენს ყურადღებას იქცევს საკუთარი სახელი **ცოტ-ნე** (კერძოდ, ცნობილი ისტორიული პირის ცოტნე დადიანის სახელი).

ცოტნე საკუთარ სახელს ნ. მარი თვლის **ცოტა** (< ცო+ტან) ფუძისაგან მომდინარედ.¹ მსგავსივე აზრი არის ალ. ჭინჭარაულის მიერ ფრთხილად გამოთქმული. ავტორი სვამს კითხვას: ხომ არ არის ეს სახელი ნაწარმოები „ცოტა“ სიტყვის კნინობითი ფორმის საფუძველზეო: ცოტნე < ცოტინეჲ < ცოტინაჲ?²

ამ საკუთარი სახელის ცოტა სიტყვის ფუძესთან დაკავშირება საერთოდ მიღებულად ითვლება. მართლაც, ადამიანის საკუთარ სახელად (და მსაზღვრელად) მისი გამოყენება უჩვეულო არ არის. ისტორიულად დადასტურებულია გვარის სახელიც ცოტაძე („მართებს დედულისას ცოტაძე...“)³, მაგრამ გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ამ საკუთარი სახელის „ცოტინა“ (და ამდენადვე ცოტა) ფუძესთან დაკავშირება გამოირიცხებოდა, მაშინ ე ხმოვანი მიცემითი ბრუნვის ფორმაში მას („ცოტნეს“) არ შერჩებოდა.

– ე განხილული ფუძის ფორმაში უთუოდ მაწარმოებელია, რომელიც **მ** – ე კონფიქსური წარმოების ნაშთი უნდა იყოს და თვით სიტყვა აღნიშნული ფონეტიკური ცვლილების ნიადაგზე **ნ** სონანტის მეზობლად მჟღერი „დ“-ს გამკვეთრებით უნდა წარმოქმნილიყო ცოდნა ზმნის მიმღეობიდან: [მ]-ცოდნე > ცოტნე.⁴

თანხმოვნით დაწყებულ ნაზმნარ სახელებში ფონეტიკურ ნიადაგზე „მ“-ს ჩამოშორება ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულში (განსაკუთრებით მის დასავლურ არეალში) და სწორედ ამ ფუძეში, შდრ. იმერ. ცოდინარე.⁵

განსახილველი ფუძის ზემოთ წარმოდგენილი წარმომავლობისათვის ისიც საყურადღებოა, რომ ეს სახელი ისტორიულად მაღალი წრის პირებს ერქმეოდა. ცოტნე დადიანის გარდა ისტორიული საბუთებით ცნობილია ცოტნე გარაყანიძე, რომელიც შეძლებული პირი ჩანს, რამდენადაც მისგან თვით დედოფალიც სოფელს ყიდულობს.⁶

თავდაპირველად, უნდა ვიფიქროთ, ასეთი სახელი წარჩინებული პირის ეპითეტი (ზედწოდება) ყოფილიყო და შემდეგ წარჩინებულთა სახელად დამკვიდრდა (შემდეგში კი საერთოდ გავრცელდა. ამის მაგალითები ცნობილია).

¹ Н. Я. Марр, В тупике ли история материальной культуры. – Известия Государственной академии материальной культуры, вып. 67, Л., 1933, გვ. 110.

² ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 84.

³ ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოსო დავთარი, თბ., 1914, გვ. 15.

⁴ ფილოლოგ ნ. საყვარელიძის ცნობით კახეთში ეს საკუთარი სახელი „მცოტნე“ სახეობით დღესაც დასტურდება.

⁵ ქ. ძოწენიძე, ზემოიმერულის ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 464.

⁶ „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“, I. ქართული ისტორიული საბუთები IX–XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგაძემ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 163.

კუდა ქართულში ნიშნავს „მოკლე კუდიანს“ და „უკუდოს“ (ქეგლ).¹ ამავე მნიშვნელობით გვხვდება **კუდერა-ც** (იქვე), რომლის ტიპის წარმოებაა **ნ** თანხმოვან დართული **კუნტულა** (შდრ. იქვე: კ უ ნ ტ ა რ ა და კ უ ნ ტ უ ლ ა). თავდაპირველად **დ**-ს მქონე სახეობაში **ნ** სონანტის გაჩენას გამოუწვევია **დ**-ს გამკვეთრება. მსგავსი ცვლილების გზა ხომ არ გაუვლია და იმავე ამოსავალ ფუძესთან ხომ არ არის დაკავშირებული მეგრ. **კუნტა** „მოკლე“?!

განხილული წესითვე „ც **ინ** და ღ მ ა“ მოგვცა „ც **ინ** ტ ა ლ ი“, „ზ ე **ნ** გ მ ა“ („დაზერგნილი, დაზეპილი ნიადაგი“) მოგვცა ქართულ დიალექტში **ზ ე ნ კ ი**.²

კნოლევი. ავ. შანიძე -ევ სუფიქსიან ტოპონიმთა განხილვასთან დაკავშირებით წერს: „მგონი, არ უნდა შევცდეთ, რომ ეხვ-ევ-ი იხვ-ევ-ად ანუ იხვებად ვთარგმნოთ, კნოლ-ევ-ი – კნოლ-ებ-ად ანუ გნოლ-ებ-ად-ო“.³ ჩვენი მხრივ დავსძენდით, აქ წარმოდგენილი ფონეტიკური ცვლის კანონზომიერების საფუძველზე სავსებით რეალური ჩანს **კნ** ო ლ ე ვ ი ს მომდინარეობა **გნ** ო ლ ე ვ ი ს ა გ ა ნ.

ფშვინვიერი ხშულიც თავის მხრივ სონანტთა მეზობლად შეიძლება იქცეს მკვეთრ ხშულად. ქართული **ანთი**ას შესაბამისი ფუძე ჩანს მეგრულში **ონ** ტ უ „უკიდია, (< „უნთია“). საფიქრებელია იგივე ძირი, ოღონდ უკვე **ნ** სონანტ-ჩამოშორებული, გვექონდეს სვანურ ა ტ უ რ ე-ში („ანთებს“).

ამავე კონტექსტში ბუნებრივად გვებადება კითხვა ქართ. **ფინთისა** და ჭან. პატის („ცუდი“) შესაძლო ურთიერთობის შესახებ.⁴

¹ შემოკლებით ასე გადმოვცემთ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“ (რვატომეულს) არნ. ჩიქოვასას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964 წწ.

² ქართული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბ ე რ ო -ზ ა შ ვ ი ლ ი, მ. მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ნ ო ზ ა ძ ე, თბ., 1981 წ. გვ. 212.

ამ რიგის ფაქტებთან დაკავშირებით შესაძლოა გაჩნდეს კითხვა, რა კავშირშია ქართული კ ი ნ ტ ო გერმანულ **Kind**-თან? ამავე კონტექსტში გასათვალისწინებელია ვ. სომხიშვილის მიერ ქსნის ხეობის მეტყველებაში დადასტურებული, „ბიჭის“, „კაქის“ საალერსო მიმართვისას ხმარებული კ ი ნ ტ უ რ ა (იხ. ალ. დ ლ ო ნ ტ ი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984, გვ. 292).

³ ავ. შ ა ნ ი ძ ე, **გვ** კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში. აკაკი შანიძე, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1981, გვ. 443.

⁴ სირთულეს ქმნის ხმოვანთა მიმართების საკითხი ასეთი დაკავშირებისას, მაგრამ ანგარიშგასაწევია ერთი გარემოება. ანდაზების ენაში (მხედველობაში გვაქვს „ხალხური სიბრძნე. I, მეგრული და ლაზური ანდაზები“, შემდგენლები რ. შ ე რ ო ზ ი ა, ო. მ ე მ ი შ ი შ ი, თბ., 1994.) „ცუდის“ და „კარგის“ დაპირისპირებისას ჩვეულებრივია პირველ ადგილას „**კაი**“, ხოლო მომდევნო ადგილას ანტონიმ „**პატი**“ სიტყვის დასმა (შდრ. **კაი** თრანგიშენ, **პატი** კოჩიშენ „კ ა რ გ ი – ღმრთისგან, ც უ დ ი – ადამიანისაგან“). საპირისპირო მიმდევრობა ნაკლებ გავრცელებულია.

კაი-ს ხმოვნურმა ანალოგიამ ხომ არ შეუწყო ხელი **პ ა ტ ი** ფუძეში ა ხმოვნის წარმოქმნას?

გასარკვევი ჩანს **ყინცვის** || **ყინწვისის** ფუძის თავდაპირველი საკითხი. იგი ჩვეულებრივი ქართული ტოპონიმის წესზეა აგებული (შდრ. თბილისი, ბოლნისი...), ოღონდ ნათელი არ არის ძირეული მორფემის მნიშვნელობა. ისტორიულად უპირატესობა ენიჭება ფშვინვიერ ყინცვის სახეობას. ვახუშტი ბატონიშვილი მას ასე იცნობს (ქ. ც. 344, 13-17; 662, 16). ადგილობრივი მოსახლეობაც ყინცვის სახეობას გვიდასტურებდა მისას. აქაც ხომ მკვეთრი „ყინწვის“ ვარიანტი სონანტის გავლენის შედეგი არაა?

ი. ყიფშიძეს მეგრულში დადასტურებული აქვს „გრძნების მოქმედის“ მნიშვნელობით **მენწარი** და სვამს საკითხს ქართ. **მეცარ**-თან ურთიერთობისა.¹ ჩვენ იმავე მეგრულში შეგვხვდებოდა „მ ე ნ ც ა რ ი“ „წ“-იანი სახეობა, რომლის უშუალო გამკვეთრებულ ვარიანტს წარმოადგენს ი. ყიფშიძის მიერ მოყვანილი მ ე ნ წ ა რ ი.

ლ სონანტის მეზობლად

როგორც ცნობილია, სვლის გამომხატველ ზმნათა ფუძეები ქართულში (და ქართველურ ენებში საერთოდ) საკმაოდ რთულად არის წარმოდგენილი. რომ არაფერი ვთქვათ „გვალე“ („წადი“), **ხდ...** ფუძეების შესახებ, ფართოდ გამოიყენება **ვალ-**, **ვედ-** || **ვიდ**, **იარ**, **დის** ვარიანტები. ამავე დროს ცნობილია ხსენებულ ფუძეთა გაცვეთისა (შდრ. წავა ან ვეფხისტყაოსნის: „**შეის** ხასობს, **გაის** ქუშობს“...) და ურთიერთჩანაცვლების შემთხვევები. ავ. შანიძე მათ შესახებ წერს: „**ვალ** ფუძე ძველად უზმნისწინოდაც იხმარებოდა... იგი ძველად უსრული ასპექტის ზმნა იყო, მაგრამ შემდეგ სრულისა გახდა და მომავალი დროის გაგება შეიძინა; ამით მან კავშირი გაწყვიტა აწმყოსთან და მყოფადში გადავიდა. დაცარიელებული ადგილი **დი** ფუძემ დაიკავა“...² იგივე ავტორი განაგრძობს: „ფუძეები **ვალ** და **ვედ (ვიდ)** ყოველგვარი ზმნისწინის დართვით ენაცვლება ერთმანეთს... რაც შეეხება **დი** ფუძეს, ისიც ენაცვლება **ვალ** და **ვედ (ვიდ)** ფუძეს“.³

ფუძეთა ასეთი ცვეთისა და ჩანაცვლების ფონზე, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, **ვალ** ფუძის დროული ფუნქციის მერყევ ბუნებასთან დაკავშირებით, შესაძლებელია წარმოქმნილიყო კონტამინირებული სახეობაც – ***ვლდ(ი)**. ამ სახეობისაგან კი სონანტთან ხშულთა უშუალო მეზობლობისას დისიმილაციური გამკვეთრების საფუძველზე ბუნებრივია მიგველო

¹ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С.-Петербург, 1914, გვ. 592.

² ავ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1970, გვ. 506.

³ იქვე, გვ. 507.

***ვლტ** ვარიანტი, რაც შემოგვენახა კიდეც სი-**ვლტ**-ოლა ზმნაში (ცნობილია ამ ფუძეში **ვ**-ს პოზიციის მერყეობაც **ილტვის** < **ივლტის**).

შესაძლოა ეჭვი გაჩნდეს ს ვ ლ ა და ს ი რ ბ ი ლ ზმნათა სემანტიკური სხვაობის გამო, მაგრამ ამ ფუძეთა ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი გ ა დ ა ნ ა ც - ვ ლ ე ბ ა შეუძლებელი არ ჩანს საერთოდ. ამ შემთხვევაში კი მას ხელს უწყობდა უთუოდ ფუძის წარმოება გარკვეული „ქცევის“ პრეფიქსების საშუალებით, რაც გახაზავს რ ი ს კ ე ნ მ ე ს ვ ლ ა ს, ს წ რ ა ფ ვ ა ს, ა ნ რ ი ს - გ ა ნ მ ე განშორებას, შდრ:

„როს მკმუნვარება შემომესვეს,
შ ე ნ დ ა მ ო ვ ი ლ ტ ვ ი განსაქარვებლად“
და: „ძნელი არის მარტოობა სულისა,
მ ა ს ე ლ ტ ვ ი ა ნ ს ი ა მ ე ნ ი ს ო ფ ლ ი ს ა“.

თავის მხრივ, იმავე ამოსავალი **ვ(ა)ლტ** ფუძიდან უკვე შემდგომი კანონზომიერების საფუძველზე, რაც გულისხმობს სონანტთან მეზობლად მჟღერი ხშულის გამკვეთების შემდეგ თვით მ ა დ ი ს ი მ ი ლ ი რ ე ბ ე ლ ი ს ო ნ ა ნ ტ ი ს გ ა უ ჩ ი ნ ა რ ე ბ ა ს, უნდა მიგველო **ოტება** (< *ო ლ ტ ე ბ ა < *ვ ა ლ ტ ე ბ ა...) და აქედანვე აგრეთვე **მეოტი** (< *მეოლტი < *მე-ვალტი < *მე-ვალდი).

ამოსავალი **ლ** სონანტიანი სახეობაა დაცული ქართ. **ლტოლ** - ვ ი ლ ს ა, მ **ლტოლ** ვ ე ლ ს ა და მ **ლტოლ** ვ ა რ ე შ ი. შესაბამისად **რ** თანხმოვნიანი ვარიანტი წარმოდგენილია მეგრ. მ ა რ ტ ე ნ ჯ ი შ ი („მარტენჯი დო მათხოზარი ჟირხოლო ღორონს ოხვეწუდუა“ – „გ ა მ ქ ც ე ვ ი და მიმწევი ორივე ღმერთს ეხვეწებოდაო“).¹

სავარაუდებელია, რომ ამავე ფუძიდან იყოს ნაწარმოები მიმდებობისავე განსხვავებული („ჩვეულებითობის“ ასპექტის მქონე) წარმოება **-ია** სუფიქსის მეშვეობით – **ოტია** (*ოლტია < *ვალტია), რაც საკუთარ სახელად დამკვიდრდა (შდრ. ხ ტ უ ნ ი ა, წ უ ნ ი ა, ტ ი რ ი ა...)²

¹ „ხალხური სიბრძნე“. I. მეგრული და ლაზური ანდაზები, თბ., 1994, გვ. 83. მეგრულშივე გვაქვს **ლ-ს** -თი შეცვლილი სახეობა: **ნტინა** „რბენა“. იხ. ი. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С.-Петербург, 1914, გვ. 291.

² ამ რიგის მქონე მიმდებობური წარმოება მეგრულშიაც გვაქვს, შდრ. ანდაზა „მ ე ტ ყ უ რ ი ა-შ ჩილია ხიოლიში გახარებულია“ „მატყურას“ || მეტყვილიას ცოლი სიხარულით გახარებულია“.

ო ტ ი ა საკუთარი სახელი თეიმურაზ ბაგრატიონს დაკავშირებული აქვს „კოლხიდის გამგებლის“ || ო ე ტ ე ს (|| ა ე ტ ე ს) სახელთან. იხ. თეიმურაზ ბაგრატიონი, წიგნი ლექსიკონი, მასალები შეკრიბა, ანბანზე გააწყო, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გ უ რ ა მ შ ა რ ა ძ ე მ, თბ., 1979, გვ. 16; 102.

სვლის ზემოთ განხილულ რთული ბუნების **ვლდ** → **ვლტ** ფუძესთან დაკავშირებით ჩნდება საკითხი მასთანვე **მტილ** სიტყვის ურთიერთობისაც.

სპეციალურ ლიტერატურაში მინიშნებულია ერთიანობა ზანურ-სვანური მონაცემებისა მტილ ფუძესთან. იგულისხმება მეგრ. **ორ-ტვინი**, ჭან. **ონ ტულე**, სვ. **ლარტამ** || **ლერტამ**.¹


ამ ფუძეში გაფორმების მხრივ ყურადღებას იპყრობს მეგრ.-ჭან. **ო** და სვ. **ლა-** || **ლე-** დანიშნულების პრეფიქსები. ხომ არ გვაქვს ამ შემთხვევაშიც **სა-**მოთხის ტიპის **სა** პრეფიქსიანი წარმოება და შინაარსითაც ისინი სინონიმურ ერთეულებს ხომ არ წარმოადგენენ?

შავთელის მიერ მათი შეწყვილებული მოხსენიებაც („მტილ - სა - მოთხენი, თვალთ სამოთ ხენი, ზედ ავაზანთა შექმნულობანი“) მათ შინაარსობლივ სიახლოვეზედაც ხომ არ მიუთითებს და წარმომავლობის ერთიანობაზედაც?

სამოთხის განმარტებისას საბას უწერია: „წალკოტი შუენიერი, გინა ფუფუნება, გინა ყუავილთა მტილი (ქ. ლ.) რომელ დაასხა უფალმან აღმოსავლისა მხარესა ქუეყანასა ზედა“; „უხმობენ ჭმუნვათა განმაქარებლად წალკოტთა ანუ მინდორთა მიმოსვლასა მოთხვასა და იმოთხვიდესა, რომელსა მსოფლიონი სეერნობასა უხმობენ (იხ. სიტყვა სღვა)... იმოთხვიდა სეირნობდა თუ მავალ იყო“ (ib.), „იმმოთხველი მვლელი“ (ib.)²

ვინაიდან **სამოთხე** „სავალ (სასეირნო) მტილს“ წარმოადგენს, ხომ არ არის თვით მტილიც (ორტვინი, ლარტამ) **სავალი** [ბაღი (მცენარეულით შემკული)]?

ფონეტიკურად, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ***ვლტ** (< ვლდ) ფუძის ცვეთა-გადასმათა და სონანტურ შენაცვლებათა მიხედვით გარკვეული მოდელი მჟღავნდება ამ შემთხვევაშიც:



¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია ტ. II, ტფ., 1934. გვ. 98-110; არნ. ჩიქობავა, „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, ტფ., 1938, გვ. 147-148. Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 138 და სხვ.

² სამოთხესთან დაკავშირებით იხ. ალექსი ჭინჭარაული, „ეტიმოლოგიური ეტიუდებიდან“. აკაკი შანიძე 100, თბ, 1987.

სპეციალურ ლიტერატურაში ჭან. ონტულეს (ასევე ძვ. ქართ. პტულ || ბტულს „ახალი ხილი“) სომხურ პტულ-ისგან (იმავე მნიშვნელობისა) მომდინარედ მიიჩნევენ.¹

ბაქარ გიგინეიშვილი აღნიშნულ ფუძეთა ანალიზის საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ სათანადო ქართველური ფუძეების (მტილი, ორტვინი, ლარტამ) კავშირი პტულ, ორტულესთან გამორიცხულია.²

ძველი ქართულიდან ცნობილია ხლდომისა და ხლტომის იგივეობა.³ ლ-სთან დ-ს დისიმილაციური დაყრუება-გამკვეთრების შემდეგ, სხვა ანალოგიურ შემთხვევათა მსგავსად, ლ სონანტის გაუჩინარების შედეგად არის მიღებული ხტომა.

სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათაგან აღნიშნული კანონზომიერი ცვლილების თვალსაზრისით საყურადღებოა აფხაზურ-აბაზურში „ხის“ აღმნიშვნელი **ა-წლა** ფუძის ისტორია ჯერ კიდევ პ. ჭარაიამ აღნიშნა აფხ. **ა-წლა**-სა და ქართული **ძელის** ერთიანობა⁴ (შდრ. ქართ. **ძელ**-ქვა, **ძე**-წნა < ***ძელ**-წნა).

ახლა ჩვენ უკვე შეგვიძლია განვსაზღვროთ მიმართულება ამ ფუძეთა ურთიერთობაში. აფხ. **ა-წლა** დადგენილი ფონეტიკური კანონზომიერების საფუძველზე მომდინარეობს ქართ. **ძელ**- ფუძიდან აფხაზურში მახვილის გავლენით ხმოვნის რედუქციისა და მჟღერი **ძ**-ს სონანტ **ლ**-სთან შეხვედრისას დისიმილაციური გამკვეთრებით (ძელ > *ა+ ძელ[ა] > აწლა).

საგულისხმოა, რომ იმავე აბაზურ-აფხაზურში ანალოგიური ბგერათ თანამიმდევრობისას საკუთარი წარმომავლობის **აძლაგარა** („წისქვილი“) სიტყვაში მსგავსი პროცესი არ ჩატარდა, და არ ჩატარდა იმიტომ, რომ ამ ფუძის „წელის“ აღმნიშვნელ **ა-ძე** სიტყვასთან ცოცხალი კავშირი ენობრივი ცნობიერებისათვის შემორჩენილია ამჟამადაც.

როგორც გარკვეულია, ბაცბურსა და ქართულს მთის კილოებში „ხა-ჭოს“ აღმნიშვნელი სიტყვა **კალტი** მომდინარეობს ინგუშურსა და ჩაჩნურში არსებული იმავე მნიშვნელობის **კოლდ**, **კალდ** ფუძისაგან.⁵

¹ ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ. 1961 გვ. 33.

² ბ. გიგინეიშვილი, ეტიმოლოგიური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1979, №1, გვ. 80-81.

³ მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში. თბ., 1960, გვ. 74-75.

⁴ П. Чарая, об отношении абхазского языка к яфетическим. Санкт-Петербург, 1912, გვ. 45.

⁵ თ. უთურგაძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება. თბ., 1966. გვ. 65-66.

რ სონანტის მეზობლად

ხშულთა სონანტა მეზობლად გამკვეთრების პროცესის შედეგი ჩანს მ ა რ ტო, მ ა რ ტო დ... ამის გასათვალისწინებლად მარჯვე კონტექსტი გვაქვს რუსთაველის ცნობილ სტროფში: „სხვა ძე არ ესვა მეფესა **მართოდენ მართოდ** ასული“. აქ ფონეტიკურ ვარიანტთა განმეორებით გამართულია სტრიქონი. მ ა რ ტო მომდინარეა მ ა რ თ ოდენ-ისაგან რ სონანტთან ფშვინვიერი თ-ს გამკვეთრებით, მეორე კომპონენტის ნაწილობრივი გაცვეთისა და პირველთან შეერთების შედეგად (შდრ. ღმერთმან+ი და მისთ.). ეს გარდამავალი სახეობა დღესაც ცოცხალია:

მაღალთ **მართოდენ**
შარავანდედთა
სამეუფოთა ცისათა სახლის,
მომეცეს ძალი,
ძალი მომეცეს,
ვიყო მარადის
მე მათდა მსახურ! (ა. კალანდაძე).

ამჟამად გავრცელებული წიგნური წარმოება „მ ა რ ტ ო ო დ ე ნ“ მოყვანილ ფუძეთა წარმომავლობის დაბნელების შედეგია.

ფუძის გაცვეთის შედეგი სხვადასხვა საფეხურისა არის. დღეს ჩვენ „მ ა რ ტ ო დ“ სახეობა „მართო“ სიტყვის ვითარებითი ბრუნვის ფორმად შეიძლება გვესმოდეს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ იმავე რუსთაველურ სტროფში „**მართოდ**“ წარმოადგენს „**ოდენ**“-ის გაცვეთის უფრო ადრინდელ საფეხურს (მ ა რ თ ოდენ > მ ა რ ტ ოდენ). ამას შეიძლება მხარს უჭერდეს „მართოკანა“-ს გურულ დიალექტში გავრცელებული ნაირსახეობა მისი „მართოტ-კალე“ > „მარტეტ-კალე“ (*მართოდ-კალაჲ) < *მართოდ-კაკალაჲ [„კაკალაჲ“].

გამკვეთრებული სახეობა მ ა რ თ ფუძისა სხვა სიტყვებსაც უნდა დასდებოდა საფუძვლად. კერძოდ, -**ივ** სუფიქსის მეშვეობით უნდა იყოს მისგან მიღებული ახალი ცნება „**მარტივი**“ (< *მართ-**ივ**-ი, შდრ. მარჩბ-**ივ**-ი, გასწვრ-**ივ**-ი და სხვ.). ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იქცევს ენობრივი ლოგიკის მხრივ „სწორის“ აღმნიშვნელი **მართ** ფუძიდან „სიმარტივის“ ცნების წარმოქმნის ფაქტიც.

ამავე **მართ** ფუძის აღნიშნული გზით მიღებული მკვეთრი **მარტ** სახეობა უნდა დასდებოდა საფუძვლად „გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა“ სიტყვასაც. ეტიმოლოგიურად იგი „განმართვად“, „გასწორებად“ უნდა გავიგოთ.

ამავე კანონზომიერი პროცესის საფუძველზე აიხსნება ის ცვლილებები, რაც კავშირთა და კორელატივთა ფუძეებში დასტურდება ქართულში.

შ. ძიძიგურის სპეციალურ ნაშრომში მოყვანილი მასალის მიხედვით ამ ფუძეებში ქართული ენის განვითარების ადრეულ პერიოდში **ტ** თანხმონიანი სახეობა არ ჩანს.¹ ასეთი სახეობები ჩნდება მოგვიანებით. რომ (რომელ) სიტყვის დართვისას წარმოქმნილ ..თ+რ.. კონტექსტში ვიღებთ ა / იმით+რომ → *ა / იმიტრომ → ა / იმიტომ სახეობებს.

ამასთან დაკავშირებით თავს იჩენს სხვა ახალი კანონზომიერებაც: სათანადო ფუძეებში **რ** სონანტის ზემოქმედებით გამოწვეული გამკვეთრების პროცესის დასრულებისას თავად **რ** სონანტი არის გაუჩინარებული.

განხილულ ფუძეთა რიგში უნდა დადგეს **რატომ** კავშირის საკითხიც. „რატომ“-ის თაობაზე შ. ძიძიგური წერს: „ვაჟასთან ვკითხულობთ: „ეს ოხერი, ფინთს გუნებაზე რადამა ვართ...“ აქედან ადვილი საფიქრებელია, ა დავიწროებულიყო მ-ს მეზობლობაში, დ დაყრუებულიყო თ-დ და შემდეგ გამკვეთრებულიყო, ისევე როგორც მოხდა რამდენ-რამთენ-რამტენ სიტყვაში, და საბოლოოდ მიგველო რატომ ზმნიზედა“. და იქვე შენიშნავს: „ეს ვარაუდი გამორიცხავს რატომ-ის მიღებას მიტომ || იმიტომ-ის ანალოგიით“-ო.²

როგორც ირკვევა „რამთენ“ → „რამტენ“-ში დ-ს დაყრუება და თ || დ-დ ქცევა აიხსნება დ-ს მ სონანტთან უშუალოდ მოხვედრით. უპირობოდ აღნიშნული დ-ს თ-დ და შემდეგ ტ-დ ქცევა არ ხდება. ასეთი პირობა საძიებელია „რატომ“ კავშირის შემთხვევაშიც.

„რატომ“-ისათვის სავარაუდებელია დ-ს მომდევნოდ რ სონანტის მადისიმილირებელი მოქმედების შედეგად ისეთივე გაუჩინარება მისი, როგორც ეს ამიტომ, იმიტომ ფუძეებში მოხდა. და, მართლაც, ზემოთ მოყვანილი რად(ა)-ს შემდეგ რომ რ თავკიდურიანი მორფემა არის სავარაუდებელი, ნათელია თუშურში დაცული „რადარამე“ ფორმიდან.

როგორც გ. ბოჭორიძე აგვიწერს, მისამიმრებისას მოსული ამბობს: „ე რა საქმე მოგივიდათა? რაგვერ მოჯდა, რადარამე შენ მოჰკვედივ“³ (იგი გვხვდება „რადარემ“ სახითაც თუშურში).⁴

სწორედ ეს ამოსავალი *რადარამ[ევ] წარმოებაა ამ შემთხვევაში საორიენტაციო (რადარამ[ევ] > *რადარამ > *რადრამ || *რადრომ > *რატრომ > რატომ).

¹ შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1963, გვ. 472-477.

² შ. ძიძიგური, კავშირები ქართულენაში, თბ., 1963, გვ. 412.

³ გ. ბოჭორიძე, თუშეთი, თბ., 1963, გვ. 303.

⁴ „რადარემ“ გახვედ დოვნისწელ, რა დაგერია ნაცილი...“ იხ. „თუშური ჩანაწერები“. კოსტა აზიკური თბ., 1995, გვ. 54.

თუშურში დადასტურებული მ უ წ უ კ ი ს აღმნიშვნელი კ ე ტ რ ი¹ ალბათ კ ე თ რ სახეობიდან მომდინარეობს.

ძველ ქართულში მიუთითებენ ბ რ დ ჯ ნ ვ ა-სთან ერთად ბ რ ტ ჯ ნ - ვ ა სახეობის არსებობაზე. სამართლიანად მიიჩნევენ, რომ დ ქვეულია ტ-დ მჟღერი ბგერების მეზობლობაში.² შეიძლება ამ შემთხვევაში დ-ს მკვეთრ ტ-დ ქვევაში მონაწილეობა მიეღო როგორც წინამავალ რ სონანტს, ასევე მომდევნო ჯ-საც, მაგრამ პროცესის მეტი გავრცელებულობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უპირატესობა ალბათ რ სონანტს უნდა მიენიჭოს.

მართებულად მიგვაჩნია სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული აზრის წინააღმდეგ გ. მაჭავარიანის მოსაზრება, რომ ფერჯ სიტყვაში რ მეორეული არ არისო. იგი წერს: „თუ სწორია ვარაუდი, რომ ფ ე რ ჯ - < * ბ ე რ ჯ, მაშინ რ-ს მეორეულობა ამ ფუძეში ეჭვის ქვეშ დადგებოდა: *ბერჯ- (სვან. ბწრჯ) სიტყვა ადვილად შეიძლება დავაკავშიროთ *ბ ე რ კ - / * ბ ა რ კ - (სვან. ბწრკ) სიტყვას, რომელიც წარმოდგენილია ქართულსა და მეგრულში: ძვ. ქართ. კუარცხლ-ბ ე რ კ - ი, ბ ა რ კ - ა ლ - ი, და-ბ რ კ-ოლ-ეზ-ა, მეგრ. ბ ო რ კ-ი „ფეხი“. [ჩვენი მხრივ შედარებისას დავუმატებდით: შე-ფ ე რ ხ-ეზას. წა-ფ ო რ ხ-ილებას... ქ. ლ]. მაგრამ ავტორი იქვე განაგრძობს: „*ბ ე რ ჯ - / *ბ ა რ ჯ - და *ბ ე რ კ - / *ბ ა რ კ ფორმათა შეპირისპირება გამოგვაყოფინებს – *ჯ და – *კ სუფიქსებს გახმოვნების ნულ საფეხურზე და საერთო ძირეულ მორფემას – *ბ ე რ - / *ბ ა რ - გახმოვნების სრულ საფეხურზე“.³

ჩვენ ამ შემთხვევაში გაგვიჭირდება გამოვყოთ – *ჯ და – *კ სუფიქსები. ზემოთ დადგენილი კანონზომიერების მიხედვით განხილულ ფუძეში კ თანხმოვანი იმავე ამოსავალი ჯ-ს გამკვეთრებული სახეობაა რ სონანტის მომდევნოდ.⁴

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ წარმოდგენილი რიგის ფაქტთა არსებობის ფონზე ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ არ მიგვაჩნია იმის დაშვება, რომ დიალექტური სახეობა „კარგი“ სიტყვისა – „კარქი“ პირველად ყრუ თანხმოვნის წინ (კარქ-ს, კარქ-ში, კარქ-თან) წარმოიშვა.⁵

¹ ჰ. ხ უ ბ უ ტ ი ა, თუშური კილო, თბ., 1969, გვ. 109.

² მ. ძ ი ძ ი შ ვ ი ლ ი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, გვ. 71.

³ გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965 გვ. 17. შწ. 1.

⁴ ამავე კონტექსტში იზადება ითხვა, საანალიზო ფუძეს ხომ არ უკავშირდება ე. წ. „ხმაბაძვითი“ ბ ა კ ი - ბ უ კ ი, რომელიც ფეხის მონაცვლეობით გამოცემულ ბგერას ასახავს და რაც კარგად ჩანს შიო არაგვისპირელის სათანადო ციტატის კონტექსტიდან: „ცხვარმაგ შეწყვიტა ფრუტუნ და ფეხების ბაკი-ბუკი“ (ქეღ I). ბუნებრივია დავუშვათ, რომ ამ შემთხვევაშიაც თავდაპირველი ფშვინვიერის, ჯ-ს რ-ს მეზობლობაში გამკვეთრების შემდეგ რ სონანტი თავად გაუჩინარდა სხვა ანალოგიურ ფუძეთა მსგავსად.

⁵ გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965, გვ. 16.

იგივე ახსნა აღნიშნული სახეობისა მოცემული აქვს გ. ახვლედიანს თავის „ზოგადი ფონეტიკის შესავალში“, თბ., 1956, გვ. 181.

ერკემალი (ვერძი) უნდა მომდინარეობდეს *ერ გ ე მ ა ლ ი ს ა გ ა ნ . ეს მისი ამოსავალი სახეობა შემორჩენილია გვარსახელ **ერგემლიძეში**.

ხ ე კ ო რ წ ა პარალელურად ამოსავალი ხ ე კ ო რ ძ ა ს სახითაც დასტურდება.¹

ჭანურის (ოხორჯა) || ო ხ ო რ ძ ა -ს („ქალი“, „ცოლი“, „დიასახლისი“) ათინურ კილოკავში მოუცია ო ხ ო რ წ ა.²

თ. უთურგაძეს თუშურში აღნიშნული აქვს მამაკაცის სახელი **ბორწი**. ეხება მის წარმომავლობას და ეტიმოლოგიასაც. იგი მიაჩნია „მგლის“ გამომხატველ ნახურ სიტყვად (უდარებს ბაცბურში არსებულ ბზორწ „მგლის“ სემანტიკის მქონე ფუძეს). აქვე მიუთითებს ბაცბური სახეობის ჩაჩურ-ინგუშურ ბ ო რ ზ შესატყვისს და განაგრძობს: „ბ ო რ ზ ფორმიდან ჩანს ნაწარმოები ხევსურული **ბორძუკა** (სოფ. ჯ ო ნ ი ს ჭ ა ლ ა ს აქვს ტოპონიმი ბ ო რ ძ უ კ ა ი ს ე ხ ი , ე . ი . ბ ო რ ძ უ კ ა ს გამოქვამული). ბ ო რ ძ უ კ ა დაიშლება ასე: ბ ო რ ძ - უ კ ა , სადაც უ კ ა კნინობითი ნაწილაკია ქართული ენისა, ხოლო ბ ო რ ძ ჩაჩურ-ინგუშური ბ ო რ ზ -ის შესატყვისი ფუძეაო.³ მის ქართულ სინონიმად მართებულად თვლის მ გ ე ლ ი - კ ა ს . ბოლოს დასკვნის სახით იქვე ვკითხულობთ: „მამასადამე, თუშურსა და ხევსურულში ადამიანთა რქმევის სახელებში ბ ო რ წ ი , ბ ო რ ძ უ კ ა , ბ ო რ ძ ი კ ი ძ ე ძირად გამოიყენება მ გ ლ ი ს აღმნიშვნელი ნახური ფუძე ბორძ [**ბორზ** (ჩაჩურ-ინგუშურში)] და **ბორწ**⁴ ბ - ჟ ო რ წ (ბაცბური)“-ო.

ვფიქრობთ ამ მსჯელობაში ყველაფერი ნათელი და გასაზიარებელია, ოღონდ ჩვენი მხრივ დავსძენდით **ბორძ**-ის **ბორწ**-ად ქცევაში (ე. ი. ძ-ს გამკვეთრებაში) წილი უდევს **რ** სონანტს და აშკარაა, ქართულის მსგავსად, არც ნახური ენებისათვის (კერძოდ, ამ შემთხვევაში ბაცბურისათვის) არის იგი უცხო.

ხშილი თანხმოვნის **რ** სონანტთან მეზობლობისას დაყრუება-გამკვეთრების დისიმილაციური კანონზომიერების მოქმედების შედეგად თვით ამ პროცესის გამომწვევი **რ** სონანტის გაუჩინარების ზემოთ მოყვანილი ფაქტები შესაძლებელს ხდის გარკვეული პოზიციიდან მიუუდგეთ ზოგი სიტყვის ისტორიას. ჩვენი აზრით, ამ კანონზომიერების მოქმედებით აიხსნება **ტუჩ** სიტყვის მომდინარეობა ამჟამად ემოციურად ჟღერადი

¹ მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის. I წიგნი (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით). გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ. თბ., 1964, გვ. 272.

² არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ჭანურის გრამატიკული ანალოზი ტექსტებითურთ, ტფ., 1936, ჭანური ტექსტები, გვ. 125, 10.

³ თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე , ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, გვ. 85-86.

⁴ თუ აქ მიმართულების ნიშანი > სწორადაა მოცემული? თითქოს უნდა ყოფილიყო პირიქით: < !

საქონლის ცხვირის აღმნიშვნელი **დ რ უ ნ ჩ** სახეობიდან (*დრუჩ → *ტრუჩ → ტუჩ).¹ გურული დიალექტის გასაკვილავი **დრუნჩალია**-ს შესაბამისია მთიულურში არსებული მისი მეორეული სახეობა **ტუჩალა** „დიდ-ტუჩებიანი“.²

სონანტა მეზობლად ხშულთა დაყრუების (გამკვეთრების) თვალსაზრისით საყურადღებო მასალას გვაწვდის ონომასტიკა, ტოპონიმიკა.

გვარსახელი **ჩხარტი** შვილი უნდა მომდინარეობდეს „ჩხართვი“ სიტყვიდან. ფრინველთა ფუძეების გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა გვარის სახელთა წარმოქმნისას (შდრ. წეროძე, ქორიძე, მიმინოშვილი...).

გვარსახელი **ერთელი** შვილის წინა სახეობაა პარალელურად არსებული **ერთელი** (*[ჰ]ერეთელიშვილი?)³

გვარსახელი **ქემერთელი** და გეოგრაფიული სახელი (რომლისგანაც ალბათ იგია წარმომდგარი) **ქემერთი** უშუალო ამოსავალში ფშვინვიერ **თ** ხშულს თუ შეიცავდა?! შდრ. გიულდენშტედტის მითითებული სოფ. **ქემერთი**.⁴

დგება კითხვა გეოგრაფიული სახელის **დარკვეთის**⁵ ფუძის ერთიანობისა იმერეთშივე არსებული **არგვეთის**, **ლარგვეთის** ფუძეებთან (გამორიცხული არ არის არც „**არკვეთ**“ სახეობა).

ამავე ნიადაგზე ჩნდება ვარაუდი ქართული ტოპონიმის **კორტა**-**ნეთის** შესაძლო კავშირის შესახებ **კორდ** სიტყვის ფუძესთან. ამ ფუძეთა დაკავშირება დასაშვებად მიუჩნევია რ. გორდეზიანსაც სათანადო წინაბერძნული Kortus და სხვა მსგავს ტოპონიმებთან ურთიერთობის განხილვისას. მისი აზრით, „**დ / ტ** მონაცვლეობა სრულიად დასაშვებია ქართველურისათვის“.⁶ თუ მართლაც ამ ფუძეთა დაკავშირება შეიძლება, **დ > ტ** ცვლილების გზაც სარწმუნო გახდება სწორედ სონანტ **რ**-სთან მეზობლობაში. მომდევნო საფეხურია – გამკვეთრების შემდეგი **რ** ჩავარდნილი სახეობა მისი **კოტიანეთი**, რომელიც სენაკის რაიონში ტოპონიმად მითითებული აქვს ი. ყიფშიძეს⁷ (და, ალბათ, სხვაგანაც გვხვდება).

¹ აქ განხილულ პროცესებთან დაკავშირებით (განსაკუთრებით **ნდ**, **დრ**... მეზობლობისას გამკვეთრებისა და შემდგომში კი სონანტთა გაუჩინარების წესის საფუძველზე) იხსენება ზოგი ე. წ. „უბადო“ სიტყვათა წარმომავლობა. მათ საკითხს ჩვენ აქ არ ვიხილავთ.

² ლ. კ ა ი შ ა უ რ ი, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა.. თბ., 1967.

³ შდრ. ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ქართული გვარსახელები. სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია, თბ., 1979. გვ. 38.

⁴ ი. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი. გერმანული ტექსტი ქართული თარგმნითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 177, 19.

⁵ ი. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, მოგზაურობა, ტ. 1, თბ., 1962, გვ. 301.

⁶ რ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი, წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985, გვ. 117.

⁷ იხ. მისი, დასახელებული ნაშრ., გვ. 261.

ექვს აჩენს საქართველოს ისტორიული ადგილების არტაანის, არტანუჯის თავდაპირველი სახეობისათვის ტ თანხმონიანი ვარიანტის დამკვიდრება, შდრ., ერთი მხრივ, გეოგრაფიული სახელი ართანა..., მეორე მხრივ, კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ არტანუჯის მოხსენება „ადრანუჯე“¹ (რომ არაფერი ვთქვათ სხვა ენებში არსებულ მის მყდერის მქონე სახეობაზე).

ძველ ბერძნულ-რომაულში არსებული მკვეთრის შემცველი ეთნიკური სახელწოდება „მაკრონიუს“ სახით ცნობილი, რომელიც მეგრულ ეთნოსს მიემართება, სავარაუდებელია ქართველურ ენათა სინამდვილეში იღებდეს სათავეს („გრ“-ს „კრ“-დ ქცევით).

განხილული რიგის ცვლილებათა გამოძახილად შეიძლება ჩაითვალოს ძველ ავტორთა Kardu-ს „ქართუ“-დ გარდაქმნა („...რდ“-ს „...რთ“-დ გარდაქცევის შედეგად მოსალოდნელია **κ**-ს გაფშვინვიერებაც უკვე ასიმილაციის გზით).

რ სონანტთან **ქ** ხშულის გამკვეთრების ფაქტს ვადასტურებთ აფხაზურ ენაში ქართველურიდან შესულ გვარსახელს ქირიას კრი-დ გადაქცევისას (პირველი **ი** ხმოვნის რედუქციით გამოწვეული *ქრი-ა სახეობის გავლით).

მ სონანტის მეზობლად

ზემოთ (გვ. 86.) მითითებული იყო **მ** სონანტთან მეზობლობის შედეგად **დ**-ს ჯერ ყრუ **თ**-დ და ბოლოს მკვეთრ **ტ**-დ ქცევის შემთხვევა (რამდენი > რამთენი > რამტენი).

ქართულ გვარსახელთან სუმბათაშვილთან მართებულად აკავშირებენ ქართულშივე არსებულ გვარსახელს სუპატაშვილს.² აქაც **მ** სონანტთან **ხ** მყდერი ხშულის დისიმილაციური გამკვეთრების შემდეგ (*სუმბათაშვილი) თვით ამ პროცესის გამომწვევი **მ** სონანტი გაუჩინარებულია (შდრ. ანალოგიური ფაქტები ზემოთ!). ბოლოს კი, უნდა ვიფიქროთ, მკვეთრმა **პ** ხშულმა პროგრესული ასიმილაციით მომდევნო **თ**-ც გაამკვეთრა.

¹ „სუმბატ დიდს, იბერს (ქართველს), ჰყავდა შვილები პანკრატი და დავით მამფალი. პანკრატს ერგო მემკვიდრეობად... ადრანუჯე (არტანუჯი). ს. ჯანაშია, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. შრომები, ტ. V, 1987, გვ. 248.

² გ. ბედოშვილი, „მოსაზრებანი ზოგი ქართული გვარის წარმოშობის თაობაზე“, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 52-ე სამეცნიერო სესია, 1993 წლის 21-24 დეკემბერი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1993, გვ. 8.

ვ სონანტის მეზობლად

დედალი ქათამი კვერცხის დების ციკლის მოთავების შემდეგ კ რ უ ხ - დ ე ბ ა, იტყვიან: „მოკრუხდაო“. კვერცხზე წიწილათა გამოსაჩეკად დამჯდარსა და გამოჩეკის შემდეგ მათზე მზრუნველ დედალს კ რ უ ხ ი ეწოდება.

საბა ორბელიანს „კრუხის“ განმარტებისათვის მოჰყავს მისი სინონიმი კ რ უ ტ ი. გ. კლიმოვს კ რ უ ტ ი კ რ უ ხ ი ს ფონეტიკურ ვარიანტად მიაჩნია.¹

ორივე ხმაბადებითი წარმომავლობის ფუძეები ჩანს. ქართ. კრუტს პარალელები ეძებნება აფხაზურ-ადიღურ და სხვა ენებშიაც. აფხაზურში ამ მნიშვნელობით გვაქვს ა - ყ ა რ თ, ადიღ. ყ გ რ თ,² მაგრამ ქართველურ ენებში „კრუხის“ აღსანიშნავად სხვა არახმაბადებითი წარმომავლობის ფუძეც გვაქვს. ეს არის **მოჭვა**, რომელიც „მოჭუა“, „მოჭუა“-ს სახითაც გვხვდება.

მოჭვა უნდა წარმოადგენდეს სონანტა მეზობლად ხშულთა დისიმილაციური გამკვეთრების შედეგად მიღებულ სახეობას სავარაუდო ***მოთვა** ფუძისას.

საგულისხმოა სემანტიკური ურთიერთობა მოთვასა და მოჭვას ი. მოთვა წიწილის, ჩვილის სემანტიკას ჰგულობს, მოჭვა კი მისი გამომჩეკელისას. მიუხედავად თითქოს არსებული დაპირისპირებისა, გურულ დიალექტში გვხვდება გალ ა ყ ე ბ უ ლ ი (კრუხის ნაჯდომი) კვერცხის აღსანიშნავად როგორც **ნამოთვარა** კვერცხი“, ისე **ნამოჭვარა** კვერცხი“.

თვით ფუძე მოთვა სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტის სახით საკმაოდ მკვიდრია ქართველურ ენებში (მოეპოვება შესატყვისები მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებშიაც). მას უკავშირდება ნაშიერთა სახელები: ერთი მხრივ, მეგრულის **მოთა** „შვილიშვილის“ აღსანიშნავად, მეორე მხრივ, ამავე ძირეული ელემენტის შემცველი ძველი ქართულის **თელი** „ღორის გოჭი“ (საბა), მეგრულისავე **თუ** („გოჭი“), მრ. რ. **თულეფი**. ... ჭან. **თილა** („გოჭი“), ჭანურშივე **კატუმ მოთა** „კატის კნუტი“,³ ქართ. **მართვე** (საბას განმარტებით: „ზოგადად ყოელთა ფრინველთა შვილთა მართვ ეწოდება“).⁴

¹ Г. К л и м о в, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 117.

² А. К. Ш а г и р о в, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, А – Н. М. 1977, გვ. 236. ავტორს აქვე მოყვანილი აქვს ყარაჩულ-მალყარული და ოსური სახეობები ამ სიტყვისა.

³ არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ. 1938, გვ. 30; „ლაზური პარამითეფე“, შემდგენლები: ნათელა ქუთელია, სერგი ჯიქია, თბ., 1982, გვ. 52; 96 და სხვ.

⁴ ამ ფუძეთა ურთიერთობისა და წარმომავლობის საკითხებთან დაკავშირებით იხ. ავტორისავე: ქართ. მ ა რ თ ვ ე და მისი ზანური შესატყვისი, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. განყ. მოამბე ტ. I. 1961. „Некоторые вопросы иберийско-кавказского языкознания“. ВЯ, №4 1955 და სხვ.

მოთვა სიტყვის ფუძეში **ვ** სონანტის გამკვეთრების უნარის საფუძველზე უნდა მიგვეღო **თ** ძირეული ხშულის (დისიმილაციის შემთხვევაში) მკვეთრი სახეობა **ტ** და უნდა წარმოქმნილიყო „**მოტვა**“, რომლისგანაც შემდეგში **ტვ** კომპლექსის აფრიკატიზაციით უნდა იყოს მიღებული **მოჭვა**.

რაც შეეხება **ტ** ხშულის გააფრიკატებას, ეს ქართულში მოულოდნელი პროცესი არ არის. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ ისეთი წყვილი სახეობები, როგორიცაა **ტყურბლა** (ქეგლ) > **ჭყუპლა** (იქვე), **პორტყვა** და **პორჭყვა** (იქვე), **ტვირთი** და **ჭვირთი** (იქვე) და მრავალი სხვა.

როგორც ზემოთ იყო მითითებული, სონანტთა მეზობლად ხშულთა დისიმილაციური გამკვეთრების კანონზომიერების თანამდევ პროცესად შეინიშნება გამკვეთრების პროცესის შემდეგ გამკვეთრების გამომწვევი სონანტის დაკარგვა. ეს ცვლილება აქაც მომხდარა და **მოჭვა** ფუძისგან მიგვიღია **მოჭ** (მოჭა) სახეობა. კრუხის მოხმობისას მაგ., გურიაში ამბობენ „**მოჭი** ის, **მოჭი** ის“...¹ მიუთითებენ ასევე ამავე დანიშნულებით „**მოჭი** - **მოჭი**!“ სახეობას.²

ვ სონანტის დისიმილაციური მოქმედების შედეგად უნდა იყოს მკვეთრის შემცველი ფუძე ქართ. **ტვინ** სიტყვისა, რომლის წინა საფეხური **თჟელ** (თველ, თბელ) შემონახულია სვანურში.

საკითხი აღნიშნული ფუძის თავდაპირველი სახეობისა, მისი ეტიმოლოგიისა და ფონეტიკური ვარიანტების წარმოქმნისა მოითხოვს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალის გამოწვლილვით ანალიზს.

წინამდებარე ნარკვევში რამდენიმე ათეული ფუძის ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილი იყო ცდა გვეჩვენებინა სონანტთა მეზობლად ხშულთა გამკვეთრების (დაყრუების) კანონზომიერებანი და ზოგი თანამდევ პროცესის (კომპლექსის გამარტივების) ბუნება.

განალიზებული მასალის მიხედვით მეტი აქტუალობით გამოირჩევა **ნ**, **რ**, **ლ** სონანტები. „ბაგისმიერი“ **მ**, **ვ** სონანტთა მადისიმილირებელი მოქმედება შედარებით შეზღუდული ჩანს.

წარმოდგენილი მიმართულებით კვლევა-ძიების გაგრძელება პერსპექტიულად გვესახება. ვფიქრობთ, იგი ნათელს მოჰფენს არაერთი ფუძის წარმომავლობა-ეტიმოლოგიას, როგორც ქართველურ, ისე საერთოდ იბერიულ-კავკასიურ ენებში.

¹ გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, კრბ. „ქართველურ ენათა ლექსიკა“ I. თბ., 1938, იხ. სიტყვა „მოჭვა“.

² ბ. ფოჩხუა, მ. მაჭავარიანი, ლ. ენუქიძე, თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, I. თბ., 1987, გვ. 218.

Ketevan Lomtadze

On the Transformation of Occlusives into Glottocclusives (devoicing) in the Vicinity of Sonants in Kartvelian Languages

Summary

So-called positionally conditioned phonetic processes are known to be quite common along with spontaneous sound changes. When in a definite language positionally conditioned phonetic processes occur regularly they may be represented through systematic sound correspondences. However, positionally conditioned phonetic processes that do not occur regularly (i.e. that are not of a systematic nature) can also be observed.

Positionally conditioned phonetic processes come into play primarily when (a) the meaning of the word is obscure, (b) the etymology of the stem is unclear to the speaker, or (c) when we are dealing loan words and other borrowings.

Therefore, identification of the indicated restricted phonetic regularities is an indispensable prerequisite for the study of the historical changes occurring in a language, of the etymology of words, as well as of the initial stem structure of lexical units.

My study on the “Bilabial Occlusives Derived from Complexes in Kartvelian Languages” (1984) deals with one such ‘restricted’ phonetic regularity. It is shown that in certain stems **b**, **p**, **ɸ** occlusives (obstruents) are derived through fusion from the corresponding complexes containing a labial component – **gv**, **kv**(**kv**), **kv**(**qv**) – respectively.

In the present paper I consider the ‘restricted’ process of “the transformation (devoicing) of occlusives into glottocclusives (voiceless) in the vicinity of sonants in Kartvelian languages” (the process appears to be rather widespread).

As sonants are intrinsically voiced, in certain cases they can turn (through assimilation) a voiceless consonant appearing in their vicinity into a voiced one (even without any phonological correlation); on the other hand, in the case of a dissimilatory tendency, sonants can cause voiced occlusives to become voiceless (glottocclusive) consonants.

The process of dissimilatory-devoicing-consisting in the transformation of voiced occlusives into voiceless consonants in the vicinity of sonants – may end with the production of an aspirated consonant. However, from this point of view, in Kartvelian languages, as well as in other Iberian-Caucasian languages, transformation of occlusives into glottocclusives appears to be of special significance. This can be accounted for by the specific phonological structure of these languages – viz., the **triple system of occlusives** (obstruents). **To the same extend,**

transformation of occlusives into glottocclusives through dissimilation in the vicinity of sonants is a phonetic process peculiar to Iberian-Caucasian languages.

In the present paper I consider the data – relevant to the indicated regularities – provided by Kartvelian languages (primarily Georgian). In some cases the data provided by other Iberian-Caucasian languages is also taken into consideration. It should be noted, however, that in terms of the different groups of Iberian-Caucasian languages (including Georgian) the issue requires a special study.

An analysis of the data provided by Kartvelian languages has shown that the indicated dissimilatory process of transformation of the voiced occlusives into voiceless (glottocclusive) consonants is of a rather complicated nature: it can be **progressive** as well as **regressive**. The dissimilatory process of transformation of voiced occlusives into voiceless consonants can stop at an **aspirated occlusive**, or the process may produce both – the **aspirated** and the **glottocclusive** variants. And still, **the following should be considered as the most important aspect of the indicated regularities: after the end of the dissimilatory process of transformation of voiced occlusives into glottocclusives**, in certain cases, the very sonant that has caused the dissimilatory process may disappear. If this is not taken into consideration, in certain cases reconstruction of the initial stem will not be feasible.

The following formulae can be given as a general formulation of the possible phonetic changes described by the regularities stated above:

Progressive dissimilation:

Sonant+Occlusive (Voiced; Aspirated) → Sonant+Occlusive (glottocclusive) → [Sonant]+Occlusive (glottocclusive).

Regressive dissimilation:

Occlusive (Voiced; Aspirated)+Sonant → Occlusive (glottocclusive)+ Sonant > Occlusive(glottocclusive+[Sonant]).

Such a complete realization of phonetic changes as represented in the formulae can, of course, be observed only in rare cases. Usually, two of the stages of the indicated process can be observed.

The analysis of the data (provided by Kartvelian languages and dialects, as well as, in particular cases, by other Iberian-Caucasian – viz., Abkhaz, Batsb, Dargwa – languages) has shown that **n, r, l** sonants are more active with regard to the indicated dissimilatory process. The dissimilatory action of the 'labial' **m, v** sonants appears to be more restricted.

The present paper analyses such stems as: **pneva, oṭeba, ganmarṭeba, borḳili, ṭuči... marṭo, marṭivi, raṭom**; along with first names, surnames, place-names: **Coṭne, Oṭia, Aḳneli, Supaṭašvili, Čxartišhvili, Maḳronebi, Qincvisi, Koṭaneti, Arṭanuzi, Kemerti, Darkveti**, etc.

ძირითად დროსა წარმეებისათვის
აფხაზურში

ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში*

აფხაზური ზმნა უაღრესად მდიდარია დროებითა და კილოებით, განსაკუთრებით კილოებით, რომელთა შესაძლებელი სახეობები ჯერ აღწერილი არ არის. ამ დრო-კილოთა მთლიანი განხილვა ჩვენს მიზანს ამჟამად არ შეადგენს. აქ ჩვენ უმთავრესად ვეხებით აწმყოს, ნამყო უსრულისა და აორისტის¹ წარმოებასა და მაწარმოებლებს.

ხსენებულ დროთა გამოყოფას ამართლებს მათი გარკვეული დამოკიდებულება ზმნის ფუძისადმი. ისინი განსაკუთრებულ ინტერესს ფორმათა მრავალნაირობითაც იწვევენ. ფორმათა ამ სხვადასხვაობას ვხვდებით ერთი და იმავე დიალექტისა თუ თქმის ფარგლებშიაც.

არსებულს ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, არცაა გათვალისწინებული ამა თუ იმ ფორმათა ვარიაციები (მაშინ, როდესაც ერთ ზმნას, ამ ვარიაციათა საფუძველზე, შესაძლოა, ერთ დროში ათეული ფორმაც-კი გააჩნდეს), ან არადა უყურადღებოდ რჩება საკითხი მათი ურთიერთობისა.

საჭირო იყო გარკვევა იმისა, თუ რა შემთხვევაში (სად, როდის) შეიძლება ჰქონდეს ზმნას ესა თუ ის დაბოლოება (მაგ., -ოაჲ, -ჴოაჲ, -ჴეაჲ – აწმყოში, -ე-აჲ, -იჲ – აორისტში; -ონ, -ჴან – ნამყო უსრულში და სხვ.), აქვს თუ არა მათს გამოყენებას გარკვეული წესი და რა ნიადაგზეა მიღებული იგი. ამისათვის აუცილებელი იყო აფხაზურისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ მოვლენათა გათვალისწინება და სხვადასხვა თქმებისა და დიალექტების საფუძვლიანი ცოდნა. მართალია, აფხაზური ენის თქმადიალექტები ჯერჯერობით სასურველად შესწავლილი არ არის, მაგრამ ვცდილობდით მაინც ეს ნაკლი შეგვევსო იმ არსებულ წყაროთა სრული გამოყენებით, რომელთა მოპოვებაც ამჟამად შეიძლება.

დიდძალი მასალა მოგვცა აკად. ნ. მ ა რ ი ს ლექსიკონმა², რომელშიაც, ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში, მოყვანილია აწმყო-აორისტის ფორმები სხვადასხვა თქმათა მიხედვით³. ბზიფური დიალექტისათვის აგრეთვე ვისარგებლეთ პ. უ ს ლ ა რ ი ს გრამატიკაში⁴ მოცემული მასალებით და ჩვენ მიერ სოფ. ლიხნში ჩაწერილი ძეგლებით. აბჟუურისათვის გამოვიყე-

* ნაშრომი წარმოდგენილი იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. მის საფუძველზე ავტორს მიენიჭა ძიებული ხარისხი (რედ.)

¹ **აორისტს** ხშირად სულ სხვა მნიშვნელობით ხმარობენ. მაგ. უ ს ლ ა რ ი აორისტით გადმოსცემს გარკვეულ ზმნათა აწმყოს აფხაზურში, დ ი რ ი კ ი – საერთოდ აწმყოს. აორისტისათვის შედარებით უფრო გავრცელებული მნიშვნელობის შესაბამისად აქ იგი პერფექტს გულისხმობს.

² ნ. მ ა რ ი, Абхазско-русский словарь, Ленинград, 1926.

³ აკად. ნ. მ ა რ ი ს ხსენებულს ლექსიკონში არაიშვიათად შეგვხვდება დროის ფორმები სადაურობის აღუნიშვნელადაც, თუ მათი სადაურობის გარკვევისათვის აღარავითარი საშუალება აღარ იყო (მაგ., სპეციფიკური ბზიფური ბგერები), ასეთს ფორმებს დიალექტოლოგიური მიზნით, რა თქმა უნდა, ველარ ვიყენებით.

⁴ პ. უ ს ლ ა რ ი, Абхазский язык, Тиф. 1887.

ნეთ პროფ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს მიერ ბლომად ჩაწერილი ტექსტები სოფ. აძვიბ-ჯაში (აძმბა) და ჩვენ მიერ ჯგერდაში (სოფ. ახუწა) ჩაწერილი ტექსტები.

ვისარგებლეთ აგრეთვე თანამედროვე საბჭოთა აფხაზეთის მწერლობის ძეგლებით. აფხაზური სალიტერატურო ენა მხოლოდ ახლა ყალიბდება და მასში ჯერაც სხვადასხვა დიალექტურ ფორმებს დიდი გასავალი აქვს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ძეგლთა გამოყენება დიალექტოლოგიური მიზნით მაინც შეუძლებელია. ასევე დიალექტთა დახასიათებისას ვერ დავეყრდენით „აფხაზური ზღაპრების“ ტექსტებს (გამოსულია 1936 წ.), იმისდა მიუხედავად, რომ ყოველ ზღაპარს მთქმელი და რაიონი აქვს აღნიშნული, ვინაიდან ტექსტები სხვადასხვა ინტერესის მქონე პირთაგან არის ჩაწერილი და ხშირად ჩამწერთა ხელიც ამჩნევია. ამიტომ მათ, უმთავრესად, ზოგადი ენობრივი მოვლენისა და უკვე ცნობილი და მოსალოდნელი ფორმების დასადასტურებლად მივმართავთ.

აფხაზური ზმნები დროთა დაბოლოებებში დიდი სირთულით არ ხასიათდება. ცვლილებები ფონეტიკიდან მომდინარეა და ეხება ხმოვნითს ელემენტებს. ამ მოვლენას თავის დროზე პ. უსლარიც შენიშნავდა¹, ოღონდ მას არ მოუცია ეს განსხვავებული სახეები და მისთვის, როგორც თვითონაც ამბობს, გაურკვეველიც დარჩა ამ ცვლილებათა კანონზომიერება.

დროთა წარმოების მიხედვით აფხაზური ზმნები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: ე. წ. **სტატიკურ** ზმნებად (ს ტ ო რ უ პ = ვზივარ, ს გ გ ლ ო უ პ = ვდგავარ, ს გ ყ ო უ პ = ვარ, ვარსებობ) და **დინამიკურ** ზმნებად (ს ტ ო რ ე ტ = ვჯდები, ს გ გ ლ ო ე ტ = ვდგები, ი ზ ბ ლ გ უ ე ე ტ = ვწვავ). აქ უკვე ადგილი აქვს განსხვავებულ მაწარმოებელთა გამოყენებას².

შინაარსით არსებითად განსხვავებულ ს ტ ო რ უ პ (ვზივარ) და ს ტ ო რ ე ტ (ვჯდები) ტიპის ზმნათა ასეთი დაყოფა იმიტია გამართლებული, რომ სტატიკურ ზმნებს დინამიკურთაგან განსხვავებით ახასიათებს (თავი რომ დავანებოთ მასდარსა და ზოგჯერ ფუძეშიაც მნიშვნელოვან გადახრებს): ნაწილობრივ ფორმანტთა სხვაობა (აწმყო) და ერთი ნამყოს გარდა, მთელი დანარჩენი დროების არქონა (იხ. უსლარი, § 15, გვ. 24, 25, აქვე, ქვემოთ)³.

¹ ხსენებული ნაშრომი, § 32.

² ამიტომ პ. უსლარის დებულება «Окончания с о г л а с н ы е для одних и тех же времен одинаковы во всех без исключения абхазских глаголах»-ო (იქვე, § 32), შეიძლება მეტისმეტად განზოგადებულად გვეჩვენოს, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ უსლარი აქ მხოლოდ ე. წ. დინამიკურს ზმნებსა და მათს დაბოლოებებს უნდა ვარაუდობდეს.

³ ზოგს შემთხვევაში სტატიკურს ზმნასაც შეიძლება დაერთოს დინამიკურისათვის დამახასიათებელი სუფიქსი (მაგ.: სგ-ყაზა-ჟომტ და სხვ.), მაგრამ აქ სტატიკური ზმნა გარკვეული ელემენტების დართვასაც საჭიროებს.

I. დინამიკური ზმნები

დინამიკურ ზმნებში დამახასიათებელ მაწარმოებლად გვხვდება: აწმყოში – **-ოიტ**, **-ჟეიტ**, **-ჟოიტ**; ნამყო უსრულში – **-ონ**, **-ჟან**; აორისტში – **-ე-იტ**, **-იტ** და სხვ. ის გარემოება, რომ ამ მაწარმოებელთა შემადგენლობაში გვხვდებოდა ო და ე ხმოვანი, სვამდა საკითხს მათი სხვა ფორმიდან წარმოშობილობის შესახებ. საკითხს იმის შესახებ, რომ ისინი შეიძლება მიღებული იყვნენ გარკვეული ფონეტიკური ცვლილებების შედეგად, რადგანაც ეს ხმოვნები მკვიდრად არ გამოიყურებიან თვით აფხაზურის ძირითადს მარაგში. ე და ო ჩვეულებრივ არც სხვა ენებიდან მომდინარე სიტყვებში რჩებიან ამ სახით: ო სხვა ენისა გვამღვეს ჟა-ს, ე კი – ა-ს.

1. აწმყო

აწმყოს წარმოება და ფუძე ზმნისა¹

ხსენებულ მაწარმოებელთა გამოყენებაში მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რომელ დიალექტთან გვაქვს საქმე. აწმყოში, მაგალითად, ბზიფური თითქმის ყოველთვის **-ჟეიტ**, **-ჟოიტ** დაბოლოებას მიმართავს. პ. უსლარი, რომელსაც ბზიფური წარმოება აქვს მოყვანილი, მხოლოდ **-ჟეიტ** დაბოლოებას აღნიშნავს. აკად. ნ. მარის აფხაზურ-რუსული ლექსიკონის სათანადო ადგილებზე **-ჟეიტ** (|| **-ჟოიტ**) დაბოლოებიანი ფორმები კალდახვარულისთვისაა (ბზიფი) აღნიშნული, ხოლო **-ჟოიტ**-იანი – ლიხნურისათვის (ბზიფი). რაც შეეხება აბჟუურს, აქ აწმყოში გვაქვს, როგორც **-ჟეიტ** || **ჟოიტ**, ისე **-ოიტ** || **-ოიტ**² სუფიქსიც. აბჟუურისთვის ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ზმნის ფუძეა. აქ **-ოიტ** დაბოლოება გააჩნია ისეთ ზმნას, რომლის ფუძეც ახმოვნით მთავრდება. ბზიფურში კი მაშინაც მოსალოდნელია **-ჟეიტ**, **-ჟოიტ** დაბოლოება.

¹ ვრცლად ზმნის ფუძის საკითხს აწმყოსთან განვიხილავთ, მაგრამ ზოგადი დასკვნები ზმნის ფუძესთან დაკავშირებით ძალაში რჩება აქ განხილული სხვა დროებისთვისაც.

² მასში შესაძლოა **-ა** (← **ა**) დაიკარგოს და მივიღოთ **-ოტ** || **-რტ**.

მაგ.:

| ა-ხმოვან- ფუძიანი ზმნები | აბჟურ. ფორ. ¹ | ბზიფური ფორ ³ . | |
|--------------------------------|--------------------------|----------------------------|-------------------------------------|
| აფყა-რან | იფყსომტ -რმტ | იფყსყუმტ -უმტ | ვჭრი რასმე |
| სლაგა-რან | სლაგომტ „ | სლაგუმტ „ | ვიწყებ რასმე |
| აგა-რან | იზგომტ „ | იზგუმტ „ | მომაქვს რამე |
| აგუმთა-რან | იგუმსთომტ „ | იგუმსთუმტ „ | ვსინჯავ რასმე |
| ათათა-რან | ითასთომტ „ | ითასთუმტ „ | ვასხამ რაშიმე |
| სფხა-რან | სფხომტ „ | სფხუმტ „ | ვკითხულობ რასმე |
| აჰა-რან | ისჰომტ „ | ისჰუმტ „ | ვამბობ რასმე |
| სჰა-რან | ისჰომტ „ | ისჰუმტ „ | ვჭამ რასმე |
| აგუაფხა-რან | ისგუაფხომტ „ | ისგუაფხუმტ „ | მომწონს რამე |
| აცა-რან | სცომტ „ | სცუმტ „ | მივდივარ |
| სქუმგლა-რან | სგუმგლომტ „ | სგუმგლუმტ „ | ვდგავარ ზედ |
| ათალა-რან | სთალომტ „ | სთალუმტ „ | ჩავდივარ შიგ |
| სლაშცა-რან | რლაშცომტ „ | რლაშცუმტ „ | ბნელდება |
| სლცა-რან | დალსცომტ „ | დალსცუმტ „ | ვადებ რისგანმე რასმე |
| ანწა-რან | სენწომტ | სენწუმტ „ | ვთავდები, ვილევი, ვწყდები |
| აკაფსა-რან | იკასფსომტ | იკასფსუმტ „ | ვაბნევ, ვყრი რასმე |
| ათარბა-რან | ითასგრბომტ | ითასგრბუმტ „ | გამოვაშრობ რასმე |
| აჟა-რან | იზჟომტ | იზჟუმტ „ | ვიტყუებ რასმე |
| აცაჟა-რან | სცაჟომტ | სცაჟუმტ „ | ვლაპარაკობ |
| სფა-რან | სგფომტ | სგფუმტ „ | ვხტი |
| აფხაშა-რან | სეფხაშომტ | სეფხაშუმტ „ | ვრცხვები (მრცხვე- ნია) |
| აფხაწა-რან | იფხასწომტ | იფხასწუმტ „ | (გა)ვადებ რასმე |
| სლშა-რან | ისგლშომტ | ისგლშუმტ „ | „ვიძლებ“ რასმე (შემიძლია (რამე)) |
| ათაშა-რან | სთაშომტ | სთაშუმტ „ | შიგ ვვარდები |
| აშწა-რან | იშგწომტ | იშგწუმტ „ | ვაცმევ მას (კაცს) რასმე |
| სლაწა-რან | ილასწომტ | ილასწუმტ „ | ვთესავ რასმე |
| ახმა-რან | სახმომტ | სახმუმტ „ | (და)ვეწევი რასმე |
| აჯაშა-რან | იჯასშომტ | იჯასშუმტ „ | „ვიკვირვებ“ რასმე (მიკვირს რამე) |

და სხვა მრავალი.

¹ ბზიფური ფორმები ნაჩვენებია აკად. ნ. მარის ლექსიკონის მიხედვით სათანადო ზმნათა ქვეშ; ამიტომ გვერდს არ აღვნიშნავთ. აბჟურისათვის-კი ის ფორმებია მოცემული, რომლებიც ჯგერდაში დაგვიდასტურეს და რომლებსაც მხარს უჭერს აბვიზური და აკად. ნ. მარის მიერვე პარალელურად მოყვანილი სახეობები.

მოყვანილ ფორმათა დასადასტურებლად მივმართოთ ტექსტებს.

ბზიფური სახეობა დასტურდება „აფხაზურ ზღაპრებში“¹, იქ, მაგალითად, ბზიფში ჩაწერილ ტექსტებში გვხვდება:

ანგ^შ დ არ თ უ ე ტ² (ათა-რა) 128⁶³ – ასაფლავებენ ვისმე (სიტყვა-სიტყვა: მიწას აძლევენ გონიერ არსებას).

არახუცქუა და დ ს ჰ ა ლ უ ე ტ (ადჰალა-რა) 102²² – ძაფებს შემოვახვევ რასმე.

შ^ოს მ არ ი ა ხ უ ო ე ტ (ამარია – ხა-რა) 90¹² – თქვენი საქმე (გა)ადვილდება.

აჰნგყა უ ა გ უ ო ე ტ (აგა-რა) 54^{17...} – სახლში (შინ) წაგიყვანს რამე.

იჟ^გ უ ო ე ტ (აგა-რა) 50^{25...} – თქვენ წაიყვანთ (წაიღებთ) რასმე და სხვ.

ჩვენ მიერ ჩაწერილს ლიხნურს (ბზიფი) ტექსტებში არის:

ჰ ც უ ო ე ტ-ჰა ინალაგა (აცა-რა) – მივდივართო (წავალთო), რომ დაიწყეს.

დ გ რ გ უ ო ე ტ (აგა-რა) – მათ მიჰყავთ ვინმე (გონ.).

შ^ე ლ ჭ უ ო ე ტ (აჭა-რა) – ქალი თქვენ შეგჭამთ.

ი ყ ა რ წ უ ო ე ტ (აყაწა-რა) – ისინი აკეთებენ რასმე.

ა კ რ ე ჰ ა ს წ უ ო ე ტ (აჰაწა-რა) – რასმე ვაჭმევ მას (კაცს).

ი გ უ ო ე ტ-სა ინალაგა (აცა-რა) – ვსინჯავ რასმე და სხვ.

ამვიბჟურს ტექსტებში:

უალჰ^აც^ა ირკერ-ჰა ი შ^ო ე ტ (აშა-რა) I, 4⁴ – მევალეებმა რომ დაიჭირონ (უგ.), ეშინია.

შ^ოთა ჰ ც ო ტ ჰ აჰნგყა (აცა-რა) II, 4 – აწ (უკვე) მივდივართ (წავალთ) შინ (სახლში, სახლისკენ).

და ჰ ჰ ო ტ (აჰა-რა) III, 3 – ჩვენ მას (რასმე) ვამბობთ.

სე ი ო გ ო ტ (აგა-რა) IV, 28 – მე წავიღებ (რასმე).

ი კ ა ს ფ ს ო ტ (აკაფსა-რა) XVII, 150 – დავყრი, ჩამოყრი (რასმე).

ხგ^ნ სგბლა ამახა ახანგ^ნ ის გ ხ ო ე ტ (ახა-რა) X, 81 – წელზე თოკი მაქვს (ჩამოცმული) და ზევითკენ მეწევიან და სხვ.

ჯგერდულს ტექსტებში:

იყადწო ზ ბ ო ტ-ჰა (აბა-რა) – რას იზამს (კაცი), ვნახავ-ო.

ჰ ა ზ ე ბ ჰ ა რ გ ო ე ტ (აზჟ^ერგა-რა) – დავიძახებთ.

¹ აფსუა ლაკუქუა, აქ. აყუა 1936.

² უ (უ-ბრჯგუ) და და თანამედროვე აფხაზურ ალფაბეტს არ გააჩნია, ამიტომ იქ „დართუეიტ“ (dartueit) სწერია. ქართული ტრანსკრიფციით გადმოღებისას ასეთ შემთხვევებში გამოთქმის მიხედვით უ-სა და ი-ს ვწერთ.

³ პირველი ციფრი გვერდს აღნიშნავს, მეორე – სტრიქონს.

⁴ რომაული ციფრი ძეგლზე მიუთითებს, არაბული – გვერდზე.

აჟანკ უბკჳრდტ (აჳა-რა) – ერთ რასმე (სიტყვას) გეტყვით (ვაჟო).

შარან აკგ შტქუნხრტ (აქუნხა-რა) – თქვენ რაღაცაზედ სახლობთ (ცხოვრობთ ზედ).

შემშენგჳ სარე დყასწრდტ (აყაწა-რა) – თქვენს საგზალს მე გავაკეთებ.

სლან დაარა იშარგცოდტ (აშარგცა-რა) – ჩემი ძალი ძალიან ნადირობს.

სარსურგზგოდტ ამგ (არგა-რა) – მე გაგიყვან (ვაჟო) წყალში.

სედგქულარ დგსგხმოდტ (ახმა-რა) – რომ გავემართო (წავიდე), დამეწევა იგი (გონ.).

უსგე სელქოდტ (აქა-რა) – მაინც შემჭამს ქალი.

დგბმქან სგბგჳრტ (აჳა-რა) – ქალო, ნუ შესჭამ მას (ადამიანს), გთხოვ (გვედრები).

სგვზზრან სყსლრტ (აყალა-რა) – კარგ ხარად ვიქცევი.

დალაგოდტ ამნყაწარა (ალაგა-რა) – იწყებს იგი (ადამიანი) სახლის კეთებას (შენებას).

აწკარქუა ხუაშთარლა ირდაშრტ (არდაშა-რა) – კიდეებს, (ძგიდეებს) ხუშტარათი ასწორებს (კაცი).

აშჳარწრტ (აჳაწა-რა) – კარს (შე)კიდევენ.

არახუ ადანგ იდგრტრტ (არტა-რა) – საქონელს გარეთ (მინდვრად) სვამენ („აჯენენ“, აბინავებენ).

აფრა შგრთრტ (ათა-რა) – ფულს მოგცემენ თქვენ.

ირძძრტ (აძძა-რა) – ისინი რეცხავენ მას (რასმე).

დაჳაფხნამრტ (აფხამა-რა) – ვითვლით მას (რასმე)

და სხვ.

როგორც ვნახეთ, ა-ფუძიანი ზმნა აწმყოში **-ოდტ** დაბოლოებითაა წარმოდგენილი აბჟურში. არც ჯგერდულსა და არც პროფ. ს. ჯანაშიას მიერ ჩაწერილ ამვიბჟურ ტექსტებში, ერთი შემთხვევაც არა გვაქვს ამ წესის დარღვევისა, ბზიფურში-კი ასეთ ზმნებთან გაბატონებული **-ჴიფიტ** || **-ჴიფიტ** დაბოლოებაა, მაგრამ ამის პარალელურ ფორმად იშვიათად გვხვდება **-ოდტ** – სუფიქსიც. ხსენებულ ლექსიკონშივე შეიძლება ასეთ რამდენსამე ფორმას წავაწყდეთ.

მაგ.:

| | | | |
|------------|--------------|----------------|-------------------|
| სსლგოდტ | (აღგა-რა) | ლექსიკ., გვ. 5 | ვათავებ რასმე |
| ისგრდაშოდტ | (არდაშა-რა) | „ | 18 ვასწორებ რასმე |
| ისგჴაფხრდტ | (აგჴაფხა-რა) | „ | 31 მომწონს რამე |
| სგკშრტ | (აგშა-რა) | „ | 50 ვარტყამ |
| სჳაზრდტ | (აჳაზა-რა) | „ | 147 ვხოხავ |
| იყასწრტ | (აყაწა-რა) | „ | 92 ვაკეთებ რასმე |

| | | | | |
|-------------------|-------------|---|-----|---|
| ს ი ხ გ ჩ ჩ ო დ ტ | (ახგჩჩა-რა) | „ | 106 | დავსცინი კაცს |
| დ ლ ე ხ შ ო რ დ ტ | (ახშა-რა) | „ | 138 | ქალი ბადებს გონიერ არსებას (ქალს ებადე- ბა გონ. არს.) |
| ი ხ გ ს ს ო დ ტ | (ახსა-რა) | „ | 138 | ვკვეთ მას (კაცს) თავს და სხვ. |

მაგრამ საფიქრებელია, რომ აქ ყოველთვის არ ჩანდეს კვალი აბჟუურისათვის დამახასიათებელი წარმოებისა, არამედ -ოდტ დაბოლოება მიღებული იყოს სხვა გზით (იხ. აქვე, გვ. 205).

ს ხ ვ ა ხ მ ო ვ ა ნ ს ა (ო → ე, უ) და თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ზ ე და ბ ო ლ ო ე - ბ უ ლ ზ მ ნ ე ბ შ ი, ისე როგორც ბ ზ ი ფ უ რ შ ი, აბჟუურშიაც გვაქვს -**შოდტ** || -**შედტ** ს უ ფ ი ქ ს ი. ჯგერდისკენ – მეტწილად -**შედტ**¹.

მაგ.:

ო → ე, უ ხ მ ო ვ ა ნ - ფ უ ძ დ. და
თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ - ფ უ ძ ი ა ნ ი ა ბ ჟ უ უ რ - ბ ზ ი ფ უ რ ი ფ ო რ .
ზ მ ნ ე ბ ი

| | | |
|----------|---|--|
| სთრ-რა | ისტრ ^{შედტ} ისთრ ^{ოდტ} | ვყიდი რასმე |
| ანერ-რა | სნერ ^{შედტ} სნერ ^{ოდტ} | მივდივარ |
| სქურ-რა | სგქურ ^{შედტ} სგქურ ^{ოდტ} | ვიფიცავ |
| ადგრ-რა | იზდგრ ^{შედტ} იზდგრ ^{ოდტ} | ვიცი რამე |
| აფს-რს | სგფს ^{შედტ} სგფს ^{ოდტ} | ვკვდები |
| სდგდ-რს | იდგდ ^{შედტ} იდგდ ^{ოდტ} | გრგვინავს |
| ათსკ-რა | ითასკ ^უ დ ტ ითასკ ^{ურ} დ ტ | ვამწყვდევ შიგ რასმე |
| ახგს-რა | სახგს ^{შედტ} სახგს ^{ოდტ} | გადავდივარ რაზედ- მე (მაგ., მთაზე) |
| აფსან-რა | ისფსან ^{შედტ} ისფსან ^{ოდტ} | (გამო)ვცვლი რასმე |
| სწგწ-რა | სანწგწ ^{შედტ} სანწგწ ^{ოდტ} | გამოვდივარ რისამე ქვემიდან და სხვ. |

მაგალითები „აფხაზური ზღაპრებიდან“:

ხახა ხემშ: რგშთახ^ნ ი ლ ე დ შ ე ე ტ წყა (ალჰედ-რა) 129 – სამი დღე-ღამის შემდეგ ჩამოვა (ჩამოვარდება) ქვევით იგი (უგუნ.).

სარა აბრი სყარა ა უ ს ზ გ უ ო დ ტ (აუ-რა) 935 – მე ამდენ საქმეს ვშვრები.

¹ აკად. ნ. მარს ჯგერდისათვის -**შოდტ**-იც აქვს აღნიშნული. მაგ., არგუყრა (შეწუხება, დაკლება) ზმნიდან – ი ს გ რ გ უ ა ყ უ ო დ ტ – (ლექსიკ., გვ. 30-31), აღგრა (ქურდობა) ზმნიდან – ს ღ რ ჩ უ ო დ ტ (იქვე, გვ. 30) და სხვ. ამ ფორმათა შეუძლებლობაზე ლაპარაკი მნელია, მაგრამ სოფ. ახუწა-ში (ჯგერდა) ჩვენ თითქმის მუდამ უ ე დ ტ გვესმოდა. ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებში ერთხელ გვხვდება -**შოდტ** სახე.

უჭიჭ იკერ და ა ა ლ ო დ ტ (აად-რა) 243 – შენი სუნი რომ იკრა (ვაჟო), მოვა იგი (გონ.).

აღწებმა დანააღუა ადგ^ელ ამცა აკუტოდტ (აკ-რა) 48 – სულ უმცროსი რომ მოდის (გონ.), ადგილს ცეცხლი ეკიდება.

ახ^ეთა ს ა კ ო დ ტ (აკ-რა) 57 – მცია (სიცივე მეკიდება, მიჭერს).

ჰარგ^ე, აძ^ე და ლ ა ჰ ხ ო დ ტ (ალხ-რა) 2311 ჩვენც ვისმე გამოვარჩევთ.

ინ ა ს გ შ თ ო დ ტ წაყა (ანათ-რა) 4826 – ჩამოვაგდებ (ჩამოვუშვებ) რასმე ქვევით (ძირს).

აფშ^ება ანგლჰ^ეა ზეგ^ე ჰაწაშრ^ედტ (აწაშრ-რა) 10911 – მეოთხე თუ თქვა (ქალმა), ყველა დავიღუპებით (ჩავიღუპებით).

აწარჰალი ალუი ეამაჰკგ^ედტ (ამმაკ-რა) 6311 – ხალიჩასა და წისქვილის ქვაზე ვდაობთ.

სან აშ^ე ა ა ლ გ რ ტ გ ო დ ტ (არტ-რა) 9337 – დედაჩემი კარს გააღებს,

აძვიბჟური ტექსტებიდან:

სარა ს გ ჩ გ ო დ ტ (არჩ^ეწ-რა) XI, 93 – ცხენიდან (ჩამო)ვხტები.

აკაკ^ელ უ ს გ რ კ ო დ ტ (აკაკალკ-რა) XII, 101 – შენ (ვაჟო) დაგახემსებ.

ჭ^ე ლ თ ო დ ტ (აჭგთ-რა) XII, 103 – იძახის ქალი.

სეი ზ ო დ ტ-ჰ^ე ა (აუ-რა) IX 77 – მე (გა)ვაკეთებ-ო.

ასას და ჰ ზ ა ა ო დ ტ (აა[დ]-რა) X 85 – სტუმარი მოგვდის.

დჰ^ეტ^ე ანდ დ გ ფ შ ო დ ტ (აფშ-რა) X 8 – ზედ ზის და იყურება იგი (გონ.) და სხვა.

ჯგერდული ტექსტებიდან:

რ რ ო ო დ ტ (არწ^ეო-რა) – იგი (კაცი) გრებს რაღაცას.

ი რ მ ა ზ ე დ ტ (არმაზედ-რა) – იგი (კაცი) ამზადებს რაღაცას.

ჰაჰ^ესაქ^ეთა და ჰ ო დ ტ (აშ^ე-რა) – ჩვენს ცოლებს ვკლავთ.

ჰაწ^ექ^ეტ^ე ჰ ა ბ ლ გ ო დ ტ (აბლგ^ე-რა) – ჩვენს სახლებს ვწვავთ.

აკგ^ე ნ რ წ გ ს ო დ ტ (არწგს-რა) – რაღაც ანძრევს მას (უგ. ს.).

ჰაშ^ე აწ^ეგყა დაარგ^ეშო^ედტ (ააშთ-რა) – ჩვენს ძმას შინ გამოუშვებენ.

ი ხ გ ბ ო დ ტ (ახგბ-რა) – იგი (კაცი) ხურავს მას (მაგ., სახლს).

ი კ გ ლ ს ო დ ტ აძგ^ე (აკგლს-რა) – გასდის წყალი.

აც^ე ა ხ გ რ ხ ო დ ტ (ახგხ-რა) – ტყავს ხდიან ისინი მას (რასმე).

აპარგ^ექ^ეთა ი გ ო დ ტ (აგ^ეგლს-რა) – პარკებს გამოვარჩევ, გამოვიღებ.

აბამბა ჰ გ ს ხ ო დ ტ (აჰგხ-რა) – ბამბას ვკრებ და სხვ.

-**ოდტ** დაბოლოებაში, რომელიც გვხვდებოდა ზემო-ხსენებულ **ა-ფუძიანი ზმნების წარმოებისას აბჟუურში**, შესულია ზმნისფუძისეული **ა ხმოვანი** და უნდა ყოფილიყო ...**ა-ტუედტ**, ...**ა-ტოედტ**, რაც საკმაოდ გახშირებული წარმოებაა. მაგ., აცარა (წასვლა) ზმნიდან აწმყოში მოსალოდნელია, როგორც სცოდტ, ასევე სცა¹ტუედტ|| სცა¹ტოდტ¹.

ჯგერდულ ტექსტებში არის, მაგალითად:

აგტრა... იყარ წა¹ტუედტ (აყაწა+რა) – ისინი ღობეს აკეთებენ.

ითახა¹ტუედტ (ათახა-რა) – ისინი შიგ ჩარჩებიან.

ედჰაბგ დგნგ³ა¹ტუედტ (ანგ³ა-რა) – უფროსი დალოცავს (დაილოცება).

აც¹იგა¹ტუედტ (აგა-რა) – მას (კაცს) ტყავი მიაქვს (წაიღებს).

ალა¹მ¹ტა¹ტუედტ (აქა-რა) – ძალლი (შე)ჰამს მას (უგ. ს.).

ა³აქტ¹ა¹ნა¹ნ¹რ დგრბარ ირთა¹ტუედტ (ათა-რა) – ღორების მყიდველი თუ ნახეს, [მას] მისცემენ.

შეჟმთანმა დცა¹ტოდტ (აცა-რა) – დილაადრიან მიდის, (წავა) იგი (გონ.).

აბრტგნ რახტც ისხგ¹ხა¹ტუედტ (ახგ¹ხა-რა) – აბრეშუმის ძაფს ვართავ.

ამტჟ ითა¹ლა¹ტუედტ (ათალა-რა) – ტბაში ჩავლენ (ჩადიან) ისინი.

იშა¹ტუედტ არშინლა (აშ¹ა-რა) – ზომავს არშინით იგი (კაცი)

და სხვ.

აწმყოსნიშნად, მაშასადამე, აქაც, ისევე, როგორც თან-ხმოვან ფუძიანებში, უნდა გამოიყოს **-ტუედტ**, **-ტოედტ**. შეიძლება და **-ოდტ** სუფიქსი **-ტოედტ**-ისაგან **ტ-ს ო-**სთან დაკარგვის ნიადაგზე მიღებულიად გვეცნო, ასეთი მოვლენა გარკვეულ შემთხვევაში კიდევ დასტურდება (იხ. აქვე, გვ. 115), მაგრამ მაშინ აბჟუურისათვის აუხსნელი რჩება ზმნის ფუძისეული **ა**, რის გამოც **-ოდტ** დაბოლოებაში საფიქრებელია **ო** მომდინარეობდეს **ა+ტ**-საგან, რომლის **-ა-** ხმოვანიც დროის დაბოლოების ნაწილი არ არის. იგი ჩანს მასდარში (აცა-რა; რომ **-რა** არის მასდარის მწარმოებელი და აქ **-ა-** ფუძისეულია, ამას თანხმოვანფუძიანი ზმნები არკვევენ; მაგ., აჟ¹-რა – სმა, ადგ¹რ-რა – ცოდნა და სხვ.) და ყველა სხვა დროკილოთა ფორმებში (მაგ., სცა¹რ, სცა¹პ, სცა¹შ¹ტ, შდრ. თანხმოვან-ფუძიანი – იზდგ¹რგ-რ, იზდგ¹რგ-პ, იზდგ¹რგ-შ¹ტ).

¹ ფუძისეული **ა** თუ ისეთი თანხმოვნის შემდეგაა, რომელსაც იოტიზაცია ახასიათებს, შესაძლოა იქცეს **ე**-დ, მაგ.: სხ¹ტუედტ (ლექსიკ., გვ. 30). მაგრამ ამას აწმყოს ფორმანტთან კავშირი არა აქვს.

ასევე, თუ ზმნას ბოლოს ერთვის სხვადასხვა ნიუანსის შემტანი ელემენტები, დროის ნიშანიც ამის შემდეგ აღმოჩნდება და რაკი ამის გამო დროის სუფიქსის გავლენა პირველი ნაწილისათვის (ზმნისათვის) მოიხსნება, ამკარად გამოვლინდება ნამდვილი ფუძეც; მაგ., ს ც ა - წ ო ე ტ (აცა-რა) – ნამდვილად მივდივარ, შდრ. ი ზ დ გ რ - წ ო ე ტ (ადგრ-რა) – ნამდვილად ვიცი; დ გ დ ო გ ო ლ ა - გ უ შ ო ე ტ (ად ო გ ო ლ ა - რა) – მიემართება, (მიდის) საწყალი, ი ჰ ა - გ უ შ ო ე ტ (აჰა-რა) – ამბობს საწყალი, საბრალო, შდრ. დ გ ფ ს - გ ო ე ტ (აფსრა) – კვდება საბრალო და სხვ.

იგივე ა ხლავს წმინდა ფუძეს, რომელსაც (ფუძეს) ამა თუ იმ დროში შინაარსის გაძლიერების მიზნით განმეორებით ხმარობენ, ყოველგვარი სუფიქსის გარეშე, მაგ., ი ყ ა ს წ ო ე ტ, რ ყ ა ს წ ა! – ვაკეთებ, ვაკეთ(ებ)! ი ზ ბ რ ე ტ, ი ზ ბ ა! – ვხედავ, ვხედ(ავ)! შდრ. ი ზ დ გ რ ო ე ტ, იზდგრ! – „ვიცი, „ვიცი!“ და სხვ.

ა-ვე წარმოდგენილია გარკვეულ აბსოლუტივებში, სადაც მხოლოდ ფუძეა სიტყვისა, მაგ.: აშხა და ჭა ლ ა იშხედუაზ (აჭაღა-რა) „აფხ. ზღ.“ გვ. 15. შდრ. ზოურბაქ და ა შ თ გ ხ დ დ ო გ ო ლ ე ტ (აშთგხ-რა) – იქვე, გვ. 155 და სხვ.

აბჟუის აწმყოს -ოიტ-იან ზმნებში ა-ს ფუძისეულობას ადასტურებს ბრძანებითი კილოს წარმოებაც. ბრძანებითი აფხაზურში იწარმოება წმინდა ფუძისაგან. მაშასადამე, დაბოლოებად იქნება ის, რაც რჩება მასდარის-რა მაწარმოებლის ჩამოშორების შემდეგ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგჯერ გ ხმოვნის გამოვლენას, რომელიც მხოლოდ მახვილის დასაყრდენად ჩნდება.

| ი → ე, უ ხმოვნიანი და თანხმოვან-ფუძიანი ზმნები | ბრძანებითი კილო | |
|--|-----------------|-----------------------------------|
| აკაჟ-რა | იკაჟ | გადაავდე რამე! |
| ადგრ-რა | იდგრ | იცოდე, გაიგე რამე! |
| არძ-რა | რძ | დაკარგე რამე! |
| ას-რა | ურს | შენ (ვაჟო) დაარტყი კაცს! |
| ახგს-რა | უხგს | შენ (ვაჟო) გაისროლე! (მაგ.: თოფი) |
| აჟ-რა | რჟ | დალიე რამე! |
| ალხ-რა | რლხ | გამოილე, გამოიტანე რამე! |
| ახუც-რა | უხუც | იფიქრე (ვაჟო!) |
| აცლაბ-რა | უიაცლაბ | შეეჯიბრე (ვაჟო) კაცს! |
| აწგხ-რა | რწგხ | გამოილე იგი ქვეშიდან! |
| აჰ-რა | უჰ | ირბინე (ვაჟო)! |

| | | |
|----------|---------------|-------------------|
| აბლგ-რა | იბლგ | დაწვი რამე! |
| ათრ-რა | ითრ | გაყიდე რამე! |
| აად-რა | ააად (ააა) | მოდო (ვაჟო)! |
| არშა-რა | ირშაგ | აადულე რამე! |
| აჟა-რა | დგჟგ | დამარხე ადამიანი! |
| ამ-რს | იმგ | გამოაცხვე რამე! |
| აფჩა-რა | იფჩაგ | გატეხე რამე! |
| აკ-რა | იკგ | დაიჭირე რამე! |
| აფს-რა | უფსგ | მოკვდი (ვაჟო)! |
| ახენჰ-რა | უხენჰგ | დაბრუნდი (ვაჟო)! |
| არხ-რა | ირხგ | მოთიბე რამე! |

ტექსტებიდან:

ი ჰ ა ზ ე წ ° ა ხ ჰ ა ა ნ ძ ა (აწახ-რა) აძვიბჟ. ტექსტ. XL, 13 – შეგვინახე ჩვენ მოსვლამდე!

ათახ ი მ ნ ა შ ° გ რ შ ° (აჰნარშ-რა) იქვე, II, 5 – ოთახში შეაგდეთ იგი (უგ.)!

უბრი აჟატკა სარა ის გ რ ჟ ° (არჟ-რა) იქვე, IV, 34 – ის არაყი მე დამალევიწი!

სეფსე შოთრუ სეფსხუტ ჟ გ უ (აუ-რა) – ჯგერდ. ტექსტ. – ვიდრე სული მიდგას, ჩემი ქელები ქენით!

აჟარგ ჟ უფჰგს დ გ შგ (აშ-რა) – იქვე – შენც შენი ცოლი მოკალი!

ასას რც ჯარე ი თ ა შკ (ათაკ-რა) – იქვე – სტუმრის ხარი სადმე შეამწყვდიეთ!

უბრ ი ჰ ჰ ო ა ლ ა შ ე მ ჰ გ წ (ადჰგწ-რა) – იქვე – იმის (კაცის) თქმის მიხედვით გაიყავით!

ხუჰგგ მ რ უ შთ (აუშთ-რა) – იქვე – ცოტა (ცოტათი) აუშვი იგი (უგ.)!

აჟმა გჟარშოხ (აგჟარხ-რა) – იქვე – თხა გამორეკეთ (გამოუშვით)!

ჰამჰაგ აარკაჟა (არკაჟა-რა) „აფხ. ზღაპრ.“ 126²⁷ – ჩვენი გზაც შეამოკლე!

შარა შანგ ჟ აძ გ დ ს ლ გ შხ (ალხ-რა) იქვე, 23¹¹ – თქვენგანაც ერთი ვინმე ამოირჩიეთ!

სგანგ აქალაქ აჰაგ ს თ გ ი (ათრ-რა) იქვე, 78¹⁶ – წამიყვანე და ქალაქში გამეყიდე!

მრგბჟგკ აშთახ უ ს გ ზ ნ ე მ (აზნემ-რა) „აფხ. ზღაპრ.“ 46³² – ერთი კვირის შემდეგ მომივედ!

აიგგ დგანგ დ კ ა შ გ რ შ ° (აკარშ-რა) იქვე, 1¹⁹ – ისიც (გონ.) წაიყვანეთ და გადააგდეთ!

უ ჩაგ ჟ წ უფსე უშაპ (აჩაგჟწ-რა) იქვე, 3¹³ – ცხენიდან ჩამოხტი (ჩამოხედი)! დაისვენებ.

ტალგა უხალა ისოუჟ (აუჟ-რა) იქვე, 14¹⁵ – გაათავე (ჩქარა), შენ თითონ (ვაჟო) გამიშვი!

სარა ტაჟგწყა... სააოდტ უსზგვშეგ (აზგვშ-რა) იქვე, 38⁴³ – მე ახლავე მოვალ, შენ (ვაჟო) მელოდე!

არმარანტ^ი ამჟა იყოტ ახგი აწგხტედ გტათანგ უ გ^სჟ (აგ^აჟ-რა) იქვე, 2²⁴ – მარცხნივ რომ გზაა, თავი და ბოლო გაუსინჯე და მობრუნდი!

| ა-ხმოვან-ფუძიანი ზმნები | ბრძანებითი კილო: | |
|----------------------------|---------------------|-----------------------------------|
| სქტწა-რა | რქუწა | ზედ დადე იგი (რამე)! |
| ანგრწა-რს | ინგრწა | გაათავე, მოსპე იგი (რამე) |
| აყაწა-რს | იყაწა | გააკეთე რამე! |
| არჰა-რს | ირჰა | იშოვე რამე! |
| აძა-რს | იძა | მოიპარე რამე! |
| აჰაჰა-რს | იჰაჰა | დააბი რამე! |
| სკტაბა-რა | დგკტაბა | დაბანე იგი (გონ.)! |
| სჩჰა-რა | იჩჰა | მოითმინე რამე! |
| სჩაფა-რა | იჩაფა | (გამო)ჭედე რამე! |
| აყა-რს | იყა | მოიქნე რამე! |
| საძა-რა (ააზა-რა) | დაძა დააზა | გაზარდე იგი (გონ.)! |
| სთჰა-რა | ტაჰა | შეუბერე რასმე! |
| აღცა-რა | დაღცა | გამოაგდე იგი (გონ.) რის- განმე |
| აბგლგა-რა | უბგლგა | იგორე (ვაჟო)! |

მაგალითები ტექსტებიდან:

ყგზ, იუწაც წა (აწა-რა) აძვიბჟ. ტექსტ. II 13 – ბატო, რაც გიდევეს დადე!
არშინ, იუმ^აც შ^ა (აშა-რა) იქვე, II, 5 – არშინო, რაც გიზომავს ზომე!
დგშ^კტაბა, დგშ^რგცქა, სგმათაქტა იშ^გშწა (აკტაბა-რა, არგცქარა, აშწარა) იქვე, III, 11 – იგი (გონ.) დაბანეთ, გაასუფთავეთ, ჩემი ტანისამოსი ჩააცვით!

ბგჰკუნ დგკტაბა, ინაჰბგცქტა ხსს, იხგჰა (ახსა-რა, აჰა-რა) – ჯგერდ. ტექსტ. – შენი ბიჭი დაბანე, ქალო, ფრჩხილები მოქენი, თავი დავარცხნე!

სგტაწა აწა დახაწა (ახაწა-რა) – იქვე – ჩემი ღვიძლი შამფურზე ჩამოაცვი.

იშ^გმოტ უგგ^გ ისშ^გრბა (არბარა) – ჯგერდ. ტექსტ. – რაც გაქვთ, ყველაფერი მიჩვენეთ!

მაგრამ ბზიფურში იშვიათად ეს ბოლოკიდური **ა** შეცვლილია **გ**-თი და ნაცვლად აბჟუური იჰ³ (თქვი რამე!), ი გ ა (წაილე რამე!), ი ფ ყ ა (გაჭერი რამე!), ი ბ ა (ნახე რამე!)-სა გვაქვს: ი გ გ (ლექსიკ. გვ. 29), „**ა ა ა ა ა ა ა ა ა ა ა ა**“ („აფხ. ზღაპრ.“ გვ. 147) მოდი, წყალი წაილე-ო, ი ჰ გ (ლექსიკ. 147), ი ფ ყ გ (ლექსიკ. გვ. 82), ი ბ გ¹ (ლექსიკ. გვ. 23).

ა-ნის **გ**-დ გადაქცევა ღია მარცვალში საერთოდ დამახასიათებელი მოვლენაა ბზიფურისათვის; მაგალითად, **ა**-ბოლოხმოვნისანი აბჟუური სიტყვები ასეა წარმოდგენილი ბზიფურში:

| | | | |
|---------------------|-----------------------|---------------|-------------------------------------|
| ა ბ ჟ უ უ რ ი: | ბ ზ ი ფ უ რ ი: | | |
| აჩორა | აჩორგ | (ლექსიკ. 107) | საჯინიზო. |
| აცლამჰ ³ | აცლამჰ ³ გ | „ | 109 ნიკაპი |
| სცხა | სცხგ | „ | 110 თაფლი |
| აჰაყ ³ | აჰაყგ | „ | 159 ფილი, ქვასანაყი |
| აგუაწ ³ | აგუაწგ | „ | 99 ღვიძლი |
| ასგრთა | ასგრთგ | „ | 73 საჯდომი ადგილი საქსოვ დაზგაზე |
| შაშ ³ | შგშ ³ გ | „ | 30 მჭედელთა ღვთაება. და სხვ. |

ეგვე მოვლენა უნდა იჩენდეს თავს ბზიფურის ზემოხსენებულ ბრძანებითშიაც.

როგორც უკვე აღინიშნა, აბჟუურში **ა** აქაც არის შერჩენილი, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში ფუძისეული **ა** ეკვეცება ბრძანებით კილოს, როგორც ბზიფურში, ისე აბჟუურში და გვხვდება:

ამჰა სტ (ათა-რა) „აფხ. ზღაპრ.“ 14₁₂; 28₂₃ – გზა მომეცი!

ჰაყგუ ჰა (ათა-რა) აძვიბჟ. ტექსტ. II 3 – ჩვენი ბატი მოგვეცი!

ახუაგარა ს ზ ა ა გ (ააგა-რა) „აფხ. ზღაპრ.“ 37 – ცხელი ნაცარი მომიტანე!

ურ გ შ თ ა ლ (აშთალა-რა) „აფხ. ზღაპრ.“ 95₂₃ – მიჰყევი მათ ვაჟო!

უბხეყაზაალაჰ³ ამჰა უქულ, უტ³აზარ უგგლ, უგგლაზარ უშ (აქულა-რა, აგგლა-რა) „აფხ. ზღაპრ.“ 39₂₃ – სადაც იყო, გზას გაუდექი, იჯდე – ადექი, იღვე – გაიქეცი!

აჟ³შან უ ა ხ გ ნ ჰ ა ლ (ანგნჰალა-რა) იქვე, 62₁ – ცაზე ჩამოვიდე (ვაჟო)!

„ნხამწას კერუე, ამმესთაწას კ რ გ ჭ“ (აკრგჭა-რა) დ. გ უ ლ ი ა, ხსენებ. აფსუა ჟ³ა-ფყაქუე... გვ. 7₁₉ – გლესხავით იმუშავე, თავადსავით [უნდა იყოს: აზნაურივით – რედ.] ჭამე!

¹ აკად. ნ. მ ა რ ი. ამ ზმნის მასდარშიაც გ-ს უჩვენებს: აზგრა.

აქ ყველგან **ა**-ხმოვნის შეკვეცაში წილი მახვილსა და ბრძანებითი კი-
ლოსათვის დამახასიათებელ ინტონაციას უდევს ისევე, როგორც ეს ხდე-
ბა, მაგალითად, ქართ.-ში; შდრ. თხრობითი – მოხვედი, ბრძ. – მო!¹ (← მო-
დი); თხრ. – წახვედი, ბრძ. – წა!¹ (← წადი); თხრ. – მოიტანე, ბრძ. – მოიტა!
თხრ. – შეხედე, ბრძ. შეხე!².

ამ შეკვეცილ ფორმათა გვერდით აფხაზურში გვაქვს მათი სრული
სახეც. არის, მაშასადამე როგორც უგგლ, ისე უგგლა – ადექ! როგორც
უსგშთალ, ისე უსგშთალა – მომყევი! როგორც იგტტთ, ისე იგტტათა
– სინჯე! როგორც ურგტ, ისე ურგტა³ – ჰკარი ხელი! წაუბიძგე კაცს! რო-
გორც დააგ, ისე დააგა („აფხ. ზღაპრ.“ გვ. 12610; 12933). ამ უკანასკნელ მა-
გალითში **ა** ხმოვნის დაკარგვას ხელს უწყობს პრევერბის არსებობა, რად-
განაც ხდება პრევერბზე მახვილის გადანაცვლება და თუ, მაგალითად, იქ-
ნებოდა „ჯარს სგა“ – სადმე წამიყვანე! (აგა-რა) „აფხ. ზღაპრ.“ 12726. იქ-
ნებოდა აგრეთვე: „ჯარს სნაგ“ – სადმე იქით წამიყვანე! (ანა-გა-რა) იქვე,
გვ. 12628; ასევე – დააგ და სხვ.

ბრძანებითში **ა**-ს მიმართ მახვილის გავლენას ამჟღავნებს სხვადას-
ხვა პირის ფორმებიც, მაგ., იჰჰ (თქვი რამე!), მაგრამ როცა ეს მახვილი
ახალი პირის გაჩენის გამო წინ გადმოინაცვლებს, მივიღებთ: ისაჰ – მი-
თხარი რამე! ირსჰ – უთხარი მათ რამე! იშჰ (ჭამეთ რამე!), მაგრამ რჰ
(ჭამე რამე!) და სხვ.

ა-ვე აღდგება ბრძანებითის ისეთ ფორმებში, როცა ზმნას სიხშირის -
ლა მაწარმოებელი ერთვის. მაგ., ირსჰ **ა**-ლა – უთხარი ხოლმე მათ რამე!
(„აფხ. ზღაპრ.“ 88), რჰ **ა**-ლა – ჭამე ხოლმე რამე! შდრ. შგს ფშ-ლა – მიყუ-
რეთ! (აფშ-რა).

აქ ყველგან მახვილისა და ბოლო მარცვალში მოხვედრის გამო რო-
მაა **ა** დაკარგული, დასტურდება უარყოფითი ბრძანებითის საშუალები-
თაც. უარყოფითი ბრძანებითის სუფიქსად **-ნ** გამოდის (მაგ. უმბლგ-**ნ** –
არ დაწვა! იუმკგგ-**ნ** არ დაიჭირო, და სხვ.). აქ უკვე არავითარ შემთხვევა-
ში არ ხდება **ა**-ს დაკარგვა. ყოველთვის და ყველგან არის იუმჰჰან – არ

¹ ამ მნიშვნელობით მო და წა დამახასიათებელია „ვეფხისტყაოსნის“ ენისა-
თვის. ეგვეე მო უნდა იყოს გამოყენებული პირუტყვთა მოსახმობადაც.

² გურიაში იხმარება ფორმა „მომერი!“ რაც უდრის: „წინიდან ჩამომშორდი“, „წი-
ნიდან ჩამომეცალე“. უნდა – მომდინარეობდეს „მომერიდე“-საგან. შდრ. ს ა ბ ა ს თ ა ნ
მარი – მომერიდე.

³ ამ პარალელურ ფორმებს გვიდასტურებდნენ ჯგერდაში. საერთოდ რომ შესაძ-
ლებელია, ეს მტკიცდება შემდეგი მაგალითითაც: ა ა ხ უ ა რ ა ზმნისათვის (აღება, ყიდ-
ვა) ბრძანებითი არის და ა ხ უ, და ა ხ უ – აიღე, იყიდე (უგ., გონ.), მაგრამ გვხვდება: „ნა-
რთაა შარაცარანტ იხენჰნგ, შარახბგჰლაშგლა ედარა-ფსარახა მანააჰ რაჰშა დეჰუბარ
დაახტა, დეჰამგტ“ „აფხ. ზღ.“ 3312, ნართელები ნადირობიდან ნადირის ტვინით და-
ტვირთული რომ დაბრუნდნენ, მათი და თუ ნახო იყიდე (აიყვანე!), აღარ იყო.

ჭამო (ვაჟო!); უმგღლან – არ ადგე (ვაჟო!); იუმჰჰან – არ თქვა რამე (ვაჟო!), ისრუმჰჰან – არ მითხრა რამე ვაჟო!.. და სხვ.

ასე რომ, მიუხედავად ზოგი ცვლილებისა, რომელსაც ა-ფუძიანი ზმნები განიცდიან ბრძანებითში, ბრძანებითის დაბოლოებად მაინც ის ივარაუდება, რაც მასდარის -რა მაწარმოებლის ჩამოშორებით მიიღება. აბჟუურის აწმყოს -ოდტ-იან ფორმებში ა-ფუძიანი ზმნებისათვის აქაცაა დამახასიათებელი.

ჰა-სა და აა-ზე დაბოლოებული ზმნები

აბჟუურში, მამასადამე, აწმყოს -ოდტ დაბოლოებაში ფუძისეული ა-ს ფორმანტიეულ ელემენტთან შერწყმით მივიღეთ ო, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ა-ფუძიანი ზმნებზე ეს არ ვრცელდება, ესენია ჰა-სა და აა-ზე დაბოლოებულნი. მათში ა, როგორც აწმყოში, ისე სხვა დროებშიაც, უცვლელადაა შემონახული.

| მაგ.: | აწმყო | |
|------------|------------------|--------------------------------|
| აჰა-რა | ისაჰაჲედტ – Როდტ | მესმის რამე |
| აკაჰა-რა | სკაჰაჲედტ „ | ვვარდები |
| სცჰა-რა | სსცჰაჲედტ „ | ვვბენ რასმე |
| აკნაჰა-რა | იკნასჰაჲედტ „ | ვვკვიდებ რასმე |
| ართბაა-რა | ისერთბააჲედტ „ | ვაფართოებ რასმე |
| სლბაა-რა | სგლბააჲედტ „ | ჩამოვდივარ ძირს |
| ახგბაა-რა | სახგბააჲედტ „ | ვვზოგავ რასმე |
| აწაა-რა | სწააჲედტ „ | ვვკითხულობ (აწაარა „შეკითხვა“) |
| ადლკაა-რა | ედლგსკააჲედტ „ | ვვარკვევ, ვვიგებ რასმე |
| აცხგრაა-რა | სგუცხრააჲედტ „ | გვხმარები შენ (ვაჟო) |
| აწაა-რა | ირწააჲედტ „ | ამარილებენ |

და სხვ.

ჰაეს მეზობლობაში ა ხმოვანს ასიმილაცია არ მოუდის. ჰაეს ბუნებისთვისაა ისიც მნიშვნელოვანი, რომ თანხმოვანთ-გასაყარად, ან მახვილისათვის თუ სხვა შემთხვევაში გ იქნებოდა, მასთან მუდამ ა გვხვდება (იხ. ქვემოთ), მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა იგი აქ დაიკარგოს და ამ დაკარგული ჰ-ს საკომპენსაციოდ კვლავ ა ხმოვანი მოგვევლინოს. თუ შეიძლება ასე ითქვას, მოხდეს ჰაეს ა-სთან სრული ასიმილაცია, რის შედეგადაც მივიღოთ ორი ანი. ასე, მაგალითად, აკგლარა-ში (ფორმა აძვიბჟურია) „ჭუჭრუტანა“, ჰ დაკარგულია, მაგრამ ჯგერდაში დღესაც იხმარება აკგლჰარა ამავე მნიშვნელობით; არხუჰარა-ში (გაყიდვა) ჰ იკარგვის და ვიღებთ არხუჰარა-ს; აბჟუური ახუჰახუთრა-ს (ვაჭრობა) ნა-

ცვლად ბზიფურში დაცულია ან ჭ უ ჰ ა ხ უ თ რ ა; ასევე, – ბზიფურში ათა-
ა ც ა ნ (ოჯახი) გამოითქმის ა თ ა ჰ ც ა ნ-ს სახით.

ამავე საფუძველზე თუა „ქალად“ სიტყვის აფხაზური ქაად ფორმა მიღებული თურქ. ქა დ ი დ-ისაგან¹. აქ **ღ** ჯერ **ხ**-დ და აფხაზურში **ჰ**-დ ქცევის შემდეგ უნდა დაკარგულიყო ხმოვანთა შორის (სხვა ენათა **ხ**-ს **ჰ**-დ ქცევა იქ ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგ., კა ლ მ ა ხ ი აფხ., ა კ ა ლ მ ა ჰ ა || ა კ ა ლ მ ა ჰ, ხ ა ლ ვ ა აფხ. ა ჰ ა ლ ვ ა, ფ ო ხ ა ლ ი აფხ. ა ფ ჰ ა ლ და სხვ.). შეიძლება **ღ**-ს უშუალოდ მოეცა **ჰ**; თუმცა იშვიათია ამის შემთხვევები, მაგრამ მაინც გვხვდება. მაგ., თურქ. დიალექტ. ფორმა დ ო ლ ა (ლოცვა) აფხაზურად გამოითქმის ა დ ო უ ჰ ა-ს სახით.

უ ს ლ ა რ ი ს, ე რ კ ე რ ტ ი ს ა და მ ა რ ი ს მიხედვით აფხაზურში აქ-
ლ ა ა დ ფორმაც არის. თუ ა ქ ლ ა ა დ-ი, ა ქ ა ა დ-ის წინა საფეხურია, მაშინ იგი ქართულიდან შესულად უნდა ვცნოთ, მაგრამ, სულ ერთია, ქართული ქალად („ქახალად“)-ისაგან იქნება, თუ თურქ. ქალიდ-ისაგან აფხაზური ა-ქა ა დ მიღებული, **ჰ** (← ხ || **ღ**)-ს საკითხში ეს არაფერს შეცვლის.

ამ წესის გათვალისწინებით ხერხდება ზოგი სიტყვის ისტორიის ამოკითხვა. კერძოდ, საინტერესოა **აა-ბა** (რვა) რიცხვითი სახელი. რვის აღმნიშვნელად აქ **აა** გამოდის, **-ბა** მაწარმოებელია რიცხვით სახელებში. პ. უ ს ლ ა რ ი უ ბ ი ხ უ რ შ ი მ ა ს (რვას) ხ ი ო ე-თი გადმოსცემს². რომ აფხაზურშიაც ამ ო რ ა-ში თანხმოვანია სავარაუდებელი, ამას გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ა ნ დაცული სახეც ადასტურებს. იქ. აა-ბა-ს აღსანიშნავად მოყვანილია achba³. ch სხვა, რვისაგან შემდგარ, რთულ რიცხვით სახელებშიაც გვხვდება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გიულდენშტედტი ზოგჯერ **ჰ**-ს **ხ**-თი გადმოსცემს (მაგ.: sach) ნაცვლად **საჰ**-ისა – „ჩემი ბატონი“ – იქვე, გვ. 527 და სხვ.), მაშინ ნათელი იქნება, რომ **აა-ბა**-ში დაკარგულია **ჰ**. იგი შენაცვლებულია **ა**-თი. ასევე, სხვა მრავალ ო რ ან-იან (აა) სიტყვებშიაც შეიძლება მისი არსებობის დადასტურება, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს.

ზემოხსენებულ წესთანვეა დაკავშირებული, და საჭიროა გაკვირვებით მაინც შევხვით, მრავლობითის პირველ პირში **ჰა**ეს ფონეტიკურ ცვლილებებს. თუ ზმნაში სხვა პირველი ნაწილაკები გარკვეულ შემთხვევაში დაირთავენ **გ**-ს, **ჰა**ე პირიქით, მის ნაცვლად ყველგან **ა**-ს „იახლებს“ (წინ იქნება ეს თუ ბოლოს). ხდება კი ეს მაშინ, თუ თანხმოვანთ-გასაყარად საჭიროა **გ** (სულ ერთია, **გ**, **ა** მახვილიანი იქნება თუ არა!); მაგ.: მხოლ. I პ. დ ე დ ჯ ს კ ა ა უ ე დ ტ, მაგრამ მრავლ. I პ. დ ე დ ჯ ს ჰ კ ა ა უ ე დ ტ (ვარჩევთ, ვარკვევთ გონიერ არსებას); მხოლ. I პ. ი ს შ ო დ ტ, მრავლ. I პ.

¹ თანამედროვე სალიტერატურო თურქულში, ს. ჯ ი ქ ი ა ს ცნობით, სწორედ ქა დ-ად გამოითქმის ეს სიტყვა. მაგრამ, როგორც მანვე შენიშნა, ძნელი საფიქრებელია, რომ აფხაზურში ამის გავლენის შედეგი იყოს ა ქ ა ა დ-ის არსებობა.

² პ. უ ს ლ ა რ ი, О языке урхуов: Этнография Кавказа, ტ. I, გვ. 95.

³ გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, Reise durch Russland und in Cauc. Gebürge. პეტერბ. 1794 წ. მეორე ნაწილი, გვ. 58.

დ-აჰშოტ (ვზომავთ რასმე); მხ. I პ. სტყოტჰ, მრავლ. I პ. ჰსტოტჰ (ვართ); მხ. I პ. სტცოტჰ, მრავლ. I პ. ჰსტცოტჰ (გვძინავს); მხოლ. I პ. ის-გფსახიტ, მრავლ. I პ. იჰაფსახიტ (გამოვცვალე რამე) და სხვ.

ამ ჰაეს, მორფოლოგიური ელემენტის, დაკარგვაც ხდება ისე, როგორც ეს ზემოთ მაგალითებში გვქონდა, და მის ნაცვლად გვევლინება ა, მაგრამ აქ უკვე ჰაეს დაკარგვის ხელისშემწყობად გამოდის მჟღერი თანხმონები, ოღონდ მჟღერები, რომლებიც ფუძისეულია და უშუალოდ ხვდება ჰაეს; მაგ.: „ბზრალაჟაბეტ – კეთილად გნახეთ! (მისალმება მასპინძლისა); I მხოლ. დეზგოტ, მრ. I პ. დააგოტ (← დაჰგოტ) – მოგვყავს გონ.; მხ. I პ. იზდგრეტ – ვიცი, I მრავლ. დაადგრეტ – ვიცით; მხ. I პ. ილბააზდოტ – ვყლაპავ რასმე, მრავლ. I პ. ილბააადოტ – ვყლაპავთ რასმე და სხვ. მრავ.

როგორც დავინახეთ, ჰაესთვის საერთოდ არის დამახასიათებელი ახმოვანი და ამხმოვნის დაცვა მოსალოდნელი ცვლილებებისაგან. ასევე, ცვლილებების გარეშე დგას ორანიანი ზმნები, სულ ერთია, რა გზითაა ეს ანები მიღებული, – ჰაეს დაკარგვით თუ სხვა. ამიტომ აზჰარა (ზრდა), აჰჰარა (ზელა), არჰარა (შოვნა), სტჰარა (კბენა), აცჰარა (ლანძღვა), ახაჰარა (გამოყენება), ადთაჰარა (გადარგვა), აკაჰარა (დავარდნა), მეორე მხრივ – ალბარა (ჩამოსვლა), არფსარა (დალბობა), აწარა (შეკითხვა), ახგბარა (დაზოგვა) და სხვა ზმნებში, თუ ბოლო ა უცვლელადაა წარმოდგენილი, ცვლილება არ მოუდის არც აწმყოს სუფიქსისეულ უ-ს, რაც იმას მოწმობს, რომ -ოდტ დაბოლოებაში (აბჟურში) სწორედ ზმნის ფუძისეული ა-ს გზითაა ო მიღებული.

ჰა-სა და აა ფუძიან ზმნებში ეს წესი ბზიფურისათვისაც ასევე დამახასიათებელია და გვაქვს: ისფშ-ჟოტ (ლექსიკ. გვ. 82)¹ – ვეძებ რასმე, რსცჰაჟეტ (იქვე, გვ. 110) – (შე)ვთვლი რასმე, ისხაჰა-ჟოტ (გვ. 136) – ვიყენებ რასმე, სწა-ჟოტ (გვ. 121) – ვკითხულობ (აწარა „შეკითხვა“), სახგბჟოტ (გვ. 137) – ვზოგავ, შარა ჰშტცხრა-ჟოტ („აფხ. ზღ.“ 70³⁷) – მოგეხმარებით, ედღესკა-ჟეტ („აფხ. ზღ.“ 22⁶) – ვარკვევ, ვიგებ რასმე, – დეჰაზწა-ჟეტ („აფხ. ზღ.“ 410³⁰) – გვეკითხება (გონ. არსება) და სხვ. მაგრამ ბზიფურის ტენდენცია – აწმყო-აორისტის ფორმათა წარმოებისას ჩამოაშოროს ზმნის ფუძეს ა ხმოვანი – ზოგჯერ ამ შემთხვევებსაც სწვდება და შეიძლება შეგვხვდეს: სტლაჰტოტ (ლექსიკ. გვ. 145) – ვვარდები შიგ (მაგ., ტალახში), მასდარი – ალაჰარა; იკნასს-ჰეტ² (იქვე) – ვჰკიდებ რასმე (აკნაჰარა); აფსუა ჰჰჰჰ სსაჰტოტ

¹ აქაც და ქვემოთაც გვერდი აკად. ნ. მარის აფხაზურ-რუსულ ლექსიკონზე მიუთითებს.

² საყურადღებოა, რომ იკნასსჰეტ და იკნასჰაჟეტ ფორმათა შეპირისპირებისას ერთმა ლიხნელმა გვითხრა: „იკნასსჰეტ ეჰა ედღჰჰ, აფსუ-აწჰოჰ“-ო („იკნასსჰეტ ჯობია, ნამდვილი, სწორი აფხაზურია“-ო).

(„აფხ. ზღ.“ 10337) – „აფხაზის“ (კაცის, ადამიანის) სუნი (მესმის) მომდის, მხვდება და სხვ.

თვით აწმყოს მაწარმოებლად სავარაუდებელია **-ჟა** სუფიქსი და **უნ-** და **გვქონოდა არა -ჟემტ** ან **-ჟომტ**, **არამედ – -ჟა-იტ**.

იტ (→ **იტ**)¹ **სპეციფიკური არაა აწმყოსთვის, დროულობას იგი არც გადმოსცემს**² · **-იტ** ზოგადი სუფიქსია³, რომელიც გვხვდება, როგორც აწმყოში (დ ც ო-ე ტ), ისე აორისტში (დ ც ე-ე ტ), ისე კავშირებითში (დ ც ა-ა-ე ტ), მყოფად განუსაზღვრელსა (დ ც ა-შ-ტ) და სხვაგანაც.

აწმყოს **-ჟა** სუფიქსის **ა** შემდეგ ცვლილია. **ა**-ს აქ ორმხრივ სახიფათო მეზობლობა ჰქონდა: 1. **ო**-სთან (***ჟა-იტ**-ში) ის იქცეოდა **ე**-დ (რაც მეტად გავრცელებული ფონეტიკური წესია აფხაზურში), ხოლო **ჟ**-სთან შესაძლო იყო ქცეულიყო **ო**-დ (აფხაზურში საკმაოდაა ფეხგადგმული, როგორც რეგრესული, ისე პროგრესული ასიმილაცია ხმოვნებისა). ზოგ თქმაში არაა მაინცა და მაინც დამახასიათებელი **ჟა**-ს **ჟო** → **ო**-დ ქცევა, რის გამოც გზას იკვლევს **ო**-ს გავლენა და ამის შედეგად ვიღებთ **-ჟემტ** დაბოლოებას.

***ა-ჟა-იტ**-ისაგან **ოიტ**-ს აბჟურში ასეთი გზა უნდა ჰქონდეს განვლილი: **ა-ჟ**-ს უნდა მოეცეს **ო**, შეიძლება **ოჟ** საფეხურის გავლითაც⁴. შემდეგ-კი ამ **ო**-ს უნდა დამსგავსებოდეს მომდევნო **ა** და უნდა მიგველო

¹ შემდგომმა ძიებამ ეგების, **იტ**-სუფიქსის დაშლაც შესაძლებელი გახადოს.

² ამ **ტ**-ს შესახებ სამართლიანად შენიშნავს დ ი უ მ ე ზ ი ლ ი, რომ იგი „შეკავებული“ **ტ**-ა ოდნავ საგრძნობი“ («Avec un-t «retenu», á peine sensible», იხ. მისი Etudes comparatives sur les langues Caucasiennes du Nord-ouest, პარიზი: 1932. გვ. 173, შენ. 2). მართლაც მას, ჩვეულებრივი მეტყველების პროცესში, უკანასკნელი მომენტი – სკდომბა – თითქოს აღარ ახასიათებს. ამის გამო აფხაზური მეტყველების შეუჩვეველი ყურისათვის ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც-კი იქმნება, თითქოს იქ **ტ** სულაც არ იყოს. **ტ**-ს ამ თავისებურებითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს, რომელსაც ზოგჯერ სიტყვები დროის ფორმაში აქვს მოცემული, **ტ** ვერ შეუნიშნავს და ჩაუწერია: Donner – didwal (თანამედრ. იდგდუეიტ), ან Blitz – imzzuswai (ალბათ – იმაც-ცსტეიტ) იხ. გილდენშტედტი, Reise... ტ. II. გვ. 533.

ეს ითქმის **ტ**-ს შესახებ მაშინ, როცა ის ბოლოს მოხვდება, თორემ როცა სხვა ბგერა მოსდევს, მაშინ ჩვეულებრივი **ტ**-ა, მაგ., ამავე აწმყოს ფორმაში – ს ც ო ე ტ ე „აკი მივდივარ“ და სხვ.

³ აქ წარმოდგენილი საკითხები უკვე დამუშავებული გვქონდა, როცა გავეცანიტ გ. დეეტერსის გამოკვლევას «Der Abchasische Sprachbau», სადაც აგრეთვე (**ო**)**ტ**-ის დროულობისაგან განსხვავებულ ფუნქციაზეა ლაპარაკი.

⁴ ეს საფეხურიც დასტურდება, მაგ.: „ათეფ იბტ^ოუ დიზემწააკუა უოჯე დ გ ც ო ჟ ა მ ჯარა“ (ჯგერდ. ტექსტ.-დან); „აპაპგ^ე, ი ბ ო ჟ ე დ ტ ახა“ (იქვე); „აგულერ... აჟარდენ ე ა ქ ე ტ რ წ ო ჟ ა უბახ^ომა“ („აფხ. ზღ.“ 65); „ბზერ^ოჟაზეი“ („აფხ. ზღ.“ 6410); ი შ ე უ ბ ო ჟ ა ედგ^ე („აფხ. ზღ.“ 4910); „სარა სოუპ აკაბა ზ ე ქ ჟ ნ ა გ ო ჟ ა“ (იქვე, 4922); „ჟ ა ბ ა ც ო ჟ ა არახ^ე უქჟლანგ“ (იქვე, 614) და სხვ.

სხვა შემთხვევაშიაც ხშირია ეს მოვლენა. აკად. მ ა რ ი ს მიერ მოყვანილი ფორმა **აშაურა** – სივხე (ლექსიკ. გვ. 96) გვამღვეს **აშოურა**-ს და აქედან **აშორა** || **აშორა**-ს. რომ **აშაურა** პირვანდელი ფორმაა, ამას თვით სიტყვის ეტიმოლოგიაც ნათელყოფს.

–**ოოტ** || –**ოოტ** → –**ოტ** || **ოტ** → –**ოტ** || –**ოტ**. ორონიანი ან გრძელნიანი ფორმები ძლიერ გახშირებულია¹.

მაგ.:

„ანხაჟ იძრა ენააღლაკი ალაბა კედხნ დ გ ც ო ო ტ“² გლეხის დაკარგვა რაკი მოახლოვდება, ჯოხს აიღებს და გასწევს³: „აჩა აწებუა უკერ აძე უ რ ნ ა გ ო ო ტ“ (იქვე, გვ. 77) – ცხენის კუდს რომ ხელი მოჰკიდო წყალს გაგიყვანს; „აჩა ფსგრ ად გ ა თ ე ნ ხ ო ო ტ, აოჟ დეფსგრ მაჟ ა ი თ ე ნ ხ ო ო ტ“ (იქვე, გვ. 78) – ცხენი მოკვდეს, მინდორი დარჩეს, კაცი მოკვდეს, სიტყვა დარჩეს⁴. ი დ გ ი რ ბ ო ო ტ (ჯგერდ. ტექსტ.-დან) – უჩვენებს მათ კაცი რასმე. ს ა ა ნ ხ ო ო ტ (ლექსიკ. გვ. 7 ანხარა) – ვრჩები, აფსშა ს გ ჰ ო ო ტ (ლექსიკ. გვ. 8 აფსუთა სიტყვის ქვეშ) – აფხაზურს ვამბობ, ვლაპარაკობ; დ გ ყ უ ტ ს ც ო ო ტ (იქვე, გვ. 94, აყუცარა ზმნის ქვეშ) – ადამიანს მივდენი და სხვ.

ოოტ სუფიქსში სიგრძე **ო**-სი ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა.

რომ აწმყოში (და ნამყო უსრულშიაც გარკვეული ნაწილის სახით) მაწარმოებლად –**უა** უნდა ყოფილიყო, ეს მრავალი საშუალებით მტკიცდება.

1. **უა**-ს არსებობას აქ ასაბუთებს ბზიფურშივე სპორადულად არსებული ფორმები, რომლებიც მოჰყავს აკად. ნ. მ ა რ ს, მაგ., აქუსრა („გადასვლა“) ზმნისათვის იგი აწმყოდ ასახელებს – ს გ ქ უ ს ო ო ტ-ს და შენიშნავს ლიხნელისაგან ისმის აგრეთვე ს გ ქ უ ს ო ო ტ-ო (ლექსიკ. გვ. 87, ქუ-ს

¹ აკად. ნ. მ ა რ ს მოეპოვება შენიშვნა ასეთი გრძელნიანი და ორონიანი ფორმების შესახებ. მისი აზრით: მიღებულია დიალექტური დ უ ბ ო ო ტ (შენ ხედავ უგუნურს) ფორმის გადმოცემა ორონიან დ უ ბ ო ო ტ-ით. გადმოცემის ეს ხერხი მცდარია, რადგანაც დ უ ბ ო ტ ფორმა მომდინარეობს დ უ ბ ო ო ტ-ისაგან. (იხ. Абхазский анализ. Избранные работы ტ. II, 1936 წ. გვ. 341). საქმის ნამდვილი ვითარება-კი პირუკუ იხატება. ორონიანი ფორმები ასეთ შემთხვევებში მართლაც არსებობს და მისი ასეთი გადმოცემა არც თუ უსაფუძვლოა. ხმოვნის დაკარგვა იწვევს მეზობელი ხმოვნის გარძელებას, მაგრამ, რომ ორი ონის არსებობა აქ შედარებით ძველი საფეხურის დადასტურებაა და ოოტის დაკარგვის ნიადაგზე არაა მიღებული, შემდეგით მტკიცდება: იმ შემთხვევებშიაც, როცა: აწმყოში დ არ უნდა ყოფილიყო (მაგ., უარყოფითსა, კითხვითსა და საგარემოებო ფორმებში) **ო** ან ორია, ან ჩვეულებრივ გრძელი (მდრ. „აბრი ამშენ თ ა ზ გ რ ბ ო ო სეჟვა დგისტოოტ-ჰა“ დ. გ უ ლ ი ა, სერგმი ქერგმი რლაჟუ. Стор. Матер. Для опис. Местн. И плем. Кавказа, вып. XXXX, 1909 წ. განყ. III, გვ. 29, ოზღემ-შოო იქვე); როგორც ქვემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ, ორონიანი და გრძელნიანი ფორმები გვხვდება მაშინაც, როცა **ა**-ც შერჩენილია. ამის მაგალითებს თვით მ ა რ თ ა ნ ვპოულობთ: ი ფ ხ ა ს წ ო ო ტ (ლექსიკ. გვ. 86, ა. 11) და ასევე, ნამყო უსრულში, სადაც იგივე ფორმატივი გვაქვს, **ო**-ს სიგრძე ახასიათებს, მიუხედავად იმი-სა, რომ **ა**-ს არსებობასა და დაკარგვაზე ლაპარაკი აქ უკვე შეუძლებელია.

² ვ. ჭ ა რ ა ი ა, Об отношении абхазского языка к яфетическим. პეტერბ. 1912 წ. გვ. 74.

³ აქაც და ქვევითაც თარგმანი ვ. ჭარაიასავე ეკუთვნის.

⁴ სიტყვასიტყვითი თარგმანი იქნებოდა: ცხენი რომ მოკვდეს, მისი მინდორი დარჩება [მას], კაცი რომ მოკვდეს, მისი სიტყვა დარჩება [მას].

ქვეშ), ასევე, ლიხნელისაგან – მეორე შემთხვევაშიაც ესმის ს ქ უ ს ლ ა ე ტ – ავდივარ ზევით (იქვე, გვ. 52 აქტულარა ზმნის ქვეშ)¹

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ თ ა ნ არსებული ზმნის ფორმები დ ი დ უ ა ი და ი მ ა ც უ ს ტ ა ი, რომლებიც ზევით იქნა მოყვანილი (გვ. 195, შენ. 4), უთუოდ მისი წინა საფეხურის დადასტურებაა, ტ-ს შესახებ ზემოთმოყვანილი შენიშვნის გათვალისწინებით.

2. აწმყოს, უარყოფითი ფორმის საწარმოებლად, ერთვის -მ- ელემენტი, რაც იწვევს -ოტ- სუფიქსის ჩამოშორებას. ამით ისპობა ა- ხმოვნის ასიმილაციის წყარო და დაბოლოებად აღდგება -ტა, მაგ.: ი ზ ბ ლ გ-ტ ა-მ – არ ვწვავ რასმე; ი ზ ძ ა ხ-ტ ა-მ – არ ვკერავ: ი ზ ბ ა-ტა-მ (|| იზბომ) – არ ვხედავ რასმე და სხვ.

3. ნამყო უსრულში თუ ა-ტა კომპლექსი არ იქმნება ა ფუძიანი ზმნების გამო, ახლაც -ტა არის მაწარმოებელი. მაგ.: ის გ რ გ ტ ა ყ-ტა-ნ – ვაწუხებდი რასმე; ს ნ ე დ-ტა-ნ – მივდიოდი; ი კ ა ს ი ქ-ტ ა-ნ – ვაგდებდი რასმე; ი ზ დ გ რ-ტ ა-ნ – ვიცოდი რამე და სხვ. (იხ. აგრეთვე გვ. 270).

4. აფხაზური დროის სუფიქსები მეტწილად რთული შედგენილობისანი არიან. ეს რთული სუფიქსები მას მხოლოდ დადებით-თხრობით კილოში ახასიათებს, გარკვეულ შემთხვევაში აგრეთვე უარყოფით თხრობითშიაც. სხვაგან კი რთული სუფიქსის მეორე ნაწილი ჩამოშორებულია ან შეცვლილია სხვა სუფიქსით. ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება: ზოგჯერ უარყოფით-თხრობითი კილო (აწმყო), კითხვითი, უარყოფით-კითხვითი და ყველა დამოკიდებული წინადადების შემცველი ფორმები (საგარემოებო – დროისა, ადგილისა, ვითარებისა, საურთიერთო და მიმღებურნი). მათთან ხდება სუფიქსის მეორე ნაწილის, ამ შემთხვევაში -ოტ-ის ჩამოშორება ან – უკეთ, მათ ეს -ოტ სუფიქსი არ ერთვის. ამ სუფიქსებს გ. დ ე ე ტ ე რ ს ი ფინიტურ სუფიქსებს (Finitpartikel) უწოდებენ. ისინი ზემოხსენებულ ინფინიტურ ფორმებს, ფინიტურად გადააქცევენ².

ამ კითხვითსა და საგარემოებო ფორმებში, მაშასადამე, მხოლოდ დროის სუფიქსებია წარმოდგენილი. -ოტ აღარ გააჩნია მათ და ამიტომ დროის სუფიქსი აწმყოში სავარაუდო ტა-ს სახით გვევლინება. მაგ.: ს ა ა-ტა-მ ა? – მოვდივარ? ს გ მ ა ა-ტ ე-მ³ (← სგმაა-ტა-მ) – არ მოვდივარ განა? ს ა ნ ბ ა ა-ტ ა? – როდის მოვდივარ? ს ა ნ ა ა-ტ ა – როცა მოვდივარ, ს ა ხ ა ა-ტ ა – სადაც მოვდივარ, ს გ შ ფ ა ა-ტ ა (|| სგშფაა-ტე-მ)² – როგორ მოვდივარ, ს გ შ ა ა-ტ ა – როგორც მოვდივარ, ს ა ა-ტ ა-შ ა – თითქოს მოვდივარ,

¹ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ფორმები დამახასიათებელია ლიხნურისათვის. აქ გვაქვს შემთხვევა გადასულ ფორმათა ამოტივტივებისა.

² გ. დ ე ე ტ ე რ ს ი, Der Abchasische Sprachbau («Nachrichten von d. Gesellschaif der Wissenschaften zu Göttingen, Phil.-Hist. Klasse». 1931 წ. გვ. 296.

³ კითხვითი o ნაწილაკის დართვით ა აკაც იქცა ე-დ.

არცერთი ზემოჩამოთვლილი ბოლოსართი არ შეიძლება მივიჩნიოთ შეფარდებით ნაცვალსახელ-მიმღეობის აღმნიშვნელად. ისინი არიან გარკვეული დროულობის გამომხატველნი და ახასიათებენ არა მარტო შეფარდებითი ნაცვალსახელის გამომხატველ ფორმებს, არამედ ყველა კითხვითსა და საგარემოებო ფორმას.

ზ მართლაც გამოხატავს საურთიერთო ნაცვალსახელს აფხაზურში, მაგრამ არა ს უ ფ ი ქ ს ი, არამედ პ რ ე ფ ი ქ ს-ი ნ ფ ი ქ ს ი. ამ ფუნქციით გამოდის იქ როგორც **ზ**, ასევე **ძ** (→ **ძ**). ისინი ყველა დროში გაჰყვებიან ამ შინაარსის მქონე ზმნის ფორმებს. თვითეულ მათგანს თავისი არე აქვს მოქმედებისა.

ძ იხმარება მაშინ, როცა გვაქვს ერთპირიანი ზმნები, სულ ერთია სუბიექტად „რა“ კლასის წარმომადგენელი გამოდის, თუ „ვინ“ კლასისა.

მაგ.:

ა შ გ ნ ქ უ ა **ძ** გ გ ლ ა ზ... („აფხ. ზღ.“ 2716) – სახლები, რომლებიც იდგნენ.

ნ ე რ ც ° ა ხ წ ა **ძ** გ გ ლ ა ზ დ ე ბ ე მ ტ (იქვე, 256) – გაღმით მწყემსი, რომელიც იდგა (მდგომარე მწყემსი), დაინახა (კაცმა).

60-60 ფუთ **ძ** ყ ო უ შ-ა მ პ გ ლ კ (იქვე, 128) (60-60 ფუთიანი) ორი ბურთი.

აპ მაშთა **ძ** თ ა ლ ო ა უ ა რ ბ ა ჟ ° ქ უ ა (იქვე, 118) – ორბები, რომლებიც ბატონის (მთავრის) ეზოში ჩადიან.

ძ გ უ ლ ა მ ა ა ს ზ (ჯგერდ. ტექსტ.) – მისი (კაცის) მეზობელი, რომელიც მოვიდა.

„**ძ** ო ლ ლ ა ლ ო რ გ ი ბ უ ა მ“ (დ. გულია, აფსუა ჟაფყაქტეძე... 251) – ის, ვინც ჭამს, სხვენს ვერ ხედავს.

აფხ ა ი ც ° ა ჟ ° ო უ ა („აფხ. ზღ“. 517) – ის, ვინც უწინ ლაპარაკობს (უწინ მოლაპარაკე).

ძ ფ ს გ ზ დ ე ფ ს გ წ ო უ დ ე მ ფ ს გ უ? („აფხ. ზღ.“ 1206) – ის, ვინც მოკვდა, მართლა მოკვდა თუ არა?

ძ ფ ჰ ° გ ს ი მ გ ზ გ უ ბ ა ა ს დ ყ ა მ წ ა ნ... (იქვე, 11242) – მისი (კაცის) ცოლი, რომელიც დაიკარგა, სადარდოდ გაიხადა რა...

ს გ მ ნ დ ი მ ნ ო უ დ ა რ ბ ა ნ (იქვე, 11210) – ის, ვინც ჩემს სახლშია, ვინაა?

უ ბ რ ი ი შ თ ა გ გ ლ ო უ დ ა რ ბ ა ნ (იქვე, 45) – ის, ვინც მის შემდეგ დგას (მისი მომდევნო), ვინაა?

ძ ფ ს უ ა ზ ფ ს გ ი ტ, **ძ** ა ა ნ ხ ა ზ... (იქვე, 11110) – ისინი, ვინც (ვინებიც) კვდებოდნენ, მოკვდნენ, ისინი „ვინებიც“ გადარჩნენ...

ძ-ვე იხმარება ორპირიან გარდაუვალ ზმნებში, აქტიური მიმღეობის გამოსახატავად ე. ი. მაშინ, როცა სუბიექტი პირველ ადგილზეა.

მაგ.:

„აწლა ძალგჳრგზ სმათ იცჳადტ“ (დ. გულია, აფსუა ჟაფყ... გვ.1214) – ხიდან ჩამოვარდნილს (მას, ვინც ხიდან ჩამოვარდა) გველმა უკბინა.

ჳარა **ოჳადააღრჳაზ** უჳაჳ დეგამგზტ („აფხ. ზღ.“ 11015) – ჩვენი მომრევი (ის, ვინც ჩვენ გვერეოდა) არავინ იყო.

აბრა ატგმა **დახეფაჳა** იოჳჳ ახაწა-ჳა („აფხ. ზღ.“..279) – აქ ორმოხე, გადამბტომი (ის, ვინც გადახტება) ისაა ვაჟკაციო.

აბრი **აფხჳა** (იქვე, 4940) – ამის წამკითხველი (ის, ვინც ამას კითხულობს).

„უნაფმაანმა **აფხჳა**“ (ანდაზაა) – ის, რომელიც შენს შეხედვამდე შემოგხედავს.

„აჳას **აჳმწგმწგზ** აჳას წგმლა რლალტ“ (ანდაზაა) – მას, ვინც ტყემალს არ გამოეცალა (ქვეშიდან), ტყემლის ეკალი შეერჳო.

აგვხვდება აგრეთვე დანარჩენ ზმნებში – ორანსა-მპირიანებში, სადაც დღევანდელი გაგებით ყოველ შემთხვევაში სუბიექტი მეორე ან მესამე ადგილზეა – პასიური მიმღეობის ე. ი. პირდაპირობიექტის გამოსახატავად.

მაგ.:

ჳარო უფჳად სარე ისაზაზა **აჳიფჳად**... (ჯგერდ. ტექსტ.) – შენი ქალი და ის, რომელიც მე გავზარდე (ჩემი გაზრდილი) ბატონის ქალი...

„უმხ-ბააფსგ ითეუგო¹ სყარა უჳა ზზრა იურთომ“ (დ. გულია, აფსუა ჟაფყ... 1912) – იმდენს, რამდენსაც შენს ცუდს ყანაში მოიმკი (აიღებ), შენი კარგი მოკეთეც ვერ მოგცემს.

„ლაწან **აჳმჳო**, ზწან იუჳჳომ“ (იქვე, გვ. 157) – მას, რასაც თესვის დროს არ ამბობ, მკის დროს ვერ იტყვი.

„აკუტტ **აღშოო** აკუტად ოჳჳ“ (დ. გულია, აფსუა ჟაფყ... გვ. 67) – ის, რაც ქათამს შეუძლია, კვერცხია.

მარა **აიდგრჳაზ** ზეგჳ სწემტ („აფხ. ზღ.“ 7030) – ის, რაც მან (კაცმა) იცოდა, ყველაფერი ვისწავლე.

აფჳგზბა **დააღაზ** (იქვე, გვ. 1613) – ქალიშვილი, რომელიც მან (კაცმა) მოიყვანა.

ამგ **ცგარაკ** იურ იიჳზ მარგჳ იზგრჳან (იქვე, 105) – ვინმემ რომ ცუდი რამ ქნას, ის, რაც მან ქნა, მასაც უზამენ.

სალბი იფჳგსგჳ მარგჳ **აემბარჳჳა** საჳჳჳჳ („აფხ. ზღ.“ 1273) – ის, რასაც სალბი და მისი ცოლი ერთმანეთს ეუბნებიან გავიგონებო.

¹ საგარემოებო-მიმღეობურ ფორმებში ა-ჳა კომპლექსით გამოწვეული ცვლილებები ისეთსავე სახეს გვიჩვენებენ, რასაც ფინიტურ ფორმაში, ე. ი. შეიძლება **აო** → **ა** და სხვ.

რ კ კ უ ნ ო რ უ ზ (ჯგერდ. ტექსტ.) – მისი (კაცის) ვაჟი, რომელიც შეეძინა, დაებადა.

მაწუჭუჭგს ის გ მო უ ლ (,,აფხ. ზღ.“ 112⁹) – ის, ვინც მოსამსახურედ მყავს.

ეს ო მ უ და მ პ რ ე ფ ი ქ ს ა დ არ ის და არ განარჩევს არც პირს, არც კლასს, არც სქესს და არც მრავლობითობას (ბოლოში მრავლობითობის -ქტა მაწარმოებელი კი შეიძლება დაერთოს!).

მას ხვდება ლოგიკური მახვილი და, ჩვეულებრივ, არც იკარგვის მესამე პირის (მხ., მრ.) ნიშნის, ო-ს მსგავსად, ზმნასთან სუბიექტისა თუ ობიექტის უშუალოდ შეხვედრისას. ამიტომ დეეტერსის შენიშვნა „ან ლეფჰა ილ გლ თუ ა ჩ ა“-ში თითქოს ი იმიტომ არ დაიკარგა, რომ აჩა ზმნის წინ არ იყო უშუალოდო (ხსენებ. ნაშრ., გვ. 298), არ იქნებოდა სწორი, რადგანაც ეს ო არაა ზემოხსენებული ო (III პირისა). მათ გარეგნულ მსგავსებაში არსებითი ფუნქციონალური სხვაობაა. აქ აჩა უშუალოდაც რომ ყოფილიყო ზმნის წინ, ილგლთუა მაინც ამ სახით დარჩებოდა, რასაც ადასტურებს შემდეგი მაგალითები:

ა ბ რ ი ა ხ ა ჰ დ გ უ ი კ ა ჟ გ უ... (,,აფხ. ზღ.“ 52²) – ეს დიდი ქვა, რომელიც გდია...

ს ს ა ს ც ა ა ა დ ზ (იქვე, გვ. 59¹⁹) – სტუმრები, რომლებიც მოვიდნენ.

ა ხ გ ლ ფ ა ო ი გ ა ზ (იქვე, 47²²) – ქუდი, რომელიც წაიღო მან (კაცმა).

ა ხ ქ უ ა რ რ კ გ ზ (იქვე, 40³⁹) – თავები, რომლებიც ეჭირათ.

ა კ უ ა ც ჟ გ ხ უ თ ა ქ უ ა ო ს გ უ თ ა ზ (იქვე, 28²²) – ხორცის ნაჭრები, რომლებიც მომეცი შენ (ვაჟო).

ბ არ ა ბ ე და არ ა უ ა ა ი ნ ხ ო ზ (იქვე, 27²¹) – შენ გარდა (ქალო) აქ რომ (რომელიც) ხალხი ცხოვრობდა.

ა ყ ა მ ჩ გ ო ო კ გ ზ (იქვე, 9³⁰) – მათრახი, რომელიც ეჭირა.

ა ჯ მ ა ო ი შ გ ზ (იქვე, 9⁷) – თხა, რომელიც მოკლა მან (კაცმა).

ამრაგლარახ ა ბ ჟ გ ო ყ ა ზ (იქვე, 6¹⁵) – აღმოსავლეთით რომ (რომელიც) ხმა იყო.

დ გ-ფშმაკ ა წ ლ ა, რ ქ უ გ გ ლ ა ზ (იქვე, 5⁵) – ხე, რომელიც ერთ ლამაზ მინდორ(ში) იდგა.

არი ამგ ი უ ჟ უ ა ზ ე გ გ ი უ ზ ე მ ხ ა მ ე დ? (,,აფხ. ზღ.“ 21¹⁰) – ეს წყალი, ყველა, რომელსაც სვამ, არ გეყო (ვაჟო)?

ა დ ო უ ც ა არ ი ი რ ა ჰ ა ზ (,,აფხ. ზღ.“ 107³²) – დევებმა ეს, რაც გაიგონეს.

ი გ ჰ გ ს რ მ გ ზ (იქვე, 112¹²) მისი (კაცის) – ცოლი, რომელიც დაიკარგა.

ლ გ კ უ ტ გ რ ლ მ გ ზ (ქვე, 69¹⁶) – მისი (ქალის) ქათამი, რომელიც მან (ქალმა) შეწვა.

ა კ უ ა ც ი რ ჟ გ ზ (ჯგერდ. ტექსტ.) – ხორცი, რომელიც მოხარშეს.

ა ბ გ ს თ ა დ ჰ ჰ ა ზ (იქვე) – ლომი, რომელიც (შე)გჭამეთ.

აშტ^ე **ოს** გზ^ე ნაშ^ე თ^ე რ^ე (იქვე) – საკლავი, რომელიც გამომიგზავნეთ.

ანთქ^ე აილ^ე ჰ^ე აზ^ე („აფხ. ზღ.“ 12840) – ესენი, რაებიც თქვა ქალმა და სხვ. მსგ.

შეიძლება ზმნასთან ასეთი შეხვედრისას **ო** აქაც დაიკარგოს ზოგჯერ, მაგრამ ეს წესად არაა გატარებული. აქ **ო**-ს დაკარგვა იმაზე უფრო იშვიათი შემთხვევა იქნება, ყოველ შემთხვევაში, ვიდრე ობიექტის ან სუბიექტის **ო**-ს დაუკარგველობა სახელის ზმნასთან უშუალო შეხვედრისას.

ზ პრეფიქს-ინფიქსი იხმარება აქტიური მიმღებობის ე. ი. სუბიექტის, ირიბი ობიექტის (გარდამ. ზმნები), კუთვნილებითი ურთიერთობისა და იმ რელატიური ფორმების გამოსახატავად, რომელთა წარმომადგენელიც შიგ ზმნაშია მოქცეული და, მაშასადამე, პრეფიქსად არ გვხვდება.

მაგ.:

„ამეშ^ე იზააძაზიცჰადტ“ (დ. გულია, აფსუა ჟაფყ... 83) – მგელმა [უნდა იყოს: დათვმა – რედ.] გამზრდელს (ის, ვინც გაზარდა) უკბინა.

სარა საკუმ ფჰ^ეს დააზგა („აფხ. ზღ.“ 175) – მე არ ვარ ის, ვინც ცოლი მოიყვანა (ცოლის მომყვანი).

ჰაჰანადზგაზ სრეშთალომტ (იქვე, 1513) – მათ, ვინც ჩვენი ცხენის ჯოგი წაასხა (წაიყვანა), მისვლევ.

აბართ რთაკ იაშანგ ისაზჰჰაჰა... (იქვე, 527) – ის, ვინც ამათ პასუხს სწორად მეტყვის...

სარა სჯაზშაზ (იქვე, 211) – ის, ვისაც მე გავუკვირდი.

ისემზაც სგზგერბო, ისმაჰაც სგზგერჰაჰა (ჯგერდ. ტექსტ.) – ის, ვინც უნახავს (რაც არ მინახავს) მიჩვენებს, ის, ვინც გაუგონარს (რაც არ გამიგონია) გამაგონებს.

აშარაცაჰე ჯამხუხუ დზააძაზ დაარა ამაღ რაცანგ იზმაზ („აფხ. ზღ.“ 191) – მონადირე, რომელმაც ჯამხუხვი გაზარდა, ვისაც ძალიან ბევრი ქონება ჰქონდა.

იზშეზ... (ჯგერდ. ტექსტ.) – ის, ვინც (რამაც) იგი (უგ.) მოკლა...

აფსე იზგ აზზან დგზთრჰა-ჰა (იქვე) – მკვდარზე ცოცხალს ვინც იძლევა (ყიდის)-ო.

სასრუპ იუზთაზ (იქვე) – მე ვარ, ვინც მოგცა (მომცემი) შენ (ვაჟო) იგი (უგ.).

ირახუზზგზჩაჰაზ („აფხ. ზღ.“ 1019) – ის, ვინც მის (კაცის) საქონ. მწყსიდა.

აჩაფა ჯამხუხუ-ჰაზზგერჰო სარა სოუპ (იქვე, 2127) – ის, ვისზედაც ჩაფა ჯამხუხვიო ამბობენ (ვისაც ჩაფა ჯამხუხუს ეძახიან), მე ვარ.

მაჰმეთ დგზზააზ ჰასან ედჰედტ (იქვე, 1227) – მაჰმედმა ის, ვისაც მიუვიდა (ვისთვისაც მივიდა, ვისაც ესტუმრა) – ჰასანს, უთხრა.

რგბჟე **ზ ა ჰ ა ზ** (ჯგერდ. ტექსტ.) – ის, ვინც მათი ხმა გაიგონა (ვისაც მათი ხმა მოესმა).

ი ზ ნ ა ა ლ რ, **ი ზ გ ლ შ ო** (იქვე) – ის, ვისაც იგი (უგ.) შეეფერება, ის, ვისაც იგი (რამ) შეუძლია.

ათგე **ი ზ ტ უ** (იქვე) – ის, ვისაც ადგილი (თანამდებობა, უფროსობა) ეკუთვნის.

ხეჭკ აფაც ა **ზ მ ა ზ** (იქვე) – ის, ვისაც სამი ვაჟი ჰყავდა.

აბრი აფშმა **ჰ ა ზ თ ო უ** (იქვე) – ეს მასპინძელი, რომელთანაც ვართ [სტუმრად].

აბრი ააწ ა სგზწო (იქვე) – ეს ტომარა, რომლის ქვეშაც ვარ (რომელიც ტვირთად მაწევს).

„**ზ გ ც გ ა უ**ჰორ უშ დღლაგგლო“ (დ. გულია, აფსუა ჟ აფყაქუე... 2011) – ის, ვის ავსაც ამბობ, შენს კართან დგას (ვაჟო).

„**ზ გ მ ჩ მ**ჭკუ იზ რაც ახოძტ“ (იქვე, 2423) – ის, ვისიც ძალა მცირეა (უძლურის), მისი ენა მრავლდება.

ატგლა დეუ **ზ ნ ა პ გ** ძანგზ („აფხ. ზღ.“ 11314) – ის, ვის ხელშიაც დიდი ქვეყანა იყო.

ზ ა ჰ შ ა დგიზჰაზ იდოუც ა რჰაგ დნეძტ (იქვე, 10926) – იმ დევებთან მივიდა იგი (გონ.), რომელთა დაც ითხოვა.

აზნი **ზ გ ბ ჟ** გატა ედლაჰჰააპ („აფხ. ზღ.“ 66) – ამას, რისი ხმაც ისმის, გავიგებთ (გამოვარკვევთ).

სფა დ **ზ ე მ ფ შ ო უ** უბოძტ (იქვე, 197) – ჩემი ვაჟი როგორია (ის, ვისი მსგავსიცაა), ხედავ შენ (ვაჟო).

უ **ზ ლ ა ნ ხ ო** ძუმოზი? (ჯგერდ. ტექსტ.) – ის, რითაც დასახლდე (დასასახლებელი), რა გაქვს?

ბ გ ჩ ა **ზ გ ბ შ უ** ა ზ ი (იქვე) – თავს რაზე იკლავ ქალო (ის, რისთვისაც თავს იკლავ რაა?)

ჰ გ ა **ზ გ უ** თ ა ზ ყაწა! (იქვე) – შენაპირები შენი აასრულე! ის, რასაც (რაზედაც) პირი მიეცი, ქენი!

ისევე, როგორც **ი**, არც **ზ** განარჩევს პირს, რიცხვს, სქესსა და კლასს.

III მდედრობითი პირის პრეფიქსს რომ შევადართო, ასეთ სურათს მივიღებთ: სადაც III მდედრობითში **დ** იხმარება, იქ მიმლეობაში (რელატიურ ფორმაში) იქნება **ი**, სადაც III მდედრობითში მაწარმოებელია **ლ**, იქ მიმლეობაში (რელატიურ ფორმაში) იქნება **ზ**.

ამიტომ **ი-ცა-ზ**-ში შეფარდებითი ნაცვალსახელის აღმნიშვნელია არა **ზ**, არამედ **ი**, ხოლო **ზ** აღნიშნავს გარკვეულ ნამყო დროს (იხ. აქვე, ზემოთ). ასევე, ს ა რ ა ი ყ ო უ-ში **ი** არის ასეთი მაწარმოებელი და არა **უ(უ)**, თორემ ისე გაუგებარც იქნებოდა **ი**-ს არსებობა მაშინ, როცა პირველ პირზეა საუბარი. **უ** აღნიშნავს სტატიკური ზმნების აწმყო დროს (იხ. ქვევით).

შეფარდებით ნაცვალსახელ-მიმღეობის მაწარმოებელი ყველა დროში **ო** და **ზ**-ა, ხოლო **-ჟა**, **-ზ**, **-რა**, **-შა** და აგრეთვე **-ც**-ც სხვადასხვა დროის სუფიქსებია. (მაგ., **ო**-ყალა-რა ის, რაც იქნება, მოხდება, „ბარგე აჭე **ზ**-ქასშა შენ [ქალო] მეხ-მოსახვედრო, ბე-**ზ**-გა-შა ის, ვინც შენ წაგიყვანს [ქალო]; **ო**-იჰა-ც – ის, რაც კაცს უთქვამს და სხვ.). ოღონდ აქაც საჭიროა ერთგვარი შენიშვნა. ჩვეულებრივ **-რა**-სა და **-შა**-ს თვლიან მყოფადში შეფარდებითი ნაცვალსახელის გამომხატველად. მყოფადში ასეთ ფორმებს ახლავს აგრეთვე, **-ლაკ** სუფიქსიც, მაგ., დეზგეს-**ლაკ**-გე – რომელსაც-კი დაარტყამს იგი (გონ.); იოჰა-**ლაკ**-გე – ის, ვინც იტყვის და სხვ. განხილულმა მაგალითებმა უკვე გვიჩვენა, რომ ისინი არ შეიძლება იყვნენ შეფარდებითი ნაცვალსახელის გამომხატველნი (ამ დანიშნულებით გარკვეული ელემენტები გამოდიან). **-რა**-ს, **-შა**-ს და თვით ამ **-ლაკ**-ის ასეთი გაგება ისევე არაა სწორი, როგორც **-ჟა**-ს ამავე ფუნქციის მქონედ გამოცხადება. ყველა ესენი ახასიათებს არა მხოლოდ შეფარდებითი ნაცვალსახელის გამომხატველს, არამედ ყოველგვარ საგარემოებო ფორმებს. ზმნის ფორმის თვალსაზრისით მათ შორის განსხვავება არ არის. ისედაც, თუ შეფარდებითი ნაცვალსახელისათვის ზმნაში გამოყენებულია **ო**-, **ზ**- ადგილისა, დროისა და სხვათა ასეთი რელატიური გამოხატვაც ხდება საგარემოებო ფორმებში. თუ კითხვითი იქნება **-ან-ბა** – როდის? დ-ან-ბ-ც-ო – როდის მიდის? რელატიურში იქნება: **-ან** – როცა, დ-ან-ც-ო – როცა მიდის; კითხვ. **-აბა** – სად? დ-ა-ბ-ა-ც-ო – სად მიდის? რელატი.: **-აბ** – სადაც, დ-ა-ბ-ც-ო-სადაც მიდის, კითხვ.: **-შა-ბა** → **-შა-ფა** – როგორ? დ-შა-ფ-ა-ც-ო – როგორ მიდის? რელატი.: **-შა** – როგორც, დ-შა-ც-ო – როგორც მიდის. ასეთ შემთხვევებში შორდება კითხვითი **-ბა** ნაწილაკი და რელატიური ცნებისათვის ისევე, როგორც პირის შემთხვევაში გვქონდა (**ო**-, **ზ**-), გამოიყენება საკუთარი ელემენტები ადგილისა, დროისა და ვითარების მიხედვით (**-აბ**-, **-ან**-, **-შა**-).

ზემოხსენებული სუფიქსები რელატიურობის ცნებას არ გადმოსცემენ, მაგრამ ჩვენ არ გვგონია დროულადაც ეს სამი სუფიქსი (**-ლაკ**-, **-რა**, **-შა**) ერთსა და იმასვე აღნიშნავდეს: განსაკუთრებით **-შა**-ში შეინიშნება ერთგვარი აუცილებლობისა ან პოტენციალობის შინაარსი. მაგ.: ი-ც-ა-შა-ა-კი არ ნიშნავს: „ის, რომელიც წავა“, არამედ – წასასვლელი, ე. ი. ის, რომელიც უნდა წავიდეს, რომელსაც წასვლა უწერია: ი-წა-ბ-გ-ა-შა-დასაღუპავი, ის, რომელსაც დაღუპვა უწერია; რომელიც უნდა დაიღუპოს; ი-გ-ზ-მ-შე-შა – ის, რომელმაც არ უნდა მოკლას, არ მოსაკლავი საშუალება; „შეცანე ხარა შეგელ სებჟე ახშაჰაშა“ („ფხ. ზღ.“ 6315) – წადით, შორს დადექით, სადაც შეიძლება ჩემი ხმა მოგესმათ; „აკრე ახგეს-ქა-შა-საქურგო“ (იქვე, გვ. 748) – სადაც რამე შეიძლება ვჭამო, (ისეთ ადგილს) შემახვედრე! „ილაჰ-ჰა-შა-ა-ჯ-გ-ქურე“ – დასათესი სიმინდი, ის სიმინდი

(ის, რაოდენობა სიმინდისა), რომელიც საჭიროა დასათესად; „ახუჭგ ი-მ ა ა ძ ა-შ ა აგარა დაკუამ“ – არ გასაზარდელ ბავშვს აკვანი ვერ დააკავებს, ე. ი. ბავშვი, რომელსაც გაზრდა არ უწერიდა... არ შეიძლება გაიზარდოს... **შა** მარტო მყოფადში არა გვაქვს. იგი ამ შინაარსით ჩვეულებრივია ნამყოშიაც (მაგ.: ი-რ გ-მ-გ ა-შ ა-ზ ის, რომელიც წასაყვანი არ იყო, რომლის წაყვანაც არ შეიძლებოდა) და გვხვდება არა მარტო აქ (საურთიერთო ნაცვალსახელის ფორმაში), არამედ ნამყოს სხვა ფორმებშიაც, შდრ. აკბასჰა-შა-ნ (რამე უნდა მეთქვა შენთვის ქალო), ჯარასცა-შა-ნ (სადმე უნდა წავსულიყავ) და სხვ.

თუ ზმნის სუფიქსების მიხედვით ვიმსჯელებდით, საურთიერთო ნაცვალსახელის გამომხატველი ზმნაში ათეულამდეც-კი მოგვევლინებოდა, მაგრამ ისინი დროულობისა ან სხვა ფუნქციის მატარებელნი არიან.

ამიტომ, ზემოთ (გვ. 122) ჩამოთვლილ ყველა მაგალითში **-ჟა** სუფიქსს მხოლოდ აწყო დროის გადმოცემა ეკისრება.

აწყო თხრობით კილოში როგორც აღნიშნული იყო, აბჟურში ვიღებდით **-ოიტ** სუფიქსს. ამ სუფიქსის წინა სახე **-*ა-ჟა-იტ** უკვე იყო განხილული. **-ოიტ** სუფიქსი სხვა წარმოშობისაც გვხვდება აწყოში. 25-მდე მაგალითის ამოკრება შეიძლება აკად. ნ. მარის ლექსიკონის მასალიდან, როცა ისეთ ზმნებთან იხმარება პარალელურ ფორმად **-ოიტ**, რომლებშიაც ფუძისეული **ა** არცაა მოსალოდნელი.

მაგ.:

| | | |
|-----------|-------------|-------------------------|
| აღბ-რა | აღლსხოიტ | ვიღებ რისგანმე რასმე |
| აშაკ-რა | აშასხოიტ | ვედავები |
| აშწარს-რა | აშწარსგროიტ | ვსტაცებ ხელს მას |
| აფსახ-რა | აფსახხოიტ | (გამო)ვცვლი რასმე |
| აფს-რს | აფსგროიტ | ვკვდები |
| აფშ-რა | აფშგროიტ | ვიყურები |
| არყაფშ-რა | არგყაფშოიტ | ვაწითლებ რასმე |
| არყუდ-რს | არგყუდგროიტ | ვკრეჭ რასმე |
| აშთებ-რა | აშთებსხოიტ | ვიღებ, ვწევ ზევით რასმე |
| აშახ-რა | აშახგროიტ | ვკერავ რასმე |

აგრეთვე:

ჯოუკგ აკვ აზენ ედსოიტ (ადს-რა) „აფხ. ზღ.“ 23¹⁸ – ვიღაცები ერთმანეთს რაღაცისთვის ეჩხუბებიან.

იღდგროიტ (აღდგ-რა) „აფხ. ზღ.“ 34²⁸ – ქალმა იცის რამე.

აწესსშოიტ (აწ-რა) იქვე, 75² – ჩიტს ვკლავ.

ანდა:

დაცჳაოტ (აცჳა-რა) „აფხ. ზღ.“ 72₃₆ – იგი (გონ.) (უ)კბენს მას (უგ.)
სააოტ (აა[ა]-რა) იქვე, გვ. 38₄₂ – მოვდივარ.

საიდან მომდინარეობს აქ **ო**? (ამას უკავშირდება საკითხი ბზიფურში **-ოიტ**-ის ზოგჯერ ისეთ შემთხვევებშიაც არსებობისა, როცა ფუძეში **ა**-ნია მოსალოდნელი. ბზიფური ხომ ჩვეულებრივ კვეცს ამ **ა**-ნს აწმყოში!). აქ **ო** მომდინარეობს **-უო**-იტ ფორმიდან, **ოს**თან **უ**-ს დაკარგვის ნიადაგზე და სწორედ იქ უნდა იყოს გავრცელებული, სადაც **უოიტ** დაბოლოებაა მოსალოდნელი. **უეიტ** დაბოლოებიდან აფხაზურში **-ოიტ**-ს ვერ მივიღებდით. ამიტომ სოფ. ახუწაში (ჯგერდა) მსგავსი წარმოება თანხმოვანფუძიანი ზმნებისა ვერავითარ შემთხვევაში ვერც დავადასტურეთ¹. იქ **უა** კომპლექსის ცვლილება **ა**-ს **უ**-სთან ნაწილობრივი ასიმილაციის ფარგალს არ შორდება საერთოდაც, ამ შემთხვევაში-კი ესეც არ ხდება, რადგან **ოტის** გავლენა **ა**-ზე უფრო ძლიერია.

აწმყოს ფორმანტისეული **უ** ზოგჯერ აღარ ისმის, ლაბიალობის მქონე **ჰ³, ზ, ტ** ან **უ**-ზე დაბოლოებულ ზმნებში და ვიღებთ **-ოიტ**-ს მაგ.: **ჰჰ³-რა** (მობრუნება) ს₃ჰ³ოტ (ლექსიკ., გვ. 142) || ← ს₃ჰ³უოტ, ს₃ჰ³უეტ; **აზგრზრა** (გარეკა ცხენისა, ცხენის რბენა) აზგსგრზოტ (იქვე გვ. 107) || ← აზგსგრზუოტ, აზგსგრზუეტ; **აქუ-რა** (ფიცი) სგქუოტ (იქვე, გვ. 88) || ← სგქუუეტ || სგქუუოტ; „აბნი [ამგ] ააუგარ უწმცა ბზრა-ნატ³რტ“ **აზიტ³რა** (ამვიბჟ. ტექსტ., XV, 133) და სხვ.

აწმყოს **-ოიტ** სუფიქსის გვერდით გ. როზენი **-აიტ**-საც აღნიშნავს², მის მიერვე მოყვანილ მაგალითებში ორჯერაა **-აიტ** გამოყენებული და ორივე თარგმნილი აქვს აწმყოდ: 1. იზჯაიტ³ – waschen, 2. სალაქაიტ – anfangen. პირველი ალბათ **სმ³არა**-ა (ბანა, რეცხვა), მეორე-კი **ალაგარა** (დაწყება). ამ ზმნებში და საერთოდაც, აწმყოს ასეთი წარმოება, ამჟამად ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია (შეცდომით ჩაწერის, ან აორისტის ფორმაში არევის შედეგი ხომ არ არის?). დამაფიქრებელი ხდება ეს გარემოება მის შემდეგ, რაც აკად. ნმარს მოჰყავს აწმყოს მნიშვნელობით ფორმა ითასგრბჰ³ (ლექსიკ., გვ. 40 ამვიბჟური ფორმა) **ათარზარ** (გაშრობა) ზმნიდან. მას მხოლოდ ასეთი ახსნა შეიძლება მიუდგეს: თუ დავუშვებთ ითასგრბჰ³-ის არსებობას, **უა** კომპლექსში **უ**-ს ბაგისმიერ ბგერებთან დაკარგვა აფხაზურში მოულოდნელიც არ იქნებოდა. ამის შემთხვევები საკმაოდ ბლომადაა, მაგალითად: ბოყვი აფხ. აბაყუ ← *აბუყუ (სხვა

¹ აკად. ნ. მარს სეფსოიტ და სეფჰოიტ ფორმებს ჯგერდისთვისაც აღნიშნავდა.

² ხსენებ. ნაშრომი, გვ. 77.

³ იქვე, გვ. 82. გ. როზენი ქართულ ტრანსკრიფციასაც იყენებს.

ენების ო, როგორც ზევითაც ვთქვით, აფხ.-ში გვამღევს **ჭა**-ს), გემო აფხ. აგ^ამა, მოგვი აფხ. ამაგ^უ, საპონი აფხ. ასაპან || ასაპ^გნ, ეფისკობოზი აფხ. აფსკ^უაბაზ, ფონი აფხ. აფან და სხვ. ითასგრბ^ატ-ის შემთხვევაშიაც ეგების **ბ**-სთან წყვილბაგისმიერი **ჭ** დაიკარგა, ხოლო შემდეგ **-იტ** სუფიქსის **-ო**-ც (იხ. ზემოთ), მათი დაკარგვის გამო კი გაგრძელდა **-ა**- და მივიღეთ აღნიშნული ფორმა.

აკად. მარი სხვა ადგილასაც „აღნიშნავს აწმყოში ლიხნელისათვის (ბზიფი) ს ა ხ გ ბ ა ტ-ს (ლექსიკ., გვ. 137). ამ ზმნას (**ახტბაარა**) ორი ანი ახასიათებს. თუ გავითვალისწინებთ, ორანიანი ზმნების დამახასიათებელ თვისებას, ძნელი დასაჯერებელი იქნება ზემოთ მოყვანილი შესაძლებლობის მასზედაც გავრცელება. უშუალოდ არც უნდა შეხვედროდა **ბ** ფორმანტიესულ **ჭა**-ს, თუ არ დაუშვებთ, რომ ეს ორანიანი ზმნა იქცა ერთანიანად და გაჰყვა ამ უკანასკნელის ცვლილებას, რაც ბზიფურში აბსოლუტურად შეუძლებელი არაა. მაგალითად, **ათეჯჯაარა** „შიგნით ბრწყინვა“ ბზიფში ათეჯჯაარა-ს სახითაა წარმოდგენილი (ლექსიკ., გვ. 142). ასევე **აზწაარა** ზმნიდან ბრძანებითის წარმოებისას ერთი ანი შეგვრჩება ხოლმე. ლიხნში ისმის **უაზწა** „ჰკითხე შენ (ვ.) კაცს“.

თუ ასეთი წარმოება აწმყოსი საერთოდ დადასტურდება, იგი სხვა ახსნასაც მოითხოვს და, დროთა წარმოების თვალსაზრისით, მეტად საყურადღებო მოვლენაც იქნება.

უარყოფითი ფორმის წარმოებისას აწმყოში, **-იტ** სუფიქსი ჩამოშორებულია, ერთვის უარყოფის **-მ** სუფიქსი და ვიღებთ: ი ბ ა ძ ო მ („კაცი არ ხედავს რასმე“), დ ც ო მ („არ მიდის“ [გონ. არსება]) და სხვ. უარყოფით საგარემოებო და მიმდებარე ფორმებში იგივე მდგომარეობაა, ოღონდ **მ** ფორმანტი წინ გადმოინაცვლებს (პრეფიქს-ინფიქსად), მაგ.: ის ზ გ მ დ გ რ ტ ა – ის, რომელიც არ ვიცი; დ ა ნ გ მ ა ა ძ ო მ – როცა არ მოვა (გონ.); ი მ ც ო – რომელიც არ მიდის და სხვ.

2. ნამყო უსრული

აწმყოს ანალოგიური წარმოებაა ნამყო უსრულში, რომლის მაწარმოებლადაც **-ჭან** სუფიქსი გამოდის. **-ჭა** აქ იგივე ელემენტია, რაც აწმყოში გვხვდებოდა, **-ნ**- კი საერთოდ ნამყოობის მაწარმოებელია.

ბზიფში ისევე, როგორც ეს აწმყოში გვექონდა, **ა**- ფუძიანი ზმნები **ა**-ს მოიკვეცენ და გვიჩვენებენ ისეთ დაბოლოებას, როგორსაც თანხმოვან-ფუძიანები ე. ი. მხოლოდ **-ჭა-ნ** → **-ჭო-ნ**-ს.

მაგ.:

| | | | |
|--------------|----------------|-----------------|-------------------------------|
| ააგა-რა | აწზგ-უან | ლექსიკ., გვ. 28 | მომქონდა რაღაც |
| აგუბდკვლა-რა | იგუბდგიკვლ-უან | „ 31 | (გადა)ეხვეოდა იგი მას |
| აშადა-რა | რმაზდ-უან | „ 52 | ვაზარებდი რასმე მას (კაცი) |
| აცა-რას | სცა-უან | „ 110 | მივდიოდი |
| აღაწა-რა | იღასწ-უან | „ 119 | ვთესდი რასმე |

ტექსტებიდან:

აშხა ზეგე ემნადუან (ამნდა-რა) „აფხ. ზღ.“ 45₁ – ყველა მთას მოივლიდა იგი (უგ.).

აწნგყა იდგუტლუან (ადგუტლა-რა) იქვე, 45₂ – შინისკენ გაემართებოდა იგი (უგ.).

ხაზ-ხაზე ინ ხუან (ანხა-რა) იქვე, 69₃ – ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.

ამე აჰადა იცოდტ-ჰა მაუჰარ იხაფუან (ახაწარა) იქვე, 69 – წყალი აღმა მიდისო რომ გეთქვა შენ (ვაჟო) მისთვის (კაც.), დაიჯერებდა.

ამცა უაჰე მახეიბუან ეცაჟუან (აცაჟა-რა) იქვე, 69₇ – ძმები, ვინმე რომ (სადაც) ხედავდა, ლაპარაკობდნენ.

ეჰა ედღეიშუან (ადღეშა-რა) იქვე, 69₂₄ – უფრო ერჩივნა მას (კაცს) იგი (უგ.).

ეხუთახეუ უაგუან (აგა-რა) „აფხ. ზღ.“ 69₈ – სადაც გინდა, შენ (ვაჟო) წაგიყვანდა იგი (უგ.).

იზგყაფუან (აზგყაწა-რა) – ლიხნ. ტექსტ. – იგი (კაცი) მისთვის (კაც.) აკეთებდა რასმე.

დცურნ (აცა-რა) – იქვე იგი (გონ.) მიდიოდა.

აბჟუაში კი ვიღებთ -**ონ** || -**ონ** და ბოლოებს, მომდინარეს -**ა+უან** || -**ო** + **უან** || **ო-ნ** ფორმებიდან, რომლებიც ხშირად გვხვდებიან და გვექნება: დააზგა-უან, დააზგო-უან, დააზგო-ნ, დააზგონ-ნ, დააზგონ – მომქონდა რამე (ააგა-რა); რმაზდა-უან, რმაზდონ – გადავცემდი რასმე (ამადა-რა) და სხვ.

მაგალითები:

ამჟ დეუ ააგუარა დგგლაუან თეფლა (აგლა-რა) – ჯგერდ. ტექსტ. – დიდი ტბის მახლობლად დგებოდა (ჩერდებოდა) ადგილად იგი (გონ.).

აშა ბზამუყუ დცანგ [ალასა] დააგაუან (ააგა-რა) – იქვე – სულელი ძმა მიდიოდა და [მატყლი] მოჰქონდა.

ლეგჰა-წყა... დღემანგ დცაუან (აცა-რა) – იქვე – ქალს თავისი ნამდვილი (ღვიძლი) ქალიშვილი [მი]ჰყავდა და მიდიოდა.

„ყგყ“ აპ³აცგფფხ³აძა აკაკალა ე დ თ ა ტ ა ნ (ათ-არა) „აფხ. ზღ.“ 28³⁵ – ყოველი „ყგყ“-ის თქმაზე თითო-თითოდ აძლევდა მას (უგ.).

სასრეყტა და ნესგმშა იღ ე დ ჰ ა ტ ა ნ (აპ³ა-რა) იქვე, 28³⁵ – სასრეყვა თავის დედას ყოველდღე ეუბნებოდა.

„ატე აბლა ენაუ აჯგმშ აჯგმშ ა ჰ ო ტ ა ნ“ (აპ³ა-რა) – პ. ჭარაია, ხსენ, ნაშრ. გვ. 75. – ბუმ თვალი რაკი იშოვა, წარბი წარბიო გაიძახოდა (ამბობდა).

„ხუსიკა ე გ ი მ ჩ ო ო ნ (-ჩოტან), ეგიდრაპოონ (-პოტან)“ (აჩა-რა, არა-პა-რა) იქვე, გვ. 73 – ხუსიკა თან სთობნიდა, თან სტკეპნიდა.

„აჭესთაა ით^ა რხნე ამცა ი ც რ ა დ წ ო ო ნ“ (აცრაწა-რა) იქვე, გვ. 76 – ეშმაკმა, როცა თავისი თივა მოსთიბა, ცეცხლს უკიდებდა.

„ამე მაგოოზ დ გ ჩ ჩ ო ო ნ“ (აჩჩა-რა) იქვე, გვ. 79 – წყალწაღებული იცინოდა.

ამ^ე გ^ე ალუქტა შანე აშაბესთაქტედ აჟაქტედ ფხედცონ (აფხ³აცა-რა) – აძვიბუ. ტექსტ. III 16 – ვიღაცას ფეხზე წისქვილის ქვები ეცვა და შვლებსა და კურდღლებს მიდენიდა.

ანხაჟგ... ამნაყბა იძბახტე ი ჰ ო რ ნ (აპ³ა-რა) იქვე, IV, 25 – გლეხი, ამნაყბას [=შინაყმის – რედ.] ამბავს ამბობდა (იგონებდა).

დანგლთახეუ ზეგ^ე ლ გ რ ბ ზ ა ხ ო ნ (არბზახა-რა) იქვე, IV, 34 – როცა ქალს „უნდა“, ყველას აცოცხლებდა.

იფ³ეს დ გ დ^ე ლ გ ლ გ ო ნ (ად³ელგა-რა) იქვე, X, 80 – მის ცოლს გარეთ გამოჰყავდა.

ადოტე იმყაყმაკტა ი ჰ ო რ ნ (აჟა-რა) იქვე, X, 83 – დევი მას (რასმე) დაუღეჰავად ჭამდა.

ითააც³ ძალა ნგყტეგონ (ანგყტეგა-რა) იქვე, XII¹⁰³ – ოჯახს იმით არჩენდა იგი (გონ.).

აჩტან ეხ³კნაჰაზ ამცა ა წ ა ლ წ ო ნ (აწაწა-რა) აძვიბუ. ტექსტ. VIII, 60 – ქვაბი („ჩახანა“) სადაც ეკიდა, ქალი ცეცხლს (შე)უკეთებდა.

დარა კერ დ გ კ ტ ა შ ო რ ნ (აკტაშა-რა) – ჯგერდ. ტექსტ. – ძალიან დიდხანს ცეკვავდა.

ურ³ალონ (აპ³ა-რა) – ჯგ. ტექ. – შენ (ვაჟო) მას (კაცს) შესთხოვდი ხოლმე.

ლეფჰაფსა უ ბ გ ს ლ ა ლ ჰ ო რ ნ (აპ³ა-რა) – ჯგ. ტექსტ. – ქალი თავის გერს (ქალს) ასე ეუბნებოდა.

ასეთი წარმოება, ისევე, როგორც ეს აწმყოში გვექონდა, იშვიათად ბზიფშიაც შეიძლება შეგვხვდეს. აკად. მარსავე ბზიფისთვის მოყვანილი აქვს:

| | | |
|----------|-----------|----------------------------|
| ახშა-რა | დღეზშატან | ბადებდა ქალი მას (გონიერს) |
| ახგჩა-რა | სიხგჩონ | დავცინოდი კაცს. |

ჰა-სა და **აა**-ზე დაბოლოებულ ზმნებში, რა თქმა უნდა, არც ნამყო უსრულში ხდება **ა**-ს **უ**-სთან ასიმილაცია, გვექნება: ის ხ ა ჰ ა ტ ა ნ, ს კ ა ჰ ა ტ ა ნ, ს ს ც ჰ ა ტ ა ნ, ს ა ხ გ ბ ა ა ტ ა ნ, ს ლ გ ზ წ ა ა ტ ა ნ და სხვ.

თუ ზ მ ნ ა თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი თ, ან **ო** → **ა**, **უ** ხ მ ო ვ ნ ი თ ბ ო ლ ო ვ - დ ე ბ ა, დაირთავს **-ტა-ნ** ს უ ფ ი ქ ს ს უ ც ვ ლ ე ლ ა დ, როგორც ბ ზ ი ფ შ ი, ის ე ა ბ ჟ უ ა შ ი.

| | | | |
|-----------|----------------|-----------------|--|
| ას-რა | სისუტან | ლექსიკ., გვ. 73 | ვსცემდი მას (კაცს) |
| აწ(ებ)-რა | რწესხუტან | „ | 121 ვთხრიდი, ვიღებდი ქვეშიდან მას (უგ.). |
| არყუტდ-რა | ისგრყუტდუტან „ | 93 | ვკრეჭდი მას (უგ.). |

ტიქსტებიდან:

აჟ უბრა იჰუტან ხულაანმა (აჰ-რა) აძვიბჟ. ტიქსტ: V₅₃ – ძროხა იქ ბა-ლახოზდა სალამომდე.

ეცე ათერქუთა ს გ ე შ ტ ა ნ (აშ-რა) იქვე, VI, 57 – გუშინ თურქი მკლავდა.

იჰჰაბჟე იფჰეს დემერჰუტან (ამერჰ-რა) იქვე, XII, 104 – მისი ყვირილის ხმას ცოლი უსმენდა.

სარა აყუარდ სექუტანგ ს ა ხ გ ლ ა ფ შ ა ტ ა ნ (ახელაფშ-რა) იქვე, V, 53 – მე ჯორკოზე ვიჯექი და ვუყურებდი მას (უგ.).

ი თ ი დ უ ტ ა ნ (ათი-რა) იქვე, XIII, 105 – ჰყიდდა იგი (კაცი) მას.

უღგრუტან აზგ უსკგმტ (აღგრ-რა) – ჯგერდ. ტიქსტ. – ქურდობდი შენ (ვაჟო), ამიტომ დაგიჭირე.

არი აშაპგ ადს იკგლაშეძტ, მ ა მ ს ხ ტ ა ნ (ამხ-რა) – იქვე – ამას ფეხი ფესვებში (ხისა) ჩაუვარდა, ვიღებდი (ვართმევდი).

ი შ შ ა ტ ა ნ (აშშ-რა) – იქვე – იგი (კაცი) ღობავდა მას (ღობეს).

ტუღგე აგუთა აშ აზენრჟუტან (აზნგჟ-რა) – იქვე – იმასაც შუაზე კარს უტოვებდა.

ამგალ ლმუტან (ამ-რა) – იქვე – ქალი მჭადს აცხოვდა.

„კუმპელ, აჩა ენნგწა ადშა დ გ ქ უ ს ტ ა ნ“ (აქუს-რა) – პ. ჭარაია, ხსენ. ნაშრ., გვ. 74 – კუმპული, როცა პური შემოეღია, ნასუფრალს ხელს ავლებდა.

„ალუ ზგოზგე დ გ ქ უ ტ ა ნ, ალგხუთა ზგოზგე დ გ ქ უ ტ ა ნ“ (აქგ-რა) – გ უ ლ ი ა, იქვე, გვ. 13 – წისქვილის ქვის მზიდველიც (წამლებიც) კვნესოდა და საცრისაც.

„აგგუტ ხ უ მ ა რ ტ ა ნ, აჰგნაფ ფ ს უ ტ ა ნ“ (ახუმარ-რა, აფს-რა) იქვე, გვ. 13 – კატა თამაშობდა და თავი კვდებოდა.

აფხაზურში დრო-კილოთა მაწარმოებლებში სირთულეს ქმნიან უარყოფითი ფორმები. თუ დადებითში ერთი სუფიქსია დროის გამო-მხატველად, უარყოფითში შეიძლება მას სხვა შეენაცვლოს.

ნამყო უსრულში უარყოფითისათვის გამოყენებულია იგივე **-ტა**, ან მისი სახეცვლილი სუფიქსები გარკვეულ შემთხვევაში – **-ოო**, **-რ**, **-ო** და-ერთვის ჯერ უარყოფის გამომხატველი **მ**, შემდეგ-კი ნამყო დროის სუფიქ-

სი სათანადო წარმოებებში – **ზ** (აქვე, ქვემოთ) და ბოლოს აგრეთვე – **ტ**. ვი-
ლებთ: დ ც ო მ გ ზ ტ || დცა-ჟა-მგ-ზ-ტ – არ მიდიოდა (გონ.); იყადწა-ძო-მგ-
ზ-ტ – არ აკეთებდა მას კაცი და სხვ.

ნამყო უსრულის გარემოების აღმნიშვნელსა და მიმღებურ ფორ-
მებში: **ნ** მაწარმოებლის მაგიერ ვხვდებით **ზ**-ს და გვაქვს:

ჰარა აბანახ¹ ჰანცაჟაზ აძვიბჟ. ტექსტ. II, 4 – ჩვენ აბანოზე რომ
(როცა) მივდიოდით.

დ გ შ ა ა ჟ ა ზ ს მ შ ე ნ ა ბ ნ ა ბ ა ა ფ ს ნ გ რ ყ ა ნ – ჯგერდ. ტექსტ. – გზაზე რომ
მოდიოდა იგი (გონ.), ცუდი ტყე იყო.

სყარაჩ დ გ შ ხ უ ც ჟ ა ზ დაანხეიტ – იქვე – ყარაჩაელი რომ ფიქრობ-
და (როგორც ფიქრობდა), [ისე] დარჩა.

სხულბუჩხა იმაზარა ზ გ ო ზ დრგხ²მეიტ – იქვე – სალამოს, მისი ქო-
ნების წამლებთ დაეწია.

რგრახბუქუა ზ ჭ ო ზ ხუჭ ჯ ლაკუზარ – იქვე – მათი საქონლის შემჭმე-
ლი ბავშვი (ქალი) ყოფილიყო.

ჟარა ჟაკუზმა სარა ს გ ზ ჟ ო ზ? აძვიბჟ. ტექსტ. V, 50 – შენ (ვაჟ.) იყა-
ვი ჩემი მომტყუებელი (ვინც მე. მატყუებდა)?

აუხა ინ გ შ თ ა ლ ო ზ იქვე, IV, 33 – სალამოს რომ (როცა) წვებოდნენ.

ასეთ უარყოფით ფორმებში აწმყოს მსგავსად – **მ** სუფიქსი პრეფიქს-
ინფიქსად გადაიქცევა და ჩამოშორდება – **ტ**. იყადწომ გ ზ ტ-ის – „არ აკე-
თებდა“ – ნაცვლად მივიღებთ: ი შ გ ყ ა მ წ ო ზ – „რომ (როგორც) არ აკე-
თებდა“. და ა ზ გ ო მ გ ზ ტ – „არ მომქონდა“, მაგრამ და ა ს გ მ გ ო ზ – „ის,
რაც არ მომქონდა“.

3. აორისტი

წესი ფუძის ა ხმოვანთან დამოკიდებულებისა იგივე რჩება აორის-
ტისთვისაც. ა ო რ ი ს ტ შ ი დაბოლოება¹ – **იტ** || – **გ-იტ** || – **იტ** || – **გ-ტ** || – **ტ**
სუფიქსი გამოიყენება თანხმოვან ფუძიან, **ი**, **უ** ხმოვან-ფუ-
ძიან, ო რ ა ნ ი ა ნ და **ჰა**-ზე დაბოლოებულ ზმნებში, როგორც
ბ ზ ი ფ უ რ შ ი, ის ე ა ბ ჟ უ უ რ შ ი, ოღონდ **ჰა**-სა და **აა**-ზე დაბოლოებულს
ზმნებში – **იტ** || – **იტ** ფორმანტის **ი (ა)**-ს დაკარგვაც არაა მოსალოდნელი.

¹ „აორისტის დაბოლოება“-ს ჩვენ აქ პირობით ვხმარობთ. ვხმარობთ მანამ, სანამ
თვით მოვლენის ანალიზი არ მომხდარა, თორემ ქვევით ვნახავთ, რომ ა ო რ ი ს ტ ს
ა ფ ხ ა ზ უ რ შ ი ს ა ე რ თ ო დ ა რ ა ვ ი თ ა რ ი დაბოლოება არ გააჩნია.

მაგ! .:

| | | |
|----------|---------------------------|------------------------|
| ადგრრა | იზდგრგიტ, იზდგრტ | გავიგე რამე |
| აჟ-რა | იზჟრტ | დავლიე რამე |
| აკგლს-რა | სკგლსგიტ, სკგლსიტ, სკგლსტ | გავძვერი |
| აფს-რა | სეფსგიტ | მოვკვდი |
| აქტემ-რა | იქტესმიტ, იქტესმტ | (მოვუსვი) წავუსვი რამე |
| აფჩ-რა | იფჩსჩგიტ, იფჩსჩტ | გავტეხე რამე |
| ამ-რა | სგძიტ, სგძტ | დავიკარგე |
| ახუტც-რა | სხუტციტ, სხუტცტ | ვიფიქრე |
| აუ-რა | იზუძტ, იზუტტ | გავაკეთე რამე |
| ათრ-რა | ისტგიტ | გავყიდე რამე |
| აწა-რა | სწააძტ | ვიკითხე |

ტექსტებიდან:

ირზააზ რზემდრგიტ (ადგრ-რა) „აფხ. ზღ.“ . 42²⁴ – რა მოუვიდათ, ვერ გაიგეს.

ილგუაღიტ ილჟრაცე (აგუაღ-რა) იქვე, 38⁵ – ქალმა გაბედა დალევა (... რათა დაეღია).

აკვიძგიტ, აკვიჟგიტ (ამ-რა, აჟ-რა) იქვე, 62⁹ – ერთი შეწვა, ერთი მოხარშა (კაცმა).

ლაზ დელტრთენჩიტ (ართტნჩ-რა) იქვე, 59⁸ – თავისი მამა დაამშვიდა ქალმა.

ამშტნ ნერცდგრიტ (არ-რა) იქვე, 102³² – ზღვის გაღმა გავიდა იგი (გონ).

აფარა რაცანტიაფსახგიტ აძვიბჟ. ტექსტ. I, 1 – ბევრი ფული ისესხა (უგ.-მა).

იხუაახუთგიტ (ახუაახუთ-რა) – იქვე – ივაჭრა (ივაჭრეს).

აშოზსმტიტ (ატ-რა) იქვე, VI, 63 – კარი არ გაეღო მას (კაცს).

სჭგზბა ძსაწგიშიტ (აწგშ-რა) – ჯგერდ. ტექსტ. – მან (კაცმა) დანა ამოუსვა ქვეშიდან.

შგგზმალრა შრძიტ (არძ-რა) – იქვე – თქვენმა ეშმაკობამ დაგვარგათ.

დააწგწგიტ (აწგწ-რა) – იქვე – იგი (გონ.) გამოვიდა ქვეშიდან.

დაკუმზ აკსტნიტ (ახ-რა) – იქვე – ცუდი, (მოულოდნელი, არ ყოფილი) რამ დამემართა.

რყეზ... რტუაკ იყნე ინრტჟგტ (ანტჟ-რა) აძვიბჟ. ტექსტ. II, 3 – ბატი თავიანთ მოკეთესთან დატოვეს.

¹ მაგალითები ამოღებულია აკად. ნ. ძარის აფხ.-რუსული ლექსიკონიდან.

ათახ იჟნად ორშოგოტ (აჟნარშო-რა) იქვე, II, 3 – იგი (უგ.) ოთახში შეაგდეს.

ამლაბ დააჩაგჟწგოტ (აჩაგჟწ-რა) იქვე, IV, 26 – ქალიშვილი ცხენიდან ჩამოხტა.

მათაქუაკ უზგოძახგოტ (აძახ-რა) იქვე XI, 90 – შენ (ვაჟ.) ტანსაცმელები შეგიკერე.

ეაჭაწგოტ (აძაჭაწ-რა) აძვიბჟ. ტექსტ., XVI, 145 – გაიყვნენ.

დგლბაადოტ (აღლბაა-რა) „აფხ. ზღ.“ 3227 – იგი (გონ.) ძირს ჩამოვიდა.

აბრრ აუხა უიოტ (აი-რა) იქვე, 99¹⁴ – ამ ღამეს დაიბადე შენ (ვაჟ.).

აუასა ირჰაადოტ (არჰა-რა) – ჯგერდ. ტექსტ. – ცხვარი შეშინდა.

აჩრა რუდოტ (აურა) – იქვე – პურობა ქნეს.

დაადოტ (აად-რა) – იქვე – იგი (გონ.) მოვიდა.

დგყაადოტ (აყაა-რა) აძვიბჟ. ტექსტ. XIII, 114 – იყვირა მან (გონ.).

დგფსგოტ-ჰა დგყან (აფს-რა) იქვე, X, 84 – იგი (გონ.) მოკვდაო ეგონა.

ანახ დგჰოტ, არახ დგჰოტ (აჰ-რა) იქვე, V, 51 – აქეთ გა[მო]იქცა, იქით გაიქცა იგი (გონ.).

აწგუარა დაყუწოტ (აყუწ-რა) იქვე, IV, 38 – ტირილი შეწყვიტეს (ტირილს თავი დაანებეს).

იხუმაროტ (ახუმარ-რა) იქვე, XI, 92 – ითამაშეს.

მარგ იფსგაადხგწოტ (ახგწ-რა) – ჯგერდ. ტექსტ. – მასაც (კაცს) სული ამოხდა.

მაშცა რაყნდ დააკგლსოტ (აკგლს-რა) – იქვე – ძმებთან მოვიდა (შემოვიდა).

იდგროტ (ადგრ-რა) „აფხ. ზღ.“ 3424 – მან (კაცმა) გაიგო რაღაც.

უფჰა დგძოტ (აძ-რა) იქვე, 11141 – შენი ქალი (კაცო) დაიკარგა.

ჰასან დაუიჟოტ (აუჟ-რა) იქვე, 1521 – ჰასანი გაუშვა მან (კაც.).

კუჰა დმანჰაასოტ (ანჰაას-რა) იქვე, 611 – კუჰა არ დარჩა.

დგდოგლწოტ მაჰშ (ადგლწ-რა) იქვე, 89; 924 – გარეთ გამოვიდა მისი (კაცის) და.

ატგმა დგთარგჟოტ (ათაჟ-რა) იქვე, 272 – ორმოში ჩააგდეს იგი (გონ).

აბას ჰახოტ (ახ-რა) იქვე, 298 – ასე მოგვივიდა, დაგვემართა.

აჭკუენ აძჰაბგ იხმგროტოტ მაზლოუ (ახმგროტ-რა) იქვე, 70³⁷ – უფროს ვაჟს დაარქვეს მაზლოუ.

აგგი [აწა] ააშთგლხოტ (აშთგხ-რა) იქვე, 16 – მეორე [ვამლი] აიღო ქალმა.

ხმაარა დლოუოტ (აუ-რა) იქვე, 34¹¹; 12 – ქალს შვილი შეეძინა და სხვ.

აორისტში ახმოვანფუმიანი ზმნები აბჟუურში გვიჩვენებენ ე-დო ა „დაბოლოებას“. „დაბოლოება აორისტისა“, რა

თქმა უნდა, აქაც **-იტ** არის. ეს **ე** ფუძისეული **ა** ხმოვანია **ი**-სთან დამსგავსებული¹ და არა ფორმანტისეული².

ბზიფურში, ფუძისეული **ა** აქაც მოკვეცილია და ყველა ზმნაშია შესაძლებელი **-იტ** || **(გ)-იტ** → **-ტ** დაბოლოება.

მაგ.:

ა - ხმოვანფუძიანი აბჟურთი ბზიფური
ზმნები

| | | | |
|-----------|-----------|----------------|-----------------------|
| აჭა-რა | ისჭე-მტ | ისჭ-იტ, ისჭე-ტ | შეჭამე რამე |
| ალაწა-რა | ილასწე-მტ | ილასწ-იტ | დავთესე რამე |
| აკაცა-რა | იკასცე-მტ | იკასც'-ტ | გავდენე რამე |
| აშწა-რა | იშწსწე-მტ | იშწსწ-იტ | ჩავაცვი მას (კ.) რამე |
| აკაფსა-რა | იკაფსე-მტ | იკაფს-ტ | დავაბნე, დაყარე რამე |
| ალაშცა-რა | რლაშცე-მტ | რლაშცი-ტ | დაბნელდა |
| აგა-რს | იზგე-მტ | იზგ-რტ | წავიღე რამე. |

აბჟურთი ტექსტებიდან:

ე დ ც ა ჟ ე ტ (ადცაჟა-რა) აძვიბჟ. ტექსტ. I, 1 – მოილაპარაკეს.

ზეგე ემანგ აშა რქულე ე ტ (აქულა-რა) – იქვე – ყველა ერთად გზას გაუღდა.

აფსტმ ი ა ლ ბ ა ა ნ ა დ ე ტ (ალბაადა-რა) – იქვე – თევზმა ჩაყლაპა რამე.

უბგს ი რ ძ ბ ე ტ (ამბა-რა) – იქვე – ასე გადაწყვიტეს.

რფჟა ოშ-დუკ დგიგეტ (აგა-რა) იქვე, II, 3 – მათი ქალი დიდმა კაცმა წაიყვანა.

ირგთეთეტ ყფზ (ათა-რა) – იქვე – მან (კაცმა) მისცა მათ ერთი ბატი.

უბგს რ ე დ ჰ ე ტ (აჰა-რა) – იქვე – მან (კაცმა) ასე უთხრა მათ.

ე ა ლ ა გ ე ტ (ალაგა-რა) – იქვე – დაიწყო მან (უგ.).

¹ იშვიათად უასიმილაციო ფორმებიც გვხვდება მაგ. დ გ ს გ ხ შ ა ე ტ (ლექსიკ., გვ. 95. ახშ. არა), ძ გ ე დ გ ჩ ა ფ ე ნ გ ე ლ ა ე ტ (აჩფენგელარა) „მდინარის ნაპირს მიადგა“ („აფხ. ზღ. 118ი) უმთავრესად **ხ**-სთან; ს ა ხ ა ე ტ (ლექსიკ., გვ. 135. ახარა), ე ე ზ ე მ ხ ა ე ტ (ახხარა) „არ ეყო“ (ჯგერდ. ტექსტ.); და ზ გ რ ა ზ ხ ა ე ტ (აზგრაზხარა) „დასთანხმდა იგი (გონ.) რაზედმე“ („აფხ. ზღ.“ 9642; 9731); ზეგე ე ა ქ უ შ ა ჰ ა თ ხ ა ე ტ (აქუშა აჰათხარა) „ყველა დაეთანხმა“ (იქვე, 9642).

² თუ ბექტდვის შეცდომა არ არის და ა-ს e-ში არევით არაა წარმომდგარი, გაუგებარია და ალბათ **ა**-ფუძიანი ზმნების ანალოგიითაა ნაწარმოები სამი ფორმა, „რომლებიც „აფხაზურს ზღაპრებში“ გვხვდება: ი ზ გ მ დ რ ე ე ტ (ადგრ-რა) გვ. 92, „ვერ გაიგო მან (კაც.), და ხ უ ა ფ შ ე ე ტ (ახუაფშა-რა) გვ. 92; „დაათვალიერა, შეხედა მან (გონ.) მას (უგ.)“, ე ა გ უ ე ლ წ ე ე ტ (აგულწლ-რა) გვ. 92,9 „გამომვრა, გამოვიდა რისგანმე (მაგ., ტყავიდან)“. აღსანიშნავია, რომ ყველა ესენი ერთსა და იმავე ტექსტში გვხვდებიან და ინდივიდუალურ შთაბეჭდილებას ახდენენ.

აღგაჟი ათკუჟი ი ბ ე ა ხ ე ტ (აბედახა-რა) – იქვე – ბერიკაცი და დედაბერი გამდიდრდნენ.

აღგაჟი ათკუჟი ე ა გ უ გ რ ლ ე ტ (აღუგრლ ა-რა) იქვე, II, 5 – ბერიკაცი და დედაბერი გამხიარულდნენ.

შთანლაზ იმგზა და მ ხ ა ც ე ტ (ამხაც ა-რა) იქვე, II₅ – შთანლაზის ამხანაგს ჩაემინა.

ქუამხნა დ გ ს ჟ ე ტ (აჟა-რა) იქვე, V 47 – ქვამხია მოვატყუე.

აფრაზ გ მ ბ ე ტ (აბა-რა) იქვე, V 47 – ფული ვერ ვნახე.

იხანშო გ მ წ ე ტ (ახწა-რა) იქვე, V 54 – არ დაიჯერეთ თქვენ იგი (რამე).

ხუაჯა დ ც ე ტ იშძანგ (აცა-რა) აძვიბჟ. ტექსტ., VII, 60 – მოლა წავი- და მალულად (ფარულად).

ზეგე კ ა რ ც ე ტ (აკაცა-რა) იქვე, VIII, 64 – ყველა გარეკეს, გადენეს.

დ ლ ა ა ძ ე ტ უბრი (ააძა-რა) იქვე, VIII, 65 – გაზარდა იგი (გონ.) ქალმა.

ლგკუა ითაღწედტ (ათაწა-რა) – იქვე – თავის უბეში ჩაიდო ქალმა იგი (უგ.).

ადოუცა ი რ გ შ თ ა ლ ე ტ (აშთალა-რა) იქვე, VIII, 66 – დევებს დაე- დევნენ.

ფსხუტდა დ გ ნ ხ ე ტ (ანხა-რა) იქვე, IX, 77 – უქელეხოდ დარჩა (გონ.).

აჩაგ აკუადგრ აქუგმხენ... ე ა ხ ჩ ნ გ ე წ ე ტ (ახჩნგწა-რა) იქვე, IX, 77 – ცხენს უნაგირი მოჰხადა და... თავქვეშ დაიდო.

ადოუ დ გ კ ჰ ე ტ (აჰჰა-რა) იქვე, X, 81 – დევმა დაიყვირა.

ლაშა დ გ რ შ თ ა ლ ე ტ (აშთალა-რა) იქვე, XII, 102 – ქალი თავის ძმას დაედევნა.

დ ე მ ხ მ ე ტ (ახმა-რა) იქვე, XII, 102 – დაეწია იგი (გონ.) კაცს.

დ ე ლ გ ქ უ გ რ წ ე ტ აზნი აჰკუნ (ადქუწა-რა) იქვე, XIII, 115 – გა- გზავნეს ეს ბიჭი.

იშეიბაკუ ზეგე ირჰედტ (აჰა-რა) იქვე, XIII, 116 – სულ მთლიანად შექამეს ყველაფერი.

რლადგრძკ კ ა თ ე ტ (აკათა-რა) იქვე, XIV, 128 – მისი (კაც.) ცრემლი ჩამოვარდა (დაიღვარა, დაიქცა).

ემშას დ გ ყ ა რ წ ე ტ (აყაწა-რა) იქვე, XV, 142 – ძმად გაიხადეს.

ადცაჟარა მ ს ლ ა გ ა ე ტ (ალაგა-რა) – ჯგერდ ტექსტ. – ლაპარაკი დაიწყეს ერთმანეთთან.

რაშა მ ს რ ჰ ე ტ (აჰა-რა) – იქვე – ძმას უთხრეს.

სგლა აკე ხ შ ა ლ ე ტ (ახშალა-რა) – იქვე – თვალში რაღაც ჩამივარდა.

ანი ანგზბა ს ე მ ლ ა გ ე ტ (ამლაგა-რა) – იქვე – ეს რომ დავინახე, ავირიე.

წაზგრგზო ჯ გ ს შ ე ტ (აჯშა-რა) – იქვე – მართალი მეგონა.

სბაღ^ატ^ატ^ატ^ა რქ^ატ^ატ^ა (აქტ^ატ^ა-რა) – იქვე-ვაცის რქაზე შემოჯდა (უგ).

ლარ^ა ილ^აქ^ატ^ატ^ა (აქა^ატ^ა-რა) – იქვე – ქალს აჭამა მან (კაცმა) რამე.

აკ^ატ^ატ^ატ^ატ^ა (აფყ^ა-რა) – იქვე – ხორცი გავჭერი.

ინ^ატ^ატ^ატ^ა (ანგს^ა-რა) – იქვე – თავი გაჰპარსა მან (კაცმა) მას (კაცს).

ასტოლ^ა დარ^ა იბ^არ^ან^ა ირ^ახ^ატ^ა (არხ^ატ^ა-რა) – იქვე – მაგიდა ძალიან კარგად გააწყო.

ი^ატ^ატ^ატ^ატ^ა (აქგ^ატ^ა-რა) – იქვე – მიბრუნდა კაცი, პირი იბრუნა კაცმა.

ბზიფური ტექსტებიდან:

ადქ^ატ^ატ^ატ^ა (ალაგ^ა-რა) „აფხ. ზღ.“ 246: 57¹⁷ – ჭიდაობა დაიწყეს.

დაარ^ა ედ^ატ^ატ^ატ^ა (აგ^ატ^ატ^ა-რა) – იქვე, 72¹ – ძალიან გაუხარდათ (გაიხარეს), ესიამოვნათ.

აკ^ატ^ატ^ატ^ატ^ა (აყა^ატ^ა-რა) იქვე, 57³⁴ – ვერაფერი გავაკეთეთ.

დ^ატ^ატ^ატ^ატ^ა (აშა^ატ^ა-რა) იქვე, 70¹⁰ – აღმართზე ავიდა იგი (გონ).

მ^ატ^ატ^ატ^ატ^ა (ახაგ^ატ^ა-რა) იქვე, 3⁵ – ორი თავი გამოესხა (თავზე დაედგა).

იბ^ატ^ატ^ა (აბ^ა-რა) იქვე, 33²⁴; 57²⁹; 129⁹ – მან (კაცმა) იგი (უგ.) ნახა.

ი^ატ^ატ^ატ^ა (აპ^ა-რა) იქვე, 68¹⁷; 45³⁶; 47²⁰ – მან (კაცმა) თქვა რამე.

იფ^ატ^ატ^ატ^ა (აპ^ა-რა) – იქვე, 68²; 129³; 129⁵; 22³⁸; 59¹⁸ – ცოლმა ასე უთხრა.

ლარ^აგ^ატ^ატ^ა (აგ^ა-რა) – იქვე, 67²³ – ქალმაც... დაიძინა.

დ^ატ^ატ^ატ^ა (ათ^ა-რა) იქვე, 57¹⁵; 129⁷; 122³⁰; 54⁹ – მან (კაცმა) მათ მისცა იგი (რამე).

ან^ატ^ატ^ატ^ა (ათ^ა-რა) იქვე, 47¹ – დავმარხე (გონ.). სიტყვასიტყვით: მიწას მივეცი (გონ.).

უბ^ატ^ატ^ატ^ა (აგ^ატ^ა-რა) იქვე, 47⁵ – ასე გაიფიქრა (კაცმა).

¹ აკად. ნ. მარი ამადარა ზმნის აორისტად ემ^ატ^ატ^ა-ს აღნიშნავს და ამ ბზიფურ ფორმასთან ჯგერდასაც უჩვენებს (ლექსიკ., გვ. 3). ის^ატ^ატ^ატ^ა კვიტო-ულის (აბჟუა) წარმოებდა მოჰყავს (იქვე, გვ. 128). ასევე პროფ. ს. ჯანაშიას მიერ ჩაწერილ ტექსტებში (აძვიბუა) ოთხჯერ გვხვდება ბზიფურისათვის დამახასიათებელი წარმოების შემთხვევა: „მარბუა ზეგ^ა აბა აძთას აქ^ატ^ატ^ატ^ა“ (აქ^ატ^ა-რა) I; „შთანლაზ რაფ^ა ამ^ა დქ^ატ^ატ^ატ^ა“ (აქ^ატ^ა-რა) III 12; „აგ^ატ^ატ^ატ^ა დან^ა ნე^ა ამგ^ატ^ატ^ატ^ა“ (არ^ატ^ა-რა) IV 35; „ან^ატ^ატ^ატ^ატ^ა დ^ატ^ატ^ატ^ა“ (აქ^ატ^ა-რა) VIII 73, მაგრამ ეს გვხვდება მთელი ტექსტების მანძილზე, ასეული შემთხვევების საწინააღმდეგოდ და დამახასიათებლად ვერ მიიჩნევა.

სარგ^ე ს ა ქ უ შ ო ტ (აქუშ^ა-რა) – იქვე, 362 – მეც შემხვდა რამე.

ინაგანგ გუნდაფშა ლჳე ინთალწეიტ (ათაწა-რა) იქვე, 3225 – მოიტა-
ნა იგი (რადაც) და გუნდა-ლამაზს პირში ჩაუდო ქალმა.

აჰსა ა ა რ გ ე ტ (ააგა-რა) იქვე, 361; 1124; 12930 – ქალები (ცოლები) მო-
იყვანეს.

დახუაფშუა დაანხეიტ (ანხა-რა) იქვე, 3230 – იმის (უგ.) მაყურებელი
დარჩა.

სარა იძმბეიტ (აძმა-რა) იქვე, 3233 – მე გადავწყვიტე.

აკუაც ძრა და ლ ა გ ტ (ალაგა-რა) – იქვე, 523 – ხორცის წვა დაიწყო.

აწლა დ გ ქ უ ლ გ ი ტ (აქულა-რა) იქვე, 12312 – ხეზე ავიდა (გონ.).

იფჰა დ გ წ უ ტ (აწუა-რა) – ლიხნ. ტექსტ. – მისმა (კაც.) ქალმა იტირა.

უმშა ა ა ბ ზ რ ა ხ ტ (ააზრაზა-რა) – იქვე – შენი დღე გაკარგდა
(= მშვიდობით!).

ხენტ^ე ნაყ-აყ ან ინ ა ხ გ ფ ტ (ახგა-რა) – იქვე – სამჯერ აქეთ-იქით
თავის დედას თავზე გადაახტა (უგ.).

ი ლ გ დ რ ყ ა წ ტ (არყაწა-რა) – იქვე – მან (კაცმა) ქალს რამე გააკეთე-
ბინა.

აშმბჟუონ დ გ ც ო ტ (აცა-რა) – იქვე – შუადღისას დაიძინა (გონ.).

ანა ი კ გ ლ ა ტ ო ტ, არა ი კ გ ლ ა ტ ო ტ (აკგლატა-რა) – იქვე – აქ
ჩასხდნენ (შორის რისამე) იქ ჩასხდნენ (ჩასაფრდნენ).

დაწამხი ტ (აწახა-რა) – იქვე – იგი (გონ.) არ დამარცხდა.

აბააგუარ დ თ ს ლ გ ე ტ (ათალარა) – იქვე – გალავანში ჩავიდა (გონ.).

ი ლ გ შ ა ლ წ გ ე ტ (აშაწა-რა) – იქვე – ქალმა ჩაიცვი ფეხზე (რადაც).

აუასთაცან ა ა დ გ გ ე ტ (ააგა-რა) – იქვე – ხუროები („უსტები“) მოიყ-
ვანა კაცმა.

ლტუჟლაქტა ლ ბ გ ე ტ (აბა-რა) – ლიხნ. ტექსტ. – მისი (ქალის)
ფეხსაცმლები (ტუფლები) ნახა (ქალმა).

დ გ მ გ ც ო ა მ გ ე ტ – იქვე – სრულებით არ დაეძინა მას (გონ.).

რგმალ მ ს ჳ ხ გ ე ტ (ამაჰხა-რა) – იქვე – მათი ქონება შემცირდა, დაი-
ლია (დაცოტავდა).

რგმჰა ი ქ უ ლ გ ე ტ (აქულა-რა) – იქვე – თავიანთ გზას გაუდგნენ.

ი ყ ა ლ გ ე ტ (აყალა-რა) – იქვე – მოხდა (გახდა) რადაც.

დ გ ნ გ დ გ რ ტ ო გ ე ტ (არტა-რა) – იქვე – მათ დასვეს იგი (გონ.) და
სხვ. მრავალი.

მიუხედავად ზმნათა დაბოლოებაში ასეთი უნიფიკაციისა, ბზიფურ-
ში პარალელურად მაინც გვხვდება აბჟურისათვის დამახასიათებელი
წარმოება.

მაგ.:

| | | | | |
|------------|-----------------------------|--------------|----|------------------------------------|
| არდაშა-რა | ისგრდაშაედტ | ლექსიკ.; გვ. | 18 | გავასწორე რამე. |
| აგუაფხა-რა | ისგუაფხედტ | „ | 13 | მომეწონა რამე. |
| სლაგა-რა | სლაგედტ, სგლაგედტ, სალაგედტ | | | ლექსიკ., გვ. 51; დავიწყე (რამე) |
| ანწა-რა | სგწედტ | ლექსიკ., გვ. | 65 | გავთავდი |
| აცაწა-რა | სცაწედტ | „ | 69 | ვილაპარაკე |
| სფხა-რა | საფხედტ | „ | 86 | წავიკითხე რამე |
| ახუნა-რა | დგხუნედტ | ლიხნ. ტექსტ. | | ავიდა ზევით (გონ.) |
| აფხაშა-რა | იფხაშედტ | „ | „ | შერცხვინენ |
| ახტლა-რა | [ი]ხტლაედტ | „ | „ | დაღამდა |
| აკა-რა | ილკაედტ | „ | „ | ქალმა თქვა რაღაც. |

აორისტს თითქოს უფრო ახასიათებს ა-ხმოვან მოუკვეციელი ფორმები¹. ბზიფურშიაც რომ ფუძის ა ხმოვანი შერჩენილი უნდა ყოფილიყო, ამას აორისტის -ეტ-იანი წარმოებაც ადასტურებს. აქაც ისე, როგორც ეს -ოტ- დაბოლოებაში გვქონდა აწმყოში, შეიძლება **o** → **ა** (-**ოტ**, -**ატ** სუფიქსისა) დაიკარგოს (შეიძლება მახვილსაც ჰქონდეს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა) და მივიღოთ — ს ც ე ტ (← ს ც ე ა ტ). ასეთი ფორმები აკად. ნ. მ ა რ ს აღნიშნული აქვს როგორც ბზიფისათვის, ისე ჯგერდისათვისაც (აბჟუა).

მაგ.:

| | | | | |
|-----------|----------|-------------|-----|-------------------------------------|
| ალბადა-რა | ილბაზდეტ | ლექსიკ. გვ. | 53 | ჩავყლაპე რაღაც |
| ამადა-რა | რმაზდეტ | „ გვ. | 56 | გადავეცი, მივაბარე მას (კაცს) რაღაც |
| აცაწა-რა | სცაწედტ | „ გვ. | 69 | ვილაპარაკე |
| ალშა-რა | ისგლშედტ | „ გვ. | 69 | „შევიძელ რაღაც“ |
| ამა-რს | იზძედტ | „ გვ. | 116 | მოვიპარე რაღაც |

ანალოგიური წარმოება ჩვენ ჯგერდაში ვერ დავადასტურეთ. მას ვერც პროფ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს მიერ შეკრებილ ფოლკლორულ ძეგლებში (ამ-ვიბჟურია) ვხვდებით. საფიქრებელია, რომ იგი აბჟურისათვის დამახასიათებელი არც იყოს.

მსგავსი ფორმები მოიპოვება დ. გ უ ლ ი ა ს მიერ შეკრებილ აფხა-ზურ ზღაპრებში, თუმცა მას აღნიშნული არა აქვს, სადაა ეს ტექსტები ჩაწერილი.

¹ კ. უ ს ლ ა რ თ ა ნ ა ც თუ-კი აწმყოში არასოდეს არ გვხვდებოდა დაბოლოებაში **ო** (ფუძისეული **ა**-ს ცვალების შედეგად) აქ, აორისტში, ხანდახან გამოჩნდება **ე** (-ა), მაგ., იხგაწედტ იხ. ხსენ. ნაშრ., გვ. 109¹⁰.

ზოგ ზმნას აორისტში ახლაც მხოლოდ **ე** (← ა) მოუკვეცილად აწარმოებს ბზი-ფური, მაგ.: დ ც ე ა ტ. დ ც ე ა ტ თითქოს არ გვხვდება, თუმცა წინდებულთ იგივე ზმნა კი მოგვცემდა ი-კა-რ-ცე-ა-ტ-ს.

ინგ ხესსოტ-ჰა რე დჰ ეტ (აჰა-რა) – მას (კაცს) თავს მოკვეთავო, უთხრა მათ კაცმა¹.

აგრ აბჟაკ მარს იძეტ (აჰა-რა) იქვე, გვ. 29¹⁸; 112: 34¹⁴; 34²⁸ – მეორე ნახევარი მან (კაცმა) შეჰამა.

შთან თააცალა დნენ დ გ ი ჰ ე ტ (აჰა-რა) იქვე, გვ. 30¹⁸ – ბოლოს ოჯახით მივიდა (გონ.) და სთხოვა მას (კაცს).

ზნგ ახულგფგესი ამღი ამთსგი ე დ ც ა ჟ ე ტ (ადცაჰა-რა) – იქვე, გვ. 33² – ერთჯერ ღამურამ, ეკალმა და ჭარლმა მოილაპარაკეს.

ამთს უნლეს დ ა ქ უ რ წ ე ტ (აქუნა-რა) – იქვე, გვ. 33⁸ – ჭარლს დაავალეს (ვალად დაადვეს).

ი ც გ ლ ა ხ ე ტ (აცგლახა-რა) – იქვე, გვ. 34 – მას (კაცს) ისინი ჩაჰრჩა (ტყეში), დაეკარგა.

აჟ ა გ ე მ ა ა ლ გ ე ტ (ალგა-რა) იქვე, გვ. 34¹⁶; 44³⁰; 35¹⁷ – სიტყვაც გაათავა (უგ-მა).

ემგჟჟ ა რ ქ უ გ რ წ ე ტ (აქუნა-რა) იქვე, 35⁷ – მათ იგი (უგ.) დახლიჩეს და დადვეს.

აკგ გ რ ე მ ბ ე ტ (აბა-რა) იქვე, გვ. 34²⁰ – ვერაფერი ნახეს.

იჰჰ ე ტ (აჰჰა-რა) იქვე, გვ. 35²¹ – მან (უგ.) იყვირა.

„აჟი ც გ ა ი ტ ი ა ქ უ ი წ ე ტ“ (აქუნა-რა) – დ. გ უ ლ ი ა, აფსუა ჟ ა ფ ყ ა ქ უ ე დ და სხვ. გვ. 14¹² – ცუდმა მჭედელმა თავისი დაუმატა (დაადო ზევიდან).

მეზღლვაჰმათ დნესენ [ამაცაზ] ნ ე კ გ დ გ ი რ შ ე ტ (აკგდგრშა-რა) – ლიხნ. ტექსტ. – მეზღლაჰმათმა ესროლა და [ბეჭედი] ძირს ჩამოაგდო.

მ ა ა ჭ გ წ შ ე ტ (ააჭგწშა-რა) – იქვე – მას. (უგ.) იგი (უგ.) პირიდან გამოუვარდა.

ლა-ზე დამთავრებული ზმნები:

ზემოხსენებულ ზმნებში ბზიფურში მოსალოდნელია ე-მოკვეცილი ფორმები, მაგ., ს ც ა ჟ ე ტ და მაგვარები. აბჟუაში-კი, როგორც ეს ზევით აღინიშნა, ა-ს მოკვეცა აორისტიაც შეუძლებელია საერთოდ. გამონაკლისს აქ ქმნიან ლა-ზე დაბოლოებული ზმნები. მათ -**ე-იტ** „დაბოლოების“ გვერდით³ შეიძლება მხოლოდ -**ტ** დაბოლოებაც გვიჩვენონ, მაგ., **აანალარა** (შეფერება, მოხდენა) ზმნიდან აორისტი იქნება როგორც **დ უ ნ ა ლ ე ი ტ**,

¹ Сборник. Матер. для опис. местн. и плем. Кавк. вып. XXXX, 1909 წ. განყ. III, გვ. 29⁵; 29¹⁶; 29²²; 29²³; 30¹⁸; 35⁹.

² დ. გ უ ლ ი ა ს რჩეულ ნაწერთა კრებულში (მალკააუ იმგმთაქუასოხუმი. 1934 წ.). ეს ანდაზები და გამოცანები შეტანილია, მაგრამ ასეთი ფორმები გასწორებულია და ამიტომ ჩვენ ძველ გამოცემას მივმართავთ.

³ გარეგნულად იქმნება ასეთი განსხვავება, თორემ ე ხომ დროის დაბოლოების არ არის.

ისე ე უ ნ ა ლ ტ; **აჩუგლარა** (ამხედრება, ცხენზე შეჯდომა) ზმნიდან – როგორც ს ჩ ა გ ჟ ლ ე ა ტ, ისე – ს ჩ ა გ ჟ გ ლ ტ; **აშეგლარა** (შეჩვევა)-დან როგორც ს გ ი შ ც გ ლ ე ა ტ, ისე – ს გ ი შ ც გ ლ ტ; **აქუგლარა** (ზედ დგომა) აორ.: – ს გ ქ უ გ გ ლ ე ა ტ || ს გ ქ უ გ გ ლ ტ¹.

დ რ გ შ თ ა ლ ტ (აშთალა-რა) „აფხ. ზღ.“ 25²⁷ – იგი მათ დაედევნა.

და ა ნ ი კ გ ლ ტ (ანაკვლა-რა) იქვე, 100²⁹ – იგი (გონ.) დაარჩინა, დააკავა კაცმა.

ა უ ხ ა ი შ თ ა ლ ტ (აშთალა-რა) აძვიბჟ. ტექსტები, VI, 57 – საღამოს დაწვინენ.

მ კ ვ დ ე ნ გ ჩ ა ფ ე ნ გ გ ლ ტ (აჩუგნგლა-რა) იქვე, X, 80 – მდინარის ნაპირს მიადგა იგი (გონ.).

არ ა გ გ შ ე მ მ ყ ა დ ა დ ხ ა ლ ტ (ადხალა-რა) იქვე, VII 62 – აქაც ორ დღემდის შერჩა.

ა შ ნ გ ი რ გ გ ლ ტ (არგლა-რა) – ჯგერდ. ტექსტ. – მან (კაცმა) სახლი დადგა (ააშენა).

ა ჰ გ ე დ გ უ რ ლ ა წ ა დ ა ყ ა ლ ტ (აყალა-რა) – იქვე – ბატონიც ძლიერ გამხიარულებული დარჩა და სხვ.

აბჟუურში **ლ**-სთან ამ **ე** (←ა)-ს დაკარგვა არ უნდა მიეწეროს იმ ტენდენციას, რომლის ძალითაც **ა**- ფუძისეული ხმოვანი იკარგებოდა ბზიფურში. ეს რომ ასე ყოფილიყო, აბჟუურშიაც აწმყოში ს ჩ ა გ ჟ ლ ე ა ტ უნდა გვექონოდა. აქ შეიძლება მნიშვნელოვანი სწორედ ის იყოს, რომ აფხაზური **ლ** მეტად „მაგარია“, **ე**-კი საერთოდ პალატალიზაციას იწვევს (სწორედ **ე**-სთან გამოისმის **ლ**-ს განსაკუთრებული სიმაგრე აფხაზურში), რის გამოც **ლ**-სათვის აუტანელი გახდა მისი მეზობლობა და სუფიქსიც მხოლოდ **ტ**-ს სახით წარმოგვიდგა². **ტ**-ს ამ გზით მიღებას ის გარემოებაც

¹ ს გ ლ ა რ ა (აგლარა) ზმნისათვის აკად. ნ. მარს მოჰყავს: ს გ გ ლ ტ და ს გ გ ლ ე ე ტ. პირველს თარგმნის я стал, მეორეს – я встал. აქ მოყვანილ აფხაზურ ფორმებს შორის შინაარსობრივი განსხვავება არაა, ფორმალური სხვაობა-კი ფონეტიკურ ნიადაგზეა შექმნილი.

² დ ი უ მ ე ზ ი ლ ი, რომელსაც საკმაოდ ვრცელი მიმოხილვა მოეპოვება აფხაზურში დროის სუფიქსებისა, აორისტ-პერფექტისათვის აღნიშნავს **-იტ** დაბოლოებას (**-ეიტ**, **-გაიტ**-საც დიალექტთა მიხედვით, ოღონდ არაა გარკვეული, სად და რა შემთხვევაში). „თემებს, რომლებიც მთავრდებიან ასპექტის სუფიქსით, აქვთ, შეიძლება ითქვას, უფრო **ტ**-ზე დაბოლოებული აორისტი. ასევე **ლ**, **რ** თემიანები და ზოგი ზმნა არიან აორისტში **-ტ**-ზე დაბოლოებულნი“-ო (ხსენ. ნაშრ., გვ. 173-174). **ე**-ს დროის სუფიქსში შეყვანა შეუძლებელია. არც მარტო დიალექტთა მიხედვით წყდება მისი არსებობა თუ არარსებობა. **-ტ** დაბოლოება-კი ბზიფურში, მაგალითად, შეიძლება ექნეს არა მარტო **-ლ**-, **-რ**-ზე და „ზოგი ასპექტის სუფიქსზე“ დაბოლოებულთ, არამედ ყველა თანხმოვან-ფუძიანსა და მათთან გათანაბრებულ ზმნას, აბჟუაში-კი სათანადო წესია ამისათვის. მის მიერ მოყვანილ მაგალითში აგრეთვე (დ გ ი დ გ ა ლ ტ) საქმე გვაქვს არა **-ლ**-ზე დაბოლოებულ თემასთან, არამედ **-ლა**-ზე დაბოლოებულთან (შდრ. მასდარი ა დ გ ა ლ ა რ ა).

უჭერს მხარს, რომ აბჟუურში ბზიფურისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებელი გარდამავალი **დგგვღმტ**, **დგყალღმტ** ფორმები არც გვხვდება.

დაბოლოების მიხედვით არავითარ ცვლილებას არ იწვევს აორისტში უარყოფითი წარმოება. უარყოფითობის ნიშანი ემატება ხან ფუძის წინ, მაგ., ის გმტეღტ – „არ ვჭამე რამე“, ხანაც – განკვეთილ ზმნებში – შუაში, მაგ., იხას გმწეღტ – „არ დავიჯერე“ და სხვ.

ისევე, როგორც აწმყოში **-იტ** (**-ჴე-მტ** სუფიქსის ნაწილი) არ წარმოადგენდა დროის გამომხატველს, არც აორისტში უნდა იყოს იგი დროულობის აღმნიშვნელი. ამას სწორედ ის კითხვითი, საურთიერთო და სხვ. წარმოებები არკვევენ, რომლებიც **იტ**-ს არ დაირთავენ, მაგრამ მაინც გადმოსცემენ აორისტის გაგებას.

მაგ.:

ატგშა დანთარტჟ (ათაჟ-რა) „აფხ. ზღ.“ 27¹³ – ორმოში რომ (როცა) ჩაადღეს (გონ.).

სტკკუნ დკაჰადტ აზგ აუბ იზგსჰა (აჰა-რა) იქვე, 76¹⁷ – ჩემი ბიჭი დავარდა და ამიტომია, რომ ვთქვი.

ანთ ანტრბა (აბარა) იქვე, 84³⁸ – ესენი რომ ნახეს.

დანნეღ (ანდრა) იქვე, 92⁴⁶ – როცა იგი (გონ.) მივიდა.

და სხვ.

ამასვე მოწმობს **-იტ**-ის გამოყენება ისეთ დრო-კილოთა წარმოებაში, რომლებიც თავიანთი შინაარსით წინააღმდეგურნი არიან აორისტისა. **აორისტის გაგებას მხოლოდ ზმნის ფუძე იძლევა.**

დიალექტური სხვაობა დროთა წარმოებაში

როგორც აქ განხილულმა მასალამ გვიჩვენა, აბჟუურსა და ბზიფურს შორის განსხვავება აწმყოსა, ნამყო უსრულსა და აორისტის წარმოებაში ფუძისეულ **ა-ხმოვანთან** დამოკიდებულებით იქმნება. აბჟუურში ეს **ა** ყველგანაა (შეცვლილი სახით მაინც) შემონახული, ბზიფურში-კი ასეთი ზმნებიც საერთოდ თანხმოვან ფუძიანებთანაა გათანაბრებულნი. რომელიმე დიალექტური ფორმა შეიძლება დადასტურდეს, როგორც აბჟუურში, ისე ბზიფურშიც და პირიქით (აბსოლუტური ზღვარი რომ არ არსებობდეს, ეს გასაკვირიც არ არის, რამდენადაც ერთ ენობრივ წრესთან გვაქვს საქმე), მაგრამ აქ არსებითი სწორედ ის არის, რომ ერთ შემთხვევაში ადგილი აქვს სპორადული ხასიათის მოვლენას, ან ნაშთს, მეორე შემთხვევაში კი – გარკვეულ სისტემას. ეს რაოდენობითი მომენტია სწორედ, რომ ქმნის ამ დიალექტთა შორის ასეთ თვისობრივ განსხვავებას ხსენებულ დროთა წარმოებაში.

აბჟუური დიალექტისთვის დამახასიათებელ წესს – ფუძის ხმოვნის შემონახვისას, თუნდაც შეცვლილად – აქვს მნიშვნელობა ზმნაში სხვადასხვა შინაარსის შემტანი სუფიქსების სრული სახის აღდგენისათვის, მაგ., სახელისაგან ზმნის საწარმოებლად გამოყენებულია **-ხა** სუფიქსი (ახ. ქართ. **დ**-ს მორფოლოგიური შესატყვისი) და არა **-ხ**, როგორც ეს ლიტერატურაშია აღნიშნული¹. მაგ., ბზიფური ს გ ბ ზ რ ა ხ უ ე ე ტ „კვეთდები“, ვკარგდები, აბჟუური – ს გ ბ ზ რ ა ხ ა უ ე ე ტ || ს გ ბ ზ რ ა ხ რ ე ე ტ და სხვ. ხოლო **-ხ**-ს² აქვს შინაარსი „კვლავობისა“ და წარმოადგენს სხვა ელემენტს, მაგ., აწმყო – ს გ ბ ლ გ ხ უ ე ე ტ – „კვლავ ვიწვი“, „კვლავ დავიწვები“, აორისტი – ს გ ბ ლ გ ხ ე ე ტ – „კვლავ დავიწვი“.

ასევე, მოქმედების სიხშირის, „ხოლმეობის“ გამომხატველია **-ლა** და არა **ლ**³. შდრ. ნამყო უსრული ბზიფური – „ესქენგე დეშ არაცალუან“ („აფხ. ზღ.“ 70²⁸ „მუდამ ნადირობდა ხოლმე“) და აბჟუური – „აღგჩ ხუაჯა ედჰალ რან“ (აძვიბჟ. ტექსტ. VII⁵⁹ – „ქურდი მოლას ეუბნებოდა ხოლმე“).

ფუძის **ა-ხ** მოვანთან დამოკიდებულების მხრივ ბზიფურში განხეთქილებაა აწმყოსა, ნამყო უსრულსა, აორისტსა და ყველა დანარჩენ დრო-კილოთა და მასდარს შორის, მაგ., აყაწა-რა, იყასწა-პ, იყასწა-რ და სხვ. მაგრამ – იყასწ-უემტ, იყასწ-უან, იყასწ-ემტ, შდრ. აბლგ-რა (წვა), იზბლგ-პ, იზბლგ-ხან, იზბლგ-რ... და იზბლგ-უემტ, იზბლგ-უან, იზბლგ-იტ.

ბზიფურს საერთოდ ახასიათებს დახურული მარცვალი და ხმოვნის (**ა**-ს) სიტყვის ბოლოში (ხშირად შუაშიაც) თითქმის მუდამ შეკვეცა. ცოტად თუ ბევრად ეს ზოგად აფხაზური მოვლენაა, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით უპირისპირდება ერთმანეთს აბჟუური და ბზიფური მეტყველება.

მაგ.:

| აბჟუური | ბზიფური | |
|-----------|----------|-----------------|
| ამყუბა | ამყუბ | ხაპერა |
| აკრბა | აკრბ | კიბე |
| ატგმა | ატგმ | რქა |
| ჰჭაჭა | ჰჭაჭ | ჭაჭა (ყურძნისა) |
| სჰათა | სჰათ | გულა |
| ამსთხუაგა | ამსთხუაგ | სუთი |
| ალაჰჰ | ალაჰ | ყვაპი |

¹ პ. უსლარი, ხსენ. ნაშრ., გვ. 29¹⁶⁵; ა. დირი, Einführ... გვ. 49.

² და არა **-ახ**-ს, როგორც ამას დიუმეზილი გამოჰყოფს (იქვე, გვ. 174) ს-ი-ბ-ა ბ-ტ-ში – „კვლავ მნახა“. როგორც ჩანს, აქ იგი ბზიფური აწმყო – აორისტის ფორმის მიხედვით მსჯელობს.

³ პ. უსლარი, იქვე, გვ. 42¹⁴⁵; ა. დირი, იქვე, გვ. 49⁵⁰.

| | | |
|------------|-----------|-----------|
| აგუარა | აგუარ | ღობე |
| აგარა | აგარ | აკვანი |
| აყუაყუა | აყუაყუ | ზურგი |
| აშენდგყურა | აშენდგყურ | ზანდუკი |
| აწა | აწ | ფსკერი |
| აშაყა | აშაყ | სვეტი |
| აშარა | აშარ | ნივთი (?) |

და სხვ.

შეიძლება და **ა** ხმოვნისადმი ასეთ დამოკიდებულებას თავი ეჩინა ზმნაშიაც, მით უმეტეს, რომ იგი ხვდებოდა ფორმანტისეული ხმოვნების მეზობლად. მისი ასეთი მიდრეკილების ხელის შემწყობად ისიც გამოდგებოდა, რომ მთელი რიგი ზმნების წარმოებაში **ა** არ შედიოდა.

ფორმანტისეულ ხმოვნებს ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ აფხაზურისთვის ხშირად გადამწყვეტი სწორედ ის არის, თუ რა ფონზე მოხდება ესა თუ ის ფონეტიკური მოვლენა. შეიძლება მას ადგილი არ ექნეს მაშინ, თუ იგი მორფოლოგიური ფუნქციის მატარებელ ელემენტებთან აღმოჩნდება, ანდა პირუკუ, სწორედ მაშინ შეიძლება იჩინოს თავი, როცა ასეთთან მოგვევლინება, ასე მაგ., **ჰა** კომპლექსის **აა**-დ ქცევა აფხაზურში ყოველთვისაა შესაძლებელი და მოსალოდნელი, მაგრამ, როგორც ვნახეთ, იგივე **ჰა** – პირის ნიშანი – შეიძლება მხოლოდ გარკვეულ კომბინაციაში (სახელდობრ: მჟღერებთან) იქცეს **აა**-დ. ასევე – უ გამჟღერებას თითქოს არსად იწვევს აფხაზურში, მაგრამ პირის ნიშნების გამჟღერება უ-სთან გარდაუვალი წესია.

აქაც: **ა** ხმოვანი შეიძლება დავიწროვდეს, როგორც სიტყვის შიგნით, ისე ბოლოში, მაგრამ დროთა წარმოებისას იკარგვის მხოლოდ მაშინ, როცა იგი მოხდება დროის მაწარმოებელ ხმოვნებთან. იგივე **ა** თანხმოვან მაწარმოებლებთან აღარ განიცდის ამ ცვლილებას, შდრ, იყასწარ და სხვ.

II სტატიკური ზმნები.

1. აწმყო

მაწარმოებელი ნიშნის მიხედვით განსხვავებულია ე. წ. სტატიკური ზმნები. აქ აწმყოს დაბოლოებად გამოდის **-უბ**¹ სუფიქსი (იგივე გვევლინება მეშველ ზმნად **ა-უბ**-ის სახით) და გვაქვს: ს გ ხ უ ჭ უბ – პატარა ვარ (ახუჭგ), ს გ ძ ლ ბ უბ – გოგო ვარ (აძღაბ), ს ა ს ნ გ ყ უ ა ზ გ უ ბ – მოგზაუ-

¹ ა. დირის აზრით: «Die Verben des «seins, sich befindens» und einige andere haben -up statt -eit» (Einführ. ... გვ. 50). «einige andere»-თი მაინც გაურკვეველი რჩება ამ ზმნათა რაობა, მაგრამ **-უბ** არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება **ეიტ**-ის სანაცვლოდ მივიჩნიოთ, რადგანაც **-ეიტ** არცერთ დროში არ გააჩნია აფხაზურ ზმნას მაწარმოებლად.

რი ვარ მე (ანტყუაჲ), დ გ შ ა რ გ ც ა შ გ - უ პ - მონადირეა (აშარგცაჲ) და სხვ.

ეს უ (-უბ-ში) ნაწილობრივ იმსგავსებს ფუძისეულ ანს და ვიღებთ: ს გ ხ ა წ ო - უ პ (← ს გ ხ ა წ ა - უ პ) – კაცი ვარ (ახაწა), ს გ უ რ თ ო - უ პ (← ს გ უ რ თ ა - უ პ) – ვფიქრობ („ჩემს გულში დევს ის“), ჰ ა შ თ ო - უ პ (← ჰ ა შ თ ა - უ პ) – „მივსდევთ რასმე“, „მიდევნებული ვართ რაზედმე“ („მის [უგუნ.] კვალზე ვართ“). ყველა ამ და მსგავს შემთხვევებში -**ოუ**-საგან მოსალოდნელია **ო**-ს მიღება და სუფიქსიც **ოპ**-ის სახით გვევლინება¹, მაგ.: ჰ ა რ ს დ ჰ ა მ ო პ (← დ ჰ ა მ ო უ პ ← დ ჰ ა მ ა - უ პ) – ჩვენ გვყავს (გონ.), დ გ ც ო პ (← დ გ ც ო უ პ ← დ გ ც ა - უ პ) – სძინავს (გონ.); ს გ უ შ გ ზ ო პ (← ს გ უ შ გ ზ ო - უ პ ← ს გ უ შ გ ზ ა - უ პ) – მე შენი (ვაჟო) ამხანაგი ვარ (აშგზა), და სხვ.

ორანიანსა და ჰ ა ზ ე დაბოლოებულ ზმნებში არც აქ მოუვა **ა**-ს ასიმილაცია უსთან. იქნება: დ გ შ გ ს თ ა ა - უ პ – ეშმაკია (აშგსთაა), დ გ რ გ ც ჰ ა - უ პ – ცოდვაა, საბრალოა (არგცჰა) და სხვ.

-**უპ** სუფიქსი ამ ზმნებში ისევე იშლება, როგორც -**ჟა-იტ** სუფიქსი იშლებოდა აწმყოში (დინამიკ. ზმნ.), როცა კი მასში რაიმე საგარემოებო ნაწილავს შევიტანთ.

ამ დროს -**პ** ისევე შორდება, როგორც დინამიკურ ზმნებში -**იტ** ს გ ყ ო - უ პ – ვარ, მაგრამ: ს გ შ ა გ ყ ო - უ – როგორც ვარ, ს ა ნ გ ყ ო - უ – როცა ვარ, უ შ ა ფ ა ყ ო || უ შ ა ფ ა ყ ო - უ – როგორ ხარ (ვაჟო)? რ ყ ო ზ ი (← რ ყ ო უ - ზ ი) – რა არის? დ გ ჟ - უ პ – ასაფლავია (გონ.) მაგრამ: დ ა ხ ო ჟ გ უ – სადაც ასაფლავია (გონ.), დ გ შ ნ ო - უ პ – იგი (გონ.) არის სახლში, ცხოვრობს, მაგრამ: დ ა ხ ო შ ნ ო უ – სადაც იგი (გონ.) არის სახლში, ცხოვრობს; ს გ შ ა გ უ ა - დ ო უ დ გ რ! „აფხ. ზღ.“ 14, 30 – შენი (ვაჟო) მტერი რომ ვარ, იცოდე!.. „ჯამხუხუტ-ჰა ი ზ გ შ თ ო უ ჟ არა ჟ ა კ უ ზ არ“ იქვე, 21¹³ – ჯამხუხუხვს რომ ეძახიან (ვისაც ეძახიან), თუ შენ ყოფილხარ... „მარბან მგშქოუ ი შ ა გ ქ უ – ჯგერდ. ტექსტ. – რომელი დღეებია, რომ გაქვთ ზევიდან (რომელი დღეები გაქვთ უქმე)? ...უბრი აზოუპ უზღარუ „აფხ. ზღ.“ 99,15 – ამიტომაა რომ ღარიბი ხარ... უ ზ გ შ თ ო ზ ი (← უ ზ გ შ თ ო უ - ზ ი) – რას ეძებ (ვაჟო)? ...უბრი აზოუპ რბლა ხუახუაძა ი ზ გ ყ ო – ამიტომაა მისი წელი მოხრილი (რომან).

განსხვავებას ამ მხრივ დინამიკურ ზმნათაგან ის ქმნის, რომ თუ იქ უარყოფითში (აწმყოში) შორდებოდა მხოლოდ -**იტ** და გვექონდა: ი ყ ა ს წ ა - ჟ ა - მ, აქ არც ეს უ ჩანს და არის: ს გ - ყ ა - მ – არ ვარ; „შ თ ა ხ ო ლ ა ა გ ა ჟ რ ა ს ა ქ უ გ ი თ გ - მ“ – უკან დაბრუნების უფლება არა მაქვს; ის თ ა ხ გ - მ – არ მინდა რამე. ასევე უ არ ჩანს ზოგ (ვინ კლასის) კითხვით ფორმებში. მაგ.: რ - ყ ა - დ ა? – ვინ არის? ი ზ ტ ო ო - და – ვისია რამე? და სხვ. პ. უ ს ლ ა რ ს ასეთ შემთხვევებშიაც აქვს უ წარმოდგენილი (მაგ: რ ყ ო უ დ ა – ვინ არის? ი ბ -

¹ ეს ფონეტიკური ცვლილებები ასევე დამახასიათებელია ბზიფურისთვისაც.

ზ ო რ უ - და - ვინაა კარგი?)¹ და მასზე დაყრდნობით სხვა მკვლევრებსაც. როგორც დ. გულიაც აღნიშნავს² დღეს, ყოველ შემთხვევაში, ასეთი წარმოება კითხვითი ფორმებისა არც გვხვდება.

2. ნამყო განუსაზღვრელი.

ამ ზმნათა ნამყოს მხოლოდ ერთი ფორმა გააჩნია, რომელიც **ნ** მაწარმოებლითაა წარმოდგენილი: ს გ ყ ა - ნ - ვიყავ; დ გ ჭ კ უ ნ გ ნ - ბიჭი იყო; ო ნ ძ გ - ნ - კაცს ერქვა რაღაც; დ გ გ ლ ა - ნ - იდგა (გონ); დ გ ლ კ გ - ნ - ქალს ეჭირა (გონ.); დ გ ს გ მ ა - ნ - მყავდა (გონ.).

უარყოფითში (ნამყ.) ისევე ერთვის ბოლოში **-მგზტ || -მზტ**, როგორც ეს ნამყო უსრულში გვქონდა დინამიკურ ზმნებში, ოღონდ იქ **-შა** სუფიქსიც გადაჰყვებოდა, აქ-კი უშუალოდ ფუძეს ერთვის (ს გ ყ ა - მ გ ზ ტ - არ ვიყავ, ს გ გ - ლ ა - მ გ ზ ტ - არ ვიდექ), რადგანაც ეს კი არ არის დინამიკურის ნამყო უსრულის შესატყვისი ფორმა, არამედ ნამყო განუსაზღვრელისა. ნამყო განუსაზღვრელი დინამიკური ზმნებისათვისაც უნდა ვივარაუდოთ. უსლარი მას დამოუკიდებელი დროის სახითაც აღნიშნავს³. ეს წარმოება დინამიკურ ზმნებში დამოუკიდებლად არ გვხვდება. იგი შემორჩენილია მხოლოდ აბსოლუტივების სახით: ი ყ ა წ ა ნ და ა ა დ ტ - გააკეთა რა, მოვიდა (გონ.), და ა ა მ მ რ კ გ ნ, დ გ დ გ ლ ც ა ნ გ დ გ დ გ ჯ გ ი წ ე მ ტ - იდავეს რა, მან (კაცმა) იგი (გონ.) გარეთ გამოაგდო (რა) და გაუშვა.

აბსოლუტივი **-ნ**-თი წარმოებულ სხვა ნამყო დროებსაც გააჩნიათ. მათთან მეტწილად აბსოლუტივის ფორმას განსასხვავებლად ერთვის გ. არის, მაგალითად, ირაშ დ ა ქ უ ტ ო ნ გ ე დ ფ შ ა მ თ ა ზ ე „აფხ. ზღ.“ 102²⁷ - თავის ცხენზე (კ.) ჯ დ ე ბ ო და რ ა ი მ დ რ ო ს... ა თ ა კ უ ა შ ა მ თ ა დ გ ნ თ ა - ლ ო ნ გ ა მ თ ა ზ ე - იქვე, 23³¹ - დედაბერი ეზოში ჩ ა დ ი ო და რ ა ი მ დ რ ო ს... რ ა ბ და შ ა და ა ლ გ ო ნ გ ო ჭ კ უ ნ ე მ ა ზ ბ დ ე შ ა წ ყ ა ნ... ი ჰ ე მ ტ ი ქ ვ ე, 50⁵ - მათმა მამამ სიტყვა თქვა (რა) და ა თ ა ე ბ და რ ა, მისი უფროსი ვაჟი წამოხტა (რა) და ... თქვა... ა ჰ ა ა ი რ გ ლ ე მ ჰ ა ნ ა ნ გ ი მ დ გ რ უ ა ზ ი - იქვე, 124¹⁷ - მთავარს ხალხისათვის (დიდი ხნიდან, უკვე) თქმული ჰქონდა რა, აკი იცოდნენ... დარა ხარ დ ც ა ნ ა ნ გ გ ო რ ო დ კ ა ჭ ა დ ა ქ უ მ ე მ ტ - ამვიბჟ. ტექსტ. XV, 130¹¹ - ძალიან შორს წ ა ს უ ლ ი ყ ო რ ა (გონ.), ერთ ქალაქში მოხვდა.

ასევე, გარკვეული დროის (ნამყო განუსაზღვრელის) აბსოლუტივი უნდა ყოფილიყო ი ყ ა წ ა ნ გ (იყაწან), დ ე დ გ ლ ც ა ნ გ (დედგლცან) და სხვა, რომლისაგანაც დღეს მხოლოდ აბსოლუტივის შინაარსი შეგვრჩა დი-

¹ ხსენებ. ნაშრომი, § 19, გვ. 27.

² იხ. მისი Материалы по абхазской грамматике. სოხუმი. 1927 წ. გვ. 8.

³ ხსენ. ნაშრ., §§ 23, 34 გვ. 48 და. სხვ.

ნამიკურ ზმნებში. სტატიკურებში კი, ვინაიდან სხვა ნამყო მათ არ გააჩნდათ, ეს ორივე ფუნქცია შეთავსებულია ერთ ფორმაში. არის ნამყო. განუსაზღვრ. – დ გ ი მ ა ნ – „ჰყავდა (გონ.) კაცს“ არის აბსტ. – დ გ ი მ ა ნ (გ) დააძტ – ჰყავდა რა (გონ.) კაცს მოვიდა = მან (კაც.) იგი (გონ.) თან მოიყვანა.

ეს -ნ, როგორც სტატიკური, ისე დინამიკური ზმნებისათვის საერთოა. იგი გვხვდება მაწარმოებლად ნამყოს სხვა ფორმებშიაც – ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ შ ი, ნ ა მ ყ ო წ ი ნ ა რ ე წ ა რ ს უ ლ შ ი და სხვ.

საგარემოებო ფორმებში ნამყო უსრულის (დინამიკ.) მსგავსად ნ მენაცვლებულია ზ-თი. გვაქვს: ი-ყ ა-ზ – ის, რომელიც იყო; ს გ შ ა გ ყ ა-ზ – როგორც ვიყავ; ი ყ ა-დ ა-ზ – ვინ იყო? ს ა ხ ო გ ყ ა ზ – სადაც ვიყავ; ე ბ ა ყ ა ზ – სად იყო? და სხვ.

III ფინიტურ და ინფინიტურ ფორმათა ურთიერთობა.

დროულობისა და ფინიტობის სუფიქსები

მცირე გამოწაკლისს გარდა, აფხაზური დროის სუფიქსები რთულ შენაერთებს წარმოადგენენ. საფიქრებელი იყო, რომ მათი ნაწილები სხვადასხვა ფუნქციის გამომხატველნი ყოფილიყვნენ. ეს შესაძლებლობა აქ განხილულმა დროთა წარმოებამ კიდევ გვიჩვენა. სწორედ აფხაზურისათვისაა სპეციფიკური ის, რომ დროის სუფიქსებით (-**ჴეიტ**, -**ჴან** და სხვ.) გამოხატოს დროულობასთან ერთად სულ ახალი გაგებაც. ამასთანავეა დაკავშირებული აფხაზური სინტაქსის თავისებური აღნაგობაც.

განხილულ სუფიქსთა მეორე ნაწილს, როგორც უკვე აღინიშნა, დ ე ე ტ ე რ ს ი ფინიტობის სუფიქსებს უწოდებს და, მაშასადამე, ფორმები, რომელთაც ეს არ გააჩნიათ, ინფინიტურნი არიან. ტერმინები: „ფინიტური“, „ინფინიტური“ შეიძლება დარჩეს ამ შემთხვევაში, მაგრამ თვით დეეტერსსავე აქვს აღნიშნული და ხაზი უნდა გავუსვათ სწორედ იმ გარემოებას, რომ ეს არ იქნება ჩვეულებრივი, ევროპული ენებისათვის ცნობილი, „ინფინიტური ფორმები“. ინფინიტური ზმნა აფხაზურში სულ სხვა ნიშნით გამოდის. ევროპულ ენებში ზმნა ინფინიტური შეიძლება იყოს პირისა და დროის მიხედვით. აფხაზურში კი ე. წ. ინფინიტური ფორმები შეიცავენ როგორც დროულობისა და პირიელობის ფორმატივებს, ისე ყველა იმ კატეგორიას და განრიგებას ზმნური ელემენტებისას, რაც დამახასიათებელია თხრობითი კილოსთვის ფინიტურ ფორმაში. მაგრამ მათ რაღაც აკლიათ, რაღაცის მიხედვით ისინი არ არიან განსაზღვრულნი. ეს მათი განუსაზღვრელი ბუნება გამოჩნდება წინადადებაში, სადაც რამდენიმე ასეთი ფორმა შეიძლება იყოს, მაგრამ საბოლოოდ წინადადების დასრულებისათვის მაინც ფინიტური სუფიქსით გაფორმებული ზმნა არის აუცილებელი. უმისოდ ჩვენ ვერ გავშორდებით დამოკიდებულ

ლი წინადადების ფარგალს, ფინიტობა-ინფინიტობა მთელი წინადადების ფონზე იმლება.

ქართველური ენებისათვის კარგად ცნობილი მასდარი აფხაზურსაც გააჩნია. მაგრამ აფხაზურს მოეპოვება აგრეთვე ევროპულ ენათა ინფინიტის შესატყვისი ფორმაც. მაგ. დ გ ც რ დალაგედტ, შეუძლებელია თარგმნილ იქნეს სხვანაირად თუ არ მაგალითად რუსული ინფინიტით: итти начал. ეს არაა ქართული „წასვლა დაიწყო“, ამას აფხაზური გადმოსცემს ასე: ა ც არ ა დლაგედტ. დ გ ც რ-ში ზმნურობაა გამოხატული, მაგრამ ისეთი ზმნური ელემენტებით, რომელთა არარსებობაც ქმნის სწორედ ევროპულ ენებში მის ინფინიტისგობას. „დ გ ც რ“ მთელი დამოკიდებული წინადადებაა („ის [გონ.] რომ მიდის“).

აფხაზურში ზმნა არის ფინიტური, არა როგორც მორფოლოგიური, არამედ როგორც სინტაქსური მონაცემი; ამიტომ დროთა წარმოების (ამ მორფოლოგიური მოვლენის) განხილვა არ შეიძლება სინტაქსის გარეშე. სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ეს აფხაზურისათვის, რადგანაც აფხაზური ზმნა არის მთელი წინადადება. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ აფხაზურ ზმნაში შეიძლება მოცემული იყოს როგორც პირი, ისე ადგილი, დრო, ვითარება და სხვ.

თუ ჩვენთვის ცნობილ ენებში დამოკიდებული წინადადების საწარმოებლად საჭირო ხდება ცალკე სიტყვათა ჩართვა წინადადებაში – მაგ.: რომელიც, სადაც, როგორც, ვინც და სხვ. – აფხაზურში პირიქით, ამათი გამომხატველი ელემენტები ჩართულია თვით ზმნაში და მოითხოვს ზმნის თავისებურ ფორმასაც. იმისათვის რომ გვექნეს აფხაზურში ჩვეულებრივი დასრულებული თხრობითი წინადადება, საჭიროა ზემოთ განხილულ სუფიქსთა (-იტ, -ნ, -პ) არსებობა. მათი ფუნქციაც ამაში მდგომარეობს. მაგ., დ გ-ი-შ-ჟ ო მ ტ – „კაცი კლავს გონიერ არსებას“, მაგრამ დამოკიდებულ წინადადებაში ეს **იტ** ჩამოშორდება, დაერთვის რომელიმე საგარემოებო ელემენტი და მივიღებთ: დ-ან-გი-შ-ჟა – „როცა კაცი კლავს გონიერ არსებას“. ასე რომ, ე. წ. ფინიტური და ინფინიტური ფორმები იძლევიან განსხვავებას დამთავრებულ თხრობით წინადადებასა და დამოკიდებულ წინადადებას შორის.

ფონეტიკურ მოვლენათა გათვალისწინების შედეგად გამოირკვა, რომ აწმყოში დროის მაწარმოებლად ყველგან **-ჟა** გვაქვს დინამიკურ ზმნებში, **-იტ** → **იტ** აწმყოს სუფიქსის შემადგენლობაში: დროის გამომხატველად არ გვევლინება. იგი ახასიათებს აწმყოს გარდა აორისტს (დცე-იტ), ნამყო სრულს (დცახე-იტ), კავშირებითს (დცაა-იტ || დცაა-ტ), **ტ**-ს სახით მყოფად განუსაზღვრელს (დცა-შ-ტ), სათანადო უარყოფის ფორმებს (დცომგ-ზ-ტ, დგმცა-ც-ტ) და სხვ. აორისტის

გამოხატვა მას მხოლოდ აწმყოსთან შეპირისპირებით შეუძლია, აორისტისათვის სპეციალური აფიქსი საჭირო არ ხდება. აორისტის ნიშანი თვით უფორმოზაა, რაც იქიდან მტკიცდება, რომ **-ოტ**-ის ჩამოშორებითაც, საგარემოებო ნაწილაკების დართვის დროს, აორისტობა მაინც გადმოიცემა. შდრ. დანცა – როცა წავიდა (გონ.), დანცა – სადაც წავიდა, იცადა? ვინ წავიდა? და სხვ.

ნამყო უსრულს აწმყოსაგან გადმოჰყვება **-ჟა** მაწარ- მოებელი და მისგან განსხვავებულად ერთვის **-ფ** სუფიქსი, – რომელიც ნამყოობის შინაარსის შემცველია არა მარტო აქ, არამედ საერთოდაც. ნამყო უსრული ერთი ნიშნით გაერთიანებულია აწმყოსთან, მეორით კი – ნამყოსთან. ზემომოყვანილ საგარემოებო ნაწილაკთა დართვით ეს **-ფ** სუფიქსიც ადვილად შორდება, ოღონდ მისი ჩამოშორება არ ჰგავს **-პ** და **-ოტ** სუფიქსთა ჩამოშორებას. მას შეენაცვლება ნამყოობის მეორე, **-ზ** სუფიქსი, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ **-ოტ**-ის ფუნქციისაგან განსხვავებით მას (**ფ**-ს) დროულობის გადმოცემაც ეკისრება. უამისოდ ხომ ნამყო უსრულსა და აწმყოს შორის აღარავითარი განსხვავება აღარ იქნებოდა, ამ ნიადაგზე გვაქვს ნამყო უსრულში: იცრ – და **-ზ** – ვინ მიდიოდა? დანცრ – **-ზ** – როცა მიდიოდა, დანცრ – **-ზ** – სადაც მიდიოდა, დცრმგ – **-ტ** – არ მიდიოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ განკერძოებით დგანან უარყოფითი ფორმები. აწმყოს თხრობითს უარყოფითში, მაგალითად, ფინიტობის სუფიქსის (**ოტ**-ის) ადგილს იჭერს უარყოფის ნიშანი **-მ** (უარყოფის ნიშანი უშუალოდ ერთვის დროის სუფიქსს – დცომ – არ მიდის)¹, აორისტში კიდევ, როგორც ვნახეთ, უარყოფის ელემენტი პრეფიქსად ან ინფიქსად გვევლინება და ფინიტობის **-ოტ** სუფიქსიც შერჩენილია, ხოლო ნამყო უსრულსა და ნამყო განუსაზღვრელში იგი უკვე სუფიქსადაა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ იგი ფინიტობის სუფიქსის (**-ფ**-ს) სრულ ჩამოშორებას არ იწვევს. ამ **-ფ**-ს იგი აქ **-ტ**-დ ცვლის. შეიძლება **-ფ**-ს ნაცვლად სწორედ ამ **ზ**-სა და **ტ**-ს გამოვლენა უარყოფით ფორმაში, ადასტურებდეს იმ მოსაზრებას, რომელიც ზემოთ იყო გამოთქმული, რომ **ფ**-ში თავმოყრილია როგორც დროულობის ფუნქცია (**ზ**), ისე ფინიტობისაო (**ტ**). უარყოფითი ფორმა, მამასა-დამე, გარდამავალ ტიპს წარმოგვიდგენს ინფინიტობიდან ფინიტობამდე. უარყოფითი ფორმა გარკვეულ შემთხვევაში ფინიტობის სუფიქსსაც იგულებს, აწმყოში იგი ინფინიტურია, ნამყო უსრულში, ამ მხრივ, ცვლილება მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ **ფ**-ს ცვლის სხვა მისი ფუნქციების შემცველი სუფიქსებით², აორისტში კი უარყოფითი ფორმა უკვე ფინი-

¹ უარყოფით-კითხვითში, **მ** წინ გადმოინაცვლებს და იქნება დცომ – არ მიდის?

² ასეთი წარმოება დამახასიათებელია სხვა დროთა უარყოფითი ფორმებისთვისაც.

ტურია. ეს -**იტ** სუფიქსის გამოხატვის თვალსაზრისით, თორემ აღსანიშნავია, რომ თვით აწმყოში, სადაც -**იტ** სრულიადაც არაა დართული, შინაარსობრივად გაცილებით მეტია მოცემული, ვინემ იმავე დროის საგარემოებო ფორმებში.

ზ-ს მუდამ ნამყოს გადმოცემა ევალება საგარემოებო ფორმებში და ისიც ისეთი: ნამყოსი, რომელშიც დადებით თხრობითში (ფინიტურ ფორმაში) **ნ**-ა მოსალოდნელი. ამიტომ იგი არც უნდა გვხვდებოდეს აორისტის საგარემოებოსა და მიმლეობურ ფორმებში. იცაზ, დეზბაზ და სხვები წარმოადგენენ არა აორისტის მიმლეობებს, არამედ -**ნ** სუფიქსით წარმოებული ნამყო განუსაზღვრელისას. მართალია, მათ დღეს დიდი გავრცელება აქვთ მოპოვებული და თითქმის ერთადერთ ფორმად-ლა გვხვდება ნამყოში¹, მაგრამ საფიქრებელია, რომ ისინი აორისტის ფორმები არ იყვნენ. აორისტში ისინი -**ზ** სუფიქსის გარეშე უნდა ვივარაუდოთ. მართლაც, ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში, რომლებშიაც -**ზ** სუფიქსი არც გვხვდება, აორისტის მიმლეობებია მოცემული.

მაგ.,

ლფშაარაზე იყაჰმწა-ჰა გყამ, ახა დჰამბეჰ-ჰა „აფხ. ზღ.“ 111₁₁ – მისი (ქალ.) მოძებნისათვის რაც არ გავაკეთეთ-ო არაა, მაგრამ ვერ ვნახეთო. ჰად, ანც² უ-ზ-შ² – ეჰ, ღმერთო შენო გამჩენო (...რომელმაც შენ გააჩინა).

ი-ზ-შე ისასუბ – იქვე, გვ. 10 – ჩვეულებრივი დალოცვა – „გამჩენის (ვინც გააჩინა მისი) სტუმარია.

„იშფაზური, დად... ისზგუბღუამ, აგუბღრა ცგოლუჰ, უბრი აუბ ისგბ“ – იქვე, გვ. 43. – რა ვქნა, მამავ... ვერ ვბედავ, გაბედა ძნელია, ესაა, რაც დამემართა.

უფშიმ რგუაფხა! იქვე, გვ. 36 – შეხე (ვაჟო), რა მოგეწონა! (...ის რაც მოეწონა).

დახცა რმარა – სადაც წასული არ მოსასვლელი..

ბაბხუა იხუბ ბხამთიტ, ახა ბა ბხუ ოპ რბხაშთ-ლჰეჰ – აძვიბჟ. ტექტ. – შენი მამამთილის კერძი არ დაგავიწყდა (ქალ.), მაგრამ შენი კერძია, ის, რომელიც დაგავიწყდა-ო (ქალმა).

¹ ეს შეიძლება ერთგვარ დასაყრდენად გამოსდგომოდეთ მათ, ვინც ფიქრობს, რომ **ზ** სუფიქსი საურთიერთო ნაცვალსახელის მაწარმოებელიაო. მართლაც, აორისტის ასეთ ფორმებში, მას ზერელედ თუ განვიხილავთ, სხვა ფუნქცია არც გააჩნია, მაგრამ ეს რომ ასე არაა, მტკიცდება თვით ამ **ზ**-ს ნამდვილი ფუნქციის გამომჟღავნებით ნამყოში და საურთიერთო ნაცვალსახელის გამომხატველი ზმნური ფორმების წარმოებით.

² დ. ჭონქაძე, suram abaa, დ. გულიას თარგმანი, სოხუმი. 1936. გვ. 36.

იუხნი?.. – დად, არი ახაწარა აზგისგზეზ უსუპ, ფხაშარას, ხგმდღს – ისფხადომ იპედტ – ისგზ უდაუპ „აფხ. ზღ.“ 120¹⁷⁻¹⁸ – რა დაგემართა (კაცო)?.. – შვილო, ეს ვაჟკაცობაზე რომ შემემთხვა (რაც დამემართა) [ის] საქმეა, სირცხვილად არ ვთვლიო – ესაა რაც დამემართა.

მარმა შაპალა აკუხაპ დგზლას იქვე, 31³ – მისი (კაც.) მარჯვენა ფეხით ყოფილა, რითაც დაარტყა.

უბრი აზგ აუპ სზაა – იქვე, 77⁹ – ამიტომაა, რისთვისაც მოვედი. სგჰკუნ დკაჰადტ აზგ აუპ რზგსჰა – იქვე, 76¹⁷ – ჩემი ბიჭი (შვილი) დავარდა ამიტომაა რისთვისაც ვთქვი.

აგულშაპ ზშგ აჩგზჩა მაუპ-ჰა – იქვე, 72⁷ – გველემაპის მკვლეელი (ვინც მოკლა) ცხენის მწყემსია -ო.

ბარა ბგზლანხაზე? – სარა სგზლანხა უბრი აუპ – იქვე, 128. შენ რითი გადარჩი? – მერითაც გადავრჩი ისაა...

დააზგა უდაუპ – იქვე, 52. რაც მოვიტანე ისაა და სხვ.

როგორც აქედან ვხედავთ, მაინც საკმაოდ ხშირად გამოჩნდება აორისტის მიმღეობათა ნამდვილი სახე. -ზ მართლაც არ უნდა ყოფილიყო მათ შემადგენლობაში. და რომ ეს ასეა, ამას აორისტის კითხვითი ფორმებიც მოწმობენ, მაგ.: იზჰადა? – ვინ თქვა? (ის, ვინც თქვა ვინაა?), იცადა? – ვინ წავიდა? („ის, ვინც წავიდა ვინაა?“), ილჰაზი? – რა თქვა ქალმა? („ის, რაც ქალმა თქვა რაა?“), იყაზწადა – ვინ გააკეთა? („ის, ვინც გააკეთა რამე ვინაა?“), რომლებიც სწორედ მიმღეობის ფორმებზე კითხვითი ნაწილაკების დართვით არიან მიღებული და რასაც შემდეგი მაგალითები ადასტურებენ:

ად ჯუშტ რყაშწა ზაკუზე? დ. ჰონქაძე, იქვე, გვ. 44 – ეჰ, კაცო, ის, რაც გააკეთე, რაა?

ჰად, რყალაზი ჯუშტ, ასას რც ზგა დარბან – ჯგერდ. ტექსტ. – რა მოხდა? („ის რაც მოხდა რაა?“) კაცო, სტუმრის ტყავი ვინც წაიღო ვინაა?

იფსგ ზლორუ იბჟეჰა [დ]არბან? – ლიხნ. ტექსტ. – მისი (ვ.) სული რაშიც დგას (სული რაშიაც უდგას), რაც გითხრა ქალო, რომელია (უგ.)?

ახაწარა იზთახხა დგზუგსთადა? – იქვე – ის, ვისაც ვაჟკაცობა მოუხდა, ვინაა?

შდრ. აწმყოში მსგავსი წარმოება:

ნან, რყალაზე, ბზგრჰჰოუაზე? – სგზგრჰოუა ზაკუზე ბგმბ-რე! „აფხ. ზღ.“ 64¹⁰⁻¹¹ – დედა რა მოხდა, რა გაყვირებს? (ის, რაც გაყვირებს რაა?) – ის, რაც მაყვირებს რა არის ვერ ხედავ!

რყოუწო ზაკუზე – იქვე, 20⁹ – ის, რასაც შენ (ვ.) აკეთებ რაა?

აფსგ იზგ აზა დგზთრუა დარბან? – ჯგერდ. ტექსტ. – მკვდარზე ცოცხალს ვინც იძლევა ვინაა? და სხვ.

ეს კითხვითი ფორმები – იყაზწოდა და სხვა, რამ ასეთი აღნაგობისაა, ამას პასუხის შინაარსიც კარგად არკვევს იყაზწოდა? („ვინ აკეთებს?) კითხვაზე კი არ უპასუხებენ – „ივან იყადწოდტ“-ო ე. ი. „ივანე აკეთებს“ ეს არ იქნებოდა ნამდვილი აფხაზური პასუხი, არამედ მოკლედ: „ივან მრჰ“ – „ივანეა“ ან რაც ამასვე უდრის (და პარალელურად იხმარება კიდევ) – „ივან მრჰ იყაზწო – „ივანეა, ვინც აკეთებს“.

„დგზთრჷა დარბან“, „სგზგრჰჰოჷა ზაკუზეე“ და სხვ. უფრო ძველი წარმოებაა, ვიდრე დგზთრჷადა ან სგზგრჰჰოჷაზეე. ამ უკანასკნელში **ზეე** მომდინარეობს კითხვითი „ზაკუზი“ სიტყვისაგან („რაა“), ხოლო **-და** (დგზთრჷა-**და**) ნაწილია „დარბან“ (რომელია, ვინაა) გონიერთა კლასის კითხვითი სიტყვისა. **დ** მასში III პირის (გონ.) პრეფიქსია. იგი ჩამოშორებია კითხვით ნაცვალსახელს (**და**-რბან), დართვია საურთიერთო ნაცვალსახელის შემცველ ზმნის ფორმას და ქცეულა დამოუკიდებელ კითხვით ფორმანტად (მდრ. ნ. უსრული – დააზგო **და**-ზ, სადაც იგი ზმნის ფუძესთან ისეა შეხორცებული, რომ შესაძლებელი ხდება სხვა მაწარმოებელთა მის შემდეგ დართვაც კი). ამ საფუძველზე გამოუმუშავდა აფხაზურს აღწერითი წარმოების ნაცვლად დამოუკიდებელი კითხვითი ფორმები. სხვა პირებში ეს გარემოება დღესაც უცვლელადაა შენახული. იქ შესაფერი კითხვითი ნაცვალსახელი ცალკე სიტყვად მიჰყვება მიმღეობას; მაგ., მეორე პირში – „იზგრ ჷარბან სწცა“ (ამვიბჟ. ტექსტ. XV, 13313) – „ვის მიგაქვს ჩემი ჭიქა“, „რომელი ხარ ჩემი ჭიქის წამლები?“ („ის, ვისაც ჩემი ჭიქა მიგაქვს, რომელი ხარ ვაჟო?“). საერთოდ ამ შინაარსის კითხვები იშვიათია და ჯ(ა) აღარ იქცა II პირის (მამრ.) კითხვით ნაწილაკად **და**-ს მსგავსად. **და**-ს როლი, როგორც ფორმანტისა, თანდათან იზრდება. იგი მზამზარეულად ერთვის სხვა კითხვით ფორმებსაც საწარმოებლად. მან შეიძლება გამოხატოს არა მარტო III პ. მხ. რიცხვისა (გონ.), არამედ მე-III პირიც მრავლობითის „ვინ“ კლასისა, თუმცა სრულიად უცხოა სწორედ ამ პირისთვის „კლასური“ განსხვავება. თუ ამ შემთხვევაში საჭირო გახდებოდა რიცხვის გამოხატვა კითხვით ფორმაში, **დ(ა)** ყოველ შემთხვევაში ვერ უნდა ყოფილიყო ამ შინაარსის მტვირთველი, მაგრამ გვაქვს: იზგაქჷადა – „ვინებმა“ წაიღეს? იყაქჷა-და-ზ – „ვინები“ (ვინანი) იყენენ? და სხვ. ამით **და** თანდათან იცლება თავისი კონკრეტული შინაარსისაგან და უფრო აბსტრაქტული ცნებისაკენ იხრება.

ვრცლად შეჩერება მოგვიხდა კითხვით ფორმებზე სწორედ ამიტომ, რომ ნათლად გვეჩვენება ამ კითხვით ფორმათა გენეზისის საფუძველზე აორისტში საურთიერთო ნაცვალსახელის შემცველ წარმოებათა მოსალოდნელი სახე. როგორც კითხვითმა ფორმებმაც დაგვიდასტურეს, მათი

ზ სუფიქსით წარმოება აორისტიისთვის არაა დამახასიათებელი. ისინი არეულნი არიან აორისტის ფორმაში, თორემ წარმოშობით ისეთ დროს უნდა განჰკუთვნებოდნენ, რომელსაც ნამყოში (ფინიტ.-ში) **-ნ** უნდა ჰქონოდა.

დინამიკურ ზმნებთან საერთო ნამყო დროის **-ნ**-ც სტატიკური ზმნებისა, გარკვეულ შემთხვევებში, შენაცვლებულია **-ზ**-თი. აქ უკვე, ისევე, როგორც ნამყო უსრულში, უმისოდ წარმოება, შეუძლებელია, მაგ.: რ ყ ა - და -**ზ**? – ვინ იყო? ი გ ჳ ლ ა-**ზ** – ვინც (რაც) იდგა, ლგ ჳ ჳ ა ა ზ კ ჳ და -**ზ**? – ქალის დარდი ვის ჰქონდა (ეჭირა)? და ა ხ ჳ ყ ა -**ზ** – სადაც იყო (გონ.) და სხვ.

სტატიკური ზმნების **-უ-პ** სუფიქსიც არ უნდა იდგეს განმხოლოებით. **პ** მაწარმოებელი სხვა დრო-კილოებშიაც ხშირად გვხვდება. ზოგჯერ იგი აქაც რთულ შენაერთში გამოდის. **-უ**-კი შეიძლება დინამიკური ზმნებისავე **-უა**-ს უკავშირდებოდეს. მათი იგივეობა ფონეტიკურ ნიადაგზედაც შეგვეძლო აგვეხსნა, მაგრამ, ეგების, აქ ორივე ტიპის ზმნებისათვის საერთო ელემენტი **უ** იყოს და **-უა** სუფიქსიც **უ-ა**-დ დაიშალოს. შესაძლოა დინამიკურ ზმნებში ეს **ა** გარკვეული ფუნქციით გვევლინებოდეს – მოქმედების განვითარება-მიმდინარეობის ფუნქციით, სწორედ დინამიკური შინაარსის გამოსახატავად. **ა** სხვა შემთხვევაშიაც ქმნის აფხაზურში მაწარმოებელთა (როგორც პრეფიქსთა, ისე სუფიქსთა) შეიძლება არა ზუსტად ასეთს, მაგრამ მსგავს განსხვავებას.

დროის გამოხატველად, მაშ, აფხაზური ზმნებისათვის საერთოდ, აწმყოში გვექნება **-უა**, **-უ**; აორისტიში – ფუძე ზმნისა; ნამყო უსრულსა და ნამყო განუსაზღვრელში – **-ზ**. **-იტ**, **-პ**, **-ნ** კი, როგორც დეეტერსი ამბობს, არის ფინიტური ფორმის სუფიქსები. კერძოდ, მისი აზრით, **-იტ** გამოხატველია მოქმედების მიმდინარეობისა (Vorgangsausdruck), ხოლო **პ** – მდგომარეობისა (Zustandsausdruck). **-ნ** კი ორივესთან გვხვდება¹, ოღონდ უნდა დავსძინოთ, რომ **-ნ**-ს ფინიტობასთან ერთად დროულობის გამოხატვაც ეკისრება.

ჩვენ აქ ვცდილობდით მოგვეცა სამი მთავარი დროის შესაძლებელი მაწარმოებელი დიალექტთა და ზმნათა მიხედვით, დაგვედგინა მათი ნამდვილი სახე და გავრკვეულიყავით დროთა წარმოების პრინციპში. ფორმათა გენეზისის საკითხები არ შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო აქ, რადგანაც ეს მოითხოვს აფხაზურისავე და მასთან ურთიერთობაში მყოფი ენების ყველა დრო-კილოთა გათვალისწინებას.

¹ ხსენ. ნაშრ. გვ. 296.

არ შევსულვართ ცალკე კილოების განხილვაში. კილოები აფხაზურში მეტად ჭრელ სახეს გვიჩვენებენ. ერთი მხრივ რთულნი არიან ისინი მაწარმოებლებით, რომელთა ანალიზი მარტო ამ დროთა მასალების მიხედვით არ ხერხდება, მეორე მხრივ ისინი შინაარსობრივადაც არ არიან გარკვეულნი. შეიძლება ორმა სხვადასხვა კილოურმა ფორმამ ერთი და იგივე გაგება მოგვცეს, ან არა და მათი შინაარსი დამოკიდებული გახდეს მომდევნო ზმნის დროზე, და, მაშასადამე, ერთმა კილომ სულ სხვადასხვა დროული გაგებაც მოგვცეს. მათგან განყენება არ გვიშლიდა ხელს ხსენებულ დროთა განხილვისას. ზოგადად მაინც შეიძლება ითქვას, რომ ამ დროთა კილოების წარმოებისას აღებულია ინფინიტური ზმნის ფორმები და შემდეგ დართულია კილოების სუფიქსები; მაგ. ნატვრ. კილო – ს ც ო-ნ და, ს ც ო ნ და-ზ, ს ც ა-ნ და; პირ. კ. – ს ც ო-ზ არ, ს ც ა-რ და სხვ.¹

¹ ვინაიდან წერილი უკვე აწყობილი იყო, ახლად დამუშავებული აფხაზური ანბანის გამოყენება ვეღარ მოხერხდა.

| დინამიკური ზმნები ფინიტური ფორმები | | |
|---------------------------------------|---------------------------------|---|
| დრო | ზმნა | დაბოლოება |
| | | აბჟუური დიალექტი |
| მყოს | ა-ზე დაბოლოებული | $\dots^*ა^1+ა-იტი \rightarrow \begin{cases} 1. \dots+ატი-იტი \rightarrow \dots+ატი-იტი \rightarrow \dots+ატი-იტი \\ (\rightarrow რტი) \rightarrow \dots რ-იტი (\dots რტი) \rightarrow \dots რიტი \\ \rightarrow \dots რტი \\ 2. \dots+ატი-იტი (\rightarrow \dots რ-ტი-იტი) \end{cases}$ |
| | აა-სა და ჰა-ზე დაბოლოებული | $\dots^*აა+ა-იტი \rightarrow \begin{cases} 1. \dots+ატი-იტი \\ 2. \dots+ატი-იტი \end{cases}$ $\dots^*აა+ა-იტი \rightarrow \begin{cases} 1. \dots+ატი-იტი \\ 2. \dots+ატი-იტი \end{cases}$ |
| | ი(→ი), უ(-უ)-სა და თანხ. დაბ. | $\dots^*ა-იტი \rightarrow \begin{cases} 1. \dots+ატი-იტი \\ 2. \dots+ატი-იტი \end{cases}$ |
| ნამყოს | ა-ზე დაბოლოებული | $\dots+ა-ნი \begin{cases} 1. \dots+ატი-ნი \rightarrow \begin{cases} \dots რტი-ნი \rightarrow \dots რ-ნი \rightarrow \dots რ-ნი \\ \dots რტი-ნი \rightarrow \dots რ-ნი \end{cases} \\ 2. \dots+ატი-ნი \rightarrow \dots რტი-ნი \\ 3. \dots+ატი-ნი \rightarrow \dots რტი-ნი \end{cases}$ |
| | აა-სა და ჰა-ზე დაბ. | $\dots+ა-ნი \rightarrow \dots+ატი-ნი$ $\dots+ა-ნი \rightarrow \dots+ატი-ნი$ |
| | ი(→ი), უ(-უ)-სა და თანხ. დაბოლ. | $\dots+ა-ნი$ |
| აოსტი | ა-ზე დაბოლოებული | $\dots^*ა+იტი \rightarrow \dots+იტი$ |
| | აა-სა და ჰა-ზე დაბ. | $\dots+ა+იტი$ $\dots+ა+იტი$ |
| | ლა-ზე დაბოლოებული | <p>ისევე, როგორც სხვა ა-ხმოვანზე დაბოლოებული ან ...ლ + ტ</p> |
| | ი(→ი), უ(-უ)-სა და თანხ. დაბოლ. | $\dots+იტი \dots+ი-იტი, \dots+იტი, \dots+ი+ტი, \dots+ტი$ |

¹ თეორიით აწეობილი ფუძისეულ მასალაზე მიუთითებს.

| დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი ზ მ ნ ე ბ ი ფ ი ნ ი ტ უ რ ი ფ ო რ მ ე ბ ი | | |
|--|-------------------------------------|--|
| დრო | ზმნა | და ბ ო ლ ო ე ბ ა |
| | | ბ ზ ი ფ უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი |
| ა წ მ ყ ო | ა-ზე დაბოლოებული | $\dots -^1 + \text{ტა-იტ} \rightarrow \begin{cases} 1. \dots - + \text{ტო-იტ} \rightarrow \dots - + \text{ო-იტ} \rightarrow \dots - + \text{ო-ტ} \\ 2. \dots - + \text{ტე-იტ} \\ 3. \dots - + \text{ტა-იტ} \end{cases}$ <p>ან ისევე, როგორც აბჟუურში</p> |
| | აა-სა და ჰა-ზე დაბოლოებული | $\dots * \text{აა} + \text{ტა-იტ} \rightarrow \begin{cases} 1. \dots \text{აა} + \text{ტო-იტ} \\ 2. \dots \text{აა} - \text{ტე-იტ} \end{cases}$ $\dots * \text{ჰა} + \text{ტა-იტ} \rightarrow \begin{cases} 1. \dots \text{ჰა} + \text{ტო-იტ} \rightarrow \begin{cases} 1. \dots \text{ჰ} + \text{ტო-იტ} \rightarrow \dots \text{ჰ} + \text{ო-იტ} \\ 2. \dots \text{ჰა} + \text{ო-იტ} \end{cases} \\ 2. \dots \text{ჰა} - \text{ტე-იტ} \rightarrow \dots \text{ჰა} - \text{ტე-იტ} \end{cases}$ |
| | ი(→მ), უ(-ტ) -სა და თანხ. დაბოლ. | $\dots + \text{ტა-იტ} \rightarrow \begin{cases} 1. \dots - + \text{ტო-იტ} \rightarrow \dots - + \text{ო-იტ} \\ 2. \dots - + \text{ტე-იტ} \\ 3. \dots - + \text{ტა-ტ} \end{cases}$ |
| ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი | ა-ზე დაბოლოებული | $\dots - + \text{ტა-ნ} \rightarrow \dots - \text{ტო-ნ} \rightarrow \dots - + \text{ო-ნ}$ <p>ან ისევე, როგორც აბჟუურში</p> |
| | აა-სა და ჰა-ზე დაბ. | $\dots \text{აა} + \text{ტა-ნ} \rightarrow \dots \text{აა} + \text{ტო-ნ} \rightarrow \dots \text{აა} + \text{ო-ნ}$ $\dots \text{ჰა} + \text{ტა-ნ} \rightarrow \begin{cases} 1. \dots \text{ჰა} + \text{ტო-ნ} \rightarrow \dots \text{ჰა} + \text{ო-ნ} \\ 2. \dots \text{ჰა} + \text{ტა-ნ} \rightarrow \dots \text{ჰ} + \text{ტო-ნ} \rightarrow \dots \text{ჰ} + \text{ო-ნ} \end{cases}$ |
| | ი(→მ), უ(-ტ) -სა და თანხ. დაბ. | $\dots + \text{ტა-ნ} \rightarrow \dots + \text{ტო-ნ} \dots + \text{ო-ნ}$ |
| ა ო რ ი ს ტ ი | ა-ზე დაბოლოებული | <p>I. $\dots - + \text{იტ} \rightarrow \parallel \dots - + \text{გ-იტ} \rightarrow \dots - + \text{გ-ტ} \rightarrow \dots - + \text{ტ}$</p> <p>II. $\dots * \text{ა} + \text{იტ} \rightarrow \begin{cases} 1. \dots \text{ა} + \text{ტ} \\ 2. \dots \text{ე} + \text{იტ} \rightarrow \dots \text{ე} + \text{ტ} \end{cases}$</p> |
| | აა-სა და ჰა-ზე დაბ. | $\dots \text{აა} + \text{იტ} \rightarrow \dots \text{აა} + \text{ტ}$ $\dots \text{ჰა} + \text{იტ} \rightarrow \dots \text{ჰა} + \text{ტ}$ |
| | ლა-ზე დაბოლოებული | <p>ისევე, როგორც სხვა ა-ხმოვანზე დაბოლოებული</p> |
| | ი(→მ), უ(-ტ) -სა და თანხ. | $\dots + \text{იტ} \parallel \dots + \text{გ-იტ}, \dots + \text{იტ}, + \text{გ-ტ}, \dots + \text{ტ}$ |

¹ აქაც და ქვევითაც... – გულისხმობს, რომ ზმნის ფუძეს ჩამოშორებული აქვს ა ფუძისეული ხმოვანი.

| დინამიკური ზმნები ინფინიტური ფორმები | | |
|---|--|--|
| დრო | ზმნა | დაბოლოება |
| | | აბჟუური დიალექტი |
| წმყო | ა-ზე დაბო- ლოებული | ... ა + ტა → ... ო + ტა → ... ოო → ... რ → ... ო |
| | აა-სა და ჰა-ზე დაბო-ლოე- ბული | ...აა + ტა ...ჰა + ტა |
| | ი(→ ი), უ(- ტ) - სა და თანხ. დაბოლ. | ... + ტა |
| ნამყო უსრული | ა-ზე დაბო- ლოებული | ... ა + ტა-ზ → ... ო + ტა-ზ → ... ოო-ზ → ... რ-ზ → ... ო-ზ |
| | აა-სა და ჰა-ზე დაბ. | ...აა + ტა-ზ ...ჰა + ტა-ზ |
| | ი(→ ი), უ(- ტ) - სა და თანხ. დაბოლ. | ... + ტა-ზ |
| აორისტი | ყველა ზმნა წარმოდგენილია წმინდა ფუძით დროის სუფიქსის გარეშე. | |

| დინამიკური ზმნები ინფინიტური ფორმები | | |
|---|--|--|
| დრო | ზმნა | დაბოლოება |
wāya wəmač° j-č°a-wčár umač° q°ag°axar – посл. (აბაზ.) положишь палец в рот врагу – без пальца останешься.

ax°ə° narə á-ča-m, šarə á-ča-m, axá zeg° ə álš°ojt – посл. (აბაх.) – у золота нет ни рук, ни ног, но все делает.

zaž° jč°a w°an jǵ°ə-j-qé-gxwam – посл. (აბაზ.) – с одного человека дважды шкуру не сдирают.

aharšá wəš°áqaaawa éjprš° j-wé-k°-qaawejt – посл. (აბხ.) – как крикнешь в кувшин, так и он отзовется.

ač° anaž° rá ah°ára j-ré-la-ž – посл. (აბაზ.) – когда вол состарится, отправь его в телячий гурт.

Ač°x°a zmáməz až°, ač°x°a zmaz amç aq°-na-són – посл. (აბხ.) — бесхвостая корова от хвостатой мух отгоняла... и т. д.

Однако, те же локальные превербы могут встречаться и без показателя косвенного объекта (т. е. без притяжательных префиксов лиц).

¹ О таком конкретном характере некоторых упомянутых здесь превербов правильно указана в работе Р. Клычева „Глагольные суффиксы направления в абазинском и абхазском языках“, Черкесск. 1972, с. 136-137.

Напр.:

anasér zmw awa^oá alaba ^oá ádg^lál jn^écejcarg^é aby^éá čálojt – посл. (абх.) – если счастливый человек воткнет в землю сухую палку, она листьями покроется.

az^ém^oá wəš^oahar, az^é x^é-čwejt – посл. (абх.) – если запрудить русло – вода через ¹запруду¹ пойдет.

áwa^o x^ém^xá ádg^lál x^ém^xá d^é-k^o-g^olojt – посл. (абх.) – беспомощный человек селится на негодной земле.

ah^ora j^é-l-u wajg^oyata jwnap^oçu kaw-məš^oən – посл. (абаз.) – надеясь на то, что лежит в траве, не бросай того, что в руке... и т. п.

Тут следует учесть сочетаемость названных локальных превербов с конкретными лицами: учесть, с одной стороны, способность этих превербов выступать в функции т. н. «послелогов», имеющих конкретное отношение к определенному лицу, и, с другой стороны, – в функции т. н. «наречий», выступающих абстрагированно по отношению к лицу.

Устанавливается, что превербы эти (т. е. локальные превербы второй группы), как правило, принимают префиксы косвенного объекта (те же самые притяжательные префиксы) в I-ом и во II-ом лицах (обоих чисел) и во множественном числе III лица.

Неоформленные (лично-классными префиксами косвенного объекта) варианты тех же глаголов (с локальными превербами второй группы) обычно встречаются в III лице единств. числа категории вещей, т. е. в тех случаях, когда следует ожидать показатель лица префикс **а**.

Поэтому можно было ставить вопрос: не увязывается ли это явление с распространенным в названных языках фонетическим процессом перехода гласного **а** в иррациональный гласный **э** (с последующим исчезновением и его)?

Выясняется, что нет. С одной стороны, это исключается потому, что в рассматриваемых языках процессу перехода **а** > **э** (>∅) личный префикс **а** не подчиняется¹. С другой стороны, такое объяснение (на фонетической основе) вышерассмотренного факта исключается и потому, что именно в III лице катег. вещей находит отражение морфологическое противопоставление определенной, конкретной формы и неопределенной, абстрагированной формы глагольного образования с локальным превербом (все остальные лица – только конкретные).

Устанавливается, что в глаголах с одним и тем же превербом, в зависимости от конкретного, определенного характера имени, появляется показатель III л. катег. вещей **а**, а при абстрагированном, неопределенно-обобщенном значении – этого показателя нет. Ср. противоположные формы:

¹ Показатель катег. вещей **а** может слиться с другой морфемой **а** (или же **э**) и сохраниться в таком слитном виде – опять как **а**.

С одной стороны

С другой стороны

ა ბ ა ზ.

áž°ak°a wa-j-č°-plít – у него слова (так и) сыплются изо рта.

ákas aqá j-a-qə-ω°rít – платок сползает с головы.

ა ბ ხ.

amaçúra d-á-l-çit – он оставил службу (ушел со службы).

š°aanza jgólaz jč°án ač°ába á-ça-j-kiť – посл. – кто встал до рассвета, к своей кобылице жеребенка «^Гпод^Г-пригнал»

awardán d-á-k°-çwejt – слезает с арбы.

ábəγ°k°a č°-plít (wa-č°-plit) – листья осыпаются.

awí ač°á ábγa d-qə-ω°rít – он свалился с лошади.

ábna dá-l-çit – он вышел из лесу.

ác°k°a ça-jkiť – запрягал волов.

waç°ə dá-k°-çwejt – завтра отправляется... и т. д.

Ряд имен, таких как лес, земля, грязь... требует превербов без конкретного показателя лица (косвенного объекта).

Преверб, оформленный личным префиксом косвенного объекта, имеет конкретное значение и напоминает систему конкретного оформления послелогов (как напр., абх. aō° nə, a-č°ə, абаз., atz a-rnə «в доме», букв. «дом в-нем», ср. глагол с локальным превербом: d-á-ç-a-lejt «он-под-него-вошел»), а неоформленный тот же преверб, имеющий более абстрактно-обобщенное значение, приближается по своей функции к наречиям (ср. də-ç-a-lejt «он-под-вошел»). Эта последняя разновидность превербов второй группы по существу объединяется с превербами типа «қа-», «ta-» (с. 84).

Что с конкретно-определенным содержанием, должно быть, увязаны формы с личными префиксами косвенного объекта, очевидно и на примере инфинитных образований глагола.

В этих образованиях, когда встает необходимость подчеркнуть лицо косвенного объекта, показатель относительного лица **z**- фигурирует везде, – появляется и с теми превербами, которые характеризуются отсутствием показателя косвенного объекта, ср. напр.:

Wə-z-ta-mləz aq°ar žəla jəγ°əp – посл. – балка, в которой ты не был, мясом полна (ср; wə-ta-lt, wəγ°-ta-məlt и т. п.).

В глаголах с локальными превербами удается выявить и специальную морфему. Она предстает перед нами в виде подударного гласного **á** (непосредственной исходной формой которого, можно допустить гласный **a**). Стоит он после префикса косвенного объекта, точнее говоря, – перед локальным превербом.

Он выделяется, например, в следующих глагольных основах:

zəbəz qaʷu asəs ω^owasak jr-ə-ça-č^oit – посл. (абаз.) – ягненок со сладким языком двух овец сосёт (ласковый теленок двух маток сосёт).

áx^ota ʷas-ə-la-lt – (абаз.) – я простудился (т. е. холод в-мое нутро-вошел).

ač^oə s-ə-ž^oə-jcejt – он пустил коня на меня... и т. п.

В силу закона несовместимости в этих языках рядом стоящих двух гласных фонем, мы не можем указать о наличии префикса *ə-* в формах глагола с косвенным объектом III л. ед. ч. категории вещей. В них он (*-ə-*) экспонентом катег. вещей *a-*, и весьма показательно поэтому, что этот личный префикс *a-* в результате такого слияния становится (в определенных глагольных основах) подударным, принимая ударение слившегося с ним префикса *ə-*.

Такое слияние *a+ə-* имеет место, например, в нижеследующих глагольных формах:

d-á-ça-lejt (тот-под-чем-то вошел, влез) < *d-a-ə-ça-lejt (ср., d-r-ə-ça-lejt и т. п.).

d-á-la-jgalejt (его-он ввел-во-что-то) > *d-a-ə-la-jgalejt... и т. п.

По существу в этом же типе глаголов следует рассматривать и те случаи, когда налицо показатель косвенного объекта (в о в с е х л и ц а х), но не видно префикса *ə-*.

А это имеет место в тех глаголах, в которых ударение падает на последующие (или же предыдущие) гласные основы. В таких случаях ударение с префикса *ə-* перетягивается на другой гласный основы (обычно на гласный последующего за ним локального проверба), и безударный префикс *ə* редуцируется.

Напр.:

ámōan də-s-č^oá-hajt (də-s-Ø-č^oá-hajt) – встретился-со-мной по дороге.

aχ^oč^o ač^oka i-č^oá-lcejt (...i-Ø-č^oá-lcejt) – она-ее-покормила грудью.

wə-j-rəg-ç! (wə-j-Ø-rəg-ç!) – отстань-от-него... и т. д.

Выясняется, что и вторая группа локальных провербов – без показателя косвенного объекта – принимает префикс *ə-*.

И в этом типе глаголов с локальными провербами следует выделить два случая:

1. Когда префикс *ə-* налицо — он в таком случае является подударным, напр.:

aħ^oá aħ^oəñč^oə j-ə-la-p – (абаз.) – свинья лежит (находится) в грязи.

aχabár sg^oə j-ə-ça-lt – (абаз.) – (это) известие я принял к сердцу (...вошло-в-мое-сердце).

ak°ára ácha ék°-ə-jçejt – (აბხ.) – он перебросил мост через речку.

aš° éd-ç! – (აბხ.) – прикрой дверь! и т. п.

2. Когда префикс ə- отсутствует, напр.:

č°əmladça až°and d-qá-lit – посл. (абаз.) – без лестницы на небо взбирается.

ábəγk°a ča-plit – (абаз.) – листья осыпаются.

ažək°réj la-rçejt – (აბხ.) – посеяли кукурузу.

ác°k°a ça-jkit – (აბხ.) – он запрягал волов.

alaba štá-jçejt – положил палку вниз и т. п.

Из приведенных здесь примеров видно, что это происходит в тех случаях, когда ударение падает на гласный локального преверба или же последующий слог основы, что послужило причиной утери (на фонетической почве) без ударения оставшегося префиксального ə...

Таким образом, мы вправе и в подобных основах восстановить префикс ə-.

Выходит, что появление é- не связано с лицом косвенного объекта¹; он находится в тесной связи с локальными превербами, выступающими как с показателем лица косвенного объекта, так и без него.

Ставится вопрос, какую функцию выполняет префикс é- представленный перед локальным превербом?

Как известно, в рассматриваемых языках отсутствует система склонения имен, но не исключена возможность, что и здесь локальные превербы, – заменяющие послелог и наречия – имели определенное оформление, ср. например, в грузинском языке наречия: z e v-i t «наверху» g v e r d-i t «рядом», š o r-i s «между», i r g v l-i v «кругом», m i n d v r-a d «в поле», š o r-s «далеко», ž i g-s «внизу» и т. д.

Следует полагать, что в абхазском и абазинском языках префикс é- в глаголах с локальными превербами выступает в аналогичной роли. Его можно было считать «наречно-падежной» морфемой, функция которой приближается к функции «дательно-обстоятельного» падежа (возможно и «генетивно-инструментального»).

Однако, в отличие от языков, имеющих суффиксальную флексию склонения, здесь обращает на себя внимание префиксальная позиция морфемы (é-): é-ça, é-k°, é-va и т. д.

Здесь, перед нами обратная последовательность (ср. груз. ž i g-s¹ ~ абх.-абз. é-са²).

¹ Префикс косвенного объекта со своей стороны имеет свой префикс косвенного отношения.

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

აფგ – 198

ბაა – 181

ბჟა/გ – 211, 223

ბლა/გ – 181, 208

გარა/გ – 174

გჰა/გ – 176

(გ^{ანგ}) აგ^{ანგ} – 168

გ^{არა} – 174

გ^{დგ} – 198

გ^{გლა}/გ – 209

დ – 197, 215, 223, 233, 237

დ^გ – 168

დ^{გლ} – 168, 172

დ^{გქ} – 168, 171

ვა/გ – 168, 199,

თა/გ – 178, 182, 183, 196, 225, 226,

227, 238

თაა – 228

კა – 178

კნა – იხ. კნგ/კგნ-

კნგ-, კგნ – 194, 195, 196, 224

კჰა/გ – იხ. კჰა/გ – 176

კგდ – 178, 179

კგლა/გ – 178, 179, 226

კ^გ – 202, 215

კ^ა – 168

ლა/გ – 168, 189, 215, 218, 219, 233,
236, 237

ლბაა-, ლბჰა – 178, 180, 181

მა/გ – 168, 202

მგ^ა/გ – 168, 204

მფგნ^ა – 206

მლა/გ – 168, 207

მპგწა/გ – 205

მყ^{გწა}/გ – 205

მწა/გ – 203, 225

მხა/გ-, მჰა/გ – 209

მჰა-, მჰ^ა – 168

ნაპგწა/გ – 205, 206

ნგ – 190, 191, 226

ნგყ^გ – (ნყ^გ-) – 181

ქ^გ – 210

ყა/გ – 168, 198

ფშწა/გ – 176, 177

ფგრა/გ-, ფგრ – 199, 235

ფგნ^ა – იხ. მფგნ^ა

ქ^გ – 167, 169, 187, 188, 214, 216,
221, 222, 224, 235, 236, 237

ღრა/გ – 206, 207

(ღგწარა) აღგწარა – 176

ყ^ა/გ – 191, 192

ყ^{ნგ} – 192, 195

შა/გ – 168, 203, 204, 229
შთა/გ – 229, 230, 231, 238
შტა/გ – 230, 231
შე/გ – 204

ჩკარა/გ – 177
ჩაფენ — (ჩაფენე) – 168
ჩახნე-, **ჩახნენ** – 211, 212
ჩაჰა/გ – 168, 173
ჩაფა/გ – 168, 173
ჩაქე – 174

ცრა/გ – 210

ძაა – 169, 175
ძვა/გ – 169, 200

წა/გ – 167, 185, 215, 220, 221, 224,
 232, 233, 235, 237, 238

ჭა/გ – 167, 169, 184, 212, 214, 215,
 216, 224, 234, 235, 237

ხა/გ – იხ. ჯა/გ
ხლა/გ – იხ. ჯლა/გ
ხ – 168
ხენ – 196
ხ(ა) – 200
ხე – 200
ხენ – 201

ჯა/გ – 167, 169, 186, 187
ჯდა – 169
ჯლა/გ – 169, 209

ჯღლ-, **ძღლ** – იხ. დღლ–
ჯქლ-, **ძქლ** – იხ. დქლ–

ჭნა/გ-, **ჟნა/გ** – 167, 168, 169, 170,
 214, 226

გამოყენებული წყაროები

- Абазинско-русский словарь. Под редакцией Тугова В. Б., М., 1967.
- А б з а з а р а а ш в а. Черкесск, 1955 (შემოკლებით: აზზ. აშ).
- А п с у а ж а п ъ к а қ у а. Еикудыршәит: Ш. Инал-иҭа, С. Адлеиба, Акуа, 1967 (შემოკლებით: ანდ.).
- А л ы қ ь с а Г о г у а. Аси амацәysi, Акуа, (შემოკლებით: ა. გ.).
- Д. И. Гу л и я. Сборник абхазских пословиц, загадок, скороговорок, омонимов и омографов, народных примет о погоде, заговоров и наговоров, Сухуми, 1939 (შემოკლებით: დ. გ.).
- ქ. ლომთათიძე. აზნარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის (ტექსტებითურთ) თბ., 1954 (შემოკლებით: აზხ. ტ.).
- მისივე. აფხაზური ენის ტაპანტური დიალექტი (ტექსტებითურთ). თბ., 1944 (შემოკლებით: ტ. ტ.).
- Т. З. Та б у л о в. Абазинские загадки и пословицы. Труды Черкесского научно-исследовательского Института. Выпуск II. Черкесск, 1954 (შემოკლებით: ანდ.).
- Н. Т. Та б у л о в а. Афористическая поэзия абазин, Черкесск. (შემოკლებით: ანდ.).
- И. Па п а с қ ы р А п ъ х ә y с лыпату. Акуа (შემოკლებით: ი. პ.).
- Русско-абазинский словарь. Ответственные редакторы; Х. Д. Жиров и Н. Б. Экба, М., 1956.
- Русско-абхазский словарь. Главный редактор Х. С. Бгажба. Сухуми, 1964.
- Б а г р а т Ш ы н қ у б а. Ацынцәрих. Акуа. 1974 (შემოკლებით: ბ. შ.).
- А. М. Ч о ч у а. Ажәабжькѳа ахучкѳа рзы. Акуа., 1962 (შემოკლებით: ა. ჭ.).
- ბ. ჯ ა ნ ა შ ი ა. აფხაზურ-ქართული ლექსიკონი თბ., 1954.
- საილუსტრაციო მასალა, რომელსაც ტექსტში წყარო არა აქვს მითითებული, ამოღებულია ძირითადად აქ დასახელებული ლექსიკონებიდან (ან ჩვენს საკუთარ ჩანაწერებს წარმოადგენს).
- მასალა შემოწმებულ იქნა (განსაკუთრებით მახვილის ადგილის თვალსაზრისით) ლილი ჰაგბასთან და სერგეი პაზოვთან, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებ.

აბაზური ენა

(მოკლე მიმოხილვა)

Абзинский язык

(Краткое обозрение)

რედაქტორები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **თეიმურაზ გვანცელაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი **რუსუდან ჯანაშია**

რუსული ვერსიის რედაქტორი –

ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი **მაია აბალაკი**

Редакторы:

доктор филологических наук, профессор
Теймураз Гванцеладзе
кандидат филологических наук, доцент
Русудан Джанашиа

Редактор русской версии –

кандидат филологических наук
Майя Абалаки

© ქ. ლომთათიძე, 2006

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-61-38-0

წინასიტყვაობა

ამ ოციოდე წლის წინ უნივერსიტეტის თაოსნობით (კერძოდ ბ-ნ ჯონ კლივლენდის ხელმძღვანელობით და მთავარი რედაქტორობით) წამოწყებულ იქნა კეთილი საქმე – გამოცემულიყო ინგლისურ ენაზე კავკასიის მკვიდრ ხალხთა ენების მიმოხილვა ცალკეული ჯგუფების მიხედვით. დაგეგმილ იქნა 3 ტომი, პირველი უნდა მისდევნოდა სამხრულ ჯგუფს, ე. ი. ქართველურ ენებს (რედაქტორი ალისა ჰარისი. ტომი უკვე გამოქვეყნდა); მეორე ტომი ჩრდილო-დასავლურს, ე. ი. აფხაზურ-ადიღურს (რედაქტორი ჯორჯ ჰიუიტი. ტომი უკვე გამოქვეყნდა) და მესამე აღმოსავლურს, ე. ი. ნახურსა და დაღესტნურს (რედაქტორები მიხ. ჯობი და რიქს სმიტი).

ავტორებად უმთავრესად თვით ევროპელი და ამერიკელი მეცნიერები ივარაუდებოდნენ და არიან კიდევ.

ამ კოლექტიურ სამუშაოში მიწვეული ვიქენით თბილისელი ენა-მეცნიერებიც, კერძოდ, ცალკეულ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მიმოხილვის ავტორებად.

ტიპობრივი გეგმა შედგენილ იქნა თვით რედაქციის მიერ და დაეგზავნა ავტორებს. გეგმა გულისხმობდა აუცილებელ ცნობებს ამ ხალხთა შესახებ და მათ ენათა მოკლე მიმოხილვებს (არსებულ გამოკვლევათა საფუძველზე).

მე დამევალა აბაზური ენის მიმოხილვა, რომელიც მეორე ტომში შედიოდა. ამ ტომშივეა მიმოხილვები აფხაზური ენისა ბ-ნ ჯ. ჰიუიტისა, აბძახურის (ადიღურის) შესახებ ქ-ნ კატრინ ჰარისა, ყაბარდოულის შესახებ ბ-ნ ჯონ კოლარუსოსი და უბიხურის შესახებ ბ-ნ გიორგი შარაშიძისა.

აბაზური ენის მონაკვეთიდან მე დავწერე აბაზური ენის ფონოლოგია და მორფოლოგია, ხოლო რედაქციასთან ჩემი შეთანხმებით სინტაქსის მიმოხილვა შევთავაზე აბაზა მეცნიერს რაუფ კლიჩევს. ეს მის მიერ შესრულებული მიმოხილვა, რომლის სათაურია „Некоторые вопросы синтаксиса абазинского языка“, გამოქვეყნდა პარალელურად ჟურნ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულში“ (ტ. XIV, 1987).

აბაზური მიმოხილვის (ჩემი ქართული და რ. კლიჩევის რუსული ტექსტი) ინგლისურად თარგმნა და რედაქცია იკისრა ბ-ნმა ჯ. ჰიუიტმა. ამ მხრივ მას დიდი მუშაობა აქვს გაწეული (ტექსტის თარგმანი, მიმოხილვა-

თა საერთო სისტემის მიხედვით გაწყობა) და ამდენადვე მადლობის მეტი რა გვეთქმის, ოღონდ რედაქტირებისას ზოგი ნაწილი შეკვეცილია. რედაქტირებისას ტექსტის შეკვეცა, ალბათ, მოულოდნელი არც უნდა იყოს, მაგრამ შეკვეცა ზოგჯერ ისე არის ხოლმე ჩატარებული, რომ აზრთა მსვლელობა და ავტორის არგუმენტაცია ზარალდება. თანაც ზოგჯერ რედაქტორის კომენტარებია დართული, ისე რომ საკითხის ისტორია არაა გათვალისწინებული.

ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ ჩვენი ტექსტი გამოცემულიყო ამ სახით, რა სახითაც იგი იყო ჩვენ მიერ შესრულებული და რედაქციისათვის წარდგენილი.

*
* *

აბაზები აფხაზების ახლო მონათესავე ხალხია და ცხოვრობენ ჩრდილო კავკასიაში ჩერქეზთა და ყარაჩაელთა გვერდით ყარაჩაი-ჩერქეზეთში (ცენტრი ქ. ჩერკესკი). მათი სოფლები (14) მდინარეების ყუბანის, იენჯუგის (ზელენჩუკის) და ფსიჟის სანაპიროებზეა განლაგებული.

აბაზურ ენაში გამოიყოფა ორი დიალექტი: აშხარული დიალექტი (რომელზედაც შედარებით მცირერიცხოვანი მეტყველია) და ტაპანთური. ტაპანთური დიალექტი, როგორც უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის დიალექტი, უდევს საფუძვლად სამწერლობო ენას. ჩვენს მიმოხილვაში საყრდენად აღებულია სამწერლობო აბაზური ენა.

სახელწოდება **აბაზა** მეზობელ ხალხთა სიტყვახმარებაში ისტორიულად აფხაზსაც მიემართებოდა და, როგორც კარგადაა ცნობილი, ქართველებსაც (შდრ. რუსული ისტორიული წყაროების „ობეზები“).

ბოლო აღწერის მიხედვით აბაზების რიცხვი ოცდაათი ათასის ფარგლებშია.

აბაზურ სამწერლობო ტრადიციას საფუძველი ეყრება 1932-1933 წლებიდან ჯერ ლათინურისა და შემდეგ რუსულ გრაფიკაზე დაყრდნობით. აბაზებს ჰყავთ საკუთარი ინტელიგენცია, ვითარდება აბაზური მწერლობა. გამოცემულია ხალხური შემოქმედების ნიმუშები, აბაზური **ნართების** ეპოსი, სასკოლო სახელმძღვანელოები და სხვ.

ფონოლოგია

1.1. ფონემური სისტემა

აბაზურ სამწერლობო ენაში არის 58 ძირითადი, საკუთარი ლექსიკური ფონდისათვის დამახასიათებელი, თანხმოვანი და ორი ძირითადი ხმოვანი. კილოკავებში შემორჩენილია თანხმოვანთა, კერძოდ, ლაბიალიზებული თანხმოვანთა, ალოფონური რიგები, გარკვეულ შემთხვევაში ფონოლოგიურადაც განაწილებული. ამ ქვესისტემათა მიხედვით აბაზურის ძირითად თანხმოვან ფონემათა რიცხვი 63-ს აღწევს.

გარდა ამისა, ნასესხებ ლექსიკურ ფონდს სხვა ენათაგან შემოჰყვოლია 8 თანხმოვანი, რომელთაგან სამწერლო ენაში დღეს აისახება მხოლოდ სამი.

მარტივ, ორწევრიან ხმოვანთა სისტემას თან ერთვის პოზიციური ცვლილებების საფუძველზე წარმოქმნილი ოთხი ხმოვანი, მეტწილად დიფთონგური ბუნებისა.

თანხმოვნები:

ხშულები, აფრიკატები:

ლაბიო-ლაბიალური მჟღერი ხშული **ბ**

ლაბიო-ლაბიალური ფშვინვიერი ხშული **ფ**

ლაბიო-ლაბიალური მკვეთრი ხშული **პ**

აპიკო-დენტალური მჟღერი ხშული **დ**

აპიკო-დენტალური ფშვინვიერი ხშული **თ**

აპიკო-დენტალური მკვეთრი ხშული **ტ**

ლამინო-ალვეოლარული მჟღერი აფრიკატი **ძ**

ლამინო-ალვეოლარული ფშვინვიერი აფრიკატი **ც**

ლამინო-ალვეოლარული მკვეთრი აფრიკატი **წ**

ლამინო-პოსტ-ალვეოლარული მჟღერი აფრიკატი **ჯ**

ლამინო-პოსტ-ალვეოლარული ფშვინვიერი აფრიკატი **ჩ**

ლამინო-პოსტ-ალვეოლარული მკვეთრი აფრიკატი **ჭ**

ლამინო-პოსტ-ალვეოლარული ლაბიალიზებული მჟღერი აფრიკატი **ჯ'**

ლამინო-პოსტ-ალვეოლარული ლაბიალიზებული ფშვინვ. აფრიკატი **ჩ**
 ლამინო-პოსტ-ალვეოლარული ლაბიალიზებული მკვეთრი აფრიკატი **ჭ**

ლამინო-პოსტ-ალვეოლარული ლაბიალიზებული აფრიკატები სასაუბრო ენაში განსხვავებული ლაბიალიზაციით გვხვდება სხვადასხვა მთქმელთა მეტყველებაში (კილოკავთა მიხედვით). ზოგი მთქმელი გამოთქვამს შიშინა აფრიკატებს, რომელთა ლაბიალიზაცია ბაგეთა მომრგვალების მიხედვით თითქმის თანაბარია და ქმნის უ (**w**) სონანტის შთაბეჭდილებას. ზოგი მთქმელი კი იმავე შემთხვევაში გამოთქვამს სისინა აფრიკატების მსგავს ბგერებს, რომელთა ლაბიალიზაცია განსხვავებულია: ზემო კბილები თითქმის ეხება ქვემო ბაგის შიგნითა ნაწილს, ხოლო ლაბიალიზაცია ქმნის **ვ** (**v**) ლაბიო-დენტალური სპირანტის შთაბეჭდილებას. ლაბიალიზაციის ხარისხი მთქმელთა მიხედვით სხვადასხვაგვარია, ზოგჯერ სრულ დელაბიალიზაციამდე დასულიც.

სალიტერატურო ენას ორიენტაცია აღებული აქვს სიბილანტთა შიშინა ლაბიალიზებულ სახეობებზე.

აპიკო-პალატალური მჟღერი აფრიკატი (მაგარი) **ჯ**
 აპიკო-პალატალური ფშვინვიერი აფრიკატი (მაგარი) **წ**
 აპიკო-პალატალური მკვეთრი აფრიკატი (მაგარი) **ჭ**

დორსალურ-ველარული მჟღერი ხშული **გ**
 დორსალურ-ველარული ფშვინვიერი ხშული **ქ**
 დორსალურ-ველარული ფშვინვიერი ხშული **კ**

დორსალურ-ველარული მჟღერი ხშული წინ წამოწეული (რბილი) **გ**
 დორსალურ-ველარული ფშვინვიერი ხშული წინ წამოწეული (რბილი) **ქ**
 დორსალურ-ველარული მკვეთრი ხშული წინ წამოწეული (რბილი) **კ**
 დორსალურ-ველარული მჟღერი ლაბიალიზებული ხშული **გ**
 დორსალურ-ველარული ფშვინვიერი ლაბიალიზებული ხშული **ქ**
 დორსალურ-ველარული მკვეთრი ლაბიალიზებული ხშული **კ**

ლაბიალიზაცია არის ლაბიო-ლაბიალური, რომელშიაც თანაბრად ხდება ზემო და ქვემო ბაგის მომრგვალება და წინ წამოწევა. ლაბიალიზაცია ქმნის უ სონანტის მარტივ თანხმოვანთან შეერთების შთაბეჭდილებას.

დორსალურ-უვულარული (ფარინგალური) ფშვინვიერი ხშული **ს**
 დორსალურ-უვულარული (ფარინგალური) მკვეთრი ხშული **ყ**
 ამ (ფარინგალური) წყვილიდან პალატალიზებული სახეობა აქვს მხოლოდ მკვეთრს: **ყ**

დორსალურ-უვულარული (ფარინგალური) ფშვინვიერი ხშული ლაბიალიზებული **წ**

დორსალურ-უვულარული (ფარინგალური) მკვეთრი ხშული ლაბიალიზებული **ყ**

ლაბიალიზაცია აქაც იმ ტიპისაა, როგორისაც დორსალურ-ველარულ რიგში.

ფ რ ი კ ა ტ ი ვ ე ბ ი:

ლაბიო-დენტალურ მჟღერი (სპირანტი) ფრიკატივი **გ**

ლაბიო-დენტალურ ფშვინვიერი (სპირანტი) ფრიკატივი **ჟ**

იგი გამოითქმის ზემო კბილების ქვემო ბაგის შიგნითა ნაწილზე საკმაო ენერგიული ჭყლეტით.

ამ რიგის მჟღერი ფრიკატივი **გ** და მკვეთრი **ჟ** გვხვდება აბაზურ სალაპარაკო ენაში ნასესხებ სიტყვებში (ისინი საკუთარ ლექსიკურ ფონდში დამახასიათებელია აბაზურის აშხარული დიალექტისათვისაც, თუმცა მხოლოდ თითო-ოროლა ფუძეში), მათგან **ჟ**, ძალზე იშვიათი გამოყენების გამო, ამოღებულ იქნა სალიტერატურო ენიდან და მის ადგილას იხმარება ლაბიო-ლაბიალური მკვეთრი ხშული **პ**. მაგ., ჭეჟ გადმოიცემა, როგორც პეი „ჭუჭყი, ტალახი“).

ლამინო-ალვეოლარული მჟღერი ფრიკატივი **ზ**

ლამინო-ალვეოლარული ფშვინვიერი ფრიკატივი **ს**

ლამინო-პოსტ-ალვეოლარული მჟღერი ფრიკატივი **ჟ**

ლამინო-ალვეოლარული ფშვინვიერი ფრიკატივი **შ**

აპიკო-პალატარული მჟღერი ფრიკატივი (მაგარი) **ჭ**

აპიკო-პალატარული ფშვინვიერი ფრიკატივი (მაგარი) **შა**

ლამინო-პოსტ-ალვეოლარული ლაბიალიზებული მჟღერი ფრიკატივი **ჭ**

ლამინო-პოსტ-ალვეოლარული ლაბიალიზებული ფშვინვ. ფრიკატივი **შა**

მათ ლაბიალიზაციის ისეთივე სახეობები ახასიათებს სასაუბრო ენაში, როგორც დამახასიათებელი იყო ზემოთ დასახელებულ შესაბამის ლაბიალიზებულ აფრიკატთა მიმოხილვისას.

დორსალურ-ველარული მჟღერი ფრიკატივი **ღ**

დორსალურ-ველარული ფშვინვიერი ფრიკატივი **ხ**

დორსალურ-ველარული მჟღერი ფრიკატივი წინ წამოწეული (პალატალიზებული) **ღ**

დორსალურ-ველარული ფშვინვიერი ფრიკატივი წინ წამოწეული (პალატალიზებული) **ხ**

დორსალურ-ველარული მჟღერი ლაბიალიზებული ფრიკატივი **ღ**
 დორსალურ-ველარული ფშვინვიერი ლაბიალიზებული ფრიკატივი **ბ**[°]
 ლაბიალიზაცია აქაც ისეთივეა, როგორც სათანადო ხშულებში.

რადიკო-ფარინგალური (ლარინგალური) მჟღერი ფრიკატივი **ჭ**
 რადიკო-ფარინგალური (ლარინგალური) ფშვინვიერი ფრიკატივი **ჭ**

რადიკო-ფარინგალური (ლარინგალური) მჟღერი ლაბიალიზებული ფრი-
 კატივი **ჭ**[°]
 რადიკო-ფარინგალური (ლარინგალური) ფშვინვიერი ლაბიალიზებული
 ფრიკატივი **ჭ**[°]

რადიკო-ფარინგალური (ლარინგალური) მკვეთრი სპირანტიოდი **ყ**.
 იგი არის წარმოქმნილი **ყ** ხშულისაგან ინტერვოკალურ (**ა-ა**) პოზიციაში.

მისი ლაბიალიზებული სახეობა ადიღურ ენათაგან აბაზურში შე-
 თვისებულ სიტყვებში გადმოიცემა **უ** (=უ) ნახევარ-ხმოვნის **ყ**-ზე დართ-
 ვით, მაგ.: **ЪУЫТЛХІа (ყუტელ'ჰა)** „ქრთამი“.

ს ო ნ ა ნ ტ ე ბ ი :

ლაბიო-ლაბიალური მჟღერი ნაზალური **მ**

აპიკო-ალვეოლარული მჟღერი ნაზალური **ნ**

აპიკო-ალვეოლარული მჟღერი ლატერალი აპროქსიმანტული **ლ**

ლაბიო-ლაბიალური მჟღერი დაუხშავი **შ**

დორსალურ-პალატალური მჟღერი დაუხშავი **მ**

აპიკო-ალვეორალური მჟღერი მთრთოლი **რ**

აბაზურს, როგორც აღინიშნა, ნასესხებ მასალაში აქვს ადიღურ ენა-
 თაგან შექმნილი სპირანტები (ფრიკატივები): ლაბიო-დენტალური მჟღე-
 რი ფრიკატივი **გ** (ეს სპირანტი, გარდა ყაბარდოული ენიდან შეთვისებუ-
 ლი სიტყვებისა, გვხვდება აგრეთვე რუსული ენიდან შესულ სიტყვებში
 და დამკვიდრებულია სალიტერატურო ენაშიც).

ლაბიო-დენტალური მკვეთრი ფრიკატივი **ჭ**.

აპიკო-ალვეოლარული მჟღერი ლატერალი (ერთი დარტყმისმიერი)
ლ' აბაზურში გადმოსულია რბილი ლატერალური **ლ** მჟღერი სონანტის
 სახით.

აპიკო-ალვეოლარული ფშვინვიერი ლატერალი (ერთი დარტყმის-
 მიერი) **ლ'** აბაზურში **თლ** (თუ: **თლ'**) კომპლექსის სახით გამოითქმის.

აპიკო-ველარული მკვეთრი ლატერალი (ერთი დარტყმისმიერი) **ლ**
 აბაზურში **ტლ** კომპლექსის სახით გამოითქმის; წერაში აისახებოდა რო-
 გორც **ლ**. ამჟამად სალიტერატურო ენაში, სათანადო ნასესხები სიტყვების
 სიმცირის გამო, მას აღარ ასახავენ და მის გამოსახატავად იყენებენ **კ**-ს
 (кл-ს) მაგ.: **კ'შაბა** „ქვირი“.

| | | | | | | | | | | |
|--------------------------------------|---|--|---|--|--|--|----|----|---|--|
| დორსალურ- უვულარული რბილი | | | ყ | | | | | | | |
| დორსალურ-უვულ- არული ლაბიალიზ. | ჭ | | ყ | | | | | | | |
| ლარინგალური | | | | | | | ჟ | ჰ | ც | |
| ლარინგალური ლაბიალიზებ. | | | | | | | ჟ° | ჰ° | | |

ხმოვანთა სისტემა

აბაზურს ორი ძირითადი ვიწრო ხმოვანი აქვს: დახურულ **გ** და ღია **ა**. ამჟამად მათს განაწილებაში მნიშვნელოვანი სხვაობაა: **ა** ყველა პოზიცი-
აში გვხვდება; თავკიდურად – **აბა** „მამა“..., სიტყვის შუაში – **დაგ** „ყრუ“, **ჩაჩ** „ჭაკი ცხენი...“, ბოლოკიდურად – **ბაგა** „მელა“, **ჭაა** „პირი“... **გ** ხმოვანი გვხვდება მხოლოდ სიტყვის შუაში და ბოლოში: თეფ **ქოხი**“, ლემჭა **ყუ-რი**“, **ჩეგ** „ცხენი“... ლარინგალურ **ჟ ჰ** სპირანტებთან **გ** (აფხაზურის მსგავ-
სად) ერთ მარცვალში მოხვედრილი არც აბაზურშია ჩვეულებრივი, თუმ-
ცა შეუძლებელი არაა. **გ** ხმოვანი ჩვეულებრივ მახვილიანია, უმახვილო **გ** გარკვეული ფაკულტატიურობის მქონეა. ამიტომაც შესაძლებელია ერთი და იმავე სიტყვის (მაგ. „ენის“) ფუძის ასეთი სახეობები: **ზეზგ** / **აბგზ** / **აბზ** / **ბზგ** / **ბგზ**.

მისი გამოვლინება-არგამოვლინება ამა თუ იმ ფუძეში ხშირად და-
მოკიდებული გამოდის თანხმოვანთა შეჯგუფებაზე. ამასთან დაკავშირე-
ბით გამოთქმულია მოსაზრება ე. წ. ორი თანხმოვნის კანონის თაობაზე:
„თ უ თ ა ნ ხ მ ო ვ ნ უ რ ა რ ტ ი კ უ ლ ა ც ი ე ბ ს დ ა ვ თ ვ ლ ი თ
კ ო მ პ ლ ე ქ ს ის ბ ო ლ ო დ ა ნ, ა ნ რ ო მ ე ლ ი მ ე ხ მ ო ვ ნ უ რ ი არ-
ტიკულაციიდან, რომელსაც მთავარი ან მეორეხარისხოვანი მახვილი აქვს,
მეორე და მესამე თანხმოვნურ არტიკულაციებს შორის გვექნება ხმოვნუ-
რი გადასვლა...“ (ალენი, 1956, 142; ლომთ. 1976, 41-43). ირაციონალური **გ**
ხმოვანი ხშირ შემთხვევაში **ა** ხმოვნისაგან (უმთავრესად მახვილიანისა-
გან) ჩანს მომდინარე (მაგ., **ანგ** < *ანა „დედა“).

ზემოთ აღნიშნული მომენტები თითქოს **გ** ხმოვანს აყენებს თავი-
სებურ პირობებში, რის გამოც გამოთქმულია მოსაზრება მისი არაფონე-
მურობისა და, ამდენადვე, აბაზურის მონოვოკალურ ენად მიჩნევის თა-
ობაზე.

ამ მოსაზრებას გარკვეული დაბრკოლებები ეღობება წინ. უმახვილო **გ**
ხმოვნის ფაკულტატიურობა შედეგია ამოსავალი სრულხმოვნიანი ფუძე-
ების სხვადასხვა საფეხურის რედუქციისა მახვილის მოქმედების ნიადაგ-
ზე (აბაზურში იშვიათი არაა ისეთი მინიმალური წყვილების არსებობა,

როგორცაა: ბჟა „წვრთნა, გაწვრთნილი“ – ბჟე „ხმა“, ძა „გვერდი“ – ძე „წყალი“, ჭა „გამხმარი“ – ჭე „ადამიანი“ და მისთ.)

როგორც ირკვევა, თავკიდურ პოზიციაში ისევე არ გვხვდებოდა ა ხმოვანი, როგორც დღეს არ გვხვდება გ ხმოვანი. თავკიდურა ა ხმოვნიან ფუძეებში წინ ყველგან თანხმოვანია ჩამოცილებული (ლომთ. 1976, 75...).

აბაზურის ორი ძირითადი ხმოვნის (ა, ე) ი და უ სონანტებთან (ნახევარხმოვნებთან) შეერთებით (ან იშვიათად სათანადო პალატალურ, ლაბიალიზებულ თანხმოვნებთან მეზობლობით) წარმოიქმნება ხოლმე არაფონემური ი, ე, ო, უ ხმოვნები, დიფთონგოიდები (რომლებიც ხშირად გრძლად გამოითქმის). მათში შედარებით უფრო გავრცელებულია ზმნის დროების წარმოებისას დიფთონგის შერწყმა ი, უ ხმოვნებად. სალიტერატურო ენასა და მის ფუძედიალექტში (ტაპანთურში) შედარებით იშვიათია აღნიშნული პროცესით ე და ო ხმოვნების წარმოქმნა. გვხვდება თითო-ოროლა შემთხვევა ამისა, მაგ.: მედრა < მადრა „ადვილი“, ნედრა < ნადრა „მისვლა“, წოლა < წოლა „ღრმა“, შაკოკა < შაკაკა „თეთრი“. შედარებით უფრო გავრცელებულია ე და ო ხმოვნების და მათი გრძელი სახეობების პოზიციურად მიღება აბაზურის აშხარულ დიალექტში, რომელშიც ჭარბობს ასიმილაციის პროცესი.

ი მონოფთონგი აბაზურში გვხვდება თითო-ოროლა შემთხვევაში და იგი მომდინარებს გ ირაციონალური ხმოვნისაგან (წინაენისმიერ თანხმოვანთა მომდევნოდ), მაგ., წის „ბელურა“, სიფსა „ზვავი“... (შდრ. ა-წეს „ჩიტი“, ა-სგფსა „თოვლ-ყინული“).

1.2. ფონოტაქტიკა

აბაზური სიტყვების (როგორც სახელებისა, ისე ზმნებისა) და აფიქსურ ელემენტთა ძირები ჩვეულებრივ მარტივი ერთმარცვლოვანია (უმეტეს შემთხვევაში ღია მარცვლით წარმოდგენილი – CV ტიპი): ჯა „თავი“, ჩე „ცხენი“, ჟე „ძროხა“, ვე „გული“, ცა „წასვლა“, გა „წაღება“, ბა „ნახვა“, თა „მიცემა“, აჟ „რგება, შოვნა“, -ქა მრავლობითი რიცხვის სუფიქსი, -ლა ინსტრუმენტალისის სუფიქსი და სხვ.

ამიტომაც თავისებურად დგას ამ ენაში თავკიდურ-შუაბოლოკიდურ თანხმოვანთა საკითხი. დასახელებულ ერთმარცვლიან სიტყვებში თანხმოვნები თავკიდურადაც არის და ბოლოკიდურადაც (რაც ხშირი შემთხვევაა ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოშორებისას).

ოდენ თანხმოვნით წარმოდგენილი ძირები გარკვეულ, განცალკევებულ პოზიციაში ხმოვანს იახლებენ, მაგ., ჟ „ხარშვა“ – ი-ჟე „მოხარშე ის (რაღაც)!“

გვხვდება, რა თქმა უნდა, რთული – ორი, სამი, ოთხი, ხუთი – ერთად მიჯრილ თანხმოვნიანი ფუძეებიც (მაგ., ცხა „თაფლი“, მშე „დღე“,

სსა „წვნიკი“, **კასთხა** „მუგუზალი“, **აჩყა** „ბალიშისპირი“, **ფსჳარა** „ფრენა“, **ფსთჳა** „ღრუბელი“ და მისთ.), მაგრამ ამ რიგის ფუძეები მეტწილად ან ნაწარმოებნი არიან, ან სიტყვათა და მორფემათა შეერთებით და ფუძეთა რედუპლიკაციით წარმოქმნილნი. ასეთ შემთხვევაში ხდება ცალკეული ფუძეების თუ მორფემების რთულ შენაერთში გაერთიანება, მაგ., **აგლსხხჳ < [ა]ა-გ-ლ-ს-ხ-ხ-ჳ** „მისგან გამოვიღებ, გამოვაცლი“: (მას(ნ.)-მის(მ.) – სამიმართ. პრ.) – შიგნიდან – მე!(/ პ.) – ღებ-უკუ-მყოფ. ფინ.), რაც იწვევს ერთი მთავარი მახვილით მათს გაერთიანებასაც და რასაც ხშირად მოსდევს ხმოვანთა რედუქცია, თანხმოვანთა შეჯრა და ზოგჯერ კომპლექსის გამარტივება.

ამგვარი პროცესების ნიადაგზეა, მაგალითად, **ჳსგსა** „ქალები“, „ქალიშვილები“, მომდინარე ***ფჳსასა < *ფა-ჳა-სა-სა-საგან** (შდრ. მხ. რ. **ფჳგს** „ქალი“, თავადაც რთული შედგენილობისაა, მომდინარე ***ფა-ჳა-სა-საგან**). **ზაგგჳ გრღღმჳხტ** („მან მათ არაფერი უთხრა“ მომდინარე: **ზა-ეკა-გ-გ[ა][აგ]-გ ა/-რ-ა-ლ-გმ-ჳა-ხგ-ა-ტ** – ერთი –რამ-ც (იგი(ნ.) – კიდევ-მათ-სამიმართ. პრ. – მან(ქ.) – არ-თქვა-ლა-ფინიტ“.

არსებითად ფუძეთა თხზვის ასეთი გზით არის წარმოშობილი მრავალრიცხოვანი თანხმოვანთა კომპლექსები, რომლებსაც მეორეული კომპლექსები შეიძლება ეწოდოს. ბუნებრივია, აქაც გვქონდეს გარკვეული შეზღუდვები, კერძოდ, იშვიათი სიხშირის ისეთი ფონემები, როგორცაა, მაგალითად, მაგარი **ჯჳ, ჟჳ** ერთ მარცვალში გაერთიანებულ თანხმოვნიან კომპლექსში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გვხვდება (შდრ. **ჟარა** „თხრა“, **აგზჟაგტ** „ვთხრი“, ... გაორკეცებული ძირები...). ძნელად ეწყობა სხვა თანხმოვნებს პირველ წევრად ერთ მარცვალში რბილი ველარული ხშულები **გ ჟ კ**; შეუთავსებელი გამოდის **ნჳ, პნ, ზს, ფზ, მჳ, უმ, მუ**... მიმდევრობები.

სამაგიეროდ, ძალზე გავრცელებულია ე. წ. „პირველადი“ კომპლექსები. ესენია კომპლექსები ბაგისმიერთა მონაწილეობით პირველ წევრად (მკვეთრი წევრის გამოკლებით), რომელთაც ლარინგალური არტიკულაციის მიხედვით გარკვეული ჰარმონიულობა ახასიათებს: **ფს, ფშ, ფშა, ფხ, ფწ, ფჳ, ფჳჳ, ფგ, ფგა, ფთ, ფრ... ზხ, ზჟ, ზჟა, ზღ, ზღ, ზგ, ზწ, ზჯ, ზჳ...**

ყველაზე მეტად მაინც ამ „მტკიცე“ თანმიმდევრობის კომპლექსებში პირველ წევრად გვხვდება **მ სონანტი: მზ, მჳ, მჳ, მრ, მს, მტ, მყ, მშ, მშ, მრ, მგ, მმ, მწ, მჳ, მხ, მჳ...**

აღნიშნულ კომპლექსთა დაშლა დღეს სინქრონულ დონეზე ჭირს.

როგორც გაირკვა, ასეთ თავდაპირველ კომპლექსებში შეუთავსებელი გამოდის დენტალები **დ, თ, ტ**, მაგალითად, ***თჳ (<*დჳ), *დჳ** და მსგავსნი. ამ რიგის კომპლექსები, პირველი წევრის ჩამოშორების შედეგად

გამარტივებულა (ლომთ. 1976, 246-247). აბაზურში დიდი გავრცელებისა არ არის, მაგრამ ბუნებრივ კომპლექსებად ჩანს **პლ, ტლ**.

1.3. სუპრასეგმენტული ერთეულები

სიგრძე ხმოვნებისა აბაზურისათვის დამახასიათებელი არ არის. გრძლად გამოითქმის დიფთონგის შერწყმით მიღებული მეორეული ხმოვნები.

მახვილი არის დინამიკურ-ინტენსიური. იგი ყველა პოზიციაში დასტურდება: აჟა „სიტყვა“, აჟასა „ასე, ამრიგად“, აშ „მა“, გგლრა „დგომა“, ნაპგ „ხელი“...

მახვილის მოძრაობის მხრივ მეტად რთული სურათია აბაზურში. შედარებით უფრო უძრავია და მეტ სიმტკიცეს იჩენს ის მახვილი, რომელიც ფუძის შუა ხმოვანზე მოდის (იმისდა მიუხედავად, მარცვალი დახურულია თუ ღია), როგორცაა მაგალითად: გგლრა „დგომა“, შგლა „ფქვილი“, გარა „აკვანი“, ათგფ „ქოხი“ და მისთ. თუმცა არც ამ პოზიციაში ჩაითვლება იგი სავსებით უძრავად (შდრ. გენკო, 1954, 64; ლომთ. 1976, 100. ზოგი კანონზომიერების შესახებ იხ. ლომთ. 1976, 77, 99-138).

მახვილის ადგილის განსაზღვრის მხრივ სირთულეს ქმნის, ჯერ ერთი, აბაზური მახვილის ბუნება – დინამიკურობა და, მეორე მხრივ, მისი შეწყობის ხასიათი რთულ სახელთა და ზმნურ მონაცემებში. აბაზურში, ისევე, როგორც აფხაზურში, რომელთა ძირები CV ტიპისაა, როგორც ძირეული, ისე აფიქსური მორფემები მახვილის მქონეა, ფორმანტთა დიდ წილს შესწევს უნარი მახვილი მიიზიდოს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ერთსა და იმავე ფორმანტს ხან შესწევს უნარი მახვილი მიიზიდოს, ხან კი – არა. ეს კი დამოკიდებული გამოდის სხვადასხვა მორფემათა რთულ ფუძეში შეწყობაზე, ადვილი გასათვალისწინებელია, რა რთული სურათი იქმნება მახვილის ადგილმდებარეობის განსაზღვრისას, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ძირს პრეფიქსებისა და სუფიქსების სახით ათეულამდე მორფემა შეიძლება დაუკავშირდეს და მათი ძალთა ფარდობა მახვილის გადაწევის მხრივ სხვადასხვა კომბინაციაში სხვადასხვანაირად გამოვლინდება. მაგ.: ჭარა „ჭამა“, იგსჭატ „შევჭამე“, იგშჭა! „შეჭამეთ!“, იგჭაა! „შეჭამე!“, იგსჭაბატ „უკვე შევჭამე“, იანგსჭა „როცა შევჭამე“, აბატრა „ურთიერთ ჭამა“ → „ჩხუბი“, იგსჭარგქენ „რომ მეჭამა“ და ა. შ.

გართულებულ ფუძეებში და კომპოზიტებში გაბატონებულია ერთი მახვილი, თუმცა ზოგჯერ თანამახვილიც (ნაკლები სიმლიერისა) შეინიშნება, შდრ. გგლრა „დგომა“, და აჟგგლრა „რაზედმე დგომა“.

მიუთითებენ (აფხაზურის მსგავსად) მახვილის სიტყვათგანმასხვავებელ ფუნქციაზე აბაზურში (გენკო 1955, 63-63). მაგ.: აშა „სახელური“ –

ამზ „წალა“, **აჩა** „ძილი“ – **აჩ** „თივა“, **აშთაცარა** „რისამე გამოდევნება“, **აშთაცარ** „თანმიყოლებით სვლა“ და მისთ. ასეთი დაპირისპირება ამ ფუძეებისა მახვილის მიხედვით მოჩვენებითია. მათში მახვილის სხვადასხვა ადგილას დასმა შედეგია ფუძეთა სხვადასხვაგვარი შედგენილობისა (ლომთ. 1976, 117-119). მახვილის მიხედვით ერთგვარ დაპირისპირებას ქმნის ზმნის მასდარული ფორმა, რომელსაც ჩვეულებრივ მახვილი მასდარისეულ ბოლოკიდურ სუფიქსის ხმოვანზე მოუდის : **ჭარ** „ჯდომა“, **ჩარ** „ჭამა“ და სათანადო ნაზმნარი მიმღეობა-სუბსტანტივი, რომელსაც მახვილი ჩვეულებრივ წინ, ზმნური ძირის ხმოვანზე მოუდის – **ჭარა** „საჯდომი“, **ჩარა** „საჭმელი“ (გენკო, 1955, 64; ლომთ. 1976, 119-127).

1.4. მორფოფონემიკა

აბაზურ ენაში დასტურდება როგორც სპონტანური, ისე პოზიციური ხასიათის ფონეტიკური ცვლილებები.

სპონტანურ პროცესთაგან აღსანიშნავია სიბილანტთა გარკვეული რიგის დელაბიალიზაციის ტენდენცია სხვადასხვა კილოკავისა თუ თაობის წარმომადგენელთა მეტყველებაში სხვადასხვა რეფლექსის სახით, მაგ.: **ჭა** (/წა) → **ჭა** (/წა) „ჯდომა“, **ჯე** (/ძე) > **ჯე** (/ძე) „გარეთ“ წინდებ., **ჩა** (/ცა) > **ჩა** (/ცა) „თივა“, **შე** (/სე) > **შე** (/სე) „კარი“, **აჟე** (/აზე) > **აჟე** (აზე) „ძველი“... (ლომთ. 1944, 25-28).

უნდა გაიხაზოს, რომ პოზიციური პროცესები შედარებით შეზღუდულია, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, ძირთა მარტივი შედგენილობით და, მეორე მხრივ, მდიდარი თანხმოვანთა სისტემის არსებობით (იგი, თავის მხრივ, ადრე მომხდარ პოზიციურ პროცესებთან ჩანს ზოგჯერ დაკავშირებული).

პოზიციურ ფონეტიკურ მოვლენათაგან განსაკუთრებით გავრცელებულია მახვილის ნიადაგზე (უმახვილოდ დარჩენილ) ხმოვანთა რედუქცია: **ჩგარ** („კეთება“), შდრ. აფხ. **აჩაფარა** („გაჭედვა“), **ფწა** „ულვაში“ (< აფხ. **ა-ფაწა**), **კლათ** „კალათი“, **მეს** „ქამარი“ (< აფხ. **ა-მაყა**), **მ'გჯე** „ორნი“ (< **მ'გჯა**), **ქეთ** „სოფელი“ (< **ქეთა**), **შარანრა** „ნადირობა“ (< **შარანცარა**), **მანრა** „მოტანა“ (< **მანგარა**, შდრ. **გარ** „წალემა“), **მშე** „დღე“ (განუსაზღვრელი), **აშე** „დღე“ (განსაზღვრული) და სხვ. ამ ნიადაგზე წარმოიქმნება სხვადასხვა რიგის კომპლექსები, რომლებიც ზოგჯერ მარტივდება და იწვევს ფუძეთა გაცვეთას, ან ექვემდებარება ასიმილაცია-დისიმილაციის პროცესებს, მაგ.: **ხფა** (* **ხაზა**) „სამი“, **ლაშეცარა** „დაბნელება“ (< **ლაშა** + **ცარა** „სინათლე“ + „წასვლა“), **შტა**- (წინდ. „კვალზე“) < **შათა** და მისთ.

აბაზურში საკმაოდ გავრცელებულია ორი მკვეთრი ბგერისაგან შემდგარ კომპლექსში პირველი წევრის გაფშვინვიერების ტენდენცია. ამ ნიადაგზე გვაქვს: **ცკე** (< **წკე**) „კაბა“, **ქტბუ** (< **კტბუ**) „ქათამი“ და მისთ.

ასეთი ფონეტიკური პოზიციით წარმოქმნილი პროცესის ერთგვარი გრამატიზაციაც ხდება. მაგალითად, პირის ნიშნები (I კ. **ს**, **ჰ**; II კ. **შ**) მჟღერდება მხოლოდ გარდამავალ ზმნათა მჟღერით დაწყებულ ძირეულ თანხმოვანთა (სონანტებითურთ) წინ უშუალოდ დგომისას. მაგ.: **ეგ-ზ**-მახგდტ „ვეკერავ რასმე“, **ეგ-ჰ**-მახგდტ „ვეკერავთ რასმე“, **ეგ-ჟ**-მახზგდტ „ვეკერავთ რასმე“, შდრ. იგივე ზმნა გარდაუვალ ვარიანტით **ს**-მახგდტ „ვეკერავ საერთოდ“, **ჰ**-მახგდტ „ვეკერავთ საერთოდ“, **შ**-მახგდტ „ვეკერავთ საერთოდ“. გამონაკლისია არამჟღერით დაწყებული გარდამავალი ზმნა **ჩკაზარა** „დაზანა“, რომელშიაც კ-ს წინაც ხდება პირის ნიშნის გამჟღერება – ჩგ-ზკაზატ („ვიზანავე“).

გვხვდება ცალკეული ფაქტები სონანტთა (**ლ – ნ – რ**) მონაცვლეობისა (მაგ.: **ლაშ**არა / **რაშ**არა „მარგვლა“ და სხვ.)

აბაზურში, ისევე, როგორც აფხაზურში, ფართოდ არის გავრცელებული თანხმოვანთა რედუპლიკაციის პროცესი. რედუპლიკაცია მნიშვნელოვანი საშუალებაა სიტყვათა წარმოებისა, სიმრავლე-სიხშირის, პროცესის განმეორებადობისა და ინტენსივობის გადმოსაცემად. ჩვეულებრივ გაორკეცება ხდება ზმნის ძირეული მორფემებისა, ან თითო-ოროლა შემთხვევაში სიდიდე-სიმცირის გამომხატველი მორფემებისა. ძირეულ მარცვალთა გაორკეცებისას (პირველი წევრის) ხმოვნის რედუქციის ნიადაგზე მიიღება გაორკეცებული თანხმოვანი. გაორკეცება ამ ნიადაგზე ხდება თითქმის ყველა თანხმოვნისა (**ც**-სა და ნასესხებ ფუძეებს შემოყოლილ ბგერათა გარდა), მაგ.: ადგუტ „დიდი“, დგუტ-ძმა (ძლიერ დიდი“, „დიდზე დიდი“ (< *დგუტ-ძა-ძა), ფჩ-რა „გატეხა“ ფ-ჩჩ-რა „დამსხვრევა მრავლისა“. თავისი შინაარსით განმეორებადი პროცესის გამომხატველ ზმნებს ყოველთვის არა აქვთ ასეთი წყვილები, მაგრამ, ცხადია, ამ გზით არის წარმოქმნილი გემინირებული თანხმოვნები ისეთ ძირებში, როგორიცაა: **ჯჯ**არა, „რეცხვა“, აქგრდღარა „დაჭყლეტა“ და მისთ. (ლომთ. 1940; ლომთ. 1976, 203-210).

მორფოლოგია

(ა) არსებითი სახელი

არსებითი სახელი სემანტიკურად იყოფა ორ – ადამიანთა და არა-ადამიანთა (ნივთთა) კლასად. ადამიანთა კლასში ექცევიან ადამიანები და ანთროპომორფული არსებანი (მაგ., ანგუტ „დევი“ და მისთ.), ხოლო ნივთთა კლასში – მთელი დანარჩენი ბუნება.

მორფოლოგიური ასახვა სემანტიკური კლასებისა ხდება მხოლოდით რიცხვში სახელთა კუთვნილებით ფორმებში და ზმნის ფორმებში სათანადო პირ-კლასის პრეფიქსების მეოხებით, ხოლო მრავლობით რიცხვში სახელთა კლასების გარჩევა შესაძლებელია განსხვავებული მრავლობითობის სუფიქსებით, თუმცა ყოველთვის მტკიცედ არ არის დაცული დაყოფის ხსენებული პრინციპი მრავლობითი რიცხვის აფიქსთა გამოყენებისას.

სიტყვაწარმოებითი საშუალებებით ადამიანთა და ნივთთა კლასი განსხვავებულად არის გამოხატული სახელებსა და ნაზმნარ სუბსტანტივებში.

სახელის კუთვნილებით ფორმებში და ზმნის II და III პირის ფორმებში ადამიანთა კლასში პრეფიქსებისვე საშუალებით გამოიხატება მამაკაცისა და დედაკაცის ქვეკლასები.

ზოგჯერ ცხოველებში სქესის გამოსახატავად, ლექსიკურ საშუალებათა გარდა, გამოიყენება კომპოზიტიური თხზვის წესი. ამ შემთხვევაში მეორე კომპონენტად დართულია **-ან**, **-(ა)ზა** (დაკავშირებულნი დ ე დ ი ს ა და მ ა მ ი ს ფუძეებთან) და „მდედრის“ აღმნიშველი **-ფსგ**: ჩაგ „ცხენი“ – ჩა**-ან** „ჭაკი“, ჩა**-აზა** „ულაყი“; ლა (ძალლი)“, – ლა**-ფს** „ძუ (ძალლი)“; ლა**-ზა** (< ლა-აზა) „ხვადი (ძალლი)“. მამრი ცხოველების სახელებს ზოგჯერ ერთვის აგრეთვე **-ღ** (შდრ. აბგ-ღ „ვაცი“).

რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით ერთმანეთს უპირისპირდება სახელის მხოლოდობითისა და მრავლობითის ფუძეები. მხოლოდობითის ფუძე გაუფორმებელია (ჩვეულებრივ). მრავლობითში გვხვდება სხვადასხვა სუფიქსები.

-ჩა სუფიქსი გამოიყენება მრავლობითისათვის მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა კატეგორიის სახელებში: აზა**-ჩა** „მამები“, ალა**-ჩა** „მტრები“, (ა)-კა**-ჩა** (← ა-კა-წა**-ჩა**) „კაცები, მამაკაცები“ და სხვ. ერთადერთი გამონაკლისია ა**-ფს** „ძე, ვაჟიშვილი“ სიტყვის მრავლობითის ფორმა ა-ფა**-ჩა**, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნივთთა კლასის სახელის ცხოველის შ ვ ი ლ ე ბ ი ს (და არა ოდენ „ვაჟიშვილების“) მრავლობითის ფორმის გადმოსაცემადაც.

ნივთთა კატეგორიაში მრავლობითის გამოხატავს **-ქა** სუფიქსი: წლა**-ქა**, ა-წლა**-ქა** „ხეები“, ჩა**-ქა**, ა-ჩა**-ქა** „ცხენები“... მაგრამ **-ქა** სუფიქსს ისე აქვს გაფართოებული გამოყენების არე, რომ იგი თავისუფლად ცვლის ადამიანთა კატეგორიის მრ. რ. **-ჩა** სუფიქსს. თუ ფუძის რაიმე ცვლილების შედეგად არ არის ფუძეს შეზრდილი მრ. რ. **-ჩა**, ყველგან დასაშვებია და ბუნებრივია **-ქა**: ა-კაწა**-ქა** „მამაკაცები“, საბგ**-ქა**, ა-საბგ**-ქა** „ბავშვები“ და სხვ.

აბაზურში სხვა ენიდან ამ ბოლო ხანებში შემოსული ადამიანთა კლასის ყველა სიტყვა მრ. რ.-ში მხოლოდ **-ქა** სუფიქსს დაირთავს: აგრონომ-**ქა** „აგრონომები“, ალექტიკ-**ქა** „მფრინავები“ და სხვ.

ე. წ. ნაშიერთა სახელებში ერთგვარი დაპირისპირებაა მხოლობითის ფუძესა და შემკრებლობითი მრავლობითი რიცხვის ფუძეს შორის, აღნიშნული სახელების მხოლობითის ფუძეს აწარმოებს ე. წ. დემინუტივის სუფიქსი **-ს**: აპ³**გ-ს** „ხბო“, ა-ს^გ**-ს** „ბატკანი“... ამათ რიგშივეა პატარა ჩიტის გამომხატველი სიტყვა ა-წ^რ**-ს** „ბელურა“. მრავლობითის ფუძეს ამ სიტყვებში **-ს** სუფიქსი შორდება. ფუძეში აღდგება (თუ მას ჰქონდა) **ა** ხმოვანი (რომელიც მახვილის გამო მხოლობითის ფორმაში გადასული იყო **გ** ხმოვანში) და დაერთვის **-რა** სუფიქსი: პ³**ა-რა**, ა-პ³**ა-რა** „ხბორები“, ს^ა**-რა**, ა-ს^ა**-რა** „ბატკნები“, წ^ა**-რა**, ა-წ^ა**-რა** „ბელურები“ და მისთ.

ადამიანთა შემკრებლობითის სახელში „ხალხში“ – **ტყა**, **ა-ტყა** გამოიყოფა – **შა** სუფიქსი. იგი ზემოთ განხილული **-რა** სუფიქსზე დართვით იძლევა რთულ **-რშა** სუფიქსს ადამიანთა შემკრებლობითი შინაარსის გადმოსაცემად გვარების, ხალხების და მსგავს სახელებში: ლა^ა – ლა^ა**-რშა** – „ლაუები“, ყარჩა – ყარჩა**-რშა** „ყარაჩაელები“ (პარალელურად დასაშვებია აგრეთვე აყარჩაქა), ჩკ³-გნ – ჩკ³გნ**-რშა** „ყმაწვილკაცობა“, აბა – აბა**-რშა** „მამეულნი“, „მამის სახლისანი“, ჰ³სგსა**-რშა** „ქალები“, „ახალგაზრდა ქალები“, „ქალთა კრებული“ და მისთ.

თავისებურად აწარმოებს მრავლობითს **ა-ფჰ³გს** „ქალი“. მისგან მრავლობითი რიცხვის წარმოებისას გაორკეცებულია სუფიქსური **-ს(ა)** მორფემა (წარმოშობით იგივე დემინუტივის მაწარმოებელი) და ამ ნიადაგზე ფუძის ფონეტიკური ცვლილებით წარმომდგარა **ა-ჰ³სსა // ა-ჰ³სგსა** „ქალები“ (ლომთ. 1976, 229-231). შეუძლებელი არაა უშუალოდაც მხოლობითის ფუძეზე **-ქა** სუფიქსის დართვით ახალი წარმოება მრავლობითისა **ფჰ³გს-ქა**, **ა-ფჰ³გს-ქა** „ქალები“.

ყველა ამ სხვადასხვა საშუალებით ნაწარმოებ მრავლობითის ფუძეებს ჩვეულებრივ პარალელურ სახეობად აქვს მრავლობითი რიცხვის უნივერსალურ მაწარმოებლად ქცეული **-ქა** დართული ფორმები, რაც იძლევა რთულ სუფიქსიან წარმოებებს: აბა-ჩ^ა**-ქა** „მამები“, ა-ჰ³**-ჩა-ქა** „კაცები“, ა-ჰ³**ა-რა-ქა** „ხბოები“ (მხოლობითის ფუძეზე **-ქა** მრავლობითის სუფიქსდართული წარმოებაც არ არის ამ შემთხვევებში მოულოდნელი : აპ³გს-ქა „ხბოები“), ა-ტ^ა[ა]**-შა-ქა** „ადამიანები“, „ხალხი“; ა-ჰ³სსა**-ქა** „ქალები“ და მისთ.

მრავლობითის გაგებას იძლევა ცალკეული ფუძეები: ა-ქ^ა**ლარა**, ქ^ა**ლარა** „ხალხი“, ა-რ^ა**ხ**, რ^ა**ხ³გ** „საქონელი“; აჟ^ა**ლარა** რ^ატგს „ხალხის საქმე“, არ^ა**ხ³რძგ** აჟ^აერთა „საქონლის წყლის დასალევი (ადგილი)“.

ზოგი სახელი (ჩვეულებრივ მრავალი ერთეულის შემცველი ცნების გამომხატველი **ა-** პრეფიქსის მქონე განსაზღვრულ ფორმაში დასმული იძ-

ლევა მრავლობითის გაგებას (ზმნა, თანდებულები მრავლობით რიცხვში შეეფერება), მაგ.: შხა „ფუტკარი“ – **ა-შხა** „ფუტკრები“ (ცხა ცანგუტ **ა შ ხ ა** **ა-რ-დგრედტ** „ფუტკრებმა იციან, თაფლი სადაც არის“), **აშხა** ავგწტ „ფუტკარმა (ფუტკრებმა) ყარა (ფუტკარი გამრავლდა)“, ჩან „ფაშატი“ – **ა-ჩან** „ცხენების რემა“ (**ა-ჩან რ**-ფნე დედრცატ – „რემაში გაგზავნა მან ის“), ქეთ – **ა-ქეთ** „სოფელი“: **ა-ქეთ რძე** აბლ აჭა აკენ, ფეჭარნათუამ „სოფლის წყალი („სოფელი **მ ა თ ი** – წყალი“) გველემაპმა დაიკავა (დაიჭირა) და მ ა თ არ ამღევს“, აბაზა „აბაზა“ (ადამიანი) – **აბაზა** „აბაზები“... ამ ბოლო შემთხვევაში განსაზღვრულობის **ა** (**ა-ს**) მახვილმა გადაინაცვლა ანლაუტისეულ ორბუნებოვან **ა** ხმოვანზე (ლომთ. 1976, 29, 91, 105, 120).

აქ მოყვანილ ყველა სიტყვას პარალელურად აქვს ზემოთ განხილული მრავლობითის შესაბამისი სუფიქსებით გაფორმებული წარმოება.

ბ რ უ ნ ე ბ ი ს სისტემა აბაზურს არა აქვს განვითარებული. ძირითადი სინტაქსური ბრუნვების (სახელობითის, ერგატივის, მიცემითის) ფუნქციას ასრულებს ზმნის ფორმაში ასახული სათანადო პირ-კლასის ექსპონენტები. აბაზურის გრამატიკული სტრუქტურის ბუნების მიხედვით, სხვა იბერიულ-კავკასიური ენების მსგავსად, აკუნატივი გამორიცხულია.

ჩანასახი ბრუნვების სახით გამოიყოფა ორი ფორმა: ვითარებით-გარდაქცევითი, ძირითადად **-თა** (< // **-შთა**) სუფიქსით გაფორმებული, და ინსტრუმენტალისისა, **-ლა** სუფიქსით გაფორმებული.

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ - გ ა რ დ ა ქ ც ე ე ვ ი თ ი: ფჰ³ს-**თა** დნადაბ³ტ „ცოლად ითხოვა (წაიყვანა)“, მურად-**თა** ეჩფატ „მიზნად დაისახა“ („გაკეთა“), ფხზ³-**თა** ეგბატ „სიზმრად ნახა (დაესიზმრა)!... მას საკმაო ფართო გამოყენება აქვს (ტეგს-**თა** ეზშთაზ რჰ³ატ „რა საქმეზედაც იყვნენ, თქვეს“, ...ს ა ქ მ ე დ, რასაც მისდევენ, თქვეს“) განსაკუთრებით ვითარებით ზმნისართთა და აბსოლუტივის წარმოებისას (იხ. აქვე, გვ. 307-311).

ხალხური შემოქმედების ენაში შეზღუდულად, სიტყვათა მცირე ჯგუფში, ამავე ფუნქციით დასტურდება სუფიქსი **-ს**: ზაჟ³ კენჰარგუ³ აფ³ა-**ს** დტემგენ³ „სიტყვა არა-მტკიცე [კაცს] ზედმიწევნით „სიტყვა-გახვრეტილს“) მ ე გ ო ბ რ ა დ ნ უ დაიჭერ! (ნუ დაუმეგობრდები!)“.

ეგვეე სუფიქსი სიტყვათწარმოებითი ფუნქციით შემორჩენია ორი სახელის ფუძეს: ჩა-**ს** „საქმელი“ ჩა-რა „ჭამა“ ზმნისაგან (შდრ. ძვ. ქართ. „ჭამადი“ და ტეგ-**ს** „საქმე“ „აუგ-რა“ ისტორიულად „ქმნა“ ზმნისაგან (შდრ. ძვ. ქართ. „ქმნადი“).

ი ნ ს ტ რ უ მ ე ნ ტ ა ლ ი ს ი: აფხაზური სახელისაგან განსხვავებით აბაზურში ინსტრუმენტალისის **-ლა** სახელს ერთვის აგლუტინაციური წესით: კ³ალა-**ლა** „ნაჯახით“, კ³ალა-ქ³ა-კ-**ლა**, ა-კ³ა-ლ-ქ³ა-**ლა** „ნაჯახებით“. მას ძალზე ფართო გამოყენება აქვს ენაში სხვადასხვა ნიუანსებით: აქ³ჯამა ზაყარ³ ატერჩალა³გ³ედ აზნალა³ ფჰშ³ედტ „მგელს რამდენიც გინდ აჭამო,

[მაინც] ტყეში (ტყით) იყურება“, აკემ^ა-**ლა** აჭაკვლღერმ^ა თებტ „მან გარეთ გამოაგდო ის (რაც) სარკმლით“ და სხვ. განსაკუთრებით დიდი გამოყენება აქვს **-ლა** სუფიქსს ზმნისართთა წარმოებაში (იხ. აქვე, გვ. 319).

ეგვე ელემენტი ინსტრუმენტალისის ფუნქციით მონაწილეობს ზმნის უღვლილების ფორმაშიც, მაგრამ ზმნაში იგი არქაული გაფორმების წესით დაირთავს კუთვნილების ექსპონენტებს. როცა იგი ზმნური კომპლექსით არის გამოხატული, მაშინ სახელი გაუფორმებელია, შდრ. ერთი მხრივ, აბარგ[ა]-**ლა** ს-ტგ^ალაშ^აახ^ა („ა მ ი თ მომიგონებ“) და, მეორე მხრივ, აბარგ^ა ს-**ლა**-ა^ატგ^ალაშ^აახ^ა „ეს მე-**მით**-მომიგონებ“ და მისთ.

ნათესაობითი ბრუნვის უქონლობა აბაზურში ანაზღაურებულია ნაცვალსახელოვანი კუთვნილებითი პრეფიქსებით, რომლებიც პრეპოზიციულად მიერთვის საზღვრული სახელის ფუძეს და აღნიშნავს მსაზღვრელის პირ-კლასს, რიცხვს. ეს პრეფიქსებია: I პ. მხ. რ. **ს-//სგ-**, II პ. მხ. რ. მამრ. **ტ-//ტგ-**, მდედრ. **ზ-//ზგ-**, III პ. მხ. რ. მამრ. **ა-//აგ-**, მდედრ. **ლ-//ლგ-**, ნივთთა კატეგ. **ა-**; I პ. მრ. რ. **ჰ-//ჰგ-**, იშვიათად // **ჰა-**, II პ. მრ. რ. – **შ-//შგ-**; III პ. მრ. რ. – **რ-//რგ-**. პრეფიქსთა ხმოვნისანი ვარიანტები მაშინ გამოიყენება, როცა სიტყვის განსაზღვრულ ფორმაში მახვილი თავკიდურად მოუღდის ფუძეს (ან, იშვიათად, მრავალთანხმოვნისანი ფუძეა).

| | | | | |
|-----|-------------|----------------------|---------------|-------------------|
| I | ა-ჩგ | „ცხენი“ (განსაზღვრ.) | ა-წლა | „ხე“ (განსაზღვრ.) |
| | ს-ჩგ | „ჩემი ცხენი“ | სგ-წლა | „ჩემი ხე“ |
| II | ტ-ჩგ | „შენი (მ.) ცხენი“ | ტგ-წლა | „შენი (მ.) ხე“ |
| | ზ-ჩგ | „შენი (ქ.) ცხენი“ | ზგ-წლა | „შენი (ქ.) ხე“ |
| III | ა-ჩგ | „მისი (მ.) ცხენი“ | აგ-წლა | „მისი (მ.) ხე“ |
| | ლ-ჩგ | „მისი (ქ.) ცხენი“ | ლგ-წლა | „მისი (ქ.) ხე“ |
| | ა-ჩგ | „მისი (ნ.) ცხენი“ | აგ-წლა | „მისი (ნ.) ხე“ |

და მისთ.

თუ სიტყვის ფუძე **ა** ხმოვნით იწყება, აღნიშულ პრეფიქსებს **გ** ხმოვანი არცერთ ვითარებაში არ ახლავს: **ს-აბა** „ჩემი მამა“, **ა-აბა** „მისი (მ.) მამა“ და ა. შ.

კუთვნილებითს ფორმებს ჩვეულებრივ წინ მიუძღვის მსაზღვრელი ნაცვალსახელები, გავრცობილი ან გაუვრცობელი სახით, ან სათანადო სახელი: **სარა** // **სა ს-ჩგ** „მე ჩემი-ცხენი“, **ლარა** // **ლა ლგ-წლა** „ის (ქ.) მისი-ხე“... აჩკ^აგ^ან **ა-ჩგ** „ყმაწვილი მისი-ცხენები“ და მისთ.

კუთვნილებით-მიმართებითი შინაარსის გამოსახატავად მსაზღვრელის პირ-კლასისა და რიცხვის განურჩევლად გამოიყენება **ზ-//ზგ-** მიმართებითი პრეფიქსი, მაგრამ იგი დამოუკიდებლად არსებული სახელის ფორმად არ გვხვდება, დაკავშირებული გამოდის ზმნის ინფინიტურ

წარმოებასთან: კარათა **ზ**-ბჟგ გატ... „შორით რომლისაც - ხმა ისმის“ და მისთ.

სახელი აბაზურში წმინდა ფუძით გვევლინება ნომინაციის ფუნქციით, განზოგადებულად, განუსაზღვრელად. აფხაზურისაგან განსხვავებით ეს არის მისი სალექსიკონო ფორმაც: ჩაგ „ცხენი“, კაწა „კაცი“, კამბგშ „კამეჩი“, ნაპგ „ხელი“.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ო ბ ა ს გამოხატავს **ა**- პრეფიქსი. იგივე სახელები კონკრეტული, განსაზღვრული შინაარსით არის: **ა**-ჩაგ, **ა**-კაწა, **ა**-კამბგშ, **ა**-ნაპგ.

საკუთარი სახელები ჩვეულებრივ არ საჭირობენ **ა**- პრეფიქსს, მაგრამ გვარის სახელები განმეორებით დასახელებისა თუ მიმართვის ფორმაში (და ზოგი სახელწოდება ადგილისა, გემისა, მანქანისა და მისთ.) დაირთავენ განსაზღვრულობის **ა**- პრეფიქსს: ჯანდარ (გვარია) – აფ, **ა**-ჯანდარ! „ჰეი, ჯანდარო!“ (თაბულ. 1976, 44-45).

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ო ბ ი ს გამოსახატავად სახელის ფუძიდან ნაწარმოები ზმნური მიმდებარეობის (სხვადასხვა დროში) არის გამოყენებული: ართ აჟაჟა რგმთახ **ფ**-ჯამბაქ - ხგუ - **ზ** ძაგ - გდ მკწზზნ ზგნლ დჰამტჟატ (თაბულ. 1976, 45) ამ სიტყვათა შემდეგ **ჯ** ა მ ბ ა ქ ი (ზედმიწვნით: „ის-რომელიც-ჯამბაქი-ხდებოდა“) სწრაფად წამოხტა ზეზე“. ასეთი წარმოება ფართოდ არის გავრცელებული აზნარულ დიალექტში, რომელშიაც მათ დამატებით იგივე განსაზღვრულობის **ა**- პრეფიქსიც შეიძლება დაერთოს ხოლმე: უარა ჰაფზა, აკაბჟგ, ამცა ჰაზგყაწა!...“ **ა** - **ა** ბ ჟ გ - **ზ** ამცაგ გ ყგმწან დადტალოპ „შენ ჩვენო უმცროსო, ქეციანი - ნო (განსაზღვრ. ფ.), ცეცხლი დაგვინთე!... ქეციანი - ანმა (ზედმიწვნით: ქეციანი – რომ / რომელიც – იყო) ცეცხლი დაანთო და მიუჯდა (მიმჯდარია)“ (ლომთ. 1954, 52-56).

ა- პრეფიქსიან განსაზღვრულ ფორმებს აბაზურში ფართო გამოყენება აქვს და ხშირად სახელის **ა**- პრეფიქსიანი ფუძე გარკვეული ნიუანსის მქონეც ხდება. კერძოდ, **ა**ჩან, **ა**შხა და მსგავს სიტყვებში სათანადო ფუძეები მრავლობითის გაგებით იხმარებიან.

გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ო ბ ი ს შინაარსის გამოსახატავად აბაზური იყენებს **კ** სუფიქს-ნაწილაკს, რომელიც უკავშირდება „ერთი“ რიცხვითი სახელის (ზაკგ) ფუძეს და დაერთვის სუფიქსად სიტყვის სალექსიკონო ფორმას: ნაპგ-**კ** „(რომელიც, ერთი) ხელი“, კაწა-**კ** „კაცი (რომელიც, ერთი)“... ერთვის მრავლობით რიცხვის ფუძესაც: ნაპ-**ქ**-**კ** „ხელები (რომელიც)“... მრავლობით რიცხვში ადამიანთა კატეგორიაში **კ** ხშირად ერთვის ორმაგი სუფიქსაციის (ადამიანთა კატეგორიისა და ამჟამად განზოგადებული **ქ**-**ა** მაწარმოებლის) მქონე ფუძეს: კა-**ჩ**-**ა**-**ქ**-**კ** „კაცები (რომე-

ლიდაც)“, ჩკ²ენ-ჩ²ა-ქ²ა-კ² „ყმაწვილები (რომელიდაც)“, ზენზამანკ ადმ-ჩ²ა-ქ²ა-კ² ზნაზუნ „ოდესდაც (ერთხელ) ვიდაც ძმები ცხოვრობდნენ“.

კ სუფიქს-ნაწილაკი შეიძლება განსაზღვრულობის **ა**- პრეფიქსის შემცველი სახელის ფუძესაც ერთვოდეს. მაშინ მას უკვე მხოლოდ „ერთი“ რიცხვითი სახელის გადმოცემა აკისრია: ა-წლა-კ² „(ის, ცნობილი) ერთი ხე“.

ადამიანის აღმნიშვნელ სახელებში განუსაზღვრელი შინაარსის („ვინმე“-ს) გაგებას იძლევა სახელის ფუძეზე **-ჰა** ნაწილაკის (რომელიც „თქმა“ ზმნის ძირს წარმოადგენს) დართვა: ხ²აჯა-ჰა დაჰან „იყო ვინმე (ერთი) მოლა“.

თანდებულები ძირითადად გადმოგვცემს ადგილს, სივრცეში მიმართულებას, გარკვეულ პუნქტამდე მიღწევას, დროს (სათანადო ლექსიკურ ერთეულებთან), გამომდინარეობას, მიზეზს, მიზანს...

თუმცა თანდებულის როლში შეიძლება ხშირად სხვადასხვა სახელთან ზმნური წარმოების ფუძეები მოგვევლინოს და ამდენადვე მათი რაოდენობის განსაზღვრა ჭირს, მაგრამ სახელებში თანდებულების გამოყენება მაინც შეზღუდულად უნდა მივიჩნიოთ იმის გამო, რომ ზმნაში შესაბამისი ლოკალური პრევერბების საშუალებით გამოხატულია ადგილი და მიმართულება (იხ. ქვემოთ). ასევე ზმნაშივეა ასახული მიზანი, დანიშნულება (იხ. ქვემოთ).

ზოგი თანდებული ნაწილაკის სახით სახელს დაერთვის ბოლოს უშუალოდ: **-მა** „-მდე“ – აშ²-მა „კარამდე“, ბეჟ-სეჟ²შა-მა შვიდ წლამდე“, **-და//დაჟა** „უქონლობა“ – ბმ²-და „უძვლო“, **ჰ²შ²ა-და** „ურქო“, **-და//დაჟა** „უქონლობა“ – ბმ²გ-და „უძვლო“, **ჰ²შ²ა-და** „ურქო“, ჩ²ემლ-დაჟა „უკიზოდ“... ამ ფორმებს ჩვეულებრივ ზმნისართული შინაარსი ეგუება.

თანდებულები უმეტესად კუთვნილებითი პრეფიქსების მეშვეობით ერთვის სახელებს.

ყველაზე უფრო გავრცელებული და განზოგადებული თანდებულია **-ფნგ**, რომლის ფუნქციაა გადმოსცეს „-თან“, „-ში“, „-ზე“, „-კენ“... აკ²ადგ²ა-ფნგ „ეზოში“, აბნა ა-ფნგ (> აბნა-ფნგ) „ტყეში“, ასაჰათ აჟ²გმ² ა-ფნგ „თორმეტ საათზე“, დცახტ დფჰ²გ²ს ლ-ფნგ „წავიდა თავის ცოლთან“, აწლაქა რ-ფნგ „ხეებთან“, და სხვ. დამატებით, სხვა ადგილის (ან დროის) გამოხატველ თანდებულებსაც შეიძლება დაერთოს **-ფნგ** თანდებული.

იგი გასუბსტანტივებული სახითაც გვევლინება და გამოხატავს (თავის) სახლს, კარ-მიდამოს (ქართ. „შინ“): აქეთ აჰ დჟა რადმა რ-ფნგ დცახგ²ნ, რ-ფნგ აჰ²ატ „სოფლის მთავრის ვაჟიშვილი პირდაპირ შინ (თავიანთ შინ, სახლში) წავიდა, შინ თქვა“, ათაჟ-ჩკ²ენ ლ-ფნგ აძ² დშაფამაზ რდგრტ „დედაბრის სახლში (დედაბრისას) ვიდაც რომ იყო, გაიგეს“.

-ფნგ თანდებულს შესაძლოა დაერთოს იგივე ინსტრუმენტალისის **-ლა** სუფიქსიც: აპ ო ფ ნ გ **-ლა** დჯ⁰გ⁰გლტ „მთავართან (მთავრისაკენ) გაემართა“.

რაიმე ზღვრის მიღწევის გამოსახატავად შეიძლება **-ფნგ** თანდებულს დაერთოს ზემოხსენებულ **ი-მა** თანდებული: მცაჟაპ³არა **ა-ფნგ-მა** „წელამდე“ („წელთან-მდე“).

საკმაო რაოდენობით გვხვდება აბაზურში ზმნისართ-თანდებულები:

- წ ა ხ[~] „ქვეშ“ – აძგ[~]წ ა ხ[~] „წყლის ქვეშ“
- ჯ ა ხ[~] „ზემოთ“ – აჩ[~]ართაღ[~]გ ა-ჯ ა ხ[~] „საწოლის ზემოთ“
- შ თ ა ხ[~] „უკან“ – ათძგ[~]შ თ ა ხ[~] „სახლის უკან“
- (ა) - მ შ თ ა ხ[~] „შემდეგ“ – აფშა[~]ს-მ შ თ ა ხ[~] აქ[~]ა შ[~]ლაგატ „ქარის შემდეგ წვიმა დაიწყო“
- (ა) - ფ ა ხ[~] „წინ“ – აშ[~]ქ[~]არ - ფ ა ხ[~] „კარების წინ“...

აქ განხილული ადგილის გამომხატველი თანდებულების ფუძე შეიცავს გაქვავებულ ადგილის მიმართულების **-(ა)ხ[~]** მორფემას. მათვე შეიძლება დაერთოს მიმართულების გამოხატვის გაძლიერების მიზნით იგივე **-ლა**.

თვით ეს **ახ[~]** მიმართულების გამომხატველი **-ლა** ელემენტის დართვით და ხშირად **-კ[~]ა**-თი გართულებულიც დამოუკიდებელ ზმნისართ-თანდებულადაც გამოდის: ს მ შ[~] ა ა ხ[~] გ[~] ლ ა „გზისკენით“, აჩ[~]კ[~]ენჩ[~]ა **რ-ა-ხ[~]გ-ლა** „ყმაწვილებისაკენ“, აჩ[~]კ[~]ენ **ი-ახ[~]კ[~]გლა** „ყმაწვილისაკენ“, „ყმაწვილის მხარეს“...

- ძ კ[~] ა „გვერდით“, „-თან“ – ათაშ[~] ლ გ - ძ კ[~] ა „დედაბრის გვერდით“...
- შ ა პ გ „ძირს“, „ფერხთით“: მჰამათ აწლა დჯაჟ[~]ა, აქ[~]გჯმა აწლა
ა - შ ა პ გ ოქწაჟ[~]ა... „მჰამათი ხეზე ჯდომით, მგელი ხის ძირს (გეხთან) ჯდომით“...
- წ გ[~] ა „უკან(იდან)“, „ბოლოს“: ზემშ[~]არ - წ გ[~] ა ჰ[~]გსინ დჰმაჩ[~]აქ[~]ატ „ყველაზე ბოლოს ჰუსინმა ილაპარაკა“
- ბ ჟ[~] არ ა „შორის“, ლაჩ[~]გ[~] ლაგ[~]გ[~] რ - ბ ჟ[~] არ ა დბზახტ „თვალის დახამხამებაში გაქრა“ (ზედმიწ.: „ქუთუთოსა და თვალის გუგას შორის დაიკარგა“)
- გ[~] ა გ[~] არ ა „ირგვლივ“: აბადგ[~]ე ო - გ[~] ა გ[~] არ ა დნაშ[~]-შ[~]თან „თავისი პაპის ირგვლივ მიმორბოდა“
- უ[~] ა წ ა „შიგნით“: „განმავლობაში“: ათძგ[~] ა - უ[~] ა წ ა „სახლის შიგნით“, აქგ[~]თ ა-უ[~]აწა „სოფლის შუა(გულ)ში, არგ[~]მ აცესგ[~]შა[~] რ - უ[~] ა წ ა „ამ ექვსი წლის განმავლობაში“
- ო - ს რ გ[~] ა ნ „ახლოს“: აქგ[~]თ ს რ გ[~] ა ნ „სოფლის ახლოს“, აჩ[~]კ[~]ენ ო - ს რ გ[~] ა ნ ოგ[~]ლან „იდგენენ ყმაწვილის ახლოს“

- თ ა რ ა „ადგილას“, „ნაცვლად“: ს მ ღ ა - თ ა რ ა მღე ჭადგბგდტ „ეკ-
ლის ადგილას ეკალი ამოდის“
- ც გ ნ ხ ო „ნაცვლად“, „მაგიერ“: აჩკუნ დ - ც გ ნ ხ ო გ „ყმაწვილის მაგი-
ერ“
- ჯ ა ზ „თვის“: ატგდ ს - ჯ ა ზ ტუმნაშხგდახან! „ამის გამო (ამისთვის)
ნუ დადარდიანდები!“ ავრგჭ ფა აჩრგნ დ გ - ჯ ა ზ, ავძგ
დგზჩგრგნგუტ დ გ ჯ ა ზ, - დჰგდტ აზადა „მდიდარი ამბობს:
ჩენჩო – მსახურს (მსახურისთვის), ხოლო მარცვალი მსახუ-
რის პატრონს (მსახურის პატრონისთვის)“
- ჯ ყ ა ჭ ო ლ ა „გამო“, „გამოისობით“: უარს უ - ჯ ყ ა ჭ ო ლ ა „შენ
გამო, შენი მიზეზით“
- ნ გ ს ლ ა „(გულის)თვის“: აფჰგ ს ლ - ნ გ ს ლ ა „ქალის გულის-
თვის“
- ს ლ ა ლ ა „შედარებით“: ატათ რ - ს ლ ა ლ ა ჰარა ჰემჩემჰკაპ „მათ-
თან შედარებით ჩვენ ძლიერნი ვართ“ და სხვ.

(ბ) ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი თავისი ფორმის მხრივ ძირითადად არ გან-
სხვავდება არსებითი სახელისაგან (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგ
არატიპურსა და შეზღუდულ წარმოებას).

ზედსართავი სახელი თავისი სემანტიკის (თვისების აღნიშვნა)
გარდა ცალკე გამოიყოფა ადგილმდებარეობისა და გარკვეულ ფუძეებთან
შეწყობის მიხედვით.

ატრიბუტული ზედსართავი სახელი დაისმის იმ არსებითი სახელის
შემდეგ, რომლის თვისებასაც ის გამოხატავს. ამავე დროს ამ შენაერთში
ცალკეულად არც არსებით სახელს და არც ზედსართავს თავისი დამოუ-
კიდებელი ფორმა არა აქვს. ისინი გაფორმებულია ერთიანად შესაბამისი
მორფემებით. ამ ნიადაგზე წარმოიქმნება კომპოზიტური ერთეული: თუ
ფორმაში პრეფიქსული მორფემაა დართული, იგი მოუვა არსებით სახელს
(რომელიც პირველ ადგილას დგას), ხოლო თუ სუფიქსური მორფემაა და-
რთული, იგი მოუვა ზედსართავ სახელს (რომელიც ბოლოს არის დასმუ-
ლი: ჩე ბზგდ (განუსაზღვრ.) „ცხენი კარგი, ა-ჩე ბზგდ (განსაზღვრ.) „ცხენი
კარგი“, ჩე ბზგდ-კ „ცხენი კარგი რომელიდაც“, ჩე ბზგდ-თა „კარგ ცხენად“
(„ცხენ-კარგად“), ჩე **ბზგ-დ-ქა** „კარგი ცხენები“ („ცხენ-კარგები“).

ასეთი შენაერთის ერთადერთი თავისებურება მრავლობით რიცხვში
შეიძლება გამოჩნდეს (პარალელურ სახეობად), თუ სახელს მრავლობითის
საწარმოებლად მოუდის სუფიქსები **-ჩა, -რა, -რმა**, ან აქვს თავისებური
ფუძეები, შენაერთის მრავლობით რიცხვში ბოლოს დასმული ზედსართა-
ვის ფუძეს დართული **-ქა** მრავლობითობის სუფიქსის გარდა შერჩება ეს

თავისებურად გაფორმებული მრავლობითის ფუძე: ა კ ს ს ა ბ ზ გ ძ ქ ა „კარგი ქალები“ („ქალები-კარგები“), ა ს რ ა ჩ კ ე ნ ქ ა „პატარა ბატონები“ (ბატონები-პატარები“) და მისთ.

ატრიბუტული მსაზღვრელი ერთდროულად შეიძლება რამდენიმე ერთვოდეს სახელს. ამ შემთხვევაშიაც ერთნაირად გაფორმებული რთული ატრიბუტული შენაერთის ფუძე წარმოიქმნება და აფიქსებიც ერთიანად დაერთვება: ა-თგმ-ჭკვც დგუ-ქა „ახალი დიდი სახლები“ (სახლ-ახალ-დიდები“).

ატრიბუტულ მსაზღვრელთაგან პრეპოზიციული მდგომარეობა აქვს „მარჯვენას“ **აღმა** და „მარცხენას“ **არმა**. შექცეული თანამიმდევრობის გარდა გაფორმების მხრივ ისინი არაფრით გამოირჩევიან ზემოთ განხილული ტიპისაგან. აქაც პრეფიქსული მორფემები თავკიდურა წვერს მიერთვის, ხოლო სუფიქსური – ბოლოს მოქცეულს: **არმა** შაპტ „მარცხენა ფეხი“, **ლ-არმა** შაპტ „მისი (ქ.) მარცხენა ფეხი“, **ლ-არმა** შაპტ-**ლა** „მისი (თავისი) მარცხენა ფეხით“, **რ-არმა** შაპტქა „მათი მარცხენა ფეხები“ და მისთ. თვით ამ სიტყვათა ფუძეები ატრიბუტული შენაერთის აგებულებისა ჩანს, მათი ბოლო **-მა** მორფემა „ხელის“ აღმნიშვნელია (გენკო 1955, 127. თარგმანი არეულია! შდრ. ლომთ. 1976, 26-27).

ზედსართავი სახელი, ისევე როგორც არსებითი სახელიც, იღებს ზმნის ფორმასაც (მარტივი ფუძით სტატიკურისას) – **ა-ზზეა-პ** „კარგია“ (ნივთი), **დ-ზზეა-პ** „კარგია“ (ადამ.), მაგრამ ატრიბუტულ შენაერთში იგი არსებით სახელთან ერთიან პრედიკატულ შენაერთს ქმნის: **დაწა-ზზეაპ** „კარგი კაცია“.

ზემოთ განხილული ატრიბუტული ზედსართავიანი შენაერთებისაგან განლაგების მიხედვით არსებითად განსხვავება ე. წ. მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ა ნ ი შენაერთი. ამ შემთხვევაში პირველ ადგილზე დგას მსაზღვრელი (რომლის როლშიაც შეიძლება გამოდიოდეს მეტყველების სხვადასხვა ნაწილი), ხოლო მომდევნოზე – არსებითი სახელი.

აქ პირველ რიგში უნდა განვიხილოთ ჩვეულებრივი კუთვნილებითი შინაარსის გამომხატველი შესიტყვება. აღნიშნულ სინტაგმურ შენაერთში საზღვრულის კუთვნილების ამსახველი პირ-კლასისა და რიცხვის ექსპონენტები შეწყობილია წინამავალ მსაზღვრელთან: ავაწა **ა-ვგლფა** „მამაკაცის ქუდი“ („მამაკაცი მისი ქუდი“), აფჰკს **ლგ-კას** „ქალის თავსაფარი“ (ქალი მისი-თავსაფარი“) და სხვ.

ამგვარი გაფორმებისაგან განსხვავებულია ფართოდ გავრცელებული (მსაზღვრელი) არსებითი სახელის შემცველი შენაერთი, რომელშიაც სახელები წმინდა ფუძით, ყოველგვარი კუთვნილებითი თუ სხვა მაწარმოებელი ელემენტების გარეშე გვევლინება: ჰპწთმგ „ქვის სახლი“ („ქვა-სახლი“), რეზნა ჰგლფა „ვერცხლის ქუდი“ (ვერცხლი-ქუდი“), ყაზან

ვჭლვა „კაზაკის ქული“ („კაზაკ-ქული“), ფჰჰგსფა ბრა „ქალიშვილის ნაწნავი“ („ქალიშვილ-ნაწნავი“), აჩა ფრგჰ „ცხენის ფაფარი“ („ცხენ-ფაფარი“), ლა ჩა „ძაღლის ტყავი“ („ძაღლ-ტყავი“), ღენ ჩჰჰჭა „ზამთრის ტანსაცმელი“, ფხენ მშ:გ „ზაფხულის დღე“ (ფხენ მშგკ სქშგკ უარჩგდტ „ზაფხულის ერთი დღე მთელ წელიწადს გარჩენს, გამოგკვებავს“), გჰგლა ფჰჰგს „მეზობელი ქალი“ და მისთ. ეს წარმოებაც ერთიანი საერთო გაფორმების მქონეა.

ამ ტიპს მისდევს ხალხების აღმნიშვნელი სახელის ფუძეებიც მსაზღვრელის ფუნქციით: აბაზა ბეზშჰ „აბაზური ენა“ (აბაზა ენა“), ქგრჯჰ კა-წა „ქართველი კაცი“, ურგჰჰ ფჰჰგს „რუსი ქალი“ და მისთ.

ამათ რიცხვში უნდა განვიხილოთ ჰჰჰჰ „სუნ“ სიტყვასთან დაკავშირებით თითქოს ატრიბუტული მსაზღვრელის განლაგების მიხედვით ანომალიური შემთხვევა: ბჰა ჰჰჰჰ „დამპალი სუნი“ და ჰჰჰჰა ჰჰჰჰ „მჟავე სუნი“, შდრ. იქვე ჰჰა ბჰა „ვაშლი დამპალი“, კამბგსთა ჰჰჰჰა „კომბოსტოს მჟავე“ (შდრ. თაბულ. 1976, გვ. 69).

ამ შემთხვევაშიაც ბჰჰჰჰ დაჰჰ ჰჰჰჰა მსაზღვრელთა „ჰჰჰჰ“-ს („სუნის“) წინ დასმა გამოწვეულია იმით, რომ ისინი გათანაბრებულნი არიან არსებით სახელებთან (ზედსართავის შინაარსით) და უნდა განიმარტებოდნენ როგორც „დამპალის სუნი“. მჟავის, დამჟავებულის სუნი“, ისევე როგორც ეს გვაქვს არსებით სახელიან მსაზღვრელებთან: აშჰ ჰჰჰჰ „ყველის სუნი“ („ყველ-სუნი“), ყჰან ჰჰჰჰ „კამის სუნი“ („კამა-სუნი“) და მისთ.

აბაზურ ენაში რუსულიდან შესულ ამ რიგის სინტაგმებში ჩვეულებრივ ზედსართავის მაწარმოებელი ჩამოშორებულია და თვით სახელი მხოლოდ მარტივი ფუძითაა. ამავე დროს, თუ აბაზურში ზოგჯერ ანალოგიურ შემთხვევაში დაცულ იქნა კიდევ რუსული ზედსართავის მაწარმოებელი ფუძეები, ისინი სქესის განურჩევლად იღებენ ...ска, ...ическа, ...на, ...овна დაბოლოებებს.

მიმართებითი ზედსართავეები დროის ზმნისართთაგან შეიძლება ნაწარმოები იყოს რთული -ჰჰჰჰ („განკუთვნილობის“) სუფიქსის საშუალებით, რომელიც დაისმის საზღვრული სახელის წინ: დაცგ „გუშინ“ – დაცჰჰჰჰ მშ:გ „გუშინდელი დღე“, წგფხ „შარშან“ – წგფხჰჰჰჰ გჰამ „შარშანდელი ხორბალი“ და მისთ. თუმცა მათ გარკვეული ხელოვნურობის ბეჭედი აზის. უფრო ბუნებრივია აქაც წგფხ გჰამ და მისთ.

ადგილმდებარეობის მხრივ ამ ტიპის ზედსართავის როლში გვევლინება სხვადასხვა სახის მიმღეობებიც (ზმნის ინფინიტური ფორმები), მაგ.: დ - შტგ - უ აჰჰჰჰჰ „ძირს მდებარე (რომელიც ძირსაა) ქვა“, დთაბაზ აძგ „დამშრალი წყალი“, ძჰჰჰჰა აჯაწა „მოცეკვავე მამაკაცი“ და მისთ.

ხარისხის წარმოება. შედარებითი თუ აღმატებითი ხარისხის გამოხატვა შესაძლებელია ატრიბუტულ მსაზღვრელთა ფუძეებისაგან.

აბაზურში, ისევე როგორც აფხაზურში, თვისების აღმნიშვნელ სახელთა წყებაში, რომელთა ძირებია -წა-, -ჰა-, -ღ-, -ფშა-..., ფუძის საწარმოებლად, შედარების ფუნქციით, გამოყენებულია საურთიერთო **აფ** > **ა**-პრეფიქსი. ასე გართულებული ფუძეები (მაგ., აჰა „უფროსი“, აფშა „უმცროსი“, აფშე „მსგავსი“...) შედარებითი ხარისხის წარმოებისას ზმნის ფორმით წარმოგვიდგებიან. პრეფიქსებად წინ მიერთვის სუბიექტის D-ს რიგის მაჩვენებლები, ხოლო მომდევნოდ კუთვნილებითი პრეფიქსები შესადარებელი პირისა (L-ს რიგი): ატნაშა აფნგ ასაბრ ზემშა დ-რ-ა-ჰაჰა „ოჯახში ბავშვი ყველაზე უფროსია“ („იგი-მათ-შედარებით-მეტია“), ატდგრუა ამშა ე ატა ატმდგრუა ამშა რაშა ა-[ა]-აღჰ „ნაცნობი ოღრო-ჩოღრო (მოხრილი) გზა უცნობ სწორ გზაზე უკეთესია“ („იმასთან-შედარებით-უკეთესია“), ააშა, ტარა ს-ტ-აფ-ჩ-ტმა სა?! „როგორ (რატომ), მე შენზე უარესი ვარ?!“

ამ რიგის წარმოებები უნდა ჩაითვალოს ტიპურად. ამის გვერდით წარმოქმნილია აღწერითი წარმოებები, რომლებშიაც შედარებისას გამოიყენება ზმნისართად ქცეული იგივე ძირები, III პირის მრ. რიცხვის ფორმაში გაქვავებული: რე წა, რა ჰა: რა ჰა ადღუ ზ „რაც უფრო დიდი იყო“, ბარ რა ჰაგე ბჰაჰაჰემტ! „შენ უფრო ოსტატი ყოფილხარ განა!“ ამ შემთხვევაში შედარების გასახაზავად შესადარებელ სიტყვას ჩვეულებრივ მოსდევს შესაბამისი კუთვნილების პრეფიქსდართული ა ც კ გ ს // ა წ კ გ ს // ა წ კ გ ხ „ნაცვლად“, „შედარებით“, ხოლო ზედსართავისაგან ნაწარმოებ ზმნას ახლავს სათანადო პირ-კლასის ნიშნები: აქტუ ა წ კ გ ს აქტაღ რეწა ა ან გ ე ბ ზ გ ღ ა ხ ა ტ ა გ ე შანშეგტ „ქათამზე უფრო კვერცხი რომ ჰკვიანი გამოდის, (ისეც) ხდება“, ტაჰჰეგ აჰამაჰლ აბგა ა წ კ გ ს ტაჰჰეგ აჰამაჰლ ბჰა რ გ წ ა ა ღ ჰ „ხვალინდელ მთელ კვერზე უფრო უკეთესია დღევანდელი ნახევარი კვერი“, დჰაჰეგა აუათ რ ა წ კ გ ს რ გ წ ა ბ ზ გ ე თ ა არაჰა აჰტრთაქა ზ დ გ რ ტ ა ზ? „ამათზე უფრო კარგად აქაური საძოვრები ვინ იცოდა?“ ადღუნეე ადღუ შქტთუ რ ა წ კ გ ხ დღეშმაჰ ტჰარ მცგ გტუჰარემ (ლომთ. 1944, ტექს. გვ. 15)“... ქვეყანაზე რაც არსებობს, ყველაზე უფრო ლამაზიაო რომ თქვა, ტყუილს არ იტყვი“.

შეიძლება მართო ა ც კ გ ს // ა წ კ გ ს საკმარისი აღმოჩნდეს ზედსართავ სახელთან შეხამებული: ტარა ტ ა ც კ გ ს გ ე ბ ზ გ ღ ე დ ჰ ა მ ღ ა ჩ გ ე აბნა შგრქა აგრგლამ „ტყის მხეცებში შენზე ჰკვიანი და ეშმაკი არ იმყოფება (არ ურევია)“.

ანდაზების ენაში ამ რიგის წარმოებებში ხშირად გამოტოვებულია პრედიკატი (ატრიბუტული ზედსართავისაგან ნაწარმოები): ა ყ გ ღ ჰ კ ა წ კ გ ს შაყგლჰ „ერთ ჰკუას ორი ჰკუა სჯობია“ („ერთი ჰკუის ნაცვლად ორი ჰკუა“). გამოტოვებულია ზმნა ადჰ „სჯობია“.

ატრიბუტული მსაზღვრელის აღმატებითი ხარისხის გამოსახატავად გამოიყენება ინტენსივობის **-ძა**: აჰბა-**ძა** „სულ უფროსი“, აფზა-**ძა** „სულ უმცროსი“.

თვისების უფრო გაძლიერებით გამოხატვისათვის გვხვდება ეს **-ძა** გაორკეცებული **-ძძა**-ს სახითაც. იგი ჩვეულებრივია დგუ („დიდი“), ბზგდ („კარგი“) და მსგავს სიტყვათა ძირებზე დართული: დგუ**ძძა** „სულ დიდი“, დიდზე დიდი“, ბზგდ**ძძა** „უკარგესი“, „კარგზე კარგი“.

ამა თუ იმ თვისების გახაზვისათვის ენა ხშირად მიმართავს ზედსართავი სახელის ფუძის გაორკეცებას, ან ზედსართავის ფუძეზე ამა თუ იმ ელემენტების (წარმოშობით ცალკე სიტყვათა ფუძეების) დართვას. „თეთრს“, მაგალითად, შეიძლება დაერთოს -სგზ: შკოკჳა სგზ - „ას შკოკჳასშ[თა ათძაქქა რფნგ დკკგდტ „თოვლი თეთრ-სპეტაკი (თეთრ-სპეტაკად, თეთრ-გაპენტილად) სახლის სახურავებზე ბზინავს (ანათებს)“. „შავს“ დაერთვის -ვგნდ: ქადჳავგნდ „ყურყუმა შავი“ და მისთ.

ზოგი ატრიბუტული მსაზღვრელი **-ჩა** სუფიქს-ნაწილაკით გამოხატავს თვისების გადამეტებულ ხარისხს: დგუ „დიდი“, დგუ**ჩა** „მეტად, ძალიან დიდი“, აუ „გრძელი“, აუ**ჩა** „ფრიად, მეტად გრძელი“ და მისთ.

აღმატებითი ხარისხის შინაარსის გადმოსაცემად აღწერითი წარმოება გამოიყენება შემდეგი ტიპისა: შჯათა ძგჳუ ზგმჳ ძრგმჳჳ ჳათა ძგჳუ ზგმჳჳ ძრგჳ (ჩიკატუევი) „ყველაზე დიდი მთა, ყველაზე დიდი თავი“ (ზედმიწევნით: „მთად რაც არის, ყველა მათი-მთა რომელიც-არის“, „თავი რაც-არის, ყველა მათი-თავი რომელიც არის“). აქ ჯერ სახელია ვითარებით ფორმაში, რომელიც შეწყობილია „ყოფნა“ ზმნის აწმყოს მიმღეობურ ფორმასთან, შემდეგ მოდის შემკრებლობითი ნაცვალსახელი „ყველა“ და ბოლოს იგივე სახელი სტატიკური ზმნის აწმყოს მიმღეობური ფორმით, რომელშიაც „ყველას“ შესაფერი მრავლობითი რიცხვის **რ-** პრეფიქსიც არის წარმოდგენილი.

(გ) ნაცვალსახელი

პირის ნაცვალსახელი. პირის ნაცვალსახელი სამსავე პირს აქვს. მათ გავრცობილ სახეობას ერთვის **-რა** სუფიქსი. II კ. მხ. რ.-ში გატარებულია ადამიანთა კატეგორიაში დაყოფა მამაკაცისა და ქალის ქვეკლასებად: ჴარა „შენ (მ.)“, ჴარა „შენ (ქ.)“. ნივთის კატეგორიის სახელში მიმართვისას განზოგადებული სახით გვხვდება იგივე მამაკაცის ჴარა ნაცვალსახელი (ეე, ჴარა ჩგ-მცჳა! „ე, შენ, მატყუარა ცხენო!“ და მისთ.). III პირში ქალთა ქვეკლასს თავისი ნაცვალსახელი (**ლარა**) აქვს. მამაკაცისა და ნივთის კატეგორიის საერთო **მარა** ნაცვალსახელი ემსახურება, თუმცა კუთვ-

ნილებითსა და სხვა ამ რიგის ფორმებში, რომლებშიაც პირ-კლასებია ასახული, ისინი განსხვავებული ნიშნებით არიან წარმოდგენილნი.

მრავლობით რიცხვში გარჩეული არ არის კლასებად თუ ქვეკლასებად დაყოფა.

ე. წ. გაუვრცობელი სახეობები აკლია III პირის მხ. რ. მამაკაცთა (ასევე ნივთის) და მრ. რ. ნაცვალსახელებს.

| ტ ა ბ უ ლ ა | | | |
|-------------|--------------------|-------|------------------|
| | გავრცობილი ფუძე | | გაუვრცობელი ფუძე |
| | | მხ. რ | |
| I პ. | სარა | | სა |
| II პ. | მ. შარა | | შა |
| | ქ. ზარა | | ზა |
| III პ. | მ., ნ. მარა | | – |
| | ქ. ლარა | | ლა |
| | | მრ. რ | |
| I პ. | ჰარა | | ჰა |
| II პ. | შარა | | შა |
| III პ. | დარა | | – |

არავითარი შინაარსობრივი სხვაობა გავრცობილსა და გაუვრცობელ სახეობათა გამოყენებაში არ შეინიშნება, თუმცა ზოგ შემთხვევაში აშკარად ჭარბობს გაუვრცობელი ფუძის ხმარება (მაგ., კუთვნილების გამოხატვისას, ზმნა-კოპულის თანხლების დროს), ზოგში კი გავრცობილისა, მაგ., ფორმათა ცვლისას (იხ. ქვემოთ).

მიუხედავად იმისა, რომ პირის ნაცვალსახელები III პირშიაც შეიძლება გვექნოდეს (შდრ. მარა დჰადტ „ის [მ] მოვიდა“, მარა ჰადტ „ის [ნ] მოვიდა“, ლარა დჰადტ „ის [ქ] მოვიდა“, დარა ჯაჲფ ადარჰაიტ „მათ პასუხი გასცეს მას“ და მისთ.), მათ ჩვეულებრივ ცვლის ჩვენებითი ნაცვალსახელები: აჲგდ დჰადტ „ის (მამაკაცი, ქალი) მოვიდა“, აჲგდ ჰადტ „ის (ნ) მოვიდა“, აჲათ ჰადტ „ისინი მოვიდნენ“ და სხვ.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ III პ. ნაცვალსახელები ხშირად გვევლინებიან მითითების ფუნქციით, გამოხატავენ შინაარსს „სწორედ ის/ისინი, თავად ის/ისინი, თვითონ“ და სხვ.

დაახლოებით ეს შინაარსი (თავად, თვითონ) მათ მაშინაც ახლავთ, როცა ისინი პირის ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებენ. მაგ., სოსრჲყა ნართერჰა სოსრჲყა-ჰა იგფხჲდტ, აჲასა მარა ნართერჰა დგრჲჲამ „სოსრუყვას ნართ-სოსრუყვას (ნართთა სოსრუყვას) უწოდებენ, მაგრამ

იგი ნართებს არ ურევია“, მგრზაყან შაპგლა აშჷა ამედახანატ. უხანჭაგგ აუათ აშჷაჷა ზემჭაგგდ ძ არს დერდგრგდტ „მურზაყანს ფეხით ბევრი მთა მოუვლია. დღეს ყველა ეს მთა მას იცნობს“ და მისთ.

სტილური მოტივაციის ნიადაგზე ეს ნაცვალსახელები მაშინ უფროა ჩვეულებრივი, როცა ფრაზაში ორი III პირის ერთნაირი ნაცვალსახელია მოსალოდნელი, ერთი მათგანი ჩვენებითი ნაცვალსახელით იქნება გამოხატული, მეორე პირის ნაცვალსახელით. მაგ., „აუათ აჩჷა ჭა-უზერტცგტა სა საკაპ“ – ლჷატ. **ძარა აუტგ** გდმტტ „ამ ცხენების შენთვის მომრეკავი მე ვარო“, – თქვა ქალმა. მან ეს არ დაიჯერა“ და მისთ.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აბაზურში გარჩეულია ინკლუზივი და ექსკლუზივი I პ. მრ. რიცხვში – **ჰარა** („ჩვენ“) გადმოსცემს ინკლუზივს, ხოლო მას უპირისპირდება ექსკლუზიური **ჰარაბათ** – რათ „ჩვენ“ (შენ გარეშე). ამისვე ანალოგიით არის ახსნილი აქვე არსებული II პ. მრ. რიცხვის ფორმა **შარაბათ** (გენკო, 1955, 96).

აბაზურში **ჰარა**, **შარა**, **დარა** ნაცვალსახელთა გვერდით მრავლობით რიცხვში არსებობს აგრეთვე:

- I პ. მრ. რ. **ჰარა'ბა'რათ**
- II პ. მრ. რ. **შარა'ბა'რათ**
- III პ. მრ. რ. **დარა'ბა'რათ** (// **ძარარათ**)

ამ შემთხვევაში ჩვენთვის უკვე ცნობილია **ჰარა**, **შარა**, **დარა** პირის ნაცვალსახელებს მითითება-ჩვენების გასახაზავად დამატებით ერთვის მრავლობითი რიცხვის ჩვენებითი ნაცვალსახელი **აბარათ** / **არათ** „ესენი“ და გამოდის ახალი სემანტიკის შემცველი **ჰარა'ბა'რათ** < **ჰარა** + **აბარათ** „ჩვენ-ესენი“ ე. ი. „სწორედ, სახელდობრ ჩვენ“, **შარა'ბა'რათ** < **შარა** + **აბარათ** „თქვენ-ესენი“, ე. ი. „სწორედ, სახელდობრ თქვენ“ და **დარა'ბა'რათ** < **დარა** + **აბარათ** („ეს-ისინი“), ე. ი. „სწორედ, სახელდობრ, ისინი“.

ამა თუ იმ პირის ჩარიცხვა-გამორიცხვის მიხედვით კი არ უპირისპირდებიან აღნიშნული ფორმები ერთმანეთს, არამედ მითითების, ხილულის გახაზვით: **ჰარაბარათ** ნიშნავს „სწორედ, თავად, სახელდობრ ჩვენ“, „ესენი ჩვენ“, ე. ი. აქ, თვალწინ ვინც ვიმყოფებით, ყურადღებას ვისზედაც აქცევს, იმის გახაზვით. აქ, რა თქმა უნდა, შეიძლება იგულისხმებოდეს „**მე** და **შენ**“, „**მე** და **თქვენ**“, „**ჩვენ** და **შენ**“, „**ჩვენ** და **თქვენ**“. ამ ფორმების დანიშნულება როდია რომელიმე პირის გამორიცხვა, არამედ მითითების გახაზვაა არსებითი. ასეთი გახაზვის ტენდენცია მეტად დამახასიათებელია აბაზურისათვის (და აფხაზურისათვისაც). იგი ჩვეულებრივი მოვლენაა მხოლოდობითი რიცხვის ნაცვალსახელებშიც (ლომთ. 1967).

„ინკლუზივ-ექსკლუზივის“ გამოხატვა, ან ამა თუ იმ პირის ჩართვა თუ გამორიცხვა ენას შეუძლია გადმოსცეს ზმნური კატეგორიებით, რომლებშიაც ასახულია პირთა თ ა ნ ა მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა. ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმაში ერთიანდება სხვადასხვა პირი მაშინ, როდესაც ეს პირები კონკრეტულად მითითებულია ფრაზაში. მაგ.: უარგმ სარგმ **ჰ**-ა-ც-ცგმტ „მე და შენ ერთად მივდივართ“ (შდრ. უარა სარა უ-სგ-ც-ცგმტ „შენ ჩემთან ერთად მოდიხარ“) და მისთ.

პირის ნაცვალსახელებს იშვიათ შემთხვევაში შეუძლია აწარმოოს ვითარებით-გარდაქცევითი „ბრუნვის“ ფორმა. მაგალითად, ნაცვალსახელის სრული ფუძისაგან შეიძლება ეს ფორმა ვაწარმოოთ, როცა უნდა გამოიხატოს ბავშვის მშობლებთან მსგავსება: დარ-თა დგგლაპ „ი მ ა დ („მამაკ.) დგას“ ე. ი. „იმის (მამაკ.) მსგავსი არის (გახდა, დადგა)“.

მოქმედებითი ბრუნვის **-ლა** უშუალოდ ერთვის ნაცვალსახელთა სრულ ფუძეს: სარ-ლა „ჩემით“, უარ-ლა „შენით (მ)“ და სხვ. ასევე უქონლობის **-დცა** უშუალოდ ერთვის ნაცვალსახელის სრულ ფუძეს: სარა-დცა „ჩემ გარეშე“, „უჩემოდ“.

მარტივ ფუძეს აღნიშნული სუფიქსური ელემენტები არ ერთვის. შეიძლება იშვიათად შეგვხვდეს მხოლოდ პირის კუთვნილებით პრეფიქსდართული სახეობა: სგ-და („უჩემოდ“, „ჩემ გარეშე“) ტიპისა (და ისიც ქალთა მეტყველებაში, მაგ.: სგდა ცანგმგჯ დგჯზსგრრგჯუმგმ „მე მარტოც რომ დავრჩე, არ ვაპატიებ“).

ნაცვალსახელებს თან ახლავთ კუთვნილებითი პრეფიქსებით გაფორმებული თანდებულები: სარ (// სა) **ს**-ფნე „ჩემთან“, უარ (// უა) უფნგმა „შენამდე“, ლარ (//ლა) **ლ**გჯაზ // ლგჯაზლა „მისთვის“ და სხვ.

პირის ნაცვალსახელებს ერთვის სხვადასხვა ნაწილაკები: კავშირისა **-მ** (სარგ-მ უარგ-მ „შენ-და მე-და“), **-გჯმ** (უარ-გჯმ სარ-გჯმ „შენცა და მეც“), კითხვითობის **-მ**: სარგ-მ? „მე?“ გასამლიერებელი **-ხერგ**: სარ-ხერგ „სწორედ მე“ და სხვ.

ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი. სამი რიგის დაყოფაა გატარებული ჩვენებით ნაცვალსახელებში (და სათანადო ადგილისა და ვითარების ზმნისართებში): I. მოსაუბრესთან ახლოს მყოფი (ხილული), II. მოსაუბრესთან მოშორებით მყოფი (ხილული) და III. მესამე პირთან მყოფი.

ფუძედ გამოყენებულია ადგილის (და ვითარების) ზმნისართებთან საერთო ფუძე და ერთვის მას მხ. რიცხვში **-მ**, მრ. რიცხვში **-თ**, რომლებიც მომდინარე ჩანან სათანადო პირის ნაცვალსახელთა ძირებისაგან (ლომთ. 1954^a).

ფუძე გვხვდება მარტივი და **ზა** ელემენტით გართულებული:

| | მხ. რ. | | მრ. რ. | |
|-----|---------------------|----------|---------------------|-------------|
| I | ა-რგ-მ // ა-ზა-რგ-მ | „ეს“ | ა-რს-თ // ა-ზა-რს-თ | „ესენი“ |
| II | ა-ნგ-მ // ა-ზა-ნგ-მ | „აგე ის“ | ა-ნს-თ // ა-ზა-ნს-თ | „აგე ისინი“ |
| III | ა-ტგ-მ // ა-ზა-ტგ-მ | „ის“ | ა-ტს-თ // ა-ზა-ტს-თ | „ისინი“ |

ჩვენებითი ნაცვალსახელები მეტი დაზუსტებისა და ამ ჩვენებითობის გახაზვის მიზნით ჩვეულებრივ (განსაკუთრებით სასაუბრო ენაში) დაირთავენ შესაბამის ადგილ-მიმართულების ზმნისართებს (რომლებიც შეიცავენ გაქვავებულ **ახ** თანდებულს) და მიიღება: არან არგმ... „აქეთ ეს, ეს აქეთა“, არან არათ „აქეთ ესენი“, ანან ანგმ „აგე იქითა“, ანან ანათ „აგე იქითანი“, ატან ატგმ „იქით ის“, „ის იქითა“, ატან ატათ „იქით ისინი“ და სხვ.

მითითებითი ნაცვალსახელი ანგმ/ანან ანგმ შეიძლება დაპირისპირებისას გამოყენებულ იქნეს „ს ხ ვ ა“ ნაცვალსახელის გადმოსაცემად. მრავლობით რიცხვში ამ ფუნქციით გვხვდება ან თ - ა ხ ო გ ო გ თ „სხვები“, „დანარჩენები“ (ლოჟ მფა დანდგქ დგრკგნ ან - თ ა ხ ო გ ო გ თ ატრგმთგხტ „ლოუს ძე დანდიქი დააკავეს და დანარჩენები / სხვები გაუმგეს“ (ლომთ. 1944, გვ. 96).

ჩვენებითი ნაცვალსახელები მსაზღვრელად გამოყენებისას სასაუბრო ენაში ელიზიის შედეგად ხშირად მოკვეცილი ფუძით გამოდის: ატ' ათოფ „ის ბურთი“ და მისთ. საერთოდ სასაუბრო ენაში აღნიშნულ ნაცვალსახელთა ნაირგვარი ფონეტიკური ვარიანტები გვხვდება. ჩვენებით ნაცვალსახელებს თანდებულები და ნაწილაკები იმავე წესით მიერთვის, როგორც პირის ნაცვალსახელებს.

მსაზღვრელად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელები მრავლობით რიცხვში შეთანხმებულია არსებით სახელთან: აზ არათ ატ გ ს ქ ა „ესენი საქმეები“.

მრავლობითი რიცხვის ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუძეს შეიძლება დამატებით დაერთოს **-ქა** მრავლობითის სუფიქსიც ნივთთა გრამატიკული კლასის მრავლობითობის გამოსახატავად (არათ აჭ გჯ აზ არათ ქ ა უანზარჰ ო ა ზ აჭან „ეს ორნი ამ ა ე ბ ს როცა გეუზნებოდნენ“).

ჩვენებით ნაცვალსახელებს თავის მხრივ მეტი სიზუსტის გადმოსაცემად ერთვის ხოლმე პირის ნაცვალსახელი: დ არს ატ გ მ „სწორედ ის“ და სხვ.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი, როგორც დამოუკიდებელი ნაცვალსახელოვანი ერთეული, აბაზურს არა აქვს, რამდენადაც კუთვნილებას გამოხატავს სათანადო პირ-კლასის პრეფიქსები, რომლებიც

წინ მიერთვის ვისთვისმე ან რისთვისმე განკუთვნილ სახელს: (სარა) **სნაპ** „ჩემი ხელი“ („მე“-ს -ხელი“), **უარ** **უნაპ** „შენი ხელი“ და ა. შ.

დამოუკიდებლად კუთვნილება გამოიხატება ამ შინაარსის მქონე **ჭ** ძირით, რომელსაც წინ იგივე კუთვნილების პრეფიქსები მიერთვის: სარა **ს-ჭ** რწა აშარდაპ „ჩემი კუთვნილი უფრო მეტია“ და სხვ.

კუთვნილების ასეთი გამოხატვისას ჩვეულებრივ ამ ფორმას თან ახლავს შესაბამისი ნაცვალსახელებიც როგორც სრული, ისე მარტივი ფუძე, ოღონდ III პ. **არ** და **დარ** ნაცვალსახელები მარტივი სახისა არ იხმარება. დანარჩენ პირებში კი უფრო გავრცელებულია მარტივფუძიანი ნაცვალსახელები, პროკლიტიკად ქცეულნი: სარა / სა-ს-ჭ „ჩემი“, ჰარა / ჰა-ჰ-ჭ „ჩვენი“, უარ / უა-უ-ჭ „შენი“ (მ.), ბარა / ბა-ბ-ჭ „შენი“ (ქ.), შარა / შა-შ-ჭ „თქვენი“, ლარა / ლა-ლ-ჭ „მისი (ქ.)“, მარა (აუტ) მ-ჭ „მისი (მ.)“, მარა (აუტ) ა-ჭ „მისი (ნ.)“, მარა (აუტ) რ-ჭ „მათი“...

კუთვნილებით-უკუქცევითი შინაარსი შეიძლება გამოხატოს პირის ნაცვალსახელმა სათანადო კუთვნილების გამომხატველ ფორმაზე დართვით, რამდენადაც ის განსაზღვრებითი შინაარსით გამოდის, მაგ.: აუტ მ-ა რ-ა მ-ა რ-ა ალაფმტ „ცუდი მჭედელი თავისას (თავის საკუთარს, კუთვნილს) უმატებს“.

ამავე დანიშნულებით გამოყენებულია ჯათაჭ, რომელიც წარმოადგენს ჯათა („თავად“) ფუძეზე დართულ კუთვნილების **ჭ** ძირს: სარა სჯათაჭ „ჩემი საკუთარი“ და სხვ.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი. განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ფუნქციით სხვადასხვა საშუალება გამოიყენება. „ყოველი“, „თითოეული“ არის **დასტ** (აუტანდ ანდდუტ დასტ მცა დასმტ „როცა ცა გვრგვინავს, ყველა თავის სასიმილდეს სცემს (ეცემა)“. იგი ადამიანთა კატეგორიაში გვხვდება. ასევე ენა მიმართავს ზმნურ ფუძეს პირობითს კილოში – დუჭ^ეზლაკგ^ე („ვინც გინდ იყოს“), მუაჭ^ეზლაკგ^ე („რაც გინდ იყოს“) და მისთ., რომლებიც, როგორც ზმნური ამოსავლის მქონენი, განირჩევიან ადამიანთა და ნივთთა კატეგორიების მიხედვით.

ანალოგიური ფუნქციით გამოდის პრეფიქსული ნაწილაკი ანსრ (ანსრ-მმ-გ^ე „ყოველი დღე“), სუფიქსური ფუძეები – მამა (მმ-მამ) და კონტამინირებული (ანსი-მმ-მამ „ყოველი დღე“), -(მ) ფხამა (ჭ^ეც-მფამა „ყოველი თმის ბეწვი“).

„ყოველ“ არის ზემმ^ა, ზემმ^აგ^ე. ადამიანთა კლასში დამატებით იხმარება ზემმ^ამტ^ეგ^ე და შქტ^ეტ^ე, შქტ^ეტ^ეგ^ე. შქტ^ეტ^ე (გ^ეგ^ე) მომდინარეობს ქტ („სოფელი“) სიტყვიდან და წარმოადგენს ზმნის აწმყოს საგარემოებო ფორმას „როგორც-სოფელი“, ი. ი. „მთელი სოფელი“. აქვს პირის ფორმებიც: მაგ., უშქტ^ეტ^ე უჭმამგ^ა „შენ სულ (სხვებთან ერთად) შემოდი, შემობრძანდი!“

„თ ვ ი თ, თ ა ვ ა დ“ განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ფუნქციით, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოდის პირის ნაცვალსახელები. ამავე დროს ამ ფუნქციით აბაზურში ძალზე გავრცელებულია პირის ნაცვალსახელთა განმეორება: სარა-სარა „მე თვით“, ბარა-ბარა „შენ თვით (ქ.)“, ლარა-ლარა „ის (ქ.) თვით“, დარა-დარა „ისინი თვით“ (შარა-შარა შაფხა! „წაიკითხეთ თვითონ!“) და სხვ.

გამოიყენება ამასთანავე ჯა „თავი“ სიტყვისაგან ნაწარმოები ჯ ა თ ა - (ლა) ფუძე, კუთვნილებითი პრეფიქსებით გაფორმებული: სკათა'ლა' („მე თვით“), ზკათა'ლა' („შენ (ქ.) თვით“) და მისთ.

გ ა ნ უ ს ა ზ დ ვ რ ე ლ ო ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი. ამ ფუნქციით გამოიყენება ერთი რიცხვითი სახელი, გარჩეული ადამიანთა და ნივთთა კლასების მიხედვით: ზაკ'გ' (აკ'გ') „რამე“. ზაკვ ბბგდტ „რადაცას ხედავ“, კარა „რამე“, კარა უჰამა? „რამე თქვი?“, ზაჯ'გ' (აჯ'გ') „ვინმე“, „ვიდაც“: ზაჯ' დჰადტ „ვიდაც მოვიდა“. მსაზღვრელად გამოიყენებული ზაჯ'გკ, რომელსაც „მარტო“-ს გაგება აქვს, კლასების განურჩევლად ერთვის ყველა სახელს; ზჯაკვ „რამე“, „რადაც“, „ვინმე“, „ვიდაც“ და სხვ. (განუსაზღვრელი ნაცვალსახელის გადმოსაცემად გამოიყენება ზმნის ინფინიტური ფორმებიც).

ეს განუსაზღვრელი ნაცვალსახელები გაორკეცებული სახითაც გვხვდება: ზაკ-მაკვ „რამე-რუმე“, ზაჯ'-მაჯ'გ' „ვინმეები“...

ა- პრეფიქსდართული ზჯაკვ (აზჯაკ) ნიშნავს: „ერთნი“, „ზოგი“. იგივე ფუძე გვხვდება სამსავე პირში მრავლობითი რიცხვის კუთვნილებით პრეფიქსთა დართვით და გამოხატავს „მრავლისაგან ზოგს“; ჰგზჯაკ „ზოგი ჩვენგანი“, შგზჯაკ „ზოგი თქვენგანი“, რგზჯაკ „ზოგი მათგანი“.

კ ი თ ხ ვ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი. ცალკე, დამოუკიდებლად კითხვითი ნაცვალსახელები აბაზურს არა აქვს. ნაცვალსახელოვანი კითხვითი ფორმები აქვს ზმნას, რომელშიაც განირჩევა ადამიანისა და ნივთის კლასი. შეკითხვისას თითქოს ცალკე კითხვით სიტყვად არსებული დზაჰ'გმა, დაზგ'უდა, დგ'ზდა და სხვა პირის წარმოებები (ადამიანთა კლასის მიმართ) და ძზაჰ'გმა, აჰ'გმა (ნივთთა კლასის მიმართ) თავად წარმოადგენენ ზმნის ფორმებს.

მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი არა აქვს დამოუკიდებლად აბაზურს. ესეც გამოხატულია ზმნის სათანადო წარმოებაში (იხ. აქვე, გვ. 295).

უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი დამოუკიდებლად არა აქვს აბაზურს. იგი ამ მიზნით იყენებს განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს. მათ ჩვეულებრივ ურთავს -გ'გმა (ქართ. „-ც“) ნაწილაკს (ზაჯ'-გ'გმა) და უხამებს უ ა რ ყ ო ფ ი თ ი წარმოების ზმნას: ზაჯ'გ'გმა დგ'ზგმბატ „არავინ მინახავს“, ზედმიწევნით: „ვინმეც არ ვნახე“ და მისთ. ზოგჯერ შეკითხვის პა-

სუხად შეიძლება მართო ზ ა ჯ ო გ ო გ ო , ზ ა კ გ ო გ ო უპასუხონ, მაგრამ უარყოფითი ზმნა მუდამ ივარაუდება პასუხში.

უკუქცევითი ნაცვალსახელი ჩა- მორფემით მხოლოდ ზმნასთან დაკავშირებით გამოდის (იხ. აქვე, გვ. 324). უკუქცევით-კუთვნილებითი „თავისი“ გამოიხატება „ჯათაჭ“ -თი (იხ. ქვემოთ).

საურთიერთო ნაცვალსახელი დამოუკიდებლად არ არსებობს. პირთა საურთიერთო კავშირი ზმნაში გამოიხატება სათანადო აფიქსებით (იხ. ქვემოთ).

ზ მ ნ ა

ზოგადი დახასიათება

აბაზური ზმნური კომპლექსი ფრიად რთულია (რითაც ერთგვარად კომპენსირებულია სახელის კატეგორიათა შედარებითი შეზღუდულობა). ზმნური ძირები მეტწილად ერთი მარცვლით ან ცალკეული თანხმოვნით არის წარმოდგენილი. ძირს წინ და ბოლოს ერთვის სხვადასხვა ფორმის მცვლელი და დერივაციული მორფემები.

გასარჩევია ზმნური კომპლექსის ორი სახეობა: 1. ფინიტური, რაც ზმნის ჩახშულ კონსტრუქციაზე მიუთითებს და 2. ინფინიტური, რაც ზმნის ჩაუხშავ კონსტრუქციას გამოხატავს.

შესაბამისად, ნაწილობრივ განსხვავებულიც არის პრეფიქსად და სუფიქსად დართული მორფემები.

ფინიტურ ზმნურ კომპლექსს პრეფიქსად შეიძლება ჰქონდეს: თავიდან პირველ ადგილზე D-ს რიგის პირ-კლასის ექსპონენტები, მომდევნოდ კი შემდეგი თანმიმდევრობით: დადასტურების ნაწილაკი (ორიგ კი, ოღონდ განსხვავებული დანიშნულებისა), მიმართულების პრევერბები, ირიბი ობიექტის L¹ რიგის პირ-კლასის ექსპონენტები, ლოკალური პრევერბი ან ირიბი ობიექტის პრეფიქსი თავისი სამიმართებო და სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი (ქცევის, თანაობის, საურთიერთო მოქმედების, პოტენციალის, უნებურობის...) მორფემებით: სუბიექტის L⁵ რიგის პირ-კლასის ნიშანი, კაუზატივის მაწარმოებელი, უარყოფის გამომხატველი ნაწილაკი.

ძირს მომდევნოდ შეიძლება ჰქონდეს ორიენტაციის სუფიქსი, სხვადასხვა მოდალობისა (ინტენსივობა, კვლავობა...), კილოსა და დროისა, უარყოფისა და ფინიტობის სუფიქსები.

ინფინიტურ ზმნურ კომპლექსს ყველა მითითებული პრეფიქსული ელემენტი შეიძლება ჰქონდეს (ოღონდ მხოლოდ ერთი დადასტურებითი ნაწილაკი) და ამავე დროს დამატებით ერთვოდეს უშუალოდ D-ს რიგის

აფიქსთა მომდევნოდ სხვადასხვა საგარემოებო (მიმართებითი და რთული კითხვითი) ელემენტები.

სუფიქსად ინფინიტურ ზმნას აღარ აქვს უარყოფისა და ფინიტობის გამომხატველი მორფემები (უარყოფის სუფიქსაცია სტატიკური ზმნის დამახასიათებელია ინფინიტურ ფორმაში). შეიძლება ბოლოს დაერთოს კითხვითი აფიქსი.

ერთ ზმნურ კომპლექსში, ცხადია, ბუნებრივი არაა წარმოდგენილი იყოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი ერთდროულად.

ს უ პ ლ ე ტ ი ზ მ ი ს თავისებური სახეობაა ძირეულ ელემენტთა გაორკეცება მხოლოობით-მრავლობითის (ან მრავალგზისი და ინტენსიური მოქმედების) დაპირისპირებისას.

მათტარან „მასიდან გადმოღვრა“: აშაჟაძა მათტატტ „ცომი გადმოიღვრა“

მათტტარან: ახკჳ მათტტატტ „არაჟანი (მკვრივი სითხე) გადმოიღვრა ბლომად“

ჩარა „წოვა“: აჰგეს ადან ა-ჩ-გმტ „ხბო დედას წოვს“

აწ-ჩ-ჩ-მარა: აჰგეს ადან წ-ნა-ჩ-ჩ-მამტ „ხბო დედას ძლიერ წოვს“

ფყრა „გაჭრა“: აგგშგგდ აწლა ფნაყმტ „წალდიც ჭრის ხეს“

ფყყრა: აჩან ფგრყყგტ „ტყავი დაჭრეს მრავალ ნაწილად“ და სხვ. მრ.

(ლომთ. 1940; ლომთ. 1976, 204-205).

ერთეულ ფუძეებში იცვლება ძირეული ელემენტები სუბიექტის თუ ობიექტის თავისებურებასთან (სიმსუბუქე, სიმძიმე, სიმრავლე) დაკავშირებით:

კაჟრა: აწლა კამჟტ „ხე წააქცია“

კაჰარა: ასაბგდ დკაჰატ „ბავშვი დავარდა, წაიქცა“

კაშ(ა)რა: აწლა აბღტ შაკაშატ „ხის ფოთოლი ჩამოვარდა“

კაფსარა: აშქაბგღქა კარფსატ „ქალაღდის ფურცლები გადაყარეს“ და სხვ.

აბაზურში განირჩევა გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები. ყველა ერთპირიანი ზმნა გარდაუვალია. პოლიპერსონალური ზმნა შეიძლება გარდაუვალიც იყოს და გარდამავალიც. ვინაიდან აბაზურს არა აქვს ძირითად ბრუნვათა სისტემა, ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობა განისაზღვრება პირ-კლასის პრეფიქსთა რიგებით და მათი ზმნის ფორმაში ადგილმდებარეობით. გარდამავალია ზმნა, თუ მას აქვს უახლოესი (პირდაპირი) ობიექტი. ერთი და იგივე ზმნური ფუძე შეიძლება გარდამავალიც იყოს და გარდაუვალიც, იმისდა მიხედვით, აქვს თუ არა უახლოესი ობიექტი. გარდამავლობა-გარდაუვლობის თვალსაზრისით ასეთი ცვალებადი (ლაბილური) კონსტრუქციის ზმნები სხვაობას ავლენენ როგორც უღვლილების მთელი სისტემის, ისე ზმნის ფუძის შედგენილობასთან დამოკიდებულების მიხედვით, მაგ., შდრ. გარდაუვალ-დი-

ნამიკური: ს-ფყგდტ „ვაპობ (საერთოდ)“, დშ°გდტ „იწყევლება (საერთოდ)“... და გარდამავალი: დ-ფგ-ს-ყგდტ „ვაპობ მას (მაგ., შეშას)“, დგ-ლ-შ°გდტ „წყევლის მას“ და მისთ.

გარდაუვალი ზმნა სტატიკურიც არის და დინამიკურიც. ყველა გარდაუვალი ზმნის (მეშველი სტატიკური 3° ზმნის გარდა) ფორმაში პირველ ადგილას არის D-ს რიგის სუბიექტის ნიშანი (ს-ცგდტ „მივდივარ“). ორპირიანად გარდაუვალი ზმნა იქცევა ქცევის ან რომელიმე სხვა სამიმართებო (ირიბი მიმართების) პრეფიქსის დართვის შედეგად, ამ შემთხვევაში მეორე ადგილზე დაისმის L°-ს რიგის ირიბი ობიექტის პირკლასის პრეფიქსი, რომელსაც თან ახლავს სამიმართებო პრეფიქსული მორფემა (ს-ლგ-ზ-ცგდტ „მე-[მასთან (ქ.)], მის (ქ.)-თვის, [მისად]-მივდივარ“).

გარდაუვალი ზმნა შეიძლება სამპირიანიც იყოს. შესაბამისად მას დაემატება L°-ს რიგის მეორე ირიბი ობიექტის პირკლასის ნიშნები და სათანადო, მეორე ირიბი მიმართების პრეფიქსული მორფემა (ს-ჟგ-ზ-ლგ-ც-ც-გდტ „მე შენთვის – მასთან (ქ.) – ერთად მივდივარ“).

გარდამავალი ზმნა დინამიკურია. იგი უთუოდ პოლიპერსონალურია.

გარდამავალი ზმნის ფორმაში პირველ ადგილას დგას უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის D-ს რიგის პირკლასის ექსპონენტები. როცა ზმნა ორპირიანია, მას მოსდევს მეორე ადგილზე, ზმნის ძირეული ნაწილის წინ L^S-ს რიგის პირკლასის ნიშანი (დგ-ს-ჰატ „ის (ნ.)-მე-ვთქვი“). თუ გარდამავალი ზმნა სამპირიანია, პირველ ადგილას აქაც დაისმის D-ს რიგის უახლოესი ობიექტის ნიშანი, მომდევნო მეორე ადგილას ირიბი ობიექტის L°-ს ნიშანი სათანადო ირიბი მიმართების მორფემითურთ, ხოლო მესამე ადგილას, ზმნის ძირის წინ, L^S-ს სუბიექტის ნიშნები:

D L° L^S

დ-ჟ-ს-ს-ჰატ – „ის (ნ.)-შენ (მ.)-მე გითხარ“

ოთხპირიან გარდამავალ ზმნაში პირველ ადგილას დაისმის D-ს რიგის უახლოესი ობიექტის ნიშანი, მეორე ადგილას L¹-ს რიგის ირიბი ობიექტის ნიშანი სათანადო სამიმართებო მორფემებითურთ, მესამე ადგილას L²-ს ირიბი ობიექტის ნიშანი შესაბამისი სამიმართებო მორფემებითურთ და მეოთხე ადგილას, ზმნის ძირის წინ, L^S-ს რიგის სუბიექტის ნიშანი:

D L¹ L² L^S

დ-ჟ(გ) -ზ-ლ -ს-ს-ჰატ „ის-შენთვის (მ.)-მას (ქ.)-მე-ვუთხარი“.

პირთა განლაგების აღნიშნული სისტემის გვერდით გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა დაპირისპირება ხდება შემდეგ თავისებურებათა მიხედვით:

1. დადებითი ბრძანებითის ფორმაში სუბიექტის პირის აღნიშვნა-აღუნიშვნელობით.

თუ ზმნა გარდაუვალია, ბრძანებითი კილოს დადებით ვარიანტში ზმნის ფუძეს თან ახლავს II პ. სუბიექტის ნიშანი (D-ს რიგი) – **ჟ-ცა!** „წადი შენ (მ.)!“, ხოლო თუ ზმნა გარდამავალია, სუბიექტის ნიშანი (L^s რიგი) ჩამოშორდება II პ. მხ. რიცხვში: **ა-ჰა!** „ის-თქვი [შენ]!“, შდრ. დაპირისპირება ლაბილური კონსტრუქციის შტრა „წყევლა“ ზმნურ ფუძეში: გარდაუვალი **ჟ-შტა!** „იწყევლე (საერთოდ), წყევლას მოჰყევი შენ (მ.)!“ და გარდამავალი **დ-შტა!** „დაწყევლე იგი [შენ]!“.

2. ძირის მჟღერ თანხმოვანთან სუბიექტური პირის ნიშნის უშუალო შეხვედრისას პირის ნიშნის გამჟღერება-გაუმჟღერებლობით.

თუ ზმნის ძირი იწყება მჟღერი თანხმოვნით, აქვე იგულისხმება სონანტებიც (ლომთ. 1975), მასთან (გარდამავალ ზმნაში) სუბიექტის პირის ნიშნის L^s-ს რიგი უშუალოდ შეხვედრისას I პ. მხ. რ. და მრ. რიცხვის ნიშნები **ს-**, **ჰ-** და II პ. მრ. რიცხვის ნიშანი **შ-** გამჟღერდება და მოგვეცემს შესაბამისად: **ზ-**, **[ა]ჟ-ჟ-**, მჟღერ ვარიანტებს², ხოლო გარდაუვალ ზმნებში სუბიექტის (D-ს რიგი) ნიშნები არ მჟღერდება. შდრ. მაგ., გარდაუვ. – **ს-გგლგატ** „ვდგები“, **ჰ-გგლგატ** „ჩვენ ვდგებით“, **შ-გგლგატ** „თქვენ დგებით“, გარდამავალი **ი-ზ-გგატ** „მიმაქვს ის (ნ.)“, **ა-ჟ-გგატ** „ის (ნ.) მიგვაქვს ჩვენ“, **ა-ჟ-გგატ** „ის (ნ.) მიგაქვთ თქვენ“.

შდრ. ლაბილური კონსტრუქციის ბგლრა „წვა“ ზმნა:

გარდაუვალი **ს-ბლგატ** „ვიწვი“ და

გარდამავალი **აგ-ზ-ბლგატ** (< ***აგ-ს-ბლგატ**) „მას (ნ.) ვწვავ“.

გამონაკლისს ამ მხრივ ქმნის აბაზურში ერთადერთი გარდამავალი ზმნა – კაბარა „ბანა“, ჩაგ-კაბარა „ბანაობა“. აქ მკვეთრი **კ-**თი დაწყებული **კაბა** ფუძის წინაც ხდება პირის ნიშანთა გამჟღერება: **აგ-ზ-კაბატ** „ის (ად.)-დავბანე“, **ჩაგ-ჟ-კაბატ** „ვიბანავეთ“.

3. რთული შედგენილობის ზმნურ ფუძეში სუბიექტის ნიშნის პოზიციით.

თუ ზმნის ფუძე რთული შედგენილობის არის, გარდამავალ ზმნაში სუბიექტის ნიშანი (L^s) ჩაერთვის ფუძეში პრევერბის შემდეგ, ძირის წინ, ხოლო თუ ზმნა გარდაუვალია, სუბიექტის ნიშანი დაისმის მთლიანი (პრევერბიანი) ფუძის წინ (ლომთ. 1942). მაგ., ლაბილური კონსტრუქციის **ფყრა** („ჭრა, პობა“) ზმნა: გარდაუვალი **ს-ფყგატ** „ვჭრი, ვაპობ (საერთოდ)“, გარდამავალი **აგ-ფს-ყგატ** „ვჭრი, ვაპობ მას“.

გარდაუვალ-გარდამავალი ვარიანტების მქონე საქმიანობის გამომხატველი (ლაბილური კონსტრუქციის) მრავალრიცხოვანი ზმნების გარდა, გარდაუვალი დინამიკური ზმნები შეიძლება იქცნენ გარდამავლად კაუზატივის წარმოებით.

გარდამავალი ზმნაც შეიძლება იქცეს გარდაუვლად. ეს ხდება რიგი ზმნური კატეგორიის წარმოებისას, როგორცაა, მაგალითად, პოტენცია-

ლისი (იხ. ქვემოთ), უნებურობა (იხ. ქვემოთ), საურთიერთო მოქმედების კატეგორია (იხ. ქვემოთ).

სტატისტიკური და დინამიკური ზმნები

აბაზურში ზმნები იყოფა სტატისტიკურ (მდგომარეობის) და დინამიკურ (მოქმედების) ზმნებად. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან რიგი ფორმაცვალებისა და სიტყვაწარმოებითი კატეგორიებით.

სტატისტიკურ ზმნათა საწარმოებლად ჩვეულებრივ გამოყენებულია სახელი და სახელთაგან მომდინარე ლოკალური შინაარსის მქონე ფუძეები (ლომთ. 1954^b). ყოველი მათგანისაგან მარტივი (გაურთულებელი) სახით წარმოიქმნება სტატისტიკური ზმნა: დ-ჭა-პ „ის (ად.) მამაკაცია“, დ-ბზ-პ „ის (ნ.) კარგია“, დ-ლ-ფა-პ „ის (ად.) მისი (ქ.) შვილია“, დ-თა-პ „ის (ად.) შიგ არის“ და სხვ.

სტატისტიკური ზმნები გარდაუვალაია.

პირველადი სტატისტიკური ზმნების რიცხვი ძალზე მცირეა. ესაა არსებითად „ყოფნა“-„ქონების“ სემანტიკის გამომხატველი ზმნები (თუმცა ისტორიულად მათი ძირებიც სახელური წარმომავლობისა).

სტატისტიკურ და დინამიკურ ზმნათა დაპირისპირების მიხედვით გასარჩევია:

1. ზმნები, რომლებიც მუდამ სტატისტიკურია და მუდამ დინამიკური, ე. ი. მარტივი ფუძით მათ ან მხოლოდ სტატისტიკური სახეობა აქვთ, ან მხოლოდ დინამიკური. ასეთებია: მაგალითად, სტატისტიკური „ყოფნის“ გამომხატველი ზმნა დ-ცა-პ „ის (ად.) არის, იმყოფება“, ხოლო დინამიკური „სვლის“ გამომხატველი ზმნა დ-ცა-ტ „ის (ად.) წავიდა“.

2. არის ზმნები, რომელთაც ერთი და იმავე ფუძით შეუძლიათ გამოხატონ როგორც სტატისტიკური მდგომარეობა, ისე დინამიკურობა. ამ რიგის ზმნებს განეკუთვნება „დგომა“, „ჯდომა“, „ძილი“ და მისთანანი. მაგალითად, გგლა „დგომა“ ზმნის ძირისაგან ვიღებთ როგორც სტატისტიკ. დ-გგლა-პ სახეობას („ის დგას“), ისე დინამიკურ დ-გგლ-გმტ სახეობას („ის დგება“).

ცალკეულ შემთხვევაში სახელის მარტივ ფუძესაც შესწევს უნარი აწარმოოს როგორც სტატისტიკური, ისე დინამიკური ზმნა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შინაარსითაც გამოდიან ისინი განსხვავებულნი: მაგ., ღგჩ („ქურდი“) სახელის ფუძისაგან სტატისტიკური იქნება დ-ღგჩ-პ „ის (ად.) ქურდია“ (მას, ასე ვთქვათ, შედგენილი შემასმენლის გაგება აქვს), ხოლო დინამიკური – დ-ღგჩ-გმტ „ქურდობს“ (და ასევე სხვა დროთა ფორმები).

ყველა გარდამავალი ზმნა დინამიკურია. ასევე დინამიკურია მოქმედების გამომხატველი ყველა გარდაუვალ ზმნა. დინამიკური ზმნები (როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი) ჩვეულებრივ შეიძლება ვაწარ-

მოთ სახელთა ფუძეებისაგან და ე. წ. პირველადი სტატიკური ზმნე-
ბიდანაც სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი საშუალებებით.

„გარდაქცევის“ **-ხა** მორფემით სახელთა ფუძეებისაგან იწარმოება
გარდაუვალი დინამიკური ზმნა – ბზგდ „კარგი“, სტატ. დგ-ბზგდ-პ „ის
კარგია“, დინამიკური – დგ-ბზგდ-ხგ-მტ „ის-კარგდება, კარგი ხდება, კარ-
გა-ხდება“.

ასევე სტატიკური ძაკ³პ³ „არის“ ზმნიდან **-ხა**-ს მეშვეობით მიიღება
დინამიკური ძაკ³-**ხა**-ტ „ის-იქცა-(მად გახდა)“.

ამ რიგის ზმნათაგან (ე. ი. სტატიკურ და ნასახელარ ზმნათაგან) შე-
იძლება ნაწარმოები იქნეს დინამიკური გარდამავალი (ნასახელარი) ზმნე-
ბიც.

ამ დანიშნულებით აქა-იქ გამოიყენება **-ჭგ** „განკუთვნილების“ ელე-
მენტი, რომლის წინაც, როგორც რთულფუძიან ზმნაში, დაისმის გარდამა-
ვალი ზმნის სუბიექტის ნიშანი: ძაკ³გ-**ს-ჭგ**-მტ „(მად)ვხდი“: სარა აუტგდ
იძაკ³გ-**ს-ჭგ**-ტაშგნ, ატასა სჭ³აშატ „მე (მინდოდა) ის-იმად-ჩამეთავლა, მაგ-
რამ შევცდი“.

თითო-ოროლა სხვა შემთხვევაშიაც გვხვდება ეს **-ჭგ**, მაგ., აუჭ³ჭ³გს
დ-არგ³ანგ-**ს-ჭგ**-მტ „ადამიანს ვიახლოვებ“ (შდრ. არგ³ანგ³ „ახლოს“),
აცაფშგ³ „სწორი“: აცაფშგ³-**ს-ჭგ**-მტ „ვასწორებ“ და სხვ. მაგრამ ნასახელარ
ზმნათა (განსაკუთრებით ზ ე დ ს ა რ თ ა ე ბ ი ს ა გ ა ნ) გარდამავლად
ქცევისათვის ფართო გამოყენება აქვს კაუზატიურ წარმოებას: ყაფშგ³ („წი-
თელი“) – ძ-ს-**რგ**-ყაფშგ³მტ „ვაწითლებ“, ქ³აფ³ა („შავი“) – ძ-ს-**რგ**-ქ³აფ³მტ
„ვაშავებ“, ჩ³გ³ა („ავი, ცუდი“) – ჩ³გ³-ტ-გმ-**რგ**-ჩ³გ³ან! „ნუ ავობ!“ („თავს ნუ
იავებ!“), წშა „მარილიანი“ – ძგ-ს-**რგ**-წშა-მტ „ვამწნილებ“, ხ³გ³ „პატარა“,
„მცირე“ – ძ-სგ-**რ**-ხ³გ³მტ „ვამცირებ“, „ვაპატარავებ“ და სხვ. გვხვდება
პარალელური წარმოება: დ-არგ³ან-**ს-ჭგ**-მტ // დ-ს-**რ**-არგ³ანგ³-მტ „ვაახლო-
ებ“, ძ-ვარა-**ს-ჭგ**-მტ // ძ-ს-**რგ**-ვარგ³-მტ „ვაშორებ“, მაგრამ ასეთი პარალე-
ლური წარმოება იმ ფუძეებში დასტურდება, რომლებიც ზმნისართის გა-
გებას ჰგულობენ და თვით ფორმებიც განსხვავებული ნიუანსის მქონედ უნ-
და ჩაითვალოს: **-ჭგ** უდგება ხსენებულ ფუძეთა ზ მ ნ ი ს ა რ თ ა დ გაგე-
ბულ შინაარსს, კაუზატიური წარმოება კი – იმავე ფუძის ზ ე დ ს ა რ თ ა -
ვ ა დ გაგებულ შინაარსს.

გვხვდება აგრეთვე აღწერითი წარმოება: სახელის ვითარებითი
ფორმა და „კეთება“ ზმნის პირიანი ფორმები: დგტ³ („დიდი“) – დგტ³თა
ძგსჩფგ³მტ „დიდად ვაქცევ (გავაკეთებ)“, ყაფშგ³ („წითელი“) – ყაფშგ³თა
ძგსჩფგ³მტ „წითლად ვაქცევ (ვაკეთებ)“, არგ³ანთა ძგსჩფგ³მტ „ახლოდ ვაქ-
ცევ (ვაკეთებ)“ და სხვ.

სტატიკურ ზმნებს მარტივი ფუძით შეუძლიათ აწარმოონ მხოლოდ
ფინიტური აწმყო და ნამყო განუსაზღვრელი: ძაყაპ „არის“, „იმყოფება“,
ძაყან „იყო“, იმყოფებოდა“, ხოლო ინფინიტურ წარმოებაში მათ გარდა აწ-

მყოფი „რომელიც არის“, ნამყოფი განუსაზღვრელი – აქაზ „რომელიც იყო“, ნამყოფი უკვეობითი – აქაზ¹ „რომელიც უკვე ყოფილა“, „ყოფილი არის“, და ნამყოფი უკვეობითი წინარე წარსული – აქაზ² „რომელიც უკვე ყოფილი იყო“.

სტატიკურ ზმნათაგან სხვა ფორმებს (მასდარის, დრო-კილოების) საწარმოებლად ხდება ერთგვარი გადინამიკურება ფუძისა. მარტივ ფუძეს ერთვის რთული **-ზ(ა)ლა** (ზოგჯერ კი მხოლოდ **ზა**) სუფიქსი. ასე აწარმოებენ, მაგალითად, ისინი მასდარს: აქაზარა // აქაზლარა „ყოფნა (ადგილას)“, ამაზარა // ამაზლარა „ქონა“, „ყოლა“³. ასევეა ნაწარმოები მათი დრო-კილოთა ფორმები.

სახელური წარმომავლობის მრავალრიცხოვანი ლოკალური შინაარსის სტატიკური ზმნების ფუძეები დინამიკურად გადაქცევისას ირთავენ დინამიკურ ძირ-სუფიქსებს (**-ლა**, **-წ**, **-წა**, **-ხ**), ან ცალკეულ არადამოკიდებულ ძირებს (ლომთ. 1952).

მაგ., სტატიკ. დ-**შტ**-პ „წევს“ („ძირს არის“) – დინამიკური დგ-**შტ**-ლგ-მტ „წვება“, დგ-**შტ**-წგ-მტ „(დაწოლილი) დგება“, დგ-**შტა**-ს-წგ-მტ „ვაწვენ“, დგ-**შტა**-ზ-ჟგ-მტ „ვაწვენ, ვაიძულებ დაწვენ“, დგ-**შტგ**-ს-ხგ-მტ „(დაწოლილს) ვაყენებ“ და მისთ.

სტატიკური ზმნები ვერ ჰგულობენ მიმართულების პრევერბებს.

თავის მხრივ დინამიკურ ზმნათა ფუძეებისაგან (ზემოთ მოყვანილ ფაქტთა გარდა) შეიძლება ზოგ შემთხვევაში მივიღოთ სტატიკური ფორმები. მაგალითად, გარდამავალი შ-რა („მოკვლა“) ზმნისაგან შეიძლება მივიღოთ მიმდებარე შინაარსის სტატიკური დ-შგ-პ „ის (ად.) მოკლულია“, გარა („წაღება“, „გატანა“) ზმნისაგან ბუნებრივია ფორმა დგაპ „გაყვანილია“ (მაგ., ხაზი), მაგრამ ჩვარა „კეთება“ ზმნისაგან ბუნებრივი აღარაა *დგ-ჩგა-პ („*გაკეთებულა“). სტატიკური ფორმის წარმოება ამ რიგის შემთხვევებში მაშინ არის ბუნებრივი, თუ ფუძეს დაერთვება სხვადასხვა ნიუანსის მქონე ნაწილაკები. ასე, მაგალითად, ბუნებრივია ჭაჩა („ძნელი“) ნაწილაკის დართვით დ-ჩგა-ჭაჩა-პ „ის-ძნელი-გასაკეთებელია“, დ-ბა-ჭაჩა-პ „ის-ძნელი-დასანახავია“ და სხვა, თუმცა ამ შემთხვევაში ისინი დანიშნულების მიმდებარე ფუნქციით წარმოგვიდგებიან.

დინამიკურ გარდამავალ ზმნათაგან ასე მიღებული სტატიკურ-მიმდებარე ფორმები შემდეგ უკვე ისევ შეიძლება სხვა ნასახელარი ზმნების მსგავსად ვაქციოთ დინამიკურად. მაგალითად, იმავე მადინამიკურებელი **-ხა** ელემენტის (იხ. ზემოთ) დართვით იწარმოება დგ-**შხა**-ტ „მოიკლა“ („მოკლულ იქნა“, უფრო ზუსტად: „მოკლულდა“).

გ ვ ა რ ე ბ ი. ვნებითი და მოქმედებითი გვარები აბაზურში არ არის დაპირისპირებული. სხვა ენათა შესაბამისი შემთხვევისათვის ვნებითის ნაცვლად ჩვეულებრივ გამოყენებულია ან დინამიკური გარდამავალი

ზმნისავე III პირის მრავლობითის ფორმა **დგ-რ-ჩფგმტ** „აკეთებენ“, ან ენა მიმართავს გარკვეულ შემთხვევებში მონაცვლე ზმნის ფუძეებს (იხ. ზემოთ), ან ენა მას გვერდს უვლის ზმნათა მთელ რიგ შემთხვევებში ზმნის ლაბილური სახეობების გამოყენებით.

ზოგ შემთხვევაში კიდევ სხვა ენათა ვნებითის გადმოსაცემად გვხვდება ნადინამიკურალი სტატიკური ზმნა ისევე გადინამიკურებული ზემოთ განხილული **-ხა** მორფემით, **დგ-შ-ხგ-მტ** ტიპისა. მსგავსი წარმოებები წიგნის ენაში, განსაკუთრებით თარგმნისას თანდათან იკიდებს ფეხს (ლომთ. 1956).

ასპექტი. აბაზური ზმნის დრო-კილოთა ფორმები შეიცავს ასპექტისა და მოქმედების ამა თუ იმ სახეობის გამომხატველ მრავალრიცხოვან ელემენტებს. ზოგი მათგანის (როგორცაა, მაგ., მყოფადისეული **-შა¹**, უკვეობითის **-ხა²/-ხ**, „გადინამიკურებულ“ ნასტატიკურალ ზმნებში **-ხა...**) გამოყოფა დრო-კილოთა წარმოების სისტემისაგან სიძნელეს აწყდება.

ასპექტის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ხოლმეობითის მაწარმოებელი **-ლა** სუფიქსური მორფემა (ჭკადუა, 1970, 273-274, 122). იგი დინამიკურ ზმნათა ფუძეებში გვაქვს და ეგუება აწმყოსა, ნამყო უსრულსა და მყოფადის დროებს: **დცა-ლა-მტ** „დადის ხოლმე“, **დცა-ლ-ტნ** < **დცა-ლგ-ტგ-ნ** < ***დცა-ლა-ტან** „დადიოდა ხოლმე“, **დცა-ლ³-პ** „ივლის ხოლმე“. **დცა-ლ-ტშ³ტ** (< ***დცა-ლგ-ტგშ³მტ** < ***დცა-ლა-ტა-შ³ტ** „ივლის ხოლმე (უთუ-ოდ)“.

ასევე ხოლმეობითის ფუნქციით გამოიყენება ყაბარდოულიდან შეთვისებული სიტყვა-ნაწილაკი **ზაფგთ** (გენკო, 1955, 139; თაბულ. 1976, 207-208), რომელიც ფართოდ გამოიყენება ყველა ზმნასთან (ზოგჯერ **-ლა** სუფიქსთან ერთადაც) და ცალკეც იხმარება.

სტატიკური ზმნის მარტივი ფუძისაგან იწარმოება თხრობით კილოში მხოლოდ აწმყო, ნამყო განუსაზღვრელი (ზოგჯერ უკვეობითის დადებითი ფორმები) და ნატვრითი კილო (მსგმანდა „ნეტავ მქონდეს“). მასდარისა და სხვა დრო-კილოთა ფორმების წარმოება მათ უხერხდებათ ფუძეზე **-ხა¹**, **-ლა** სუფიქსების დართვით (შდრ. ამაზარა, ჩვეულებრივ ამაზარა³ „ქონა-ყოლა“, **მგმა-ზ-ლ-ტშ³ტ** „ექნება, ეყოლება ხოლმე“).

ეს **-ხა**, რომელიც რთულ **-ზ-ლა** სუფიქსშიაც შედის, თავისი არსით განგრძობითობის ასპექტის ბუნებისაა და სტატიკური ზმნის გადინამიკურებისას კვლავ გახაზავს მდგომარეობის განგრძობითი ხასიათის შენარჩუნებას. შდრ., მაგალითად, სტატიკური **დ-ჭ³ა-პ** „ზის“ ზმნიდან ნაწარმოები დინამიკური მყოფადი **დ-ჭ³ა-ზ-ლ-ტშ³ტ** „იჯდომება“ და საპირისპირო დინამიკური **დჭ³გ-მტ** „ჯდება“ ზმნისაგან ნაწარმოები მყოფადი **დჭ³-ტშ³ტ** „დაჯდება“ (შდრ. იმავე დროს ხოლმეობითი დინამიკური ზმნიდან აუტმა არაყა **დჭ³ალ³ტშ³ტ** „ის აქ დაჯდება ხოლმე“).

სხვადასხვა მოდალობის ნაწილაკები ფართოდ გამოიყენება უღვლილებაში. იმავე განგრძობითი, შეუწყვეტელი მოქმედების (თუ გამოუცვლელი მდგომარეობის) გამოსახატავად, რომელსაც თარგმნისას „ისევ“, „კვლავაც“ შეეფერება, აბაზურში გამოდის **-რკა** სუფიქსური ელემენტი (დ-ჭა-**რკა**-პ „ისევ ზის“...). იგი გვხვდება როგორც სტატიკურ, ისე დინამიკურ ზმნებში და დაისმის ჩვეულებრივ დროის სუფიქსების წინ. მიუთითებენ პარალელურად დინამიკურობის აწმყოს სუფიქსის შემდეგ **-რკა**-ს დასმის შესაძლებლობასაც: ფფშა-**რკგ**-მტ // ფფშა-ტა-**რკგ**-მტ „ისევ ეძებენ“, „ისევ აგრძელებენ ძებნას“ (გენკო, 1955, 140; თაბულ. 1976, 207).

-რკა ჩვეულებრივია სტატიკურ ზმნებში (აწმყოსა და ნამყო განუსაზღვრელში) და დინამიკურ ზმნათაგან აწმყოსა და ნამყო უსრულში, მაგ., ნხარა „მუშაობა“: დგნხა-**რკგ**-მტ „იგი განაგრძობს მუშაობას“, დგნხა-**რკგ**-უნ „იგი განაგრძობდა მუშაობას“.

განმეორებითი მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელი გვევლინება **-ხ** სუფიქს-ნაწილაკი. იგი დაისმის დროულ სუფიქსთა წინ და ჩვეულებრივია როგორც დინამიკურ, ისე სტატიკურ ზმნებში (მეტყველების სხვა ნაწილშიაც კი): ზან ტანდგსრა, შან ტდგმს-**ხგ**-ნ! „ერთხელ რომ დაარტყამ, მეორედ კვლავ ნულარ დაარტყამ!“ ...დგლა დახგლმგნ, დგზგ-ხა-**ხ**-ტ „თვალზე რომ წაუსვა, კვლავ კარგად გახდა“.

იგი სისტემებერ ერთვის **-ათა** („კვლავ“) პრეფიქსულ-ნაწილაკიანი ზმნის ფორმას: დ-ათა-დგს-ხ-ტ „კვლავ ესროლა მას“.

აბაზურში მას ძალზე ფართო გამოყენება აქვს ქართული **-და** ნაწილაკის ფუნქციით, განსაკუთრებით ზმნის უარყოფით ფორმებში.

ამავე დროს იგი აბაზურში დინამიკურ ზმნებში აღჭურვილია „**უკუ**“ („უკან“) ზმნისართის გაგებით: სგზშა-**ხ**-პ „კვლავ, ისევ მოგივალ“, უკუ მოვალ“, „მოგიბრუნდები“ და მისთ. (ლომთ. 1944, 187-189; ავიძბა, 1968).

-ქა მრავლობითის სუფიქსი ზმნაშიაც შეიძლება გამოიყენებოდეს, ოღონდ ერთგვარი, განუსაზღვრელი შინაარსით: დცა-ქა-ტ „წავიდნენ (ვიდაცები)“, „წავიდ-წამოვიდნენ“.

ინტენსიური, ბოლომდე მიღწეული, უთუო, დადასტურებითი მოქმედების გადმომცემია **-ძა**: დცა-ძა-ტ „ნამდვილად, მართლაც, (სრულიად) წავიდა“, ძპ-ძა-ტ „მან მართლაც თქვა“. იგი დამახასიათებელია ზმნის როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ფორმებისათვის. დაისმის ზმნის ფუძის შემდეგ დრო-კილოთა სუფიქსების წინ: არახ^ბ ძხჩა-ძ-უნ (< ძ-ხჩა-ძა-ტა-ნ) „საქონელს ნამდვილად მწყემსავდა!“, დგ-დგ-მა-ძა-მზატ „ის მას სრულებით არ ჰქონდა“. ფართოდ გამოიყენება მეტყველების სხვადასხვა ნაწილებში (ლომთ. 1944, 189-190; გენკო, 1955, 139; ავიძბა, 1968^a, 24-27).

ზმნის კითხვით ფორმაში იგი „ვინ ძლო ს“ გაგებით გვევლინება: ქ^ეჯ^ემა კარა უბაძ? „მგელი რამ ნახე?“ („ვინ ძლო მგელი ნახე, გენახოს!“).

მეტისმეტ ჭარბ თვისებას ან მოქმედების სახეობას ზმნაში გადმოსცემს -ჩ^ა სუფიქს-ნაწილაკი (ამავე ფუნქციით იგი სახელის ფუძეებშიც გვხვდება). დაისმის ზმნის ძირის შემდეგ, ან ლგ^ე ანს-ჩ^ა-ნ... „დედამისს ძალზე, მეტისმეტად ეწყინა რა“... (ლომთ. 1944, 188; გენკო, 1955, 130; ავიძბა, 1968^ა, 23-24).

ნაწილაკი -ჭ^ანა დაერთვის ზმნათა ფუძეებს (ასევე სახელებსაც) და „გადმოსცემს“ ნიუანსებს: „ოლონდ“, „მხოლოდ“, „-ლა“, „ერთიანად“, „ერთობ“:

მსგრბ-ჭ^ანა! „ოლონდ მიჩვენე!“ ალ^ა ზაკგ^ე გ^ეამძეტ, აუ^ასა აფგ^ე შ^ა-ჭ^ანა-პ „ძალს არაფერი უჭამია, მაგრამ მისი ტუჩი ერთობ სისხლიანი ა“ (ლომთ. 1944, 141; ავიძბა, 1968^ა, 31-32).

დაახლოებით ამავე შინაარსით შეიძლება შეგვხვდეს ზმნას ბრძანებით, პირობით კილოებში დართული **ზაჯ^ეგ** „მარტო“, „მხოლოდ“: **დსგრბაზაჯ^ეგ!** „ოლონდ (მხოლოდ) მიჩვენე!“ **მსგზმგრჭ^აზაჯ^ეგ-რჭატ!** „ოლონდ (მხოლოდ) მომისმინონ!“ (თაბულ. 1976, 214-215).

„სიძელი ს“ გამომხატველი ნაწილაკია -ტ^აჩ^ა: აჭ^აჭ^აგ^ეს დანრგცჰა-ხარა ასჯან დედგრ-ტ^აჩ^ა-ხგძტ „ადამიანი რომ დაბეჩავდება, ძელი საცნობი ხდება“, აჭაშაჭ^ა აუ^აგ^ეს აწგ^ე ბა-ტ^აჩ^ა-პ „ზარმაცის საქმის ბოლო ძნელი დასანახავია“ (ლომთ. 1944, 191; გენკო, 1955, 139-140; თაბულ. 1976, 207).

დამადასტურებელი, დამტკიცებითი შინაარსით გარკვეულ შემთხვევებში სათანადო დროის, ადგილის საგარემოებო ფორმებში თანხვედენის შინაარსით, ქართ. -ვე ნაწილაკის ფუნქციით, გამოდის -ბგრგ (ან გართულებული -იბგრ^ეგ^ეძაკ). დაისმის ზმნის ფუძის დროის აფიქსის შემდეგ როგორც ფინიტურ, ისე ინფინიტურ წარმოებებში (ერთვის სახელებსაც): აფგ^ეა-ბგრგ-ტ^აშ^ატ „სწორედ, უთუოდ გააკეთებს“, აფგ^ე-შ^აგ^ეტ^ა-ბგრგ „მას როგორც კი დაკლავთ [მ ა შ ი ნ ვ ე]“ (ლომთ. 1944, 190, ავიძბა, 1976^ა, 27; თაბულ., 1976, 211).

დადასტურებითი, დამტკიცებითი პრეფიქსული ნაწილაკი, რომლის შინაარსია „კიდევ“, არის -(ა/ე)გ^ე. იგი დაისმის ზმნის ფორმებში D-ს რიგის პრეფიქსების შემდეგ:

სგ-გ^ე-ცატ, დგ-გ^ე-ზბატ „კიდევ წავედი, კიდევ ვნახე“ (ლომთ. 1944, 160-161; ავიძბა, 1968^ა, 7).

შებრალეების, თანაგრძნობის ნიუანსის გადმოსაცემად ზმნის ფორმებს დაერთვის გ^ეშა („საბრალო“), მგ^ეშა („უბედური“, „საწყალი“).

იმწინდრფს-გ^გშე-მტ „მათ ის სახლში მოაკვდინეს (ს ა ბ რ ა ლ ო)“, ჯგ^ათგ^ა სნარგლარგა-მშ^ა-ტ „მე-ს ა ბ რ ა ლ ო მიმიყვანეს ჯგვათში“ (ლომთ. 1944, 189, 190).

ასევე სხვაც, თუმც ნაკლები სისტემატურობით, არაერთი ფუძე შეიძლება დაერთოს ზმნას ამა თუ იმ ნიუანსის გამოსახატავად.

დ რ ო ე ბ ი

ზმნის დროთა ფორმები სხვადასხვა სახით წარმოგვიდგება აბაზურში იმისდა მიხედვით, თუ როგორი წარმოებაა – ე. წ. ფ ი ნ ი ტ უ რ ი თუ ი ნ ფ ი ნ ი ტ უ რ ი (იხ. გვ. 38). ზმნის დროულ წარმოებათა ასეთი სახეობები აბაზურში (და აფხაზურში) დაკავშირებულია დამოკიდებული წინადადების არარსებობასთან. რიგ სხვა ენათა მთავარი და დამოკიდებული წინადადებების საპირისპიროდ, აქ დამოკიდებული წინადადების (მისი კავშირების) სანაცვლოდ გამოდის ზმნის მიმღებური, ჩაუხშავი კონსტრუქციის შესაფერისი ინფინიტური წარმოება დროისა, რომელსაც ჩვეულებრივ პრეფიქსად აქვს სხვადასხვა საგარემოებო ელემენტები (ამ დროს გარკვეული ცვლილებები ხდება დროულ სუფიქსაციაშიც). მთავარი წინადადების სანაცვლოდ კი გამოდის ჩახშული კონსტრუქციის შესაფერისი ფინიტური წარმოება ამა თუ იმ დროისა, რომელიც დროული სუფიქსაციის მქონე ფუძესთან ერთად წარმოდგენილია საგანგებო ფ ი ნ ი ტ ო ბ ი ს მაწარმოებლით. საგარემოებო ელემენტები ასეთი წარმოებისათვის შეუთავსებელია. ყოველი წინადადება დასრულებულად, ჩახშულად წარმოგვიდგება, როცა ზმნა ფინიტურ სახეს იღებს.

ზმნის ფინიტურ-ინფინიტურ წარმოებათა დაპირისპირება გატარებულია თხრობით კილოში (მის როგორც დადებით, ისე უარყოფით სახეობებში).

დროთა წარმოების მხრივ სხვაობაა სტატიკურ და დინამიკურ ზმნებში.

სტატიკური ზმნები ღარიბია დროებით (იხ. ზემოთ). დინამიკური ზმნები ამ მხრივ მეტ მრავალფეროვნებას გვიჩვენებს. გამოიყოფა: აწმყო, ნამყო უსრული, ნამყო სრული (აორისტი), ნამყო უკვეობითი, ნამყო უკვეობითი წინარე წარსული, მყოფადი განუსაზღვრელი, მყოფადი განსაზღვრული.

როგორც ფინიტურ, ისე ინფინიტურ წარმოებებში გარჩეულია დადებითი და უარყოფითი ფორმები.

სტატიკური ზმნა

და დ ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ო ბ ა, ფ ი ნ ი ტ უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ა.

აწმყოს დადებით ფინიტურ წარმოებაში ფუძეს ერთვის **-ჰ** სუფიქსი, კილოურად პარალელურია მჟღერი **-ხ** ვარიანტიც (ლომთ. 1976, 150). აშხარული დიალექტის კილოები სტატიკურ ზმნათა აწმყოს გაფორმების მხრივ მნიშვნელოვან სხვაობებს ავლენენ (ლომთ. 1954, 109-120).

ნამყო განუსაზღვრელში და დ ე ბ ი თ ფ ი ნ ი ტ უ რ ფ ო რ მ ა შ ი ე რ თვის **-ნ** სუფიქსი.

ფუძე **-მა** „ქონა, ყოლა“

- აწმყო – **მ-რ-გ-მა-ჰ** „ის (ნ.) – მათ – აქვთ („ჰყავთ“)
- ნამყ. განუსაზღვრ. – **მ-რ-გ-მა-ნ** „ის (ნ.) – მათ-ჰქონდათ (ჰყავდათ)“

და დ ე ბ ი თ ი ნ ფ ი ნ ი ტ უ რ წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი ს უ ფ ი ქ ს ე ბ ი შეცვლილია. აწმყოში ინფინიტურ წარმოებაში მოგვევლინება **-ჟ** სუფიქსი (**-ჰ, -ჟ** სუფიქსთა შესახებ იხ. ლომთ. 1974), ხოლო **ნ**-ს ნაცვლად **-ზ**:

- აწმყო **მ-რ-გ-მ-ჟ < მ-რ-გ-მ-ჟ < მ-რ-გ-მა-ჟ** „რაც მათ აქვთ“ // „რაც, ვინც მათ ჰყავთ“
- ნამყ. განუსაზღვრ. **მ-რ-გ-მა-ზ** „რაც // ვინც – მათ – ჰქონდათ // ჰყავდათ“⁴.

უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ს ა ხ ე ო ბ ა. ყველა ზმნა, სტატიკური იქნება იგი თუ დინამიკური, უარყოფით ფორმაში საკუთრივ უარყოფითობის **-მ**- მორფემის გარდა დაირთავს დადასტურებით ფინიტურ **(გ)გ**- პრეფიქს-ნაწილაკს, რომელსაც სტაბილურად უჭირავს მეორე ადგილი, ე. ი. ადგილი D-ს რიგის აფიქსის მომდევნოდ (ლომთ. 1944, 160-161, 321; ლომთ. 1953). უარყოფის **-მ** სუფიქსად ერთვის სტატიკური ზმნების ფუძეს აწმყოში აბსოლუტურ ბოლოში, ნამყო განუსაზღვრელში დროისა და ფინიტობის სუფიქსების წინ.

უ ა რ ყ ო ფ ი თ - ფ ი ნ ი ტ უ რ ი:

- აწმყო **მ-გ-რ-გ-მა-მ** „მათ-ის-არ-აქვთ“...
- ნამყო განუსაზღვრელი **მ-გ-რ-გ-მა-მ-ზ-ტ** „მათ-ის-არ-ჰქონდათ“...

უარყოფით-ინფინიტური ფორმების წარმოებისას იგივე ფუძეა აღებული, ოღონდ ჩამოცილებული აქვს მაფინიტივებელი აფიქსები, ერთი მხრივ, **-გ** და, მეორე მხრივ, **-ტ**:

- აწმყო **მ-რ-გ-მა-მ** „რაც / ვინც-მათ-არა აქვთ (ჰყავთ)“
- ნამყო განუსაზღვრელი **მ-რ-გ-მა-მ-გ-ზ** „რაც (ვინც)-მათ არა ჰქონდათ (ჰყავდათ)“.

დინამიკური ზმნა

დადებითი სახეობა, ფინიტური წარმოება

დინამიკურ ზმნებში ფინიტურობის სუფიქსებად გვევლინება **-მტ/-ტ** (კილოურად მჟღერი ვარიანტია **-მდ, -დ**), **-პ, -ნ**. ამათგან **-მტ/-ტ** ოდენ ფინიტურობის სუფიქსია და ინფინიტურ წარმოებაში ამიტომ უკვალოდ ქრება. **-პ** და **-ნ** კი ორი ფუნქციით გამოდიან (ფინიტობისა და დროისა) და ამდენადვე ინფინიტურ წარმოებაში შენაცვლებულია: **-ნ**-ს სტატიკურ ზმნათა მსგავსად, ინფინიტური წარმოების ფორმებში ენაცვლება **-ზ** (ნამყო დროების გადმოცემის ფუნქციით), ხოლო მყოფადის წარმოებაში **-პ**-ს ენაცვლება სუფიქსი **-რა**.

აწმყოს ფუძეს უშუალოდ ერთვის ფინიტურობის **-მტ** (ფონეტიკური ნაირსახეობით **-იტ**). საკუთრივ დინამიკური ზმნის აწმყოს მაწარმოებელი **-ტა** (წინამავალი **ა**- ხმოვნის მომდევნოდ ხმოვანთა შერწყმით **-უ**-ს სახის მქონე), რომელიც აწმყოს ნაკვთის სხვა ფორმებში (მყოფადი განუსაზღვრელი, ნამყო უსრული) გამოჩნდება, აწმყოში ფონეტიკურ ნიადაგზე გაცვეთილ-გალეული ჩანს (ლომთ. 1954, 125; ლომთ, 1955, 310; გენკო, 1955, 162; შდრ. ბოუდა, 1940, 243). იგი აღდგება აწმყოს ინფინიტურ წარმოებებში. დინამიკური ზმნის აწმყოს ნაკვთის **-ტა** მაწარმოებლიან ფუძეზეა დაყრდნობილი, ერთი მხრივ, ნამყო უსრული, რომელსაც ფინიტურ წარმოებაში ემატება **-ნ**, ხოლო, მეორე მხრივ, განუსაზღვრელი მყოფადი, რომელსაც ერთვის რთული სუფიქსი **შ-ტ** (< **შა-მტ**).

ნამყო განუსაზღვრელს, სტატიკურ ზმნათა მსგავსად, მხოლოდ **-ნ** სუფიქსი ერთვის, ოღონდ ფუნქციურად განსხვავებული გამოდის.

უკვეობითს აწარმოებს **-ნა**, რომელსაც შესაბამისად ერთვის ფინიტურობის **-ტ** და **-ნ** სუფიქსები.

ფუძეები: -ცა „სვლა“, -ფს^რ „კვდომა“, „სიკვდილი“

აწმყო

დ-ც-გ**მტ** (< დ-ცგ-მტ < დ-ცა-მტ) „ის მიდის“.

დ-ფსგ-მტ „ის კვდება“

ნამყო უსრული

დ-ც-უ**ნ** (< დ-ცგ-ტგ**ნ** < დ-ცა-ტა**ნ**) „ის მიდიოდა“.

დგ-ფს(გ)-ტა**ნ** „ის კვდებოდა“

მყოფადი განუსაზღვრელი

დ-ც-ტ^შ-შ**ტ** (დ-ცგ-ტგ^შ-შ**ტ** < დ-ცა-ტა^შ-შ**ტ** < *დ-ცა-ტა^{შა}-შ**მტ**) „ის ალბათ, უთუოდ წავა“

დგ-ფს(გ)-ტა^შ-შ**ტ** „ის, ალბათ, უთუოდ მოკვდება“

მყოფადი განსაზღვრული

დგ-ცა^პ-**პ** „ის წავა“

დგ-ფსგ-ჭ „ის მოკვდება“

აორისტი

დგ-ცა-ტ „ის წავიდა“

დგ-ფსგ-ტ „ის მოკვდა“

ნამყო განუსაზღვრელი

დგ-ცა-წ „ის წავიდა და...“

დგ-ფსგ-წ „ის მოკვდა და...“

ნამყო უკვეობითი

დგ-ცა-ხწ-ტ „ის უკვე წავიდა“

დგ-ფს-ხწ-ტ „ის უკვე მოკვდა“

ნამყო უკვეობითი წინარე წარსული

დგ-ცა-ხწ-წ „ის უკვე (ადრე) წავიდა“, „ის უკვე წასული იყო“

დგ-ფს-ხწ-წ „ის უკვე მკვდარი იყო“

ი ნ ფ ი ნ ი ტ უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ა

აწმყო

ე-ცა-ჟა „რომელიც მიდის“

ეგ-ფს(გ)-ჟა „რომელით კვდება“

ნამყო უსრული

ე-ც-ჟ-ზ < // ე-ცა-ჟა-ზ „რომელიც მიდიოდა“

ეგ-ფს(გ)-ჟა-ზ „რომელიც კვდებოდა“

მყოფადი განუსაზღვრელი

ე-ც-ჟ-შ (< // *ე-ცა-ჟა-შა) „რომელიც უნდა წავიდეს“

ეგ-ფს(გ)-ჟა- (< *ე-ფს(გ)-ჟა-შა) „რომელიც უნდა მოკვდეს“

მყოფადი განსაზღვრული

ე-ცა-რა „რომელიც წავა“

ე-ფს-რა „რომელიც მოკვდება“

აორისტი

ე-ცა(-ზ) „რომელიც წავიდა“

ეგ-ფსგ(-ზ) „რომელიც მოკვდა“

ნამყო განუსაზღვრელი

ე-ცა-ზ „რომელიც წავიდა...“

ეგ-ფსგ-ზ „რომელიც მოკვდა...“

ნამყო უკვეობითი

ე-ცა-ხგ-უ (ი-ცა-ხგ-უ) „რომელიც უკვე წავიდა, წასულია...“

ეგ-ფს-ხგ-უ / ეგ-ფს-ხ-უ (< *ეგ-ფს-ხა-უ) „რომელიც უკვე მოკვდა,

მკვდარია“

ნამყო უკვეობითი წინარე წარსული
 მ-ცა-**ხა-ზ** „რომელიც უკვე წასული იყო“
 მგ-ფს-**ხა-ზ** „რომელიც უკვე მკვდარი იყო“

უარყოფითი სახეობა, ფინიტური წარმოება.

უარყოფითი ფინიტური სახეობა ზემოთ თქმულისამებრ (აქვე, გვ. 293) აქაც (გ)გ- პრეფიქსსა და -მ- უარყოფის აფიქსს შეიცავს. უარყოფითობის -მ- მორფემა ფინიტურ წარმოებაში სხვადასხვა დროის მიხედვით განსხვავებულ პოზიციას იჭერს, აწმყოში იგი (სავარაუდო) აწმყოსეული -შა (→-უ) სუფიქსის (რომელიც დაცულია ინფინიტურ ფუძეში) შემდეგ დაერთვის აბსოლუტურ ბოლოში. ასევე აბსოლუტურ ბოლოში დაერთვის იგი მყოფადის ფორმათა ინფინიტური სუფიქსაციის მქონე ფუძეებს. ფინიტურობის -ნ სუფიქსის მქონე დროები უარყოფით-ფინიტურ წარმოებაში ინფინიტური ფუძის შემცველია, ე. ი. -ნ-ს ნაცვლად -ხ სუფიქსს იყენებს, მაგრამ საგანგებო ფინიტურობის სუფიქსი -ტ ბოლოში მაინც ერთვის. რაც შეეხება უარყოფითის მ მორფემის პოზიციას, იგი აორისტსა, ნამყო უკვეობითსა და ნამყო უკვეობით წინარე წარსულში პრეფიქსად გამოდის, დაისმის ზმნის ძირის წინ, ნამყო განუსაზღვრელსა და ნამყო უსრულში კი პარალელურად დასტურდება როგორც სუფიქსური, ისე პრეფიქსული ვარიანტები.

ნამყო უკვეობითების უარყოფით ფუძეში -ხა-ს სცვლის -ს სუფიქსი.
 აწმყო

დგ-გ-ც-შ-მ < // *დგ-გ-ცა-შა-მ „არ მიდის“

დგ-გ-ფს(გ)-შა-მ „არ კვდება“

ნამყო უსრული

დგ-გ-ც-შ-მგ-ზ (< // *დგ-გ-ცა-შა-მგ-ზ-ტ)

// დგ-გ-მ-ც-შ-ზ-ტ (< // *დგ-გ-მ-ცა-შა-ზ-ტ) „არ მიდიოდა“

დგ-გ-ფს(გ)-შა-მგ-ზ-ტ // დგ-გ-მ-ფს(გ)-შა-ზ-ტ „არ კვდებოდა“

მყოფადი განუსაზღვრელი

დგ-გ-ც-შ-შგ-მ (< // დგ-გ-ცა-შა-შგ-მ) არ წავა...“

დგ-გ-ფს-შა-შგ-მ „არ მოკვდება...“

მყოფადი განსაზღვრული

დგ-გ-ცა-რგ-მ „არ წავა“

დგ-გ-ფს-რგ-მ „არ მოკვდება“

აორისტო

დგ-გ-გ-მ-ცა-ტ „არ წავიდა“

დგ-გ-გ-მ-ფს-ტ „არ მოკვდა“

ნამყო განუსაზღვრელი

დგ-გ **გ-მ-ც-ზ-ტ** (// დგ-გ-ცა-მ-ზ-ტ) „არ წავიდა და...“
 დგ-გ **გ-მ-ფსგ-ზ-ტ** (// დგ-გ-ფსგ-მ-ზ-ტ) „არ მოკვდა და...“

ნამყო უკვეობითი

დგ-გ **გ-მ-ც-ს-ტ** „ჯერ არ წასულა“
 დგ-გ **გ-მ-ფსგ-ს-ტ** „ჯერ არ მომკვდარა“

ნამყო უკვეობით წინარე წარსული

დგ-გ **გ-მ-ც-სგ-ზ-ტ** „ჯერ არ იყო წასული“
 დგ-გ **გ-მ-ფსგ-სგ-ზ-ტ** „ჯერ არ იყო მკვდარი“

ინფინიტური წარმოება

ინფინიტურ წარმოებაში, ბუნებრივია, აღარ გვაქვს არც ფინიტურობის სუფიქსები და არც (გ)გ- პრეფიქსი. ამავე დროს უარყოფის გამომხატველი მორფემა ყველა დროის ფორმაში პრეფიქსად დაისმის.

აწმყო

დგ-მ-ცა-ტა „რომელიც არ მიდის“
 დგ-მ-ფსგ-ტა „რომელიც არ კვდება“

ნამყო უსრული

დგ-მ-ცა-ტა-ზ > დგ-მ-ც-ტა-ზ „რომელიც არ მიდიოდა“
 დგ-მ-ფსგ-ტა-ზ „რომელიც არ კვდებოდა“

მყოფადი განუსაზღვრელი

დგ-მ-ც-ტა-ში (< დგ-მ-ც-ტა-ში) „რომელიც არ უნდა წავიდეს“
 დგ-მ-ფსგ-ტა-ში (< დგ-მ-ც-ტა-ში) „რომელიც არ უნდა მოკვდეს“

მყოფადი განსაზღვრული

დგ-მ-ცა-რა „რომელიც არ წავა“
 დგ-მ-ფსგ-რა „რომელიც არ მოკვდება“

აორისტი

დგ-მ-ცა-(ზ) „რომელიც არ წავიდა“
 დგ-მ-ფსგ-(ზ) „რომელიც არ მოკვდა“

ნამყო განუსაზღვრელი

დგ-მ-ცა-ზ „რომელიც არ წავიდა რა“
 დგ-მ-ფსგ-ზ „რომელიც არ მოკვდა რა“

ნამყო უკვეობითი

დგ-მ-ცა-ს „რომელიც ჯერ არ წასულა“
 დგ-მ-ფსგ-ს „რომელიც ჯერ არ მომკვდარა“

ნამყო უკვეობითი წინარე წარსული

დგ-მ-ცა-სგ-ზ „რომელიც ჯერ არ წასულიყო“
 დგ-მ-ფსგ-სგ-ზ „რომელიც ჯერ არ მომკვდარიყო“

დ რ ო თ ა გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა

დინამიკურ ზმნათა აწმყო გადმოსცემს დროს, რომლის შინაარსი საუბრის მომენტს ემთხვევა. ზოგი ზმნა აწმყოს ფორმაში მყოფადის შინაარსსაც იძენს (მაგ., სცმტ „მივდივარ“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მყოფადის გაგებითაც), თუმცა აბაზურში ასეთ შემთხვევაში დიდ გამოყენებაშია მყოფადი განუსაზღვრელი (ჭკადუა, 1970, 121-122).

ნამყო განუსაზღვრელში სუფიქსად გამოდის -ფ, მაგრამ თუ იგი სტატიკურ ზმნებში ერთგვარად ჩახშულ კონსტრუქციას ქმნის (დაყა-ფ „იყო“, დჭა-ფ „იჯდა“), დინამიკურ ზმნებში შესაბამის ფორმას უნდა მოსდევდეს გაგრძელება მომდევნო ზმნის სახით: აჩგ ძგ აჭგფ ძმამბტ „ცხენმა წყალი დალია და მოვიდა (მობრუნდა)“, ამარა მჭწგფ ნხარა ჰვატ „მზე ამოვიდა რა, ჩვენ სამუშაოდ წავედით“.

უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ა

აბაზური ენის უღვლილების ფორმაში იმდენივე პირი შეიძლება იყოს გამოხატული, რამდენიც სახელია მასთან დაკავშირებული. ამიტომ ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი, სამპირიანი და მეტიც. პირის, გრამატიკული კლასისა და რიცხვის ნიშნები ერთიან პრეფიქსებად არის წარმოდგენილი (ე. ი. ერთი და იგივე ნიშანი პირსაც აღნიშნავს, რიცხვსაც და მხოლობითში გარკვეულ შემთხვევაში კლასსაც). ისინი ძირითადად დაკავშირებულნი არიან სათანადო ნაცვალსახელებთან და ქმნიან (თუ III პირის ქალთა ქვეკლასის ზმნაში ასახვის მიხედვით ვიმსჯელებთ) ორ ძირითად რიგს – D-სა და L-ს რიგს ამ უკანასკნელის ორი ქვესახეობით.

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი

პ ი რ - კ ლ ა ს ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი
მხოლოობითი რიცხვი

| | | | D | L | |
|--------|-----------|---|--------|----------------|----------------|
| | | | | L ^o | L ^s |
| I პ. | სარა | - | ს(გ) | ს(-გ-) | ს(-ზ-) |
| II პ. | ჭარა (მ.) | - | ჭ(გ)- | ჭ(-გ)- | ჭ- |
| | ზარა(ქ.) | - | ზ(გ)- | ზ(-გ)- | ზ- |
| III პ. | ძარა (მ.) | - | ძ(გ)- | ძ(-გ)- | ძ- |
| | ლარა (ქ.) | - | ლ(-გ)- | ლ(-გ)- | ლ- |
| | ძარა (ნ.) | - | ძ(გ)- | ა- | ა(ნა-) |

მრავლობითი რიცხვი

| | | | | | |
|--------|------|---|---------|---------|----------------------|
| I პ. | ჰარა | – | ჰ(გ/ა)- | ჰ(გ/ა)- | ჰ-(ჰ-) |
| II პ. | შარა | – | შ(გ)- | შ(გ)- | შ-(ჟ ⁰ -) |
| III პ. | დარა | – | დ(გ)- | რ(გ)- | რ- |

D-ს რიგის პირის ნიშანი ზმნის ფორმის თავში მუდამ პირველ ადგილას დგას და გამოხატავს გარდაუვალი ზმნის S-სა (დ-ციტ „ის (ად.) მიდის“) და გარდამავალი ზმნის უახლოეს (პირდაპირ ობიექტს (ა-ა-ჟ-ტ „მან (ნ.) ის (ნ.) შეჭამა“)⁵.

L-ს რიგის პრეფიქსები გამოხატავს გარდამავალი ზმნის S-ს (L^S) და ყველა ზმნაში, როგორც გარდამავალში, ისე გარდაუვალში ირიბ ობიექტს (L⁰).

ორპირიან გარდამავალ ზმნაში მეორე ადგილას, ზმნის ძირის წინ, დგას L^S რიგის პრეფიქსები (დგ-ზ-ბატ „ის (ად.)-მე-დავინახე“).

სამპირიან გარდამავალ ზმნაში ასევე ძირის წინ L^S რიგის სუბიექტის ნიშნები დგას მესამე (უფრო ზუსტად ირიბი მიმართების პრეფიქსის ჩათვლით – მეოთხე) ადგილზე, ირიბი ობიექტისა L⁰ მეორეზე.

ორპირიან გარდაუვალ ზმნაში მეორე ადგილი უჭირავს ირიბი ობიექტის ნიშნებს (L⁰-ს). სამპირიან გარდაუვალ ზმნაში მეორე და მესამე ადგილებიც ირიბი ობიექტის პირთა ნიშნებს უკავიათ. ირიბი ობიექტი ზმნის ფუძეს უკავშირდება სხვადასხვა სამიმართებო პრეფიქსების მეშვეობით. მათში ყველაზე ფართო გავრცელების, თითქოს, ორგანულად შეწყობული ზმნის ფუძესთან ირიბი ობიექტის სამიმართებო პრეფიქსი არის ა- < // გ- (აა-//< *აა-), რომელიც ფონეტიკურ ნიადაგზე, უმახვილო პოზიციაში შეიძლება სულაც O რეფლექსად იქცეს (ლომთ. 1976, 44, 90-92, 120...). იგი დაისმის ირიბი ობიექტის ნიშნის მომდევნოდ:

D L⁰

აჟგდ ლარა დ-ლ-გ-ს-ტ „მან (მ.) – მას (ქ.) – დაარტყა“

D L⁰

დარა ლარა დ-ლ-ა-ჩაჟტ „იგი (მ.) – მას (ქ.) – დაელაპარაკა“

D L⁰

ჟარა დარა ჟ-ა-ა-ხესტ „შენ (მ.) – მას (მ.) ესროლე (ტყვია, ისარი)“

D L⁰ L^S

ჟარა ლარა ასაბრ დ-ლ-გ-უ-თა-ტ „შენ (მ.) – მას (ქ.) – ბავშვი მიეცი“

და სხვ.

ასევე პირთა რაოდენობის ზრდა ზმნის ფუძეში ხდება სხვადასხვა ფუძის საწარმოებელი პრეფიქსული სადერივაციო ელემენტების დართ-

ვით (მაგ. სხვადასხვა ქცევის, თანაობის, კაუზატივის და მისთანათა ფორმებში).

კილოები

დროთა და კილოთა ფორმები ზოგ შემთხვევაში იმდენად გადაჯაჭვულია ერთმანეთს, რომ მკაცრი დაპირისპირების გატარება მათ შორის ჭირს. ქვემოთ განხილულია მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი კილოური ერთეულები, ესენია: თხრობითი, ბრძანებითი, კონიუნქტივი, პირობითი, მიზან-პირობითი, შეპირობებითი, ნატვრითი, თუმცაობითი, ალბათობითი, თითქოობითი.

თხრობით კილოს არავითარი კილოური საგანგებო მაწარმოებელი არა აქვს. იგი ფაქტის კონსტანტაციას ახდენს. ყველაზე მდიდარია ვარიაციებით: ფინიტური და ინფინიტური წარმოებებით. ზემოთ სწორედ თხრობითი კილოს ფორმები იყო განხილული.

ბრძანებითი კილო

ბრძანებითი კილოს ფორმა ტიპური სახით გვხვდება დინამიკურ ზმნებში. იგი განსხვავებულია დადებითი და უარყოფითი სახეობებით.

დადებითი ბრძანებითი იყენებს ზმნის ფუძეს (რომელიც ისევე მარტივია, როგორც აორისტის ფუძე). პირის აღნიშვნის მიხედვით განსხვავებულია გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები. უკანასკნელებს დადებითი ბრძანებითის ფორმაში არა აქვს II პირის მხოლოობითი რიცხვის ნიშანი. შდრ. გარდაუვ. ზმნა **ჟ-ცა!** „წადი შენ (მ.)!“, **ბ-ცა!** „წადი შენ (ქ.)!“, **შ-ცა!** „წადით!“, გარდამავალი ზმნა **ა-გა!** „წაიდე!“ (იმის აღუნიშვნელად, ქალს მიმართავენ თუ მამაკაცს), **ა-ჟ-გა!** „წაიდეთ!“, **ა-ლ-გ-თ!** „მიეცი მას (ქ.) ის (შენ)!“, **ა-ლ-გ-შ-თ!** „მიეცით მას (ქ.) ის!“ (მეორე პირის მრავლ. რიცხვის ნიშანი **შ-/-ჟ-** შენარჩუნებულია მრავლობითის გადმოცემის ფუნქციით) და სხვ.

უარყოფითი ბრძანებითი ფუძის მიხედვით განსხვავდება დადებითი ბრძანებითისაგან აქ ზმნის ფუძეს პრეფიქსად უჩნდება უარყოფითის მორფემა **მ-** და ბოლოს ერთვის სუფიქსად **-ნ** (კილოურად **-მ-ც**) (ლომთ. 1944, 177). ამავე დროს ამ შემთხვევაში პირის ნიშნები ყველა ზმნაში დაცულია: **ჟ-მ-ცა-ნ!** „არ წახვიდე შენ (მ.)!“, **ა-ჟ-გმ-გა-ნ** „არ წაიღო ის შენ (მ.)!“ და სხვ.

ბრძანებით კილოს აქვს ერთგვარი თხოვნით-მოწოდებითი ვარიანტი, რომელიც შეიძლება გადმოვცეთ სიტყვებით: „აბა ერთი...!“. იგი გამოიხატება ზემოთმოყვანილი ფორმებითვე **-ს(ტ)** სუფიქსის დართვით: **ჟ-ცა-სტ!** „აბა ერთი წადი!“ **ა-გა-სტ!** „აბა ერთი წაიდე!“ და სხვ.

გარდა ამისა, ძალზე გავრცელებულია თავისებური მოწოდებითი შინაარსის მქონე ფორმა პირველი პირის მრავლობითი რიცხვისა, თუმცა იგი ისევ II პ. დადებითი ბრძანებითის ფორმაა ნაკაუზა-ტივარი ფუმიდან ნაწარმოები: **ე-ჭაპარკ'ცე!** „მოვიფიქროთ!“ („მოდით ერთი მოვიფიქროთ!“ < „მოგვაფიქრებინე!“) (ლომთ. 1944, 175)⁶.

სტატისტიკურ ზმნაში ბრძანებითის ფორმის წარმოებისას ფუძეს ერთვის **-ზ-ლა** რთული სუფიქსი: შ'არს არსცა შ'აყა-**ზლა!** „თქვენ აქ იყავით!“, არა უჭ'ა-**ზ-ლა!** „აქ იჯექი“ და მისთ.

უარყოფითშიაც იგივე წარმოებაა **-ნ** სუფიქსდართული, ოღონდ უარყოფის მორფემა **-მ** დაისმის **-ზლა**-ს წინ: აჭ'ასა ბაყა-**მე-ზლა-ნ!** „ასე ნუ ხარ!“ („ასე ნუ იქნები!“) და სხვ.

ამავე დანიშნულებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონიუნქტივის ფორმაც სტატისტიკურ ზმნებში **-ზტ** სუფიქსდართული: ტ'ნაჲ სა სგ'გფ რფნგ, სარა უსტცგე-**ზ-ტი!** „მოდით (მიდით) ჩემს ჯგუფში და მე თან (მეახელ) მახლდით!“ (ლომთ. 1944, 176).

კონიუნქტივი

კონიუნქტივს აწარმოებს რთული **-რ(ა/ე)ჭა(ა)ტ** სუფიქსი (იგი დაფუძნებულია ინფინიტურ ფუძეზე. ეს ნიშნავს: დინამიკური ზმნის უარყოფით ფორმებში **მ** დაისმის პრეფიქსად): ნწრაკ ბგდთ-**რჭატ** „ხანგრძლივი (სიცოცხლე) მოგცეს მან [ღმერთმა]!“ სა სგმ-**რჭატ** „მე დავიკარგო!“ და სხვ.

სტატისტიკურ ზმნებში გაბატონებულია ამ შემთხვევაში **-ზტ** რთული სუფიქსი, რომელშიაც შედის სტატისტიკური ზმნებისათვის დამახასიათებელი **-ზ(ა)** (იხ. აქვე, გვ. 293): აშ' აღწარა აფნგ დგგლა-**ზტ!** „იდგეს კარის კუთხეში!“ იგი შეკვეცილი სახეობა გამოდის სტატისტიკურ ზმნებშივე პარალელურად არსებული **-ზრჭატ** რთული სუფიქსისა, შდრ., დჭ'ალა-**ზტ** // დჭ'ალა-**ზრჭატ** „ის ჩვენს შორის იყოს!“ (ლომთ. 1944, 173, 176).

პირობითი კილო

გვხვდება პირობითი კილოს სხვადასხვა წარმოება. გვხვდება **-გ'გმ** („-ც“) კავშირის შემცველი **-რ(ე)-გ'(ე-მ)** რთულსუფიქსიანი ფორმები, რომლებიც ზმნის ფუძეს (ინფინიტური სახეობის შესაბამისს) ერთვის და რომლის დროული შინაარსი მომდევნო ზმნის ფორმით განისაზღვრება: (ა)ჭ'ა-**რგგ'გმ**, მცგგ'გე უჭ'არგმ „...მას თუ იტყვი (კიდევ), ტყუილს არ იტყვი, ჰადშ'ან, აშ'ანდგე'არა ჰამწა-**რგგ'გმ** „მოგვკლავდა, ზანდუკისთვის რომ არ გვეკითხა...“ (ლომთ. 1944, 167, 168...).

სტატისტიკურ ზმნაში იგი **-ზა/-ზლა** სუფიქსებიან ფუძეს დაერთვის: დრგმა**ზლარგ'გმ** („თუ ექნება“...). ჩვეულებრივ პირობითი კილოს წარმოე-

ბისას გაბატონებულია რთული სუფიქსი **-რქვენ/-რკვენ**. იგი მარტივ (ინფინიტურ) ფუძეს ერთვის და დროულ გაგებას ჩვეულებრივ მომდევნო ზმნით გამოხატავს:

ფხბე კაჭრაჭა უტენხა-**რქვენ**, აჩარა უგე აზჷაძა „ოვლის ღვრით თუ იმუშავებ, საჭმელი წაგადგება“, აჭარბა შარდა ეკუშა-**რქვენ** ადამა ფრადტ „არწივი ბევრს თუ (რომ) იტრიალებს, [ფრთას] იქნევს, ფრთას მოიტეხს“. უჭაკვდესმთებე-**რქვენ**, სეჭუმუშაზარენ „შენ მე რომ ამეხსენი, მომკლავდი“...

იგი შეიძლება **-ზა** სუფიქსიან სტატიკურ ზმნებშიც შეგვხვდეს: ატემა სკემ-**ზა-რქვენ**, მხაზარ ჰაზარენ „ეს რომ არ ყოფილიყო, მის ამბავს გავიგონებდით“.

ნამყო დროის გაგებით ამავე სუფიქსს ემატება **-ზ** და **-რქვენგზ** სახეობით გამოდის: მხაირხატ შემკა-**რქვენგზ**, შარგდ ჰარგდ ჰალგუნ „ხეირიო (ხეირად იქცესო), რომ არ გეთქვათ, ჩვენ ერთმანეთს წავეჩხუბებოდი“ („გავათავებდით“).

პირობითი კილოს მაწარმოებლად გამოდის ასევე რთული სუფიქსი **-ზთენ**, რომელიც ერთვის მარტივი ფუძის გარდა ისეთ დროთა ფორმებს, რომლებსაც ფინიტურ სახეობაში **-ნ** არა აქვთ, კერძოდ აწმყოს, მყოფადის, უკვეობითის ინფინიტურ ფუძეს: მჷსასჷ, სჷკვენ ჰჷაძჷგწე-**ზთენ** „მითხარ, ყმაწვილს თუ გამოვშორდით“. მსტუმთეშა-**ზთენ**, უბაჷ „მას თუ არ მომცემ, ნახავ“. მსტუმგჷშეშა-**ზთენ** ატაჷ მრდგრნატ „თუ მათქმევინებ მას, ხალხმა უკვე იცის“. მრჩფუმგზ მრჩფახნ-**ზთენ** უტლამჩ-აჷახენ „რაც უნდა გაეკეთებინათ, თუ უკვე გააკეთეს, ნულარ ერევი მათ საქმეში“ („მეტს ნულარ ლაპარაკობ“).

სტატიკურ ზმნებშიც გვხვდება მარტივ ფუძეს დართული **-ზთენ**: ამალ ამა-**ზთენ** „საშველი თუ აქვს“ და მისთ. ამავე დროს იგი აწმყოს ინფინიტურ ფუძეზე დართულიც ხშირად გვხვდება: მტთაჷ-**შ-ზთენ** „თუ გინდა“..., უტანა ბზგდ-**შ-ზთენ** „შენ თუ კარგი კაცი ხარ“ და მისთ.

მიზან-პირობითი კილო

მიზან-პირობითს აწარმოებს რთული სუფიქსი **-რნგ-ს**, რომელიც გვხვდება **-ნგ-ს** სახეობითაც და ერთვის ინფინიტურ მარტივ ფუძეს: დჷაძტ მგახგ-**რნგს** „მოვიდა, რათა წაიღოს (მოვიდა წასაღებად)“. ჩგფსგმშა-**რნგს** დგჷატ „რათა დაისვენოს (რომ დაისვენოს), დაჯდა“. მჷჷარგ-**ნგს** აზნა მცად „შემის მოსატანად ტყეში წავიდნენ“ (ბოლდა, 1940, 249; ლომთ. 1944, 170-173; ლომთ. 1948). თმგ რგმაზლა-**რნგს** რთაჷგნ „სახლი რომ ჰქონოდათ, უნდოდათ“.

ამავე ფუნქციით გამოიყენება სხვადასხვა საშუალებებიც, კერძოდ, იმავე ამოსავალ, „პირობითის“ ფუძის მქონე ზმნის ფორმას მოსდევს

„თვის“ თანდებული, მაგ., ზაკვ უჭარ აჯაზ[ლა], უჭვც! „რამე რომ თქვა (თუ გინდა თქვა), მისთვის ი ფ ი ქ რ ე!“ ან გამოიყენება მასდარის განუსაზღვრელი ფორმა: ნხარ აცატ „სამუშაოდ („მუშაობად“) წავიდნენ“.

შეიძლება იმავე მასდარის ფორმას **-ჭა** ნაწილაკიც („თქმა“ ზმნის ძირი) დაერთოს მსგავსი დანიშნულების გადმოცემისას: ჯჯარა-**ჭა** დჰადტ „გასარეცხად („რეცხვად“) მოვიდა“, ლარფმარ **-ჭა** აადჰზან „გასართობად შეიკრიბნენ“.

ეგვე **-ჭა** „თვის“ თანდებულის ფუნქციით სახელებს დართულიც არის ხოლმე: უათრა-**ჭა** დჰადტ „ბოსტნისთვის მოვიდა“, ბელ-**ჭა** დჰადტ „ბარისთვის მოვიდა“ და სხვ.

შეპირობებითი კილო

შეპირობებითი კილო გამოხატავს, რომ მოქმედების შესრულება დამოკიდებული იყო სხვა მოქმედებაზე (ან მდგომარეობაზე). იგი იწარმოება მყოფადი დროების ინფინიტური ფუძისაგან, რომელიც ნამყოზის **-ნ** სუფიქსის საშუალებით გადაიყვანება ნამყოში, ამიტომვე უარყოფით ფორმაში ეს **-ნ** შენაცვლებული გამოდის **-ზ-ტ** სუფიქსებით.

დცა-რგ-**ნ** ათაჯზარქენ „წავიდოდა, რომ ნდომოდა“. დცუმგ-**ნ** ააჰარქნგზ „არ წავიდოდა, რომ სცოდნოდა“.

დ-გ-მ-ცუმგ-**ზტ** ააზარქნგზ „არ წავიდოდა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო“.

ნატვრითი კილო

ნატვრითი კილოს მაწარმოებელია **-ნდა** სუფიქსი. იგი ხშირად **-რა** სუფიქსითაც არის გართულებული (**-ნდა-რა**) და ერთვის მარტივ ფუძეს.

ლაჟ ივა სგფჰან-**ნდა!** „ნეტავ ლაუს ძის ქალიშვილი ვიყო!“

დგზბან-**ნდა!** „ნეტავ ვნახავდე!“

დგემბან-**ნდა!** „ნეტავ ის მას არ ნახავდეს!“

დწყამგ-**ნდა!** „ნეტავ არ იყოს ის!“

აღნიშნულ სუფიქსიან ფორმებს შეიძლება ნამყოზის **-ზ** სუფიქსიც დაერთოს (მაგ., სგფჰან-**ნდაზ**, დგემბან-**ნდაზ**...). ამით მნიშვნელობა არ იცვლება.

ამ კილოს ფორმას შეიძლება **-ჭა** ნაწილაკიც დაემატოს გაფიქრების, [გულში] თქმის მნიშვნელობით: აქტ დთეწგ-**ნდა-ჭა**- // დთეწგ-**ნდარა-ჭა**-აფმჰან „იყურებოდნენ, ნეტავ სოფლიდან წავიდესო“.

თუმცაობითი კილო

თუმცაობით კილოს გადმოსცემს **-ზ-ტ-ჭა** რთული სუფიქსი, რომლის **-ჭა** ელემენტი „თქმა“ (ჭა-რა) ზმნის ძირია:

უარა უტეკვინგ-**ზ-ტ-ჰა** უგებზღდაპ „შენ თუმც პატარა (ახალგაზრდა) ხარ, (მაგრამ) გაგებული (ჭკვიანი) ხარ“.

აუგდ მფგცქა შაკოკა-**ზ-ტ-ჰა**, მგე ქამჰამ „თუმც კბილები თეთრი აქვს, გული შავი აქვს“.

ასევეა დინამიკურ ზმნებშიაც: დჰაფმაგ-**ზ-ტ-ჰა** მგემმატ „თუმც შეხედა, მაგრამ ვერ (არ) დაინახა“.

აქ იგი -**უა** სუფიქსიან აწმყოსეულ ნაკვთსაც ერთვის: დჰაფმაგ-**უა-ზ-ტ-ჰა** მგემუმ „თუმც იყურება, მაგრამ არ ხედავს“.

-**ჰა** გვხვდება მარტივ ფინიტურ ფუძეზე დართულიც დინამიკურ ზმნებში: დგმბტ-**ჰა** მუნათუაა? „მან ის თუმც ნახა, შენ ეს რას მოგცემს?“

ალბათობითი კილო

ალბათობის შინაარსს ზმნის ფუძეს აძლევს -**ზაპ** რთული სუფიქსი, იგი ერთვის როგორც სტატიკური, ისე დინამიკური ზმნის მარტივ ფუძეს: საბ დგარშეზ, არაჰა სპ-**ზაპ-ჰა** მგე მანაგტ „მამაჩემი სადაც მოკლეს, ალბათ აქ არის (აქ იქნებაო), გაიფიქრა“, ჰაბა აგემლა სჰამბ**ზაპ** „მამამ, ალბათ, სარკმელში დამინახა“ (უფრო ზუსტად: „ალბათ დავუნახივარ“).

დინამიკურ ზმნებში სხვა დროთა ინფინიტურ ფუძეზე (აწმყოს) -**უა** // -**უი**, (მყოფადის) -**უაში** > **უში**, (უკვეობითის) -**ხ-ა** სუფიქსებით გართულებულზედაც ხდება -**ზაპ** სუფიქსის დართვა თურმეობითის შინაარსით: უარგემ ზაკტ უდგრ-**უა-ზაპ** „შენც ალბათ რამე იცი“ („გეცოდინება“); უარა უტეხან**ზაპ** „შენ ალბათ უკვე წასული ხარ“, უარგემ უტუმ**ზაპ** „ალბათ შენც წახვალ“ და სხვ.

აღნიშნული შინაარსის ნამყო დროში გადაყვანისას იმავე ფუძეებს ერთვის რთული -**ზარენ** სუფიქსი: ამში ადუმეგ**ზარენ** „დღე ალბათ მოკლე იყო, (იქნებოდა)“, დცუმ**ზარენ** „ალბათ მიდიოდა“, დცუმ**ზარენ** „ალბათ წავიდოდა“, დცან**ზარენ** „ალბათ უკვე წასული იყო“.

უარყოფითი ფორმების წარმოებისას -**ზაპ** სუფიქსის გამოყენების შემთხვევაში ფინიტური ფუძის შესაბამისად ფორმდება უარყოფა:

დგანჰამ**ზაპ** „ალბათ არ არის (სადმე)“

დგემც**ზაპ** „ალბათ ის არ წავიდა“

დგემცუმ**ზაპ** „ალბათ ის არ მიდის“

დგემცუმე**ზაპ** „ალბათ ის არ წავა“

დგემცან**ზაპ** „ალბათ ის ჯერ არ წასულა“

უარყოფითი ფორმები -**ზარენ** სუფიქსის შემთხვევაშიც ფინიტურ უარყოფით ფუძეს იყენებს, ოღონდ -**ნ** სუფიქსის შესაბამისად -**ზ-ტ** რთული სუფიქსი წარმოდგება (ლომთ. 1944, 155; ლომთ. 1955, 222; ჭკადუა, 1970, 202; თაბულ. 1976, 167-170).

დგანჰამ-**ზარენ**ტ „ალბათ არ იქნებოდა“, „ალბათ, იგი არ იყო“

დგგ-გ-მ-ცჷ-ზარგზტ „ალბათ არ იყო წასული“
 დგგ-გ-მ-ცჷ-ზარგზტ „ალბათ ის მიდიოდა“
 დგგ-გ-მ-ცჷშ-ზარგზტ „ალბათ არ წავიდოდა“
 დგგ-გ-მ-ცა-ხ-ზ-ზარგზტ „ალბათ ჯერ არ წასულიყო“

აფხაზურის მსგავსად მათ ზოგჯერ თურმეობითის შინაარსიც უდგება, მაგრამ თურმეობითი აბაზურში აღწერითი საშუალებებით არის გადმოცემული, კერძოდ, გავრცელებულია აბსოლუტივის ფორმის მქონე ძირითად ზმნაზე მეშველ ზმნად **ზაწწრა** „გამოსვლა“ ზმნის სხვადასხვა დროის ფორმით დართვა, მაგ.: აფჰგეს ლსკ ° თა **დზაწწტ** „მისი ცოლი ყოფილა“ („მისი ცოლი „არის რა, «არსებულად», გამოვიდა“).

აბჰჰს სარს სჯალ ჰაძსთა **ზაწწტაშტ** „დღეს თურმე მოვკვდები“, „დღეს ჩემი სიკვდილის მოწვევანად გამოვა“ (ლომთ. 1944, 156-157).

თითქობითი კილო

„თითქოს“ შინაარსის გადმოსაცემად გამოიყენება სუფიქსალური **-შა (-ზ-შა)**, რომელიც ერთვის ინფინიტურ ფუძეს როგორც სტატიკური, ისე დინამიკური ზმნებისას: ალგმა-**ზ-შა** „თითქოს მას (ქ.) აქვს“. ხშირად მას **ზარა** „ხედვა“ ზმნა ეწყობა: ახშა შარდა ჟაფშერქენ, შა ალა-**ზ-შა** აჭბეტ „რძეს ბევრი თუ უყურე (უჭვრიტე), თითქოს სისხლი ურევიაო, [ისე] დაინახავ (მოგეჩვენება)“, დგდბ-უ-**შა** // დგდბ-უ-**ზ-შა** „ის თითქოს ხედავს მას“...

ამ ფუნქციით მეტი გავრცელებით სარგებლობს **-ზ-შა** სახეობა.

ნაზმნარი სახელები

დინამიკურ ზმნათა ფუძიდან **-რა** სუფიქსის დართვით იწარმოება მასდარი, ე. ი. სახელზმნა განყენებული ცნების შინაარსისა. მაგ.: ალ-**ჩფგმტ** „აკეთებს (ის(ქ.) მას (ნ.)“, მასდარი **ჩფა-რა** „კეთება“, ი-**დგრიტ** „იცის“, **დგრ-რა** „ცოდნა“ და სხვ. (სტატიკური ზმნების მასდარის ფორმის შესახებ იხ. ზემოთ). უარყოფითი ფორმის წარმოებისას უარყოფის **მ** აფიქსს ის პოზიცია აქვს, რაც ინფინიტური ფუძისთვის არის ნიშანდობლივი (იხ. ზემოთ).

ინფინიტური ზმნური წარმოებები „ზმნისა“ და „სახელის“ საშუალოდენობებად უნდა ჩაითვალოს. ამდენადვე დროთა მიხედვით განსხვავებული ზმნური ინფინიტური წარმოება, რომლებიც შეიცავენ ადგილის, დროის, ვითარების მიზეზის... საგარემოებო ელემენტებს, ფართო გაგებით, შეიძლება „მიმღებობა“ მივიჩნიოთ: დ-ცა-ცაჷა „სადაც-მიდის“, დ-შგ-ცა-ჷა „როგორც-მიდის“, დ-ან-ცა-ჷა „როცა-მიდის“, დგ-ზ-ცა-ჷა „რითვისაც-მიდის“ და სხვ.

მათში განსაკუთრებით გამოსაყოფია პირის მიმართებითი ფორმები – ვიწრო მნიშვნელობით მიმღეობები, რომლებიც შეიცავენ სუბიექტ-ობიექტის „მიმღეობურ“ პირებს. ყველა ზმნის ინფინიტური ფორმით შეიძლება გამოიხატოს ადამიანი ან ნივთი, რომელიც მოქმედების (მდგომარეობის) ან სუბიექტია, ან ობიექტი (თუ იარაღი). ამგვარი ზმნური ინფინიტური წარმოებები ფორმას იცვლიან იმის მიხედვით, თუ მიმართებითად წარმოდგენილი რომელი ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი პირია ამ თვისების მქონე, თუ ის პირია, რომელიც D-ს რიგის პირ-კლასის ექსპონენტებს გულისხმობს (ე. ი. გარდაუვალი ზმნის S და გარდამავალი ზმნის უახლოესი ობიექტი), აღინიშნება **ა¹გ¹**- პრეფიქსით, ხოლო თუ ის პირია, რომელიც L-ს რიგის ექსპონენტებს გულისხმობს (ე. ი. ირიბი ობიექტი და გარდამავალი ზმნის S), აღინიშნება **ზ¹გ¹**- პრეფიქსით და უჭირავთ შესაბამისი რიგის პრეფიქსთა ადგილები, ოღონდ პირთა მორფოლოგიურ ექსპონენტთაგან განსხვავებით არ განარჩევენ არც პირს (პირველს, მეორეს, მესამეს), არც კლასს (სქესს) და არც რიცხვს (ლომთ. 1942). პოლიპერსონალურ ზმნურ ფორმაში ასეთი მიმართებითი პირი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს.

ნათქვამის კვალობაზე მიმღეობა იქნება ან სუბიექტური, ან ირიბ-ობიექტური, ან პირდაპირ-ობიექტური.

ასე, მაგალითად, სამპირიანი დგ-ჟ-გლ-თ-ტ – („შენ (მ.) მან (ქ.) ის (ად.) მოგცა“) ზმნისაგან იქნება:

ა(გ)-ჟ-გლ-თგ(-ზ) „ის, რომელიც (ვინც, რაც, რომლებიც) მოგცა შენ (მ.) მან (ქ.)“

დ(გ)-ზ-გლ-თგ(-ზ) „ის (ად.) რომელიც (ვისაც, რასაც, რომლებსაც) მისცა მან (ქ.)“

(გ)-ჟ-გლ-ზ-თგ(-ზ) „რომელიმაც (ვინც, რამაც, რომლებმაც) შენ (მ.) მოგცა ის (ად.)“ და სხვ.

საყოველთაოდ გავრცელებული მიმღეობის სისტემის გარდა ენაში არსებობს განსხვავებული ტიპების სხვადასხვა ფორმაციის მიმღეობებიც.

გვხვდება ძველი, გაუფორმებელი ზმნურფუძიანი მიმღეობები: ჭაჯ^ა-ბ ლ გ „დამწვარი პური“, ბჟა-ფ ს გ „ნახევრად მკვდარი“ და მისთ.

ერთი წყება ასევე საკმაოდ ძველი წარმოებების მიმღეობები გაფორმებულია **-ზ^ა** სუფიქსით: ჟ^ა**ზ^ა** „მოხარშული ხორცი“. ეს წარმოება აბაზურში გამოცოცხლების გზაზეა. ასეთია, მაგ.: ჯ^აჯ^ა-**ზ^ა** „სარეცხი“, ფჩეჩ-**ზ^ა** „ნამსხვრევი“, „დამსხვრეული“, **სზ^ა** „ზონარი“, „პატრუქი“ („ნაქსოვი“), აფზ^ა-**ზ^ა** „ნაკითხი“, „ნასწავლი“ და სხვ.

გვხვდება აგრეთვე **-ხ^ა** სუფიქსიანი მიმღეობები ზმნის ფუძიდან, უფრო კი მასდარისაგან, წარმოქმნილი: ღვჩრა-**ხ** „ნაქურდალი“, „ნაპარავი“, ფმქარა-**ხ** „განაზებული“ და მისთ. (ლომთ. 1979).

ენაში ჩასახულია „ადამიანის“ აღმნიშვნელი ძირის -**ჭ**-ს გამოყენებით წარმოება „სუბიექტური“ მიმღეობისა, რაც ჩვეულებრივ მოქმედ ადამიანს გულისმობს: არგვზ-**ჭ** „მასწავლებელი“, ნხა-**ჭ** „მუშა“, შარგვა-**ჭ** „მონადირე“ და მისთ. თუმც იგი იმდენად ზოგადდება მოქმედი S-ის გადმოსაცემად, რომ ნივთთა კატეგორიაშიც არ არის უცხო, მაგ. ანდაზაში – აჩ^ნ ანმაჭკუ^ე აპ^ეგს-გ^ეგ ჩა-**ჭ**-ხგ^ეტ „როცა თივა ცოტაა, ხბოც კი გაუმადლარი (= „მჭამელი“) ხდება“.

ამის საპირისპიროდ გვაქვს ობიექტის მიმღეობა ნივთთა კატეგორიის შესაბამისი – ნაწარმოები -**ჭ** სუფიქსით: ჭა-ჭ^ე „საჭმელი“, ჟ-ჭ^ე „სასმელი“ (ლომთ. 1956) და სხვ.

მიმღეობის შინაარსით ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომპოზიტური სიტყვაწარმოება (მაგ. ჩჩაჯა „სასაცილო“, „სიცილის კერძი“ და მისთ.).

აბსოლუტივი. აბსოლუტივიანი კონსტრუქციები ფართოდაა გამოყენებული აბაზურში, რამდენადაც ესაა ერთ-ერთი გავრცელებული საშუალება წინადადებაში ზმნა-შემასმენელთა დაკავშირებისა.

აბსოლუტივი ზმნის ფორმაა, რომელიც მთავარი ზმნით გამოხატული მოქმედების დამატებით მოქმედებას (მდგომარეობას) გადმოსცემს და იგუებს ვითარების ფუნქციას მსგავსად ზმნისართებისა.

აბაზურში ორი განსხვავებული ტიპის აბსოლუტივი გამოიყოფა (ლომთ. 1944, 184-187) იმის მიხედვით, თუ მას რა ზმნური კატეგორიები ახასიათებს და როგორია მისი შეწყობა მთავარ ზმნასთან დროში:

1. ძირითადი ტიპის აბსოლუტივებისა (რომელიც უძველესიც არის) ინფინიტური წარმოების ტიპად უნდა ჩაითვალოს, რომელსაც ყველა ზმნური კატეგორია ახასიათებს გარდა დროისა (და, რაღა თქმა უნდა, ფინიტობისა)⁸, იგი ამდენადვე როგორც ზედროული ზმნური ნაკვთი ყველა დროის ფორმას ეწყობა მთავარი ზმნისას (მიუხედავად თვით ამ ტიპის აბსოლუტივის გაფორმებისა).

2. სხვა ტიპი აბსოლუტივებისა (ნაწარმოები ოდენ -**თა**//**-შთა** სუფიქს-ნაწილაკით) ფინიტური ფუძის მქონეა. მამასადამე, მას აქვს ყველა ზმნური კატეგორია (ინფინიტური ფორმისათვის დამახასიათებელ წარმოებათა გამორიცხვით) და დროშიც ეწყობა მთავარ ზმნას. ეს ფორმა აბსოლუტივისა უფრო ზმნათა მაერთებელი კავშირის ფუნქციით გვევლინება.

პირველი ტიპის აბსოლუტივები როგორც დადებითი, ისე უარყოფითი სახეობისა, აბაზურში სხვადასხვა გაფორმებით გვხვდება.

აბსოლუტივი გადმოიცემა ზმნის მარტივი ფუძით, საგანგებო (მააბსოლუტივებელი) აფიქსის გარეშე (როგორც სტატიკურ, ისე დინამიკურ ზმნებში).

აღწბა ლთოფ **ღმბა** დგქჭაპ „უმცროს თავისი ბურთი აქვს რა
[ბურთის ქონით] ზის [ზედ]“
აჭამაჭ **დჭა** დგჩგდტ, **დშტა** დგნხგდტ „ზარმაცი ზის რა [მჯდო-
მელას] სძინავს, წევს რა [მწოლარე] მუშაობს“.
ამჭა **დგბგნგგლა** დჯგქგლხტ „იგი გზას დაადგა რა [დადგო-
მით] გაემართა“
ალა **ბგერგლაჭფსა** მაჭგზაპ „ძალს ძვალი გადაუყარო რა
[გადაყრით], ისეთია“.

ასეთი მარტივი ფუძის აბსოლუტივები, უარყოფით ფორმაში ოდენ უარყოფითის **მ** აფიქსის მქონე, არაა გავრცელებული, იშვიათად გვხვდება ანდაზების ენაში, მაგ., **ალა-მ-ზა** მშგ გგშხუმ „თვალუხილავად [დაუნახავად] დათვი არ მოიკვლება“.

დინამიკურ ზმნებში აბსოლუტივი გაფორმებულია **-ჭა** სუფიქსით (როგორც დადებით, ისე უარყოფით წარმოებებში):

დხგხაჭა დჭან „ის [მაფს] არ თავს რა [მაფის დართვით] იჯდა“.

დჭგცჭა დკდჭაალხტ... დგშგჭგცჭაზ, ჭარბა-ჩგჭკ აჭაკა ბეჭ-მეტრაკ დნამაჭა, მარა მტრაკ აპნ დნამაჭა დჭამდგგლტ „ფიქრობს რა [ჩაფიქრებული] კედელთან მიჯდა... ფიქრში რომ იყო, „არწივ-მხედარი“, რომლის წვერი შვიდ მეტრს აღწევს რა [წვდება], თვითონ მეტრზე მეტსაც ვერ აღწევს რა, მიადგა მას“.

ასეთი წარმოება აბსოლუტივისა ხშირია, როცა საპირისპირო მოქმედების გამოხატველი ზმნებია ხოლმე ერთად გადმოსაცემი.

-ჭა სუფიქსიანი აბსოლუტივი ძალზე გავრცელებულია „დაწყება“ აღაგარა ზმნასთან, რომელიც მეშველი ზმნის როლში გამოდის და ერთად ქმნიან პრედიკატს: დგფშგრ – ჳგჩჩა დალაგად „გაიღიმა“, „გაღიმება დაიწყო (იღიმება რა, დაიწყო“), დჭგცჭა დალაგატ „ჩაფიქრდა“, „ჩაფიქრება დაიწყო“ (ფიქრობს რა, დაიწყო“).

აბსოლუტივის წარმოებისას ყველაზე აქტიური სუფიქს-ნაწილაკია **-თა** (< // **-შთა**). იგი გვხვდება ყველა ზმნასთან და ყველა ტიპის წარმოებაში).

-თა ერთვის მარტივ ფუძეს:

აზჭადა ჩმაზაჭრა სცათა დგგდგტრამ „ჯანმრთელმა არ იცის, ავადმყოფობა არის რა [რომ არის]“

მზარკგლა ჭფშაათა დგგჭაჭრგმ „იმას ანთებული ლამპით ეძებ რა [ძებნით], ვერ იპოვი“.

-თა ერთვის ჭა სუფიქსიანი ფუძეს:

ბაცაჟ^ე დეფხ^ატათა ჩკ^ენკ დაჟან „ბაცაჟეს ეძახდნენ რა („ეძახიან რა“), ერთი ყმაწვილი იყო“ (იყო ერთი ყმაწვილი, სახელად ბაცაჟვი“)

მე ტესმრგჟ^ეტათა ტჰაზდხგპ „წყლის დაულევიინებ-ლადა (არდაგალევიინებ რა“) მოგიყვან ისე“.

შენიშნულია, რომ გარდამავალ ზმნათა ამ ტიპის აბსოლუტივებში (ე. ი. ინფინიტურ ფუძეზე დამყარებულ აბსოლუტივებში) სუბიექტის ნიშანი გამოტოვებულია (ლომთ. 1948, 8), თუმცა მიუთითებენ, რომ ეს დამახასიათებელია იმ შემთხვევაში, როცა მომდევნო ზმნა ბრძანებითის ფორმით არის და აბსოლუტივის ფორმიანი ზმნაც თავისი ბუნებით ბრძანებითს ეყრდნობა, რითაც აიხსნება სუბიექტის ნიშნის უქონლობა (კლიჩევი, 1965), მაგ.:

ჭ^ეზაკე-ზაკ ჰფრტ^ექა დრ^ელხთა ჰატუმთხ! „თითო ბეწვი ჩვენს ფაფარს ამოაცალე რა (ამოცლით) გავვიშვი!“

მართლაც, დანარჩენ შემთხვევებში ჭარბობს სუბიექტის ნიშნიანი ფორმები (მაგ. ეთაჟ^ეზთენ ათმჟ აშაჟ^ე გწ^ეგეჯთა იწაღრგგლხტაშტ „თუ მოუნდა, სახლს ქვემიდან საფუძველს გამოაცლის რა, ისევ შეუდგამს“ და მისთ.), მაგრამ აქა-იქ გარდამავალი ზმნის აბსოლუტივის უსუბიექტო ფორმებიც გვხვდება, განსაკუთრებით ანდაზების ენაში. მაგ.:

ტ^ეგ^ეტ^ეხთა ეთაჟ^ეწახგრგ^ედ დგ^ერაზხუმ^ემ „(მისთვის) შენი გული ამოიღო [შენ] რა (ამოღებოთ) და ისევ უკან ჩადო, მაინც არ იქნება კმაყოფილი“.

აშ^ელა დჯ^ეგ^ელცათა აჯ^ეშ^ელა დგ^ეტ^ეშაშ^ეგლხტაშტ „კარიდან გააგდებ რა (გაგდებოთ) სარკმლიდან შემოგივა“.

ალ^ებ^ეთა ნ^ეგ^ებ^ეთა ტ^ეგ^ეშ^ეჭარგ^ედ ატ^ედ ლაფშ^ე დგ^ეტ^ეაშ^ეშ^ეტაშტ „საცერი რომ აიღო რა (აღებოთ) და ემებო, მის მსგავსს ვერ იპოვი“ და სხვ.

აბსოლუტივის ფუნქციით ხშირად გვხვდება აბაზურში -მცარა // -მცარა // -მცა ნაწილაკდართული ზმნის ფორმები. იგი ხანგრძლივ, გამუდმებულ მდგომარეობა-მოქმედებას გახაზავს. ეს ნაწილაკი მარტივ ფუძესაც ერთვის (მაგ.: დრ^ემა-მცარა „მათ ის ჰყავთ რა“), ჩვეულებრივ კი -ტა სუფიქსიან აბსოლუტივის ფორმასთან გვხვდება:

ალ^ე შ^ეტა -მცა დფს^ეგხდ^ეტ „ძალდი ყეფს რა (მთელი სიცოცხლის განმავლობაში), კვდება“.

აღნიშნული ნაწილაკი მეტყველების სხვა ნაწილებშიაც ხშირად გამოვლინდება, მაგ.: ასრ^ემ კაპიკა-მცარა დ^ელაჟ „მანეთი კაპიკ-კაპიკობით შედგება“.

უარყოფითი აბსოლუტივის წარმოებისას იმავე ინფინიტურ მარტივ ფუძეს მ უარყოფის აფიქსის გარდა (იხ. ზემოთ) ერთვის სუფიქსად -კა (რომელიც წარმოშობით კოპულის ფუძეს უკავშირდება) და სტატიკურ

ზმნებში, რომლებშიაც იგი უარყოფითი აბსოლუტივის ერთადერთი მაწარმოებელია, **-მ-ვ^ა-ს** სახით გვევლინება: **მღმა-მ-ვ^ა** მის უქონელად („მას (ქ.) ის არა აქვს რა“)...

დინამიკურ ზმნებში ინფინტიური ფუძის შესაბამისად **მ-** პრეფიქსადაა, ხოლო **-ვ^ა** ერთვის ბოლოს:

აჰათ აჯა **უ-მ-გ-რ-ტლ-ა-ვ^ა** მთეუ **გ^აუდგრუამ** „გუდაში რაც დევს, ვერ გაიგებ მისი თავის მოუხსნელად“.

ამგრერთა **უნა-მ-მას-ვ^ა** უკალთა ჯაუგმგვლენ! „ფონს მიუღწევ-ლად კალთას ნუ აიკრეფ!“

ასე გაფორმებული აბსოლუტივები გარკვეული, უდაო დადასტურების შინაარსით გამოიყენება კითხვითი წინადადების პასუხად: **ამგ ბთაჯგუმა?** – **მსთაჯგ-მვ^ა!** „წყალი გინდა?“ „მაშ არა და!“ („მინდა, მაშ!“).

კოპულას (**ავ^ა-**) ფუძეზე დართვით **მ-ვ^ა** აწარმოებს თანდებულ-ზმნისართს **ავ^აგმვ^ა-ს** „გარდა“, „გარეშე“ (რომელიც იცვლება კუთვნილებითი პრეფიქსების მიხედვით).

მეორე ტიპის აბსოლუტივი, ე. ი. ფინიტიურ ფუძეზე დაყრდნობილი, ყველა ზმნის (სტატიკური, დინამიკური) სხვადასხვა დროების ფორმებიდან იწარმოება (თუმცა უფრო გავრცელებულია აწმყოსა და მყოფადის დროებში):

მჟაუა მგ მამა ჭმ-თა, **მჟაუა მგმაშარდაჰ** „რასაც ჭამს, ეცოტავება რა, რასაც აკეთებს ებევრება“.

მღმჰაკ მთალგიტ-თა **მღმჰაკლა მთეწხმტ** „მის ერთ ყურში შედი ის რა, მეორე ყურიდან გამოდის“.

ამშ გ^აგმხა ბზგმხაჰ-თა **აშ^ა გ^აგმხა დგგ^აზზგმხარგმ** „ცუდი ამინდი გამოკეთდება რა, ცუდი კაცი არ გამოკეთდება“.

ყაფშტა მუბალაკ^ა გ^აჟგმ-თა, **შაკ^არკ^ათა მუბალაკ^ა გ^აშ^აამ** „რასაც წითელს დაინახავ, ხორცი არ არის რა, რასაც თეთრს დაინახავ, ქონი (ლორი) არ არის“.

მგლა მგწგუ აჰ^აშ^აან გ^აგ მბ^აუ მ-თა **ანახ^ა ანგ მგლა მგწგუ აშგ^აც** **იბგტ** „თავის თვალში დირეს ვერ ხედავს რა, სხვის თვალში ბეწვს (წველს) ამჩნევს (ხედავს)“.

ამ ტიპის წარმოებები ფართოდაა გავრცელებული ენაში. აბაზურში აბსოლუტივის შემცველი წინადადების შემადგენლობაში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი შემთხვევები, როცა აბსოლუტივს თავისი, ძირითადი შემასმენლისაგან განსხვავებული სუბიექტი აქვს: **მშ^აუა აწლა ჰაკ^აჰ^აუგ^ათა** **მგლა მჟაწალგტ** „მშიშარას ხეცეკვავს რა (ბრუნავს რა, მბრუნავი) ერვენება (თვალში ხვდება)“.

ტჷა ტჷარ ე ტ მ გ რ დ გ ტ ა თ ა აქტო დდგრდგუტენდა „შენ თავს შენ არ ადიდე [დე] რა, ნეტავ სოფელი ადიდებდეს (სოფელმა გაადიდოს)“.

ფსგ ნ ა მ ჯ ტ მ ც ა ეგმგ ა ნაჯატ „მისი სული არ ძღებ არა, მისი მუცელი გაივსო“.

კოპულა. „ყოფნის“ („არის“) აღმნიშვნელი მეშველი ზმნის ფუნქციით აბაზურში გამოიყენება **-ა-კ°(ა)** ფუძე, რომელიც თითქოს ერთპირიანი ზმნის შინაარსით გვევლინება, მაგრამ თვით ფუძის აგებულებისა და ფორმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ორპირიანი უნდა იყოს. ეს ერთადერთი „ერთპირიანი“ ზმნა არის, რომელიც „სუბიექტის“ ნიშნად იყენებს L-ს რიგის პირ-კლასის ექსპონენტებს, სარს ს-ა-კ°(ა)-პ „მე ვარ“, ტჷარ ტჷ-ა-კ°(ა)-პ „შენ (მ.) ხარ“, ბარს ბ-ა-კ°(ა)-პ „შენ (ქ.) ხარ“, ე-არს ე-ა-კ°(ა)-პ „ის (მ.) არის“, ლარს ლ-ა-კ°(ა)-პ „ის (ქ.) არის“, ატგდ ა-კ°(ა)-პ „ის (ნ.) არის“, ჰარს ჰ-ა-კ°(ა)-პ „ჩვენ ვართ“, შარს შ-ა-კ°(ა)-პ „თქვენ ხართ“, ატთ რ-ა-კ°(ა)-პ „ისინი არიან“.

აღნიშნული ზმნა ჩვეულებრივ დამოუკიდებლად არ იხმარება. იგი ხშავს ინფინიტურ, პირის მიმღობურ, ზმნის კონსტრუქციას, მაგ.: სარა **საკ°(ა)პ** ეცაზ „მე ვარ, ვინც წავიდა“ და მისთ.

ეს ზმნური ფუძე, ისევე როგორც ნასახელარი დინამიკური ზმნები, გახდომა-გარდაქვევისათვის დაირთავს გარდაუვალ ვარიანტში **-ხა** სუფიქსურ ელემენტს, ხოლო გარდამავალ ვარიანტში **-ჰ** სუფიქსურ ელემენტს.

„ყოფნა-არსებობის“ აღმნიშვნელი ამ **კ°(ა)** ძირთან წარმოშობით კავშირი აქვს კოპულატურ **-პ** ფინიტობის სუფიქსს სტატისკური ზმნის აწმყოსა და დინამიკური ზმნის მყოფადში (ლომთ. 1974).

პერიფრასტული ზმნური კონსტრუქციები გვხვდება „დაწყება“, „გამოსვლა“, „შეძლება“, „ნდომა“, „ქმნა“, „ხედვა“... ზმნათა მეშვეობით (გარკვეული მოდალურ-სტილისტური ნიუანსების გადმოცემისას):

- დცარ(ა) ა ტ ა შ ა „რომ წავიდეს იქნება, შეიძლება“
- დცტუტ დ ს ლ ა გ ა ტ „წასვლა დაიწყო (მიდის რა, დაიწყო“)
- დცრა ა თ ა ჯ გ პ „უნდა წავიდეს“, „წასასვლელია“
- ჰ ა ჯ ა ე ს კ ° თ ა (დჰაწ(გ)წტ „ხოჯა გამოდგა“, „ხოჯა ყოფილა“
- დტუთა ე გ ს ჩ გ გ ე ტ „ვადიდებ“, „დიდად ვიქმ“

აჩკენ ეგლა ლაშეზოთენგე, ან აბგაზშა ეგლბგეტ „ყმაწვილი თვალდავსილიც (თვალთ ბრმაც) რომ იყოს, დედას (თვალ)მრთელად ეჩვენება (...მთელსავით ხედავს)“ და სხვ.

კაუზატივი. თუმცა ნასახელარი და სხვა გარდაუვალი ზმნებისაგან გარდამავალი ზმნების წარმოების სხვადასხვა საშუალება არსებობს აბაზურში, როგორცაა, მაგალითად, ე. წ. ძირ-სუფიქსების (ლომთ. 1952), სხვადასხვა დერივაციული ელემენტების გამოყენება რთული ფუძეების

წარმოქმნა, ლაბილური კონსტრუქციის არსებობა და სხვ. (იხ. აქვე, ზემოთ, გვ. 286-289), მაგრამ გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალი ზმნის მიღების ერთ-ერთი ძირითადი წესი არის კაუზატივის საშუალებით ფუძის წარმოება.

კაუზატივის მაწარმოებელი არის **რგ-** (გარკვეულს პოზიციებში **გრ-**) პრეფიქსი, რომელიც დაისმის ძირის წინ (რთულ ზმნურ ფუძეებში პრევერბული კომპონენტების შემდეგ, ე. ი. ისევ ძირის წინ). კაუზატივის ფორმა აქვს მასდარსაც.

კაუზატივის ფორმაში ზმნას უჩნდება დამატებით ახალი სუბიექტის პირი: ერთპირიანი გარდაუვალი ზმნის სუბიექტი კაუზატივის შემთხვევაში ახალი სუბიექტური პირის მოქმედების ობიექტად იქცევა და ზმნა გარდამავალ-ორპირიან ზმნად წარმოგვიდგება, შდრ. ერთპირიანი გარდაუვალი ზმნა **დ-ცგძტ** „ის (ად.) მიდის“ და კაუზატიური ფორმა მისი **დ-ლ-გრ-ცგძტ** „მას (ად.) ის (ქ.) უშვებს“, „გზავნის“.

ასევე ორპირიანი (ან სამპირიანი) გარდაუვალი ზმნისაგან კაუზატივის კატეგორიაში ახლად დამატებული სუბიექტის პირის მოქმედების ობიექტად იქცევა ისევ ორპირიანი გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და ზმნა წარმოგვიდგება სამპირიან (ან, სამპირიანისაგან ნაწარმოებ, ოთხპირიან) ზმნად, შდრ. ორპირიანი გადაუვალი ზმნა **დ-ა-ფხ-გძტ** „ის (ად.) კითხულობს („სწავლობს“) მას (წიგნს)“ და კაუზატივის ფორმა **დ-ა-ლ-გრ-ფხ-გძტ** „ის (ქ.) მას (ად.) აკითხებს („ასწავლის“) მას (წიგნს)“ და მისთ.

ამ შემთხვევაში გარდაუვალი ზმნის D-ს რიგის პრეფიქსებით გამოხატული სუბიექტური პირი იქცევა (უახლოეს) ობიექტად.

გარდამავალი ზმნისაგან კაუზატივის წარმოებისას ახლად დამატებული სუბიექტი მოქმედებს ამოსავალი გარდამავალი ზმნის სუბიექტზე და ეს თავის მხრივ წარმოგვიდგება ირიბი ობიექტის როლში, ორპირიანი გარდამავალი ზმნა იქცევა სამპირიან გარდამავალ ზმნად, მაგ., ორპირიანი გარდამავალი ზმნა – **იგ-ლ-ჭგძტ** „ის (ქ.) ჭამს მას (ნ.)“, კაუზატივის ფორმაში – **იგ-ლ-ლ-რგ-ჭგძტ** „ის (ქ.) მას (ქ.) აჭმევს მას (ნ.)“. ასევე ხდება სამპირიან გარდამავალ ზმნაში, ოღონდ სამპირიანისაგან კაუზატივის ფორმაში მიიღება ოთხპირიანი ზმნა, მაგ.: **ი-ლ-გ-ჟგ-ს-რგ-თტ** „შენ (მ.) მის (ქალის)-თვის მიგაცემინე ის (ნ.)“.

თუმცა ასე ნაწარმოები ოთხპირიანი (და მითუმეტეს ხუთპირიანი) ზმნების ფორმები არც თუ ისე გავრცელებულია. დასაშვებია აღწერითი ფორმები: **ი-ლ-გ-ჟ-თნგ** სთაჯგვ „მას (ქ.) შენ (მ.) ის (ნ.) რომ მისცე, მიინდა“ და სხვ.

კაუზატივის ფორმაში მესამე პირის მრავლობითი რიცხვის L-ს რიგის **რ-** პრეფიქსი როგორც სუბიექტის, ისე ირიბი ობიექტის გამომხატველი, დისიმილაციის ნიადაგზე წარმოგვიდგება **დ-ს** სახით,

მაგ. **ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ**-მახტ (მოსალოდნელი ***ღ-რ-რ-ღ-ღ**-მახტ“-ის ნაცვლად) „მათ მათ ის (ნ.) შეაკერინეს“;

ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ჭეძტ (მოსალოდნელი ***ღ-რ-რ-ღ-ღ**-ჭეძტ-ის ნაცვლად) „ის (ნ.) მათ მათ აჭამეს“ და მისთ. (ლომთ. 1944, გვ. 130).

აბაზურში ფართოდაა გავრცელებული **ო რ მ ა გ ი** პრეფიქსაცია კაუზატივისა, როცა კაუზატიურად ნაწარმოები გარდამავალი ზმნისაგან კვლავ კაუზატივი – შუალობითი კონტაქტის გამომხატველი იწარმოება, მაგ. **ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ**-ცა „მან(მ.) მათ ის (ად.) გააგზავნა“. ასეთი ორმაგი პრეფიქსაცია შეიძლება შეგვხვდეს პირველადს გარდამავალ ზმნაშიც, როცა შუალობითი შინაარსია გადმოცემული: **ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ**-ჭეძტ „მე მას (მ.) მისთვის (ქ.) ვაჭმევინებ მას (ნ.)“ და მისთ. (ლომთ. 1944, გვ. 131).

ზმნის ვალენტობა: მისი მატება და კლება ზმნის ფორმებში.

აბაზური ზმნა მ ა რ ტ ი ვ ი ფ უ ძ ი თ ა ა : გ ა რ და უ ვ ა ლ ი – ერ-თპირიანი სტატიკ. **ღ-ჭაპ** „ზის (ად.)“, დინამიკ. **ღ-ცეძტ** „მიდის (ად.)“ (ეს ერთი პირი სუბიექტის პირია), გ ა რ და მ ა ვ ა ლ ი – ორპირიანი **ღ-ღ-ჭაპტ** „მან (ქ.) თქვა ის (ნ.)“. ამ ორ პირთაგან თავში, პირველ ადგილას მდგომი პირი უახლოესი (პირდაპირი) ძირის წინ მდგომი პირი სუბიექტია (L^s-ს რიგი).

დანარჩენ შემთხვევებში, ზმნის პირის ვალენტობის მატებისას ხდება სხვადასხვა მორფემების ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ ზმნის ფუძის წ ა რ - მ ო ე ბ ა .

ზემოთ იყო აღნიშნული, რომ ზმნის პირი მატულობს კაუზატივის კატეგორიაში, როცა ზმნას კაუზატივის მორფემის მეშვეობით ემატება ახალი გარდამავალი ზმნის ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს პირი.

სხვა შემთხვევაში კი როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებში ვალენტობა იზრდება ი რ ი ბ ი ობიექტის პირის გაჩენით. ირიბი ობიექტის პირის გაჩენა კი ზმნაში ხდება ს ა მ ი მ ა რ თ ე ბ ო პრეფიქსულ მორფემათა მეოხებით, რომლებიც ზმნურ ფუძეს ართულებენ.

